

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (სმა-ს)  
Centre for Archaeological Studies of the GAS



კოლხოლოგიური ნარკვევები  
**Colchological Articles**  
**II**

გელა გამყრელიძე  
**GELA GAMKRELIDZE**

## შინაარსი: Contents:

* კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესზე ბიოგეოგარეუმოს გავლენის შესახებ	3
*ქალაქ ფასისის (ფოთის) ტოპოარქეოლოგისათვის	56
*ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში	81
* კოლხურ-მოსუინიკური კოშკის რეკონსტრუირების ცდა	89
* კოლხი მედეას იკონოგრაფიისათვის	99
* დიონისეს ტიპის ღვთაების ქანდაკება ვანის ნაქალაქარიდან	110
* ერთი კერამიკული ნივთის ინტერპრეტაციისათვის ადეიტვილების გორის ნაგებობიდან	113
*პროგრამა კესარიულის და აგათიას თხზულებებში მოხსენიებული “მუხრისის” შესახებ	121
*საზღვაო ნაოსნობა და ვაჭრობა კოლხეთში	131
*კერცხლის რიტონი სოფ. გომიდან	138
*ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორები	155
*ბერძნულ გრაფიტოანი სინოპური და კოლხური ამფორები ქალაქ ფოთი-ფასისიდან	174
* კოლხურ-მოსუინიკური საომარი ისტორიის ზოგირთი საკითხი --	188
* კოლხეთში რომანიზაციის გლობალისტური პროცესის მიმდინა- რების შესახებ. ( <i>Summary in English</i> )	200

### Papers in English

*THE LAND OF COLCHIS AND THE CITY OF PHASIS -----	215
*ON THE EVOLUTION THE COLCHIAN AMPHORAE (the 4 <sup>th</sup> cent. BC to the 3 <sup>rd</sup> cent. AD)	249
*About the author -----	262

© Gela Gamkrelidze. 2001 (II გამოცემა, 2010).

ISBN 99928.0.137.9.(II).

## კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესზე ბიოგეოგარემოს გავლენის შესახებ

ქველი საქართველოს ისტორიული განვითარების ჯაჭვში ერთ-ერთი მეტად საყურადღებო რეოლია დასავლეთ საქართველო (გეოგრაფიული ცნება “კოლხეთი”). საქართველოს ამ ნაწილმა ფრიად რთული ისტორიული გზა განვლო. მისი ეკონომიკა და პოლიტიკური მდგრადი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვნაირი იყო. ქართველური მოდგმა დასაბამიდან სახლობს დღევანდელი საქართველოს მიწაწყალზე. ამ მიწაზე საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა მათი ისტორიულ-კულტურული განვითარების ხანგრძლივი და თავისებური პროცესი. გეოპოლიტიკურად აზისა და ევროპის საზღვარზე მდებარე კოლხეთი ორი დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის (ერთი მხრივ ირანული და, მეორე მხრივ, ანტიკური ორიენტაციის ქვეყნების) ზეგავლენას განიცდიდა. საყურადღებოა კოლხეთის ურთიერთობების შესწავლა საბერძნებოთნ, პონტოსთან და რომთონ. ამ ქვეყნებმა ძირითადი როლი ითამაშეს კოლხეთის განვითარების კულტურულ-ისტორიულ პროცესში. საყურადღებოა აგრეთვე ქართლისა(იბერიის) და კოლხეთის ურთიერთობების შესწავლა, რადგან მათ ადგილსა და საფუძველზე შემდგომ განვითარდა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო.

ისტორიული კვლევისას ბიოგეოგარემოს (resp. გეოგრაფიული გარემოს) შესწავლის გარეშე შეუძლებელია რომელიმე ქვეყნის ისტორიული განვითარების პროცესის შესწავლა. ბიოგეოგარემოს განმსაზღვრელ როლზე საზოგადოების განვითარებაში თავდაპირეველად ყურადღება ანტიკური ეპოქის მეცნიერმა და მოაზროვნებს პიპროტებმ გაამახვილა. მისი თვალთახედვით, ბიოგეოგარემოს კომპონენტებიდან მთავარი აქცენტი კლიმატზე იყო გადატანილი. შემდგომში გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეას ბევრი მომხრე გამოუჩნდა, რომლებმაც ის განავთარეს და უფრო დაზვეწეს.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრეთა აზრით, გეოგრაფიული გარემო გადამწყვეტი გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. ისინი ძირითადად გამოყოფენ – კლიმატს, ლანდშაფტს, მაღნეულს, ფაუნას, ფლორას, მდინარეს, ზღვას, ქვეყნის მდებარეობა-განლაგებას. ეს ფაქტორები მოქმედებენ ადამიანის,

საზოგადოების ზნე-ხასიათზე, შესახედაობაზე, მატერიალურ დაგროვებაზე, სულიერ წყობაზე, ქვეყნის მმართველობის ფორმაზე და სხვა. ისტორიული განვითარების პროცესის ახსნისას ჭეშმარიტება თრი ძირითადი ფაქტორის, კერძოდ, ბიოგეოგარემოს და სოციოგარემოს ურთიერთზემოქმედების ახსნაში უნდა ვეძებოთ, რომლებზედაც, თავის მხრივ, მოქმედებენ ბიოგეოქიმიური, გენეტიკური, ქრონოლოგიური და საკრანოოსის პროცესები (იხ. გამტებულიძე 1993, გვ.22). ბიოგეოგარემოს და საზოგადოების ისტორიული განვითარების ურთიერთზემოქმედების პრობლემა მსოფლიო ცივილიზაციების წარმოქმნა-განვითარების საერთო ძირითადი პრობლემაა, მაგრამ რეალურად არსებობს კონკრეტული ბიოგეოგარემო, კონკრეტული რეგონი, კონკრეტული საზოგადოება. ჩვენ ვეცადეთ ეს ურთიერთობები განგვეხილა ძველი კოლხეთის მაგალითზე.

კოლხეთი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთი კავკასიონის მაღალი მთები; სამხრეთით “მცირე კავკასიონი”, აჭარა-ლაზეთის მთიანეთი; აღმოსავლეთით სურამის ანუ ლიხის ქედი, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა. დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის მთიანეთის ბორცვებორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები და დაბლიბი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასასახლებელ ადგილებს ქმნიან. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა – ხე, სხვადასხვა ჯიშის ქვა, თიხა და ა.შ. არის მარმარილო, კირქვა, თაბაშირი, კერამიკული თიხა, სხვადასხვა ფიქლები. კოლხეთში თიხის ჭურჭლის მოჭიქვისათვის და მინის ჭურჭლის საწარმოებლად გამოიყენებოდა კვარცის ქვიშა, რომელიც მრავლად მოიპოვება. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ისეთი მინერალებიც, რომლებიც ძველთაგანვე გამოიყენება სამკაულების დასამზადებლად, მაგ., გიშერი, მთის ბროლი, აქატი, ქალცედონი, სარდიონი, ობსიდიანი, სურინჯი და ა.შ. კოლხეთში მეტალურგიული (სპილენი, რკინა, ტყვია, თუთა, კალა, ვერცხლი) ნედლეულის მოპოვების ძირითადი ადგილებია – რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა. მდინარეების ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის და რიონის ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს. ამას ადასტურებს ჯერ კიდევ ს. ავტორი სტრაბონი, რომლის ნაწერებიც საკმაო საფუძვლიანობით

გამოირჩევა: “წყლის ნაკადებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები მას აგროვებენ დაჩვრეტილი ვარცლებით და ბეჭვიანი ტყავებით” (სტრაბონი, XI, II, 19). II საუკუნის ავტორი აპანეც აღნიშნავს: “კავკასიონიდან ჩამომდინარე ნაკადულებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეებში ხშირებზეან ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც მათზე ილექტა” (აპანე, მთორიდატეს ომები, 103) ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I საუკუნის ავტორი გაიტას პლინიუს სეპუნდუსიც (უფროსი): “კოლხეთში მეფობდა აიეტის მექვიდრე სავლაკი, რომელიც თავის სამეუფეროში დიდალ ოქროს და ვერცხლს იპოვებდა სვანეთის მიწასა და საერთოდ სახელმწიფოში...”(NH, XXXIII).

საყოველთაოდ ცნობილია კოლხეთის მოსახლეობის როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში (მაგ: ხალიბები, მოსუნიკები, მოსხები). კოლხეთის რეგიონი ლითონების წარმოება-დამუშავების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა. აქ მოსახლეობის მიერ მაღნეულის ნაყოფიერმა დამუშავება-გამოყენებამ კოლხური საზოგადოება უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში ახალი განვითარების საფეხურზე აიყვანა. ანტიკურ ხანაში კოლხური მეტალის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებშიც ხდებოდა. ამდენად, კოლხეთში სასარგებლო მაღნეულის არსებობა იწვევდა პოზიტიურ მცრებს წარმოების განვითარებაში, რაც თავის მხრივ, აქაური საზოგადოების განვითარების პროცესს აჩქარებდა. ამგვარად, ძველი კოლხეთი მაღნეულით მდიდარი ქვეყანა ჩანს, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო მომპოვებელი და გადამუშავებელი ხელოსნობა-წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებას. ამ დარგების პროდუქცია კი ხშირად სხვადასხვა ქვეყნებში გაპქონდათ. იქიდან კი შემოპქონდათ ისეთი ნაწარმი, რომელიც ადგილობრივად არ მოიპოვებოდა.

კოლხეთის რელიეფი, ტექტონიკური განვითარების თავისებურების გამო, ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად. ლიხის, დიდი და მცირე კავკასიონის მთანეთში გადიოდა ბილიკ-გზები, რომლითაც კოლხეთის მოსახლეობა უკავშირდებოდა დანარჩენ კულტურულ სამყაროს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ გადასასვლელებს ეხლაც იყენებენ. ესენია: რიკოთის, ზეკარის, მეფისწყაროს, გოდერმის,

მამისონის, ნაკრის, ქლუხორის და სხვა. ეს გადასასვლელი ზელს უწყობდნენ ეკონომიკური კონტაქტების გაღრმავებას.

მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი თავისი რელიეფით (ქედები, ზეობები, სერები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები) მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ.წ. სს-ის რომაელი მხედარომთავრის ლუკულუსის მითრიდატე ევპატორთან ომის დროს კავკასიონის მთინეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მოქმედების ადგილის შეფასება: “მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგებ (მითრიდატე ევპატორი – გ.გ.) კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ გაიქცეს. განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ მის ზურგში გადაშლილა უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო? (იგულისხმება ბოსფორ-ყებანის სტეპები – გ.გ.). იქვე ახლოს არის კავკასიონი მრავალი მაღალი მთით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლის ამრიდებელი ათობით მეცვე” (პლუტარქე, ლუკულუსი, 14). აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, ძნელად გადასალახი მაღალი მთების, გასამაგრებლად მოსახერხებელი გორების, ხშირი გაუვალი ტყების, ძნელად დასაძლევი მდინარეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებული დაგვირგვინების გარანტია იყო. არანაკლები მნიშვნელობა სამხედრო მოქმედებისას ენიჭება კლიმატს და წელიწადის დროების ცვლას. მაგალითად, მითრიდატე ევპატორი პომპეუსთან ომის დროს “მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა” (სტრაბონი, XII, III, 28). მას ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. ამ შემთხვევაში მითრიდატემ ზამთარი და მთები (რელიეფი და ჰავა) თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა.

ზემოხსენებული მთათა მყინვარებიდან გამოედინება დიდი თუ პატარა მდინარეები, რომლებიც შავი ზღვის აუზს მიეკუთვნებიან. ისინი რაოდენობრივად 16000-ზე მეტია. მათ შორის წყალუხვობით უწინარესი ადგილი უჭირავს – რიონს, ყვირილას, ცხენისწყალს, ტეხურს, ხობს, ენგურს, კოდორს, ბზიფს, დალიძგას, ხანისწყალს, ფიჩორს, სუჯვას, ნატანებს, ჭოროხს. აქედან ხობს,

ტეხურს, ფიჩორს, სუფსას, და განსაკუთრებით რიონ-ყვირილას სატრანსპორტო გადასაადგილებელ გზებად იყენებდნენ. მათზე სავაჭრო-სატრანსპორტო ნავებით დაცურავდნენ. სწორედ ეს სავაჭრო-სამდინარო გზები (ვიდრე სახმელეთო) გაცილებით რენტაბელურს ხდიდა ვაჭრობას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

რიონი(ფასისი) კოლხეთის მთავარი მდინარე. მდინარე რიონი კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან, ფასის მთის მყინვარიდან გამოედინება. ქლაქ ქუთასამდე ის მთის მჩქეფარე მდინარეა, ჩქარი დინება გააჩნია და უმეტესწილად ვიწრო ხეობაში მოედინება; ქუთასის ქვემოთ კოლხეთის დაბლობზე ჩამოდის და ბარის მდინარის მდორე დინება უჩნდება. ის იტოტება და მოეთდან ჩამოტანილი შლამის დალექვით წარმოქმნის კუნძულებს. რიონი, როგორც ჩანს, ხშირად იცვლიდა კალაპოტს, ამიტომ კოლხეთის დაბლობზე კარგად შეიმჩნევა ნარიონალები, ძველი კალაპოტები. საყურადღებოა, რიონის III-ში მნახველის ფლავიუს არიანეს თხზულებაში – “მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო” – დაცული ცნობა: “ფასისის წყალს ტყვიის თუ კალის ფერი დაკრავს, მაგრამ რომ გააჩერებ, ძალიან წმინდა ხდება” (ფლავიუს არიანე, 1951, გვ.37). წერილობით წყაროებში ფასისი პირველად იხსენიება პესიოდეს “თეოგონიაში” (ბე.წ.VIII.).

რიონ-ყვირილა(ფასისი) თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო. ცნობები მისი სატრანზიტო გზად გამოყენების შესახებ ძირითადად შემონახულია სტრაბონის და პლინიუსის ნაწერებში. სტრაბონი აღწერს მდ. რიონ-ყვირილას მაგისტრალს: “ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; შორაპნიდან ფეხით, საურმე გზით ოთხ დღეში მიისვლება მდ. მტკვრამდე” (XI,II,17). ამ გზის გაგრძელებას სტრაბონი ასე აგვიწერს: “ინდური საქინელი შემოაქვთ პირკანის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მის მომდევნო ადგილებით ევქსინის ზღვაში ჩააქვთ” (სტრაბონი, XI, VII,3). ამრიგად, ნათელია, რომ II.-ის ავტორი სტრაბონი აღწერს სავაჭრო გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვარზე და მდ. ფასისზე (რიონ-ყვირილა) გავლით შავი

ზღვისკენ. ამავე გზას აღწერს ის-ის ავტორი პლინიუსი: “პომპეუსის დაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილ იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქს. აქედან ინდური სავაჭრო საქონელი გადაქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასისს, რომელიც შავ ზღვას უერთდება” (პლინიუს სეკუნდუს, NH, VI, 52). საყურადღებოა, რომ სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შეუსახლებელის ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი (კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონის და მინის ჭურჭელი). ასეთი ნამოსახლარები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩნდილა შორაპანში, პატრიკეთში, ვამი, საყანჩიაში, ციხესულორში, შუამთაში, ფარცხანაყანებში, სოფ. მთისძირში, დაბლაგომში, დავნარში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიდში, ფოთში (პალიასტომის ტბაზე) და სხვა.

რიონ-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო-სამდინარო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომზე მდებარე ქალაქი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარტაპები შავ ზღვაში გადიოდნენ კაბოტაჟური ცურვისათვის. გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომს ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიეფია. ძველად აქ მდინარე რიონის ლიმანი იყო. სრულიად ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, ხომალდები შემოსულიყვნენ. ხომალდებიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო კარტაპებში გადაიტვირთებოდა და პალიასტომის გავლით მდინარე რიონზე ანდა ფიჩორზე აღმა აგრძელებდა სვლას. აგათია პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს: “იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახინ და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება”. შემდეგ “დიდი სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად” (აგათია, “გეორგია”, 1936, გვ.102). მდინარე რიონზე ჩმოცურებული სატრანსპორტო ნავებიდან ტვირთი პალიასტომის ტბაზე მდებარე ნავსაყუდელში უკვე საზღვაო კარტაპ-ხომალდებში გადაჭრინდათ და შავი ზღვის გავლით მიჰყონდათ შორეულ ქვეწებში.

ზღვამ დიდი როლი ითამაშა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქლაქარები და სხვა დასახლებული პუნქტებია მიკვლეული: აფსაროსი (გონიოსთან), ბათუმის ციხე, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვარი, ურეკი, ფასისი (ფოთთან), ანაკლია, ფიჩორი, გიეროსი (ოჩამჩირესთან), დიოსკურია- სებასტოპოლი (სოხუმისან), ეშერა, პიტიუნტი(ბიჭვინთასთან) და ა.შ. ჩამოთვლილი დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი ზღვის და ხმელთაშუა ზღვის ქვეწებთან და ქალაქებთან: მიღეთთან, ქიოსთან, როდოსთან, ათენთან, მენდესთან, სინაპესთან, რომთან (ოსტია). შემდგომში ბიზანტიასთან (კონსტანტინეპოლითან), გენუასთან, ვენეციასთან და სხვა. ზღვისპირა ქალაქებში, ვაჭრობის გარდა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები (მეთუნეობა, მჭედლობა, ხურობა, ფიქრობა, და ა.შ.) იყო განვითარებული. მაგრამ აქ განსაკუთრებული ადგილი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ზღვაოსნობას, მეოცენურობას, ზღვის მარილის მოპოვებას და, რაც მთავარია, ვაჭრობას ეჭირა. ცნობილია, რომ ზღვამ მსოფლიო არენაზე ცივილიზებული ქვეწები გამოიყანა. ანტიკურ ეპოქაში კოლხებმაც გამოიყენეს საზღვაო კომუნიკაციები ვაჭრობისათვის. ანტიკურ ხანაში კოლხეთის სანაპიროზე გარკვეული საკონტაქტო რეგიონი შეიქმნა ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია კოლხეთის შესახებ გადმოგვცემს: “ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები”. ისინი “...ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით”; გამოირჩევან “...თავისი სიმძიდღრის სიუხვით, ასევე ქვეშევრდომთა სიმრავლით, მიწაწელის სიჭარბით და მოსავლიანობით...” “...ეხლანდელი მცხოვრებლები დაცურავენ კიდევ, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიც ნახულობენ დიდ სარგებელს” (აგათია, III,5; ყაუხჩიშვილი, 1936, გვ.50).

შავი ზღვა ხმელეთშიდა ზღვაა. ის ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუა ზღვის აუზში. ბოსფორის სრუტის უვიწროესი ადგილი სიგანეში მხოლოდ 700 მეტრია, ამიტომ მისი გადაკეტვა-კონტროლი ადგილია.

სრუტე გეოპოლიტიკურ- სტრატეგიულად ფრიად მოსახერხებელია. ისტორიულად ვის ხელშიაც ბოსფორის სრუტე იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას. ამან უარყოფითი როლი ითამაშა კოლხეთის ისტორიულ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ანტიკური ხანის კოლხეთის გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ განაპირობა საზღვაო (სანაპირო ქლაქები – ფასისი, გიენოსი, დიოსკურია და სხვა.) და სამდინარო (რიონ-ყვირილას სატრანზიტო გზა) კომუნიკაციების განვითარება, რაც დიდად მოქმედებდა მაშინდელი ქვეყნის შიგა და გარე წარმატებული ვაჭრობის წარმოებაზე. კოლხეთის სანაპიროზე ზღვის წყალი არ იყინება. კოლხეთის ფარგლებში სანაპიროზე ძლიერი გრიგალური, დამანგრეველი ქარი არ იცის.

ზღვა უდიდეს როლს თამაშობს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს აქაურ აგროკლიმატურ სიტუაციაზე და ადგილობრივი მცხოვრებლების სამეურნეო ყოფაზე. ზღვა კოლხეთში თბილი და ნოტიო კლიმატის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. კოლხეთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი როლი ზღვის ნაპირის ბიოგეოგრაფის შეცვლამ ითამაშა. გეომორფოლოგების ვარაუდით, ახალშავზღვიურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია (დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში), ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ისევ იწყება ტრანსგრესია, ზღვის დონის აწევა. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული ქალაქ-დასახლებები წყლის ქვეშ მოხვდა და შეწყვიტა არსებობა. საქართველოს ზღვისპირეთში, წერილობითი წყაროების (სკლაქს კარიანდელი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, სტრაბონი, კლავდიოს პტოლემაიოსი, პროკოპი კესარიელი, აგათია, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) მიხედვით, მთელი რიგი ნაქალაქარები არის მოხსენიებული: ფოთიან – ფასისი, ომაშირესიან – გიენოსი(?), სოხუმთან – დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინთასთან – პიტიუნტი და ა.შ. ხსენებული ნაქალაქარების ან მათი მიმდებარე ტერიტორიის წყლში დაძირვამ და ცხოვრების შეწყვეტამ ზღვისპირეთში ეკონომიკური დონის დაქვეითება გამოიწვია. შესაბამისად, გვიანანტიკური ხანის და ადრეული შუასაუკუნეების კოლხეთის ისტორიულ განვითარებაზე ეს გეომორფოლოგიური პროცესი უარყოფითად იმოქმედებდა. საყურადღებო სტრაბონის “გეოგრაფიაში” ცნობა, სადაც, შავი ზღვის ის მონაკვეთი,

რომელიც მდებარეობდა კოლხეთის სანაპიროსთან, იწოდებოდა “კოლხეთის ზღვად”(XI, I,6).

კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნიან ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარდაბლობი და მთისწინეთი ექცევა. ეს ტერიტორია კოლხეთის მთავარი აგრარულ-სამეურნეო რეგიონი იყო. კოლხეთის ბარ-დაბლობი ხასითდება ჭაობიანი და ეწერი, ხოლო მთისწინეთი წითელი და ყვითელმიწა ნიადაგებით. კოლხეთის დაბლობი სხვადასხვა სიბრტყეებზეა განლაგებული. ამიტომ დასავლეთ, ზღვისპირა მონაკვეთში აღინიშნება განსაკუთრებული ჭაობიანობა, ხოლო აღმოსავლეთთ უფრო ეწერი ნიადაგებია. ჭაობებში ძირითადად ტორფიანი ნიადაგები ჭარბობს. არის აგრეთვე ჭაობის ქვიშალამიანი და თიხნარიანი მონაკვეთებიც. აგრარულ-სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოყენებულია კოლხეთის დაბლობის შემაღლებული მონაკვეთი. სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული აგრეთვე კოლხეთის მთისწინეთის ბორცვ-გორაკიანი ნაწილიც. სტრაბონის “გეოგრაფიაში” დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საქმაოდ მდიდარ ქვეყნად წარმოგვიდგება: “...ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის; ...მოიპოვება გემთაშენი ყოველივე მასალა, რაღაც იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებთ ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილსა და ფის. ხოლო სელის წარმოება განთქმულია და გარეთაც კი გააქვთ” (სტრაბონი, XI, II,17). ექსპორტზეა საუბარი მარკუს მანილიუსის (II.) ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალებით.

საყურადღებოა კოლხეთის შესახებ VII-ის ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის წერილობითი ცნობა: “მოხირის ერთი დღის სავალზეა არქეპოლიტისდან და შეიცავს მრავალ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; ღვინოც კარგი მოდის და ნაყოფიც იქ კარგად ხარობს” (პროკოპი კესარიელი BG, VIII,14). კოლხეთში მდებარე მოხირისის მხარე, როგორც ჩანს, ეკონომიკურად ძლიერი რეგიონია. მდ. რიონის შუაშიც ემთხვევა კოლხეთის ამ რეგიონის შედარებით გვიანდელ სახელწოდებას – “სამოქალაქო”, რომელიც აგრეთვე მძლავრ ეკონომიკურ მხარედ არის ცნობილი. კოლხეთის დაბლობი რომ

დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს ამ რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც.

კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს მზის რადიაცია, პაერის ცირკულაცია, ზღვასთან სიახლოვე. აქ ბარის და მთის ჰავაში დიდი სხვაობაა. კოლხეთის ქარის მიმართულება-სიჩქარეზე ძირითადად ხეობების, ქედების და ზეგნების განლაგება მოქმედებს. ზალხურ დაკვირვებაში შემორჩენილია ორი ქარის სახელი – “ზენა ქარი” და “ქვენა ქარი” (დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარი), რომელთა მიხედვითაც მუერნე ცდილობდა ამინდის პროგნოზირებას და თავის სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად დაგეგმვას.

კოლხეთი მრავალფეროვანია თავისი მცენარეული საფარით. აქ დღესაც შეზღდებით რელიეფურ სახეობებს; არის ენდემური ჯიშები. ალპური სარტყელის ქვემოთ მთა-მთისწინეთი და ნაწილობრივ ბარიც, ძირითადად ტყითაა შემოსილი. ბარ-დაბლობში ტყები ძირითადად მდინარეების ჭალებშია. კოლხეთის ბარ-მთისწინეთში გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები – მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი, ცაცხვი, ნეკერჩალი. შემორჩენილია აგრეთვე მესამეული პერიოდის ხეები – ლაფანი, ძელქვა. არის მარადმწვანე ბუჩქარები – ბზა, წყავი, შექრი. დაბლობებში ტყე ჩახლართულია ხვიარებით (სურო, ღვედეკცი). წინათ კოლხეთის დაბლობზე შემალებულ ადგილებში იზრდებოდა მუხა, რცხილა, წიფელი, რაც ეხლა აქ თითქმის იშვითობას წარმოადგენს. ამ ხეების სამშენებლო მასალად გამოყენება არქეოლოგიური მონაცემებით ხშირად დასტურდება.

კოლხეთის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ძვწ. IIIსაუკუნემდე, ხე შეძლება ძირითად სამშენებლო მასალად ჩაითვალოს. გათლივლი წისაგან და მორისაგან იგებოდა საცხოვრებელი სახლები, შენდებოდა თავდაცვითი ნაგებობები და ზოგჯერ ჭაობიან ადგილებში გზა-ტროტუარების გასამართვადაც გამოიყენებოდა. სტრაბონის ცნობით, "ქვეყნაში (კოლხეთში – გ.გ.) ...მოიპოვება გემთსაშენი ...მასალა, რადგან აქ იზრდება მრავალი ტყე...;" (იხ. სტრაბონი, XI, II, 17). ტყეების სიუხვესვე ადასტურებს ძვწ. II. რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსიც: "კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო

აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს... და აგებენ..." (ვიტრუვიუსი, ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ, II წ. I,4).

კოლხეთის ქვემო ნაწილი ტორფიან ჭაობებს უჭირავს. ჭაობის და მისი მიმდებარე ადგილებისათვის ძირითადად დამახასიათებელია ლელიანები, ისლიანები, ჩალიანები, გვიმრიანები; სელი, კანაფი და სხვ. ძველი კოლხეთის სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთი მცენარეების გავრცელებას, როგორიც იყო, მაგალითად, ხორბლის და ქერის მარცვალი, კაზი, ფეტვი, ჭვავა, წაბლი, ღომი, კაკალი, თხილი, ლელვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ.

კოლხეთის ბარ-დაბლობში უკეთესი მდგომარეობა იყო დასასახლებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის. ბუნებრივაა, აქ ხდებოდა კულტურულ-სამეურნეო მცენარეების ახალი ჯიშების შემოტანა-გავრცელება. ზოგ შემთხვევაში ახალი პროდუქტიული ჯიშების შემოტანით ძველი ტრადიციული ჯიშები თითქმის ქრიბოდა. მაგალითად, XVIII-ში სიმინდის შემოტანამ კოლხეთში თანდათან თითქმის მოსახ ისეთი ძველი კულტურული მცენარე, როგორიც ღომა.

ცხოველთა სამყაროდან კოლხეთში, ენდემურის გარდა, მრავლადაა გავრცელებული ევროპული და მცირეაზიური სახეობები. მარტო კოლხეთის დაბლობზე მეცნიერ-მკვლევარების მიერ აღნუსხულია 380-მდე ხერხემლიანი ცხოველი. ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე და მის მრავალფეროვნებაზე იყო გარკვეულწილად დამყარებული მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკვება. ამტომ აქ შინაური ცხოველების მოშენება ერთ-ერთი სამეურნეო საქმიანობა უნდა ყოფილიყო.

კოლხეთში ნადირობდნენ ისეთ გარეულ ცხოველებზე, როგორიცაა – არჩვი, ჯიხვი, ღორი, კურდღლი, ირქმი, შველი, მურა დაოვი და სხვ.; მგლის, დათვის, ტურის, მელას, ფოცხვრის ტყავს სამოსისთვის იყენებდნენ. კოლხეთის მდინარეებში ბევრია კალმახი, ლოქო, ორაგული, წვერა. საკვებად გმოსაყნებელ ფრინველთაგან გავრცელებულია ხოხობი, გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი. ამათგან არა მარტო შიდა, არამედ საგარეო ბაზარზე თითქმის მთელ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში სახელი მოიხვეჭა კოლხურ-ფასისურმა ხოხობმა – Phasianus Colchicus, რომელიც ორ კილოგრამამდე იწონის. ფასისურ ხოხობს საკვებად განსაკუთრებით შეძლებული გურმანები

ეტანებოდნენ და ამიტომ ეს დელიკატესი ძვირად ფასობდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ხოხებს დეპორატიული (ფარშევანგისნაირი) დაიშნულებაც ჰქონდათ. ხოხობი მკვეთრადა ნაირფერად შეფერილი, ხოლო ბუმბულზე ვერცხლისფერი ბზინვარება დაჰკრავს. XIIს-ის ავტორი ევსტათი თესალონიკელი ძველ გადმოცემებზე დაყრდნობით ნაშრომში "ჰომეროსის ილიადას განმარტებები" აღნიშნავს: "...მბობენ მეფე პტოლემეოსი გამოტყდა, რომ მას არ ეგემა ფასისური ხოხობი, რადგან წინაპრები მას (ხოხობს – გვ.) აშენებდნენ სილამაზისათვის..."(XXII,69). ანტიკური წერილობითი წყაროებიდან ნათელია, რომ ხოხობის სახელი მაშინდელ ცივილიზებულ სამყროში ფასისიდან არის გავრცელებული. შესაბამისად, ხოხობის სახელი ბერძნულ-ლა-თინურიდან შევიდა სხვა ევროპულ ენებში. ძველ საქართველოში ხოხობი, აღბათ, იმდენად მნიშვნელოვანი საკები ფრინველი იყო, რომ ქართულ გასტრონომიულ ფოლკლორში დღესაც იხმარება მისგან დამზადებული კერძი – ჩახოხბილი, რომელსაც ეხლა ქათმისაგან ამზადებენ.

დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებულ მასალაში ჩშირია ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი კოლხეთის მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. ანტიკურ ხანასა და შეუ სუურნებში აქ მონადირეობას უკვე აღარ ექნებოდა ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორც წინა ეპოქებში ჰქონდა. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში მსხვილი და წვრილი რქისანი საქონლის (ხარ-ძროხა, თხა, ცხვარი) ძვლები მრავლად არის დადასტურებული. გეხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. ეს ოსტეოლოგიური მონაცემები დღვენდელი დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობებს ჩამოგავს. საგულისხმოა, რომ არისტოტელე (ფ.წ. IVს.) ნაშრომში "ცხოველთა ისტორია" კოლხეთის ტანმორჩილ ძროხებს აღწერს: "მეწველი ცხოველი მეტ თუ ნაკლებ რძეს მოიწველის, დამოკიდებულია ტანის სიდიდეზედაც და საზრდოს ნაირფეროვნებაზეც. მაგალითდ, ფასისთან არინ მომცრო ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იწველის..."(III,21). გამწევ სატრანსპორტო პირუტყვიდან მირითადად არქეოლოგიურ მასალაში დადასტურებულია ხარისა და ცხენის ძვლები.

კოლხეთში ხარის სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების შესახებ აღნიშნავს აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. IIIს.) "არგონავტიკაში": "ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი საილენბისჩლიქებიანი ხარი, რომლებიც ცეცხლს აფრქვევენ. მე მათ უღელში ვაბამ და ხოდაბუნისაკენ მივერეკები. ამ ადგილს სწრაფად ვხნავ გუთნით..." "...ხარებს უღელში დილით ადრე ვაბამ, ხოლო საღამო ხანს მკას ვათავებ" (არგონავტიკა, III,405-415).

საერთოდ, კოლხეთში და განსაკუთრებით მის დაბლობ ნაწილში წვიმების სიუხვე, თბილი ზამთარი და ხანგრძლივი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქნის სამეურნეო-ავრარული საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობის და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის, რაც კოლხეთს, ადრიდანვე, ძველი სამიწათმოქმედო ქვეყნების რიგში აყრნებდა.

სსენტეული სამიწათმოქმედო-სამეურნეო დარგების განვითარება მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელ კვების რაციონს აყალიბებდა. ასეთი რაციონის გასტროკალორიული პროდუქტები კი, თავის მხრივ, იწვევდნენ გარევეული ფიზიონომურ-ფიქური, კოლხეთისათვის დამახასიათებელი ადამიანის ტაიას განვითარება-ჩამოყალიბებას. ერთი მხრივ, ზემოთ სსენტეულ გარემოებას, და მეორე მხრივ, საწარმოო ძალთა განვითარებას და ჭარბი პროდუქციის წარმოებას კოლხეთში დემოგრაფიული ზრდა უნდა გამოეწვია.

კოლხეთის დაბლობი გარშემორტყმულია მთების ნაოჭა სისტემით. მის დაბალ ნაწილში გავრცელებულია ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები. მდინარეთა აუზებში გვხვდება ალუვიური მიწები. კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილში ძირითადად ალუვიურთან ერთად ნეშმოპალა-კარბონატული ნიადაგებია. ჰავა აქ გარდამავალია ნოტიოდან მშრალისაკენ და ზაფხული თბილი იცის. კოლხეთის დაბლობთან შედარებით წვიმები აქ ნაკლებია.

დასავლეთ კოლხეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ ძვ.წ. IVს-ის განთქმული ბერძენი მეცნიერი ჰიპოკრატე გადმოგვცემს: "ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი წვიმები იცის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, მათ ხისა და ლერწმის სახლები წყალზე აქვთ." "ფასისი მდინარეთა შორის ყველაზე დინჯა და მდორედ მოედინება"; "აქ ბევრი სამხრეთის ქარი ქრის, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა; ხოლო ეს ხანდახან ძლიერად უბერავს და ცხელია. ამ

ქარს ეწოდება ქენხრონის. ჩრდილოეთის ქარი აქამდე თითქმის ვერ აღწევს, ხოლო როცა უბერავს, ის სუსტია და წყნარი." "...ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით ძალიან განსხვავებული გარეგნობა აქვთ" (პიპრატე, ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ, §15).

კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებს ასევე ახასიათებს XVIII. იტალიელი მოგზაურ-მისიონერი არქენჯელო ლამბერტი: "კოლხეთს ადგილმდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლის ნაირი არსად არ მოიპოვება. მიზეზი ამისა ის არის, რომ დასავლეთით, შავი ზღვიდან ჰქონის ნამინი ჰაერი და აღმოსავლეთით კი აკრავს კავკასიონი, საიდანც მრავალი მდინარე ჩამოედინება. ამას ემატება ხშირი ტყები, რომლის გამოც ჰაერი ცუდად მოძრაობს. ზღვის ქარი ძალიან ხშირია და მას ხშირადვე მოსდევს წვიმა" (არქენჯელო ლამბერტი, 1938, გვ.19-20).

ჰავისა და ტყიანი საფარის შესახებ, კოლხეთში, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVIII. ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი ნაშრომში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა": "და არს ქვეყნა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვიათ არს ველი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ სახენელთაგან. არამედ ტყები ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი. ჰავითა კეთილ-მშენები. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაითგან მნიდად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამ. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განკყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვია ანუ მეტყუელი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მხარი და უმეტესიცა. თუალთა ქუეშე შუნერება ეგოდენ არა მზენარობს ტყის გამო, თვინიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულადა..." (გაზუშტი, 1973, გვ.743).

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ კოლხეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური, აქედან გამომდინარე საწარმოო-სამურნეო პირობები უკანს სწორი იცდასამი საუკუნის განმავლობაში დიდად არ შეცვლილა. საერთოდ, პოლოცებში კოლხეთის ბიოგეოგარემო, და უპირველესად კლიმატი, დღემდე არსებითად არ შეცვლილა (იხ. ჯანელიძე, 1991, გვ.68-69). ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ XIXსაუკუნიდან მოყოლებული, ტექნიკის განვითარებამ, ადამიანის გაცხოველებულმა სამურნეო საქმიანობამ,

ტყევების დიდი რაოდენობით გაჩეხვამ, ჭაობების ამოშრობამ და ა.შ., ბუნებრივია, კოლხეთის გეოკლიმატურ პირობებზე უარყოფითად იმოქმედა.

კოლხეთის ისტორიულ განვითარებაში ანგარიშგასწევია ბიოგეოგრაფის ზოგიერთი ფაქტორ-კომპონენტის უარყოფითი მხარე. კერძოდ, კოლხეთში აგროკლიმატური პირობები კარგია, მაგრამ დასამუშავებელი ფართობები ცოტაა, რაც მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარებისათვის არახელსაყრელი იქნებოდა და, შესაბამისად, დემოგრაფიულ სიტუაციაზეც იმოქმედებდა. დასვლეთ კოლხეთის ჭაობიანობა იწვევდა სხვადა-სხვა დაავადებას, რაც აგრეთვე უარყოფითად იმოქმედებდა მოსახლეობის გამრავლებაზე. კოლხეთის მთავრობანი და ჭაობიანი ლანდშაფტი სახმელეთო კომუნიკაციების გასამართვად მოუხერხებელი იყო, რაც გამოიწვევდა ვაჭრობის შეფერხბას. კოლხეთის სასარგებლო მაღისული საფუძვლად დაედო გადამუშავებელ სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას, მაგრამ ეს უკანასკნელიც, გარკვეული ტექნილოგიური მიზეზების გამო, ეტყობა სრულად არ იყო გამოყენებული. უარყოფითი როლი ითამაშა აგრეთვე ზღვის ტრანსგრესიამ, რამაც სანაპიროზე მდგარე სავაჭრო-სამეურნეო საქმიანობის სტაგნაცია გამოიწვია. კოლხეთის ზღვის სანაპიროზე ბუნებრივი ყურეები ცოტაა, რაც ნავთსაყუდლების მოწყობის სიმცირეს იწვევდა და აგრეთვე უარყოფითად ზემოქმედებდა ზღვაოსნობის ინტენსიურ განვითარებაზე.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მდ. რიონის, მდ. ჭოროხის და მდ. ენგურის აუზებში დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ერთგაროვანი კულტურული არეალი ყალიბდება, რომელიც კოლხური ბრინჯაოს კულტურადაა სახელდებული. ამ კულტურის მახასიათებელია ნის ძელური არქიტექტურა, ბრინჯაოს და კერამიკის თავისებური ფორმითა და გაფორმებით გამორჩეული ნაწარმი.

კოლხური ბრინჯაოს ნიმუშების მეტალოგრაფიულმა შესწავლამ ცხადყო – დარიშსანისა და კალის მინარევებიანი ბრინჯაოს ნივთების გავრცელება. აგრეთვე მათი სპეციალურ ქვის ან თიხის ყალიბში ჩამოსხმა, კვერვა-ჰედვა, შედეულება და ტვიფერვა. ამგვარი რთული ტექნილოგიური ცოდნის გამოყენებამ უზრუნველყო სხვადასხვაგვარი და მრავალრიცხოვანი ნივთების შექმნა. ესწია: ბრინჯაოს სამეურნეო იარაღი – თოხი, ცული, წალდი, სახნისის დაბოლოება

და სხვ. საომარი იარაღი – შუბი, ცული, ისრისპირი, სატევარი და სხვ. ტანისამოსის მოსართავები, სამკაულები და სხვ. ეს ნივთები მრავლადაა წარმოდგნილი ამ ეპოქის ნამოსახლარებზე, ლითონის და კერამიკის წარმოების ადგილებზე, სამაროვნებზე და სხვ. ბრინჯაოს წარმოების სრულყოფაში დადგებითი როლი შეასრული კოლხეთის ეკონომიკურ აღმავლობაში. მიწათმოქმედების განვითარებაზე მიგვანიშნებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდილი მარცვლეულის ადგილობრივი ჯიშები – ხორბლის, ფეტვის, ქერის ნაშთები. აგრეთვე ნამოვნია ჭურძნის წიაწები. ეს კველაფერი ინახებოდა ნამოსახლარებზე აღმოჩნდილ დერგბში, ქოთნებში, ჯამებში. აქვე დადასტურებულია ქვის ხელსაფქვავები, ნამგლისპირები, პურის გამოსაცხობი კეცები და ბრტყელი ქვები. მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს ნამოსახლარებზე აღმოჩნდილი შსხვილუება რქოსანი საქონლის, ცხვრის, თხის და ღორის მრავალრიცხოვანი ძვლები.

არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის დასწყისისათვის დასავლეთ საქართველო საკმაოდ კარგად იყო განსახლებული. საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის ათვისებული იყო კოლხეთის დაბლობი და მთისწინა ბორცვ-გორაკები. აქ სადღეისოთ, ჯერჯერობით, 200-მდე ნამოსახლარია ცნობილი. სამოსახლო ბორცვების განსაკუთრებული სიმრავლე რიონ-ენგურის ორმდინარეთში შეინიშნება. აქ სამოსახლოები ძირითადად ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზეა განლაგებული. სამოსახლოს ამგვარი სახის გავრცელება კოლხეთის დაბლობის ჭაობიანმა და ჭარბტენიანმა გარემომ განაპირობა. ბორცვების არქეოლოგიური გათხრების შედეგად დასტურდება ხელოვნურად მოზვინურ გორაკზე აგებული ხის ძელებიანი ე.წ. ჯარგვალური ტიპის ნაგებობები, რომლებიც შემოზღუდული იყო ძელებითვე ნაშენი დამცავი კედლებით. ნამოსახლარების გარშემო გათხრილი იყო სადრენაჟე და თავდაცვითი არხები. სამოსახლო ბორცვები უმეტესად ჯგუფურად არის განლაგებული. ამ ჯგუფებში გამოირჩევა უფრო დიდი ზომის სამოსახლო ბორცვები, რომლებიც უფრო ფართე ორმაგი თხრილებითაა გამაგრებული. აშგარაა, რომ ეს სამოსახლო გამაგრებული ბორცვი სხვებზეა გაბატონებული და მათ იქვემდებარებს. მთავარი ბორცვების დამეტრი 80მ-დან – 200მ-მდე მერყეობს; ხოლო დაქვემდებარებული მცირე ბორცვების

დიამეტრი დახლოებით 30მ-დან – 80მ-დეა; სიმაღლე – 3მ-დან – 7მ-დეა. ეს სამოსახლოები შესაძლოა ნათესაურ კაშტირზე დამყარებული სასოფლო თემების საცხოვრისები იყო.

ბენებრივია, რომ ასეთი სიღიღის ხელოვნური მიწაზონულების შექმნა, ასეთი სადრენაჟე, თავდაცვითი და საკომუნიკაციო არხების გაჭრა შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. აგრეთვე ბუნებრივია, რომ ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ცოდნა-გამოცდილების მქონე გამორჩეული პიროვნებები. სწორედ ეს ლიდერები ანხორციელებდნენ ამ ბორცვზე განლაგებული გამაგრებული სასოფლო დასახლებების დაცვას.

ამრიგად, თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალის ხმევით გადაწყვეტის პირობებში ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსლიდაცია, რაც შემდეგ ერთგვაროვანი კულტურის გავრცელებაში აისახებოდა. სამუშაოების მასშტაბების და თავდაცვითი მშადყოფნის ზრდასთან ერთად იზრდება ლიდერების როლი საზოგადოებაში. ამავდროულად ჩნდება ერთიანი წინამდლოლი, რომელსაც დაარჩენი ლიდერები ემორჩილებან. ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც წინა-სახლმწიფოებრივიდან სახლმწიფოზე გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს, პროტოსახლმწიფოებრივ საზოგადოებრივ წყობას ეძახიან.

ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა და ძვ.წ. VIII საუკუნიდან ბრინჯაოს უფრო მტკიცე ლითონით, რკინით, ჩანაცვლების დაწყებამ ძვ.წ. VI–IV სს-ში ხელი შეუწყო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სამეფოს წარმოქმნას, რომელიც ბერძნულ წერილობით წყაროებში “ოქრომრავალი კოლხეთის” სახლითაა ცნობილი.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI–IV სს.-ში კოლხეთის ძლიერი სამეფო განვითარდა. კოლხეთი იმდენად დაწინაურებული ქვეყნა იყო, რომ ბერძნულ სამყაროში მასზე “ოქროს საწმისის” მითი შეიქმნა. დიდი ბერძენი ისტორიკოსი პეროლტე ძვ.წ. VII ს-ის კავკასია-ახლო აღმოსავლეთის ისტორიის წერისას კოლხეთს, ირანის და მიდიის ძლიერი და დიდი სახლმწიფოების თანაბრად მოიხსენიებს. კოლხეთის სამეფოს კეთილდღეობის ეპოქა თვალისათვალივაა ასახული როგორც წერილობით წყაროებში, აგრეთვე

მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან არქეოლოგიურ მონაცემებში. მოცემული ეპოქის კოლხეთის სამეფოს გული მდინარე ფასისის ანუ რიონის შუა წელზე იყო განლაგებული. ძველი ბერძენი ავტორები მის მთავარ ქალაქს ქუთაის უწინდებინენ, რომელიც დღვევანდელი ქუთაისის სანახებში იგულისხმება.

კოლხეთში მრავალდარგოვანი ხელოსნური წარმოება იყო განვითარებული. აქ ლითონის დასამუშავებელი, კერამიკის გასაკეთებელი, ხის და ტყავის დასამუშავებელი, სხვადასხვაგვარი სამკაულების დასაზაღვებელი და სხვ. სახელოსნოები არსებობდა. კოლხეთის სამეფოს ეკონომიკური წინსვლის საყრდენს რკინის კარგად განვითარებული წარმოება წარმოადგენდა, რომელიც მიწათმოქმედება-სამუშარენო საქმიანობას მრავალრიცხოვანი საწარმოო იარაღით ამარაგებდა. ამის უდავო მოწმობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული რკინის სახნისები, თოხები, ცულები და სხვ. მიწათმოქმედების მაღალი დონის მაჩვენებელია სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულის აღმოჩენაც. მბრუნავ სამეთურეო ჩარჩხეა დაზადებული მრავალფეროვანი კოლხური ჭურჭელი, რომელიც სამეფოს მოელ ტერიტორიაზე ფორმების და გაფორმების მიხედვით გარკვეულად სტანდარტულ-ერთსახოვანია. კოლხეთის სამეფოში ძირითად საამშენებლო მასალად ხე და თიხა გამოიყენებოდა, რაც გენეტურად უკავშირდება წინამორბედი ეპოქის სამოსახლოებს. ბვწ. VI-IVს.-ში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იყრებოდა თავისებური მონეტები, რომელთაც მეცნიერები კოლხური თეთრის სახელით მოიხსენიებენ.

არქეოლოგიური გათხრებით კოლხეთის სამეფოს უაღრესად თავისთავადი მხატვრული კულტურა წარმოჩნდა. მის ერთ-ერთ ბრწყინვალე დარღს ოქრომჭედლობა წარმოადგინა. მაგ.: ვანში და საირხეში მიკვლეულა კოლხური ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები დიადგები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები, რომლებიც შემკულია ცხოველთა მოხდენილი გამოსახულებებით. ეს ნივთები ფრიად ორიგინალურია და შხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი. ოქრომჭედლობა კოლხეთის სწორედ ის სახეა, რომლითაც სახელგანთქმული იყო მთელ იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში. კოლხი ხელოსნები რთული ტექნიკური ხერხებით – ჭედვით, ტვიფრვით, რჩილვით, ფილიგრანით, ცვარათი – მაღალმხატვრულ ოქრომჭედლურ ნიმუშებს ქმნიდნენ.

ძველი ბერძნი აკტორები წერდნენ კოლხეთის მდინარეების ქვიშიდან ცხვრის ტყავით ოქროს მოპოვების შესახებ. საყურადღებოა, რომ სვანეთში და რაჭაში ოქროს მოპოვების ეს ტრადიცია დღესაც არსებოს. ეტყობა ამიტომაცაა, რომ ბერძნები კოლხეთს “ოქრომრავალს” უწოდებდნენ და თხზავდნენ ლეგენდებს “ოქროს საწმისის” შესახებ.

ძველი კოლხეთის ბიოგეოგარემოს, წერილობითი და არქეოლოგიური მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ბიოგეოგარემომ წამყვანი როლი ითამაშა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. კოლხეთი მთებითა და ზღვით კარგად შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი იყო, რაც გეოპოლიტიკურად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოექერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, პიდრორესურსების სიმრავლე, მაღნეული, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე არის დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური, ინტელექტუალურ- ტექნიკური, საგაჭრო-კომუნიკაციური, გეოპოლიტიკურ- სტრატეგიული, სულიერ-კულტურული განვითარების მაღალი დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე, ჩამოყალიბდა ფრიად თავისებური ისტორიული, ლოკალური არე და ბვ.წ. I ათასწლეულში აქ განვითარდა სახელმწიფოებრიობა. ამ არეალში დროთა განმავლობაში ადამიანის და ბიოგეოგარემოს ურთიერთზემოქმედების შედეგად მიმდინარეობდა ეკოლუციური პროცესი. აქ ისტორიული განვითარების დონე, ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანარი იყო. ანტიკური ზანის კოლხეთს გეოპოლიტიკურად საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა. ასეთი იყო ძველი კოლხეთის ისტორიული ეკოლუციის პროცესში ბიოგეოგარემოს როლი. ისტორიული განვითარების განსილვისას ჩვენ იერარქიულად პირველ ადგილზე ბიოგეოგარემოს ვაყენებთ. მხოლოდ ამ გარემოსთან ურთიერთზემოქმედებაში ადამიანი ქმნის სოციოგარემოს, რაზედაც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წინვლის შემდგომი ბედი. ძველი კოლხეთის საერთო მიმოხილვიდან გამოჩნდა, რომ ბიოგეოგარემომ ძირითადი როლი შეასრულა

მისი ისტორიული განვითარების პროცესში და ანტიკურ ხანაში მაღალგანვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნისათვის, როგორიც კოლხეთი იყო, საგარეო ფაქტორს ბიოგეოგარემოსთან ერთად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამის გათვალისწინება აუცილებელია კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების ასახველად.

საგარეო ფაქტორი ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უკითხურ გავლენას ახდენენ. საგარეო ფაქტორი ქვეყნის ისტორიაში სან კონსტრუქციულ, ხან კი დესტრუქციულ როლს თამაშობს. კონსტრუქციულია, მაგ., საგარეო-სავაჭრო, სამეურნეო, კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია – საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სოფლების და ქალაქების დანგრევა, მატერიალურ ფასურობათა ძარცვა-განადგურება, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლის მოშლა და ა.შ. აზისა და ეკონომის საზღვარზე მდებარე კოლხეთი ორი დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის, ერთი მხრივ, ირანული და, მეორე მხრივ, ანტიკური ორიენტაციის ქვეყნების საომარი მოქმედებების ასპარეზი იყო. ასეთ გარემოცვაში მყოფი კოლხეთი ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში პროტოსახელმწიფოს ჩასახვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ომისათვის მზადებას (თავდაცვას ან თავდასხმას) მიიჩნევენ. ომისათვის მზადება, საომარ მდგომარეობაში ყოფნა, გამორჩეულ წინამდლოლ-პიროვნებათა აღზევებას, საზოგადოების შეკვრა-მობილიზებას და მეტ ორგანიზებულობას იწვევდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში გამოიხატებოდა (იხ. Claessen, Skalnik, 1978, გვ.619-636). ჩამოყალიბებული სახელმწიფოს განვითარებაშიც "საომარ ფაქტორს," საგარეო და გეოპოლიტიკური ფაქტორის შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჩამოყალიბებულ, განვითარებულ სახელმწიფოში ეს ფაქტორი დადგით (ქვეყნის კონსოლიდაცია-დარაზმულობა, საზოგადოებრივი

წესრიგის ამაღლება, საფორტიფიკაციო-კომუნიკაციური მშენებლობა და სხვ.) ან უარყოფით (სახელმწიფო უფლებრიობის დაკარგვა, ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლა, ეკონომიკური ზარალი და სხვ.) შედეგს იწვევდა.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტულების და ე.წ. სკვითების (ნომადური) აგრესიულმა მეზობლობამ კოლხეთის გოგრაფიულად კარგად შემოსაზღვრულ რეგიონში მომხდეურობა დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია. მოცემულ საგარეო ფაქტორს შემდგომში, ძვ.წ. V საუკუნისათვეს, კოლხეთის სამეფოს განვითარების პროცესში საგრძნობი როლი უნდა შეესრულებინა. კოლხეთის სამეფოს განმტკიცებაში გამორჩეული, კონსტრუქციული ადგილი ეჭირა კულტურულ ინოვაციებს.

საგარეო ფაქტორად უნდა ჩათვალის ე.წ. "ბერძნული კოლონიზაციას" მიმდინარეობა კოლხეთის ზღვისპირეთში, კერძოდ, საინტერესოა ის, თუ რა გავლენა მოახდინა მან კოლხური საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, საბერძნეთიდან გასული მოსახლეობის ახალშენებს შორის გაიმიჯვნა სავაჭრო და აგრარული კოლონია-აპოიკები. ამ ორ ფორმას აქვს თავისი მოქმედება-გავრცელების მექანიზმი: პირველს – კომერციული, მეორეს – ტერიტორიული (Vallet, 1973, გვ.53-72). პირველი, კონსტრუქციული საგარეო ფაქტორი უნდა ყოფილიყო. ასეთი კოლონიები დაარსებულია, როგორც ეპპორიონები. მეორე – დესტრუქციული საგარეო ფაქტორია ადგილობრივი მოსახლეობისათვეს, რადგან მას თან ახლავს ისეთი მოვლენები, როგორიცაა ტერიტორიის დაკარგვა და ადგილობრივი მოსახლეობის განდევნა. ასეთი კოლონიები თავიდანვე დაარსებულია, როგორც პოლისები სასოფლო-სამეურნეო შემოგარენით (ხორით).

ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროების ბერძნული კოლონიების მეცნიერულმა შესწავლამ ცხადი გახადა, რომ ახალშენები არსდებოდა, ვითარდებოდა და სხვადასხვა ქრონილოგიურ ეტაპზე ტრანსფორმაციას განიცდიდა. მეტროპოლიიდან შორს დაარსებული ახალშენები დროთა განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების შედეგად სიბმიოზს და ცვალებადობას განიცდიდნენ. ეს ცვლილებები დიდად იყო დამოკიდებული

ადგილობრივ ბიოგეოგარემოზე და სოციოგარემოზე. პირველ რიგში სწორედ მათზეა დამოკიდებული დროთა განმავლობაში კოლონიებში მეტროპოლისაგან განსხვავებული საზოგადოებრივი და ეკონომიკური წყობის განვითარება. ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა პქონდა იმას, თუ რომელ გეოგრაფიულ რეგიონში არსდებოდა ესა თუ ის ახალშენი.

წერილობით წყაროებში მოხსენიებული კოლხეთის სანაპიროზე მდებარე ქალაქები ფასისი, გინოსი, დიოსკურია ბერძნების მიერ დაარსდნენ, როგორც ემპორიონები. მათი დაარსების ძირითადი მიზანი იყო, პირველ რიგში, ადგილობრივი ნედლეულის გატანა და სანაცვლოდ კოლხეთში სხვადასხვა ფუფუნების საგნების (კერამიკის, სამკაულების, ლითონის ჭურჭლის, ნელსაცხებლების და ა.შ.) შემოტანა, რაც წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებით დასტურდება. ადგილობრივ სამოსახლოებთან დაარსებული ამ ემპორიონების საშუალებით ხორციელდებოდა ძირითადად კოლხეთის ჩაბმა უცხოეთის მოწინავე ქვეყნების ურთიერთობების ორბიტაში. ამდენად, ზღვის სანაპიროზე ემპორიონების წარმოქმნა თვით კოლხების ინტერესებში შედიოდა. ასეთი მდგომარეობა, ჩვენი აზრით, გაგრძელდა ძვ.წ. IV-ს-ის ბოლომდე. კოლხეთის სამეფოს დაშლის მერე კი სანაპიროზე მდებარე ემპორიონები თანადათნ ანტიკურ ქვეყნებსა და შიდა კოლხეთს შორის ბუფერული, შერეული, პოლისური ტიპის ქალაქებად ტრანსფორმირდა.

ამრიგად, ბერძნულ "კოლონიზაციას," როგორც საგარეო ფაქტორს, კოლხეთისათვის უნდა მოჰყოლოდა ძირითადად კონსტრუქციული, დადებითი ძვრები, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმა; ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო იმ ზანად მოწინავე ბერძნულ სამეურნეო, საზოგადოებრივ და კულტურულ მიღწევებს, რამაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა კოლხურ საზოგადოებაში საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას.

კოლხეთმა, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ეგრისმა, რომელი ისტორიული გზა განვლო. მისი ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში წამყვანი როლი შეასრულა ბიოგეოგარემობი. უმეტესად ამაზე იყო დამოკიდებული მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სულიერ-კულტურული მდგომარეობა. ეგრისის სახელით

ქართულ წერილობით წყაროებში ზოგჯერ მთელი დასავლეთ საქართველო აღინიშნება - "ხოლო ეგრისს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღვა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასიის" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.5). მაშასადამე, "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ეგრისს გარევეულ პერიოდში აღმოსავლეთით საზღვრავს სურამის ანუ ლიხის ქედი; დასვლეთით - ზღვა, ჩრდილოეთით - კავკასიონის მთები; ხოლო სამხრეთით აჭარა-ლაზეთის მთანენტი.

ეგრისი ქართულ წერილობით წყაროებში იხსენიება, როგორც საერისავო "და მერვე, ქუჯი, იყო ერთსათავი ეგრისისა" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.24). გარევეული დროიდან ტოპონიმი ეგრისი დასავლეთ საქართველოს კრებითი სახელია (ისეთივე, როგორც ბერძნულ-ლათინური წყაროების "კოლხიდა"). ის ხან დიდი ტერიტორიის მომცველია (მთელი დასავლეთ საქართველო), ხან კი მცირე რეგიონულ სახელად გავლინება; მაგ., ფ. ბუზანდის (1953, გვ.15) ეგრ-სვანები, ან "ქართლის ცხოვრების" "შიდა ეგრის" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.185), ანდა კიდევ, კლავდიოს პტოლემაიონის - ეკრეტიკა (ლომოური, 1955, გვ.45), რომელსაც ეგერ-ეგრისის დამაზინჯებულ ფორმად მიიჩნევენ (ჯავახიშვილი, 1960, გვ.404; ჯანაშვა, 1959, გვ.6). "სომხურ გეოგრაფიაში," რომელიც ადრინდელი ბერძნული გეოგრაფიების გავლენითაა დაწერილი, ეგრისის ტერიტორიაზე აღინიშნება ოთხი მხარე - "კოლხიდა, რომელიც არის ეგერი, მდებარეობს პონტოს ზღვს აღმოსავლეთით, სარმატის ახლოს და საზღვრავს იბერიას და დიდ არმენიას. ეგერი იყოფა ოთხ მხარედ: მანრილი, ეგრისი-ეგრეკია, ლაზეთი, ჭინივი რომელიც არის ქალდეა. აქ არის ბევრი მთა, მდინარე, ქალაქი, ციხე, სოფლები და საგაჭრო ადგილები" (სომხურ გეოგრაფიაში, 1877, გვ.38-39).

ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, რომლის მიხედვითაც აზოს და შემდგომში ფარნაგაზის დრის (ძვ.წ. IVს. ბოლო - IIIს. დასწყისი) კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული, სანდოდ გამოიყერება. ამ დროისათვის კოლხეთის სამეფო დასუსტებულია და ვეღარ უძლებს ნომადური ტომების შემოსევებს. ის თანდათან სუსტდება და კარგავს ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც

ვრცელდება იბერიის გავლენა. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს ტერიტორია იწოდებოდა მაშინ ძველი ქართული წერილობითი წყაროების ეკრისად. დროთა განმავლობაში სახელი ეგრისი დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილზეც გავრცელდა (მელიქიშვილი, 1965, გვ.90). ზემოხსენებულს მხარს უბაძს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები. ძვ.წ. IVს-ის ბოლოს კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, რომელიც ადრე ერთგვაროვანი იყო, შეინიშნება ცვლილებები. ძვ.წ. IIIს-ში ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდა. შემდგომ, მკეთრი განსხვავება შეიმჩნევა შიდა და ზღვისპირა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში (იხ. ლორთქიფანიძე, 1972, გვ.40). პირველად ეს აისახა დაკრძალვის ახალი წესის გაჩენაში (ქვევრსამარხები). ამგვარი სამარხები ძირითადად შიდა კოლხეთშია აღმოჩენილი, ხოლო ზღვისპირეთში ისინი არ გვხვდება – ნიგორზღვა, დაფნარი, დაბლაგომი, მთისძირი, ფარცხანაყანევი, ქუთაისი, წყალტუბო, მაღლაკი, ბანოჯა, ქვიტირი, გოდოგანი, ოდილაური, აჯამეთი, ჩხარი, ბანძა, ძევრი, ციხესულორი, დიდგანი, ბზგანი, მუხიანი, ჭოგნარი, მესხეთი, უკანუთი, ბუგისციხე, ზენობანი, კოგორეთი, ზემოფარცხმა, თეკლათი, ისულა, ზანათი, ნოქალაქევი, ბატნაოხურო, ლანჩხუთი, ძირულა, საჯავახო, ბორი და სხვ. (იხ. თოლორდავა, 1980, ტაბ.1).

შიდა კოლხეთის ქვევრსამარხებში დაკრძალვის რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული: პირველი – ქვევრი ვერტიკალურადა, მიწაში თავდაყირა ჩადგმული. მეორე – ქვევრი აგრეთვე ვერტიკალურადა, მხოლოდ ძირით ქვევით. მესამე – ქვევრი პირიზონტალურადაა ჩადგმული. სამარხებად გამოყენებულია ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულების ქვევრები (რუხად გამომწვარი, მოშავო ზედაპირიანი; ქვევრის პირი საკმაოდ ფართო და პროფილირებულია; მუცელი თითქმის სუერულია; ქვევრები ხშირად ორნამენტირებულია რელიეფური სარტყლებით და ვერტიკალური ქედებით). ქვევრის პირის გვირგვინი შედარებით სადაა. მასზე არ შეიმჩნევა წინა ეპოქის კოლხური ქვევრის პირებისათვის დამახასიათებელი ორნამენტი.

ქვევრსამარხები აღმოჩენილია კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში. არქეოლოგიური მასალების მიხედვით ქვევრსამარხების გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. Iათასწლეულის მეორე ნახევარში ვარაუდობენ. კოლხეთში ქვევრში დაკრძალვის წესის გაჩენა, უახლესი

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დაახლოებით ძვ.წ.IVს. მიწურულიდან არის სავარაულო. ქვევრსამარხების რაოდენობის მიხედვით მდ. რიონის შუაწელი ძირითადი რეგიონია კოლხეთში. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება მის წინა პერიოდში არქებულისაგან და მიგვითითებს ცვლილებებზე შიდა კოლხეთის ტერიტორიაზე (იხ. ლორთქიფანიძე, 1972, გვ.40).

სამარხებიდან მომდინარე მასალა ძირითადად კერამიკას და სამკაულებს (მძივები, ლითონის სამჯურები, საკისრე და საყურე რგოლები) შეიცავს. ქვევრსამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელი სხვადასხვანირია. მათში შეიმჩნევა ადგილობრივი და შემოტანილი ფორმა-გაფორმების შერწყმა. აქ არის ადგილობრივთან დაკავშირებული ჭურჭელი და ეწ. მსხლისებური მოყვანილობის წითლად მოხატული დოქები, რომლებიც კოლხეთის ზღვისპირა ზოლში არაა მიკვლეული. ქვევრსამარხებში ნაპოვნი ნივთები უმეტეს შემთხვევაში ცოტაა და ღარიბული. საბრძოლო იარაღი მათში არ გვხვდება. უარაღო ქვევრსამარხებთან დაკავშირებით საყურადღებოა "ქართლის ცხოვრების" ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც აზოს ბრძანებით უნდა დასჯილოყო ყველა, ვისაც იარაღი ჰქონდა: "აზო იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დაწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: ყოველმნ ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი. და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცავინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქნულ-ეტილა და ასაკოვანი, მოკლიან იგი"(ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.20).

შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ცვლილება პირველად საირხის ლომინაურში (იხ. ნადირაძე, 1975, გვ.99), ითხვისში და ვანში (იხ. ლორთქიფანიძე, 1977, გვ.20) წითლად მოხატული იბერიული კერამიკის გაჩენით აღინიშნა. განსაკუთრებით საყურადღებოა ბრტყელმირა, პირგადაშლილი და წითელი საღებავით გაფორმებული დოქების აღმოჩენა. წითლად მოხატული ამგვარი ჭურჭელი უცხოა ძვ.წ. III ს-ძეე კოლხეთისათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ისინი ბევრია დადასტურებული — ციხიაგორას "დაჭრილების" სამაროვანი (ნაკაძე, 1980, გვ.28-41), ოეთრიწყარო (ბოხოჩაძე, 1963, გვ.27), თბილისი (ქორიძე, 1958, გვ.47). მაგ.: მოყვითალოდ ანგობირებული და

წითლად მოხატული ჰურჭელი ინახება ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც სოფ. ტკოციდან არის მოტანილი, ინვ. №036, და ა.შ.

ცელილება შემჩნევა კოლხური ხელოსნობის ისეთ მკვეთრად გამოხატულ დარგში, როგორიც ოქროს და ვერცხლის მხატვრული დამუშავებაა. ძვ.წ. VI-IVს. თქროს და ვერცხლის ნივთების დამზადებაში შემჩნევა გეომეტრიული ფორმების (სამკუთხედი, რიმბი, წრე) და გაფორმების ტექნიკის (ცვარა, დაკეჭვა, გრეხვა) მდგრადობა. გავრცელებულია რომბიანი დიადემები, ე.წ. სხივანა საყურები, ჰერიულბურთულებაინი საყურები, ყლისაბამები, სასაფეთქლები – ვანი, იოხვისი, მთისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ბრილი, საირჩე, სოხუმი და ა.შ. (იხ. ლორთქიფანიძე, 1971, გვ.51-63; ჭყონია, 1981, გვ.6-53). კოლხური ოქრომჭედლობა ძვ.წ. IVს. მეორე ნახევრიდან გარკვეულ სტაგნაციას განიცდის. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს სამხედრო მოქმედების შედეგად ქვეწის ეკონომიკის დაცემით. ძვ.წ. IIIსაუკუნიდან იცვლება ფორმები და გაფორმების ხერხები, შემოდის პოლიქრომიულობა, სჭარბობს უცხოური საიუველირო ნაწარმი.

დასავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ, შიდა კოლხეთის არქიტექტურულ მასალაზე, იძერის გავლენა აისახა, მაგალითად – საირჩეში (ნადირაძე, 1975), საზნოში (ჯაფარიძე, 1984, გვ.8), მთისძირში (გმირელიძე, 1982). მსგავსება შემჩნევა იძერის – არმაზციხე, წიწამური, ლართის კარი, ციხიაგორა, სამადლო (გაგოშიძე, 1979, გვ.62), უფლისციხე (ხახუტაიშვილი, 1970, გვ.22) და კოლხეთის: ვანი, საირჩე, სამშნებლო წესებში (აღმზის აგურის და ქვათლილების გამოყენება; ქვათლილების მშრალი წყობა და ერთმანეთთან დაგაცშირების წესი). ფორმის მხრივ გარკვეული სიახლოვე აღნიშნება სამადლოს და ვანის კრამიტს შორის; ვანის, მთისძირის, ციხიაგორას, სამადლოს და მცხეთის კრამიტების ნიშნებშიც მსგავსება აღინიშნება. საინტერესო ფაქტია, მსგავსება სამადლოს, სარკინეს და ვანის ნაქალაქარების ტერასული პრინციპით დაგეგმარებაში. სამადლოს ზოგიერთი სამშენებლო ქვის პეტროგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ასეთი ჯიშის ქვა (ეკლარის კირქვა) მოიპოვება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ქ. ქუთაისის მახლობლად. აქ ეხლაც ამუშავებენ ეკლარის ქვის საბადოებს. ამ კარიერზე უფრო ახლო სამადლოსთან ამგვარი ჯიშის ქვა არ მოიპოვება.

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გარდატეხის მიმანიშნებელია ისიც, რომ ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოდან აღარ იჭრება კოლხური თეთრი, რომელიც აქამდე, თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში, მთავარ მონეტად ჩანს კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში. იბერიასა და შიდა კოლხეთში ძვ.წ. III საუკუნიდან მირითადად შემოდის ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სახელზე მოჭრილი მონეტები. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი 381 მონეტიდან მხოლოდ სამიოდეა მიკვლეული ზღვის სანაპიროზე (ფიჭვნარი და გულრიფეშის რ-ნი) (დუნდუა, 1982, გვ.15). შემდგომში ალექსანდრეს და ლისიმაქეს სტატერებს მინაბაძები საგმაო რაოდენობით გვხვდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში.

შიდა კოლხეთში არამეულის ერთ-ერთი სახეობის, მცხეთის ტერიტორიაზე დადასტურებული "არმაზული" (წერეთელი, 1943, გვ.2-87) დამწერლობის მსგავსი ნიმუშები აღმოჩენებით სოფ. ბორში (ხარაგაულის რ-ნი) ნაპოვნ ვერცხლის თევზზე და ვანის ნაქალაქარზე გათხრილ ძვ.წ. II-III-სის ნაგებობის ნანგრევებში, სადაც წარწერა ამოგაწრულია ოქროს ფირფიტაზე, ქალის რელიეფური გამოსახულების გარშემო (ჭყონია, 1981, გვ.84,125). არამეული ენის სპეციალისტი, აკად. კ. წერეთელი თავის ნაშრიოში "არამეული ენა საქართველოში" აღნიშნავს: "არამეული დამწერლობის ხმარებას ჩვენში კარგა ხნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ, მართალი უნდა იყოს გერმანელი მეცნიერი ელსნერი, რომელიც არმაზული დამწერლობის ჩამოყალიბებას ძვ.წ. II-III-ში ვარაუდობს. ამასთანავე, მისი თქმით, არამაზული დამწერლობა არამეულის ჩრდილო-მესოპოტამიური ტიპის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. თუ ეს ასეა, მაშინ არამეული ენის ხმარებას აღმოსავლეთ საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს და სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ ამ ისტორიის დასაწყისი აქემენიანთა ხანაში უნდა ვეძებოთ. სწორედ მაშინ უნდა დაწყებულიყო საქართველოში (აღმოსავლეთ საქართველოში, გვ.) არამეული ენის ხმარება როგორც ადმინისტრაციის ენისა" (წერეთელი, 1976, გვ.151; წერეთელი, 1982, გვ.19). შესაძლებელია, რომ არამეული დამწერლობა კოლხეთში აღმოსავლეთ საქართველოდნ გავრცელებულიყო.

ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულის საიმარი მოქმედებების შედეგადა ეტყობა დანგრეული, მაგალითად, ვარციხის "გიორგობიანების გორის," ვანისა და

მთისძირის "ადეიშვილების გორის" ნაგებობები. სამწუხაროდ, შიდა კოლხეთში ამ პერიოდის სხვა ნაგებობები ჯერჯერობით ცოტაა მიკვლეული და გათხრილი. ვფიქრობი, რომ შეუსწავლელ ნამოსახლარებზეც იგივე სიტუაცია აღინიშნება. სოფ. ვარციხის "გიორგობიანების გორაზე" აღმოჩენილი ნაგებობა დანგრეულ-გადამწვარია ძვ.წ. IVს-ის მიწურულს (ჯაფარიძე, 1977, გვ.43-50). ამავე პერიოდშია გადამწვარი ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ოეთრი ქვით ნაგები შენობა და ზედა ტერასაზე (ნაკვეთი 211 და 193) გათხრილი ძელურბათქაშიანი ნაგებობა. ძვ.წ. IVსაუკუნის მიწურულისათვისაა დანგრეული სოფ. მთისძირის "ადეიშვილების გორის" ძელურბათქაშიანი თავდაცითი ნაგებობა (შენობის დანგრევის დრო რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდითაა განსაზღვრული)(იხ. გამწყელიძე, 1982, გვ.56-63, 93).

კოლხეთის ძვ.წ. IVს-ის მიწურულის და ძვ.წ. IIIს-ის პირველი ნახევრის მატერიალურ კულტურაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება, ერთი მხრივ, აზოს (აზონ) და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისთვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგბით აიხსნას. როგორც ცნობილია, ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების რთული პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-IIIსაუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობს (მამულია, 1979, გვ.93-113). ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც პოლიტიკურად ქართლის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება. ახალი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ქართული საისტორიო გადმოცემა ("მოქცევა ქართლისაი" და "ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მმათა და ნათესავთა") ქართლის სამეფოს წარმოშობის და აზო-ფარნავაზის ურთიერთობის შესახებ ძირითადად სანდოა. არიან-ქართლიდან (მდინარე მტკვრის, ჭოროხის სათავეების და ვანის ტბის ახლომხლო ტერიტორია. პერიოდობები, III, 94) მოსულმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზევებულმა აზომ ჯერ ქართლის გეოგრაფიულ-სტრატეგიული (მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყარი) ცენტრი "მცხეთა" დამორჩილა, ხოლო შემდგომში ქართველური მოდგმის ხალხით დასახლებული სხვა მხარეებიც დაიქვემდებარა (მათ შორის ეგრისიც). "და მას მიუბომა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისაი" (ძვ. ქართული აგიოგრაფ..., 1963, გვ.81).

ზღვისპირეთში (მდ. რიონსა და ეგრისწყალს შუა მდებარე მონაკვეთის გარდა), აზო-ფარნავაზის ეპოქაში, კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ, საფიქრუბელია, ანტიკურ ქვეწებსა და იბერიას შორის ბუფერული პოლისური ტიპის ქალაქები წარმოიშვა. მათ გაჩენაში გარკვეული როლი ითამაშა კოლხურ დასახლებებთან "ბერძნული კოლონიზაციის" შედეგად წარმოქმნილმა ქმპორიონებმა, რომლებიც კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ტრანსფორმირდნენ პოლისური ტიპის დასახლებებად. ამის თაობაზე საინტერესო ქალაქ ფასისის შესახებ ჰერაკლიდეს ცნობა ფასისის პოლისური წყობილების (პოლიტის) შესახებ. ჰერაკლიდეზე მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ზოგი მას ძვ.წ. IVს., ხოლო ზოგი ძვ.წ. IIIს. ავტორად მიიჩნევს. სპეციალისტ წყაროთმცოდნებს მიაჩნიათ, რომ "პოლიტიების" დამუშავების თარიღი ძვ.წ. IVსაუკუნის შემდგომ პერიოდს უნდა ასახვდეს (დაწვრ. იხ. ფუხხიშვილი, 1969, გვ. 189-190): შესაბამისად იმ დროს, როცა კოლხეთის სამეფოს დაშლის მერე ზღვის სანაპიროზე ემპორიონები გარდაიქმნენ პოლისურისნაირ ქალაქებად. შესაძლოა, რომ სწორედ ამგვარი "ქალაქის" "ბასილევსი" იყო აკი. აკის სახელიანი მონეტა სულ ორია ჯერჯერობით ნაპოვნი; აქედან ერთი ქ. ტრაპიზონთან ზღვის სანაპიროზე (დღევანდელ თურქეთში), ხოლო მეორე სოფ. კინჩხაში (მარტვილის რ-ნი). მათი თარიღია ძვ.წ. IIIს.

ზღვიდან მთამდე და რიონიდან ეგრისწყლამდე ტერიტორია ეგრისის საერისთავოს ეკუთხნოდა. ფარნავაზ მეფის სიძემ, ეგრის-სვანეთის ერისთავმა აქ სტრატეგიულად მოხერხებული მდ. ტეხურის შუა წელზე ააგო ციხე-გოჯი (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24). წერილობითი და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ციხე-გოჯი დამაჯერებლადა გაიგივებული მდ. ტეხურის მარცხნა ნაპირზე მდებარე ნოქალაქევთან. სოფ. ნოქალაქევის ნაქალაქერთან მიკვლეულია ფარნავაზის დროინდელი კრამიტები, პირამიდისებური საწაფები, ადგილობრივი ამფირები და სხვ. (იხ. გრიგოლია, ფასაკაძე, 1973, გვ. 17-38). გალაგნის გადაღმა გათხრილია ამავე პერიოდის ქვევრსამარხები და ორმოსამარხები. ციხე-გოჯი, ერთი მხრივ, სამდინარო გზით უკავშირდებოდა მდ. რიონს (მირითად სატრანსპორტო მაგისტრალს), ხოლო მეორე მხრივ, ქედის იქით სვანეთსაც უკავშირდებოდა (მდ. ცხენისწყლის აყოლებით).

ციხე-გოჯის გარდა, დასავლეთ საქართველოში ლეონტი მროველს ნახსენები აქვს შორაპნის და დიმნის ციხეები: "ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლახი, ვიდრე ზღურ/ადმდე ეგრისისა, რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.24). შორაპანი თანამედროვე დაბაა შორაპნის ციხესთან, ხოლო დიმნი სოფ. ზედა დომის ნაციხართან არის გაიგივებული (ცქიტიშვილი, 1964, გვ.71-106; ჯაფარიძე, 1990; ბრაგვაძე, 1990, გვ.137-150).

ამრიგად, აზოუარნავაზის პერიოდის კოლხეთი, ზოგიერთი ზღვისპირა მონაკვეთის გარდა, ქართლის სამეფოში ეგრის-სვანეთის საერისთავოს სახით იყო გაერთიანებული (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ.86-97). როგორც ჩანს, კოლხეთში იმსანად იმძლავრა ცალკეული შხარუ-ერთუულების გათიშულობა-დაპირისპირებამ, ხოლო ქართლში, პირიქით, მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსოლიდაცია მოხდა და ძლიერი, ცენტრალიზებულ ზელისუფლებიანი სამეფო განვითარდა. ქართლის სამეფომ ჩამოყოლიბება-გამლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის ინკორპორაცია განახორციელა (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ.87-89). ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოებით ძვ.წ. II-III-ის მივნამდე, ვიდრე კოლხეთის გარკვეული ნაწილი მითრიდატე VI ევპატორის სამეფოს გავლენის ქვეშ არ მოექცა.

ანტიკურ ქვეწებსა და იბერიის სამეფოს შორის კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულიდან განვითარდა ბუფერული, პოლისური ტიასის ქალაქები — დიოსკურია, გიერნი, ფასისი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ხოლო შიდა კოლხეთი იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 1985, გვ.86-97). იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი შიდა კოლხეთის სტრაბონისეული სკეპტური იქნა (სტრაბონი, XI, II, 18) — "საირხე" (იხ. ნადირაძე, 1990), "ქუთაისი" (იხ. ლანჩავა, 1975; ჯიქა, 1977, გვ. 26-30), "ნოქალაქევი" (იხ. ზაქარაია, 1981; ლომოური, 1981, გვ.18-46), "ვანი" (არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. "ვანი," 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1982, 1983) და სხვები გარკვეული დამოუკიდებლივით სარგებლობდნენ. ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა, პირველ რიგში, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-

კომუნიკაციური მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დაწინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად.

კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების შესახებ ფრიად ცოტა საისტორიო წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემი მოგვეპოვება. ამ კუთხით საფურადღებოა კოლხეთის შესახებ სტრაბონის "გეოგრაფიაში" შემონახული ცნობა: "თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყნა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე და ამაზე ადრე კი ფრიქსეს ლაშქრობაზე. ამის შემდეგ მეტკვიდრე მეფეებმა სკაპტუზიებად დაპყვეს ქვეყნა და პქნდათ ზომიერი ძალაუფლება" (სტრაბონი, XI, II,18). როგორც სტრაბონის "გეოგრაფიას" ამ ნაწყვეტიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ამას მოწმობენ, დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნისათვის კოლხეთში უკვე გაფირმებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველზე წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა სათავეში ადგილობრივი დაწინაურებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ. ამ ტერიტორიებიდან ზოგიერთი უფრო დაწინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად თავისი მიმდებარე ტერიტორიით. ასეთებია, მაგალითად, კანი, ქუთაისი, საირჩე და სხვ. შემდგომ სწორედ ეს ტერიტორიები დაედო საფუძვლად საერისთაოებად დაყოფას. სტრაბონის "გეოგრაფიას" ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, რომ კოლხეთი სკაპტუზიებად დაანაწილეს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს ქვეყნის დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-სამშაროველო ერთეულებად. ეს დაანაწილება, ალბათ, ხელისუფლებამ ჩაატარა, რათა, ერთი მხრივ, გაადვილდებოდა ადმინისტრაციულად ქვეყნის მართვა, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ მეტი პოლიტიკური ცენტრალიზაციისათვის მიეღწია (იხ. ინაძე, 1961, გვ.783-790; ლორთქიფანიძე, 1977, გვ.15).

საფიქრებელია, რომ მათი წარმოქმნის პირველ ეტაპზე ისინი უფრო ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულებია, ხოლო თანდათან ერთ-ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი წინაურდება და ახერხებს დანარჩენების დაქვემდებარებას. სწორედ ეს არისტოკრატიული გვარი შემდეგ სამეფოს უკეთ სამართავად და ხელისუფლების განსამტკიცებლად ადმინისტრაციულ რეფორმებს ატარებს. აქ, ალბათ, ისეთივე რეფორმები ტარდება, როგორიც

ქართლში გაატარა მეფე ფარნავაზმა (იხ. ქართ. ცხოვრება, 1955, გვ.24). დღოთა განმავლობაში კოლხეთში საგამგებლო ერთეულებს შორის მოხდა გარევეული დიფერენციაცია, რადგან აქური რეგიონული ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური პირობები არათანაბარია (მაგ., რიონის დაბლობის სკეპტურიები უფრო მდიდარი და შეძლებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთიანი გურიის). ამა შემდგომში, დაახლოებით ძვ.წ. IVსაუკუნის მეორე ნახევარში, საგამგებლოებს შორის ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში კოლხეთის სამეფოს დასუსტებით და იბერიასთან მისი ინკორპორაციით დასრულდა.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იბერიის მეფე ფარნავაზმა ეგრისის საერისთავო დაუმტკიცა ქუჯის, რომელიც ჩანს, ადრეც ფლობდა კოლხეთის ნაწილს. ახლა ფარნავაზმა მას ტერიტორიები გაუფართოვა, სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული უფლებებიც უბოძა (და გააყოლა ცოლად) და ამით სამეფო დიდმონხელედ აქცია. საყურადღებოა, რომ რვა ერისთავიდან საისტორიო წყაროში მხოლოდ ქუჯია მოხსენებული (ქართ.ცხოვრება, 1955, გვ.24). ქუჯი წარმომავლობით ძველი არისტოკრატიული გვარიდან იყო და ქართლის მეფის კოლხეთში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში წვლილი მოუძღოდა.

საფირებელია, რომ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ძვ.წ. Vს. კოლხეთში, სადაც რეგიონების სათავეში მეფის ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი წარჩინებული გვარის წარმომადგენლები იყნენ, რომელთაც მეფემ სახელმწიფო მოხელის უუჩქციაც მიანიჭა. ამდაგვარი უნდა ყოფილიყო კოლხეთში ის იერარქიული კიბე, რომლის თაგშიც ძლიერი გამაერთიანებელი ხელისუფალი – მეფე იდგა, ხოლო მას დაწინაურებული არისტოკრატები მოსდევდნენ. ეს, ეტყობა, მაშინ ხდება, როდესაც არისტოკრატია არცთუ ისე ძლიერია და მათი სოციალური სტატუსიც ჯერჯერობით მკვეთრად არ არის გამოხატული. სტრაბონის თქმით ქვეყანაში მათ "ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება" (სტრაბონი, XI, II, 18). შემდგომში, როცა ისინი მომძლავრდნენ, ცალკეული სკეპტურიების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა დაიწყო, რაც ძვ.წ. IVსაუკუნის ბოლოს კოლხეთის სამეფოს დასუსტება-დაშლით დამთავრდა და ისინი ცენტრალურ ხელისუფლებაზე

ფორმალურად დამოკიდებულ ერთეულებად გარდაიქმნენ. ეტყობა, სწორედ ამის მერე კოლხეთში ჯერ აზომ, ხოლო შემდეგ ქუჯის (ადგილობრივი ერთ-ერთი სკეპტურის არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლის) საშუალებით ქართლის მეფე ფარნაგაზმა იმძლავრა.

ძვ.წ. II-III-ს. მიჯნიდან კოლხეთის პოლიტიკურ პორიზონტზე პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა. მითრიდატეს დროის პონტო-კოლხეთის ურთიერთობის საკითხებს მრავალი მკვლევარი შეეხო, მაგრამ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა (ისტორიოგრაფია ის. Reinach, 1890; სანიკიძე, 1956; გოზალიშვილი, 1965; დუნდუა, 1974, გვ.146-159 და მათში მითოებული ლიტერატურა).

კოლხეთში, პირველ რიგში ზღვისპირა კოლხეთში, პონტოს სამეფოს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები პქნდა. სწორედ აქ იყო განლაგებული დიოსკურიის, გინძოსის, ფასისის, ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქები. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ევპატორის ძირითადი მიზნის – მთელი შავიზღვისპირეთის გაერთიანების გრანდიოზული იდეას თანამიმდევრული განხორციელება. ზღვისპირა კოლხეთის ქალაქები მითრიდატემ პონტოს სამეფოს ძვ.წ. II-III-ს. მიჯნაზე შეუერთა. ხსენებული ქალაქები, ერთი მხრივ, საზღვო ვაჭრობის – მათი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენის არასტაბილურობით, ხოლო მეორე მხრივ – კავკასიონის მთიანეთში მცხოვრები მეომარი ტომების თავდასხმებით იყვნენ შეწუხებული (სტრაბონი, XVII, III, 24; პლინიუსი, VI, 15). ისეთი ძლიერი ხელისუფალის მმართველობაში შესვლა, როგორიც მითრიდატე იყო, ვაჭრობა-ეკონომიკასა და თავდაცვაში სტაბილურობის განმტკიცებას მოასწავებდა. აქ, შესაძლოა, წარმომაშვა დახსლოებით ისეთივე მდგომარეობა, როგორიც იყო დიოფანტეს ლაშქრიობის შედეგად პონტოს სამეფოსთან ბოსფორის სამეფოსა და ხერსონესის შემოერთების დროს. საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ მითრიდატეს კოლხეთი მეტვიდრეობით ერგო (ოუნიანუს თუსტინუს, XXXVIII, 7, 10). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ სანაპირო ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი – ეშერა, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი – არ არის დადასტურებული ძვ.წ. II-III-ს-ის მიჯნის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების

კვალი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქალაქებში, ისევე როგორც ბოსფორსა და ხერსონესში, მითრიდატე გარეულ წინააღმდევობას არ წაწყდა. მაგალითად, მემონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოები (მდ. ფასისის ქვემო წელი – გვ.). ამ მიდამოების მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთ-ფიჭვარში ნაქალაქარი დარბულია ძვ.წ. III. ბოლოსათვის.

შეიძლო მითრიდატეს არ შეუერთებია პონტოს სამეფოსათვის. ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ იგი იქ შეიქრა მაშინ, როცა პონტეს გამოუქცა და ზამთარი დოოსკურიაში გაატარა. ნიშანდობლივია ისიც, რომ არცერთ წერილობით წყაროში არ აისახა მითრიდატეს მიერ შიდა კოლხეთის დაყრობა-შემოერთება. მითრიდატეულ ისტორიოგრაფიაში (იხ. სანიკიძე, 1956, გვ.26; გოზალიშვილი, 1965, გვ.299) არსებობს მოსაზრება, რომ იბერია მუდამ პონტოს მოკავშირე იყო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკა ცვალებადი რამ არის (მაგ. მითრიდატე და ტიგრანი ჯერ მოკავშირეები იყონენ, ხოლო შემდეგ მოისხელე მტრები; ანდა, მითრიდატეს მამა ჯერ რომის "მოკავშირე და მეგობარი" იყო, ხოლო შემდეგ მტრერი, ან კიდევ – მახარეგ უღალატა მამას და რომაელების მხარეზე გადავიდა და სხვ.), იბერიის სამეფოს პოლიტიკაც პონტოს მმართ ცვალებადი უნდა ყოფილიყო. თუ გადავხედავთ ქართულ წერილობით წყაროებს და ახალ არქეოლოგიურ მონაცემებს, იბერიის სამეფოს უსათუოდ უნდა ჰქონოდა გარკვეული პოლიტიკური ინტერესი კოლხეთში (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ.97).

მემონი(30), აპიანე(15), ოუსტინუსი (XXXVIII, 7,10), სტრაბონი (XI,II,18; XII,III,28) გვამცნობენ, რომ მითრიდატემ შეიერთა კოლხეთი, მაგრამ სახელდობრ კოლხეთის რა ნაწილი, არ არის აღნიშნული. თუ სტრაბონისავე ცნობას დავუკერებთ, კოლხეთი მეტწილად ზღვასთან მდებარეობს (იხ. XI,II,17); შემდეგ იგი გადმოგვცემს: "მთელი ეს სანაპირო ეპყრა ევპატორს, კოლხეთიდან პერაკლეამდე..." (XII, III,2). შესაბამისად, სტრაბონის მიხედვით მითრიდატეს ძირითადად სანაპირო ზოლი უნდა დაეკავებინა.

სტრაბონის ცნობებიდანვე ჩანს, რომ მითრიდატე ძირითადად დაინტერესებული იყო კოლხეთის სანაპიროთი, საიდანაც მას მისდიოდა მეტი წილი სანაოსნო საშუალებების გასამართვად, ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი,

ფისი – გემების ასაგებად (XI,II,17,18). კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილოშავიზღვისპირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მითრიდატემ, დაიკავა რა კოლხეთი (დასავლეთი კოლხეთი), მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია, რომელსაც მისცა მონეტის მოჭრის უფლება. სწორედ აქ დასვა მითრიდატემ მის მიერ გამოგზავნილი მმართველი (იხ. სტრაბონი, XI,II,18). აქ, თავის კოლხურ რეზიდენციაში გამოიზამთრა პოპეუსისგან დევნილმა მითრიდატემ (აპანე, 101).

დასავლეთ კოლხეთის დაკავების დროს პონტოს სამეფო სამხედრო-ეკონომიკურად ძლიერი იყო. სწორედ ეს იყო, აღბათ, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ იბერიის სამეფო მოლაპარაკების შემდეგ (იხ. მემონი,30) გაჩუმდა და მითრიდატემ კოლხეთის სანაპიროზე მდგრად ქალაქები შეიტრთა. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ კი შიდა კოლხეთი დარჩა (იხ. გამყრელიძე, 1985,გვ.86-97). ანგარიშგასაწევია აგრეთვე პლუტარქეს ცნობა: "იბერთა ტომი პონტომდე აღწევს" და იბერები ალბანებთან ერთად "ყველაზე უფრო უდიდესნი" არიან (პომპეუსი,34). მემონი(30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ მოკავშირებად შეიაშნავა პართები, მიდიელები, ტიკრნე არმენიელი, ფრიგიელი მეფები და იბერი მეფე, საიდანაც ჩანს, რომ მითრიდატეს და იბერთა მეფეს შორის ადგილი ჰქონდა რაღაც მოლაპარაკება-შეთანხმებას. მითრიდატეს ჯარში მყოფი იბერი მეორები, ეტყობა, დაქირავებული იყვნენ და იბერიის მეფის სამხედრო ძალას არ წარმოადგენდნენ. ისინი ომობდნენ "საჩუქართა მიღების სურვილით" (პლუტარქე, "ლუკულუსი," 26,31).

მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია კოლხეთში პონტო-რომის პირველი ომის დასასრულისათვის, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძნეთში. კოლხეთში იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მითრიდატეს აქ მეფედ შვილი დაენიშნა. მითრიდატე იძულებული გახდა შეესრულებინა აჯანყებულების მოთხოვნა და კოლხეთის მეფედ გაამწესა შვილი – მითრიდატე ფილოპატორი ფილადელფი. დასავლეთ კოლხეთის ამ აჯანყება-არეულობაში, სავარაუდოა, რომ იბერიის ხელისუფალთა ხელიც ერია; ისარგბლეს რა მითრიდატეს წარუმატებლობით, ისინი შეეცადნენ დასავლეთ კოლხეთში მისი

გავლენა დაესუსტებინათ და ამით თავისთვის მომგებიანი მდგომარეობა შეექმნათ. დარღანოსის ზავის (ძვწ. 85წ.) შემდეგ მითრიდატემ მოიცალა კოლხეთისათვის: ურჩი შვილი, რომელიც მამის საწინააღმდეგო ინტრიგებში ჩაება, სიკვდილით დასაჯა და დასავლეთ კოლხეთში უწინდელი მდგომარეობა აღადგინა (აპიანე, "მითრიდატ..." 64).

ბუნებრივია, რომთან ომების დროს მითრიდატე ეცდებოდა სამედო ზურგი ჰქონდა (მემნონი, 30). ამიტომ ის მოერიდებოდა იბერიის სამეფოსთან ურთიერთობის გამწვავებას. იბერთა სელისუფალიც, ალბათ, კარგად იყენებდა მითრიდატეს ამგვარ განწყობას. ხან სამოკავშირეო სელშეკრულებას უდებდა (მემნონი, 30), ხან დასავლეთ კოლხეთში ხალხს უჯანყებდა (აპიანე, 64), ხანაც პომპეუსისაგან დევნილ მითრიდატეს ებრძოდა (აპიანე, 101). გაუმართლებლად გვეჩვნება აზრი, რომ იბერებს ეშინოდათ – მითრიდატეს დამარცხების შემდგე რომი ჩვენ მოგვდებაო, და მხოლოდ ამიტომ მიერჩნენ მითრიდატეს. პონტო-რომის პირველი ომის დროს იბერია რომის პოლიტიკური ინტერესების არეალში არ იმყოფებოდა. იბერიის და მითრიდატეს ურთიერთობა პლუტარქეს ("პომპეუსი", 34) ფრიად მიამიტურად აქვს გადმოცემული – იბერებს "ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუკეციათ." მით უმეტეს, რომ პლუტარქე იქვე დასხენს: "იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ და, თავის დროზე, მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან..." (პლუტარქე, 1957, გვ. 117). მაში, რად უნდოდათ ასეთ დაუმორჩილებლებს დამარცხებული მითრიდატესთვის ეამებინათ? "პომპეუსის" ცხოვრების ეს ადგილი არადამაჯერებლად გამოიყერება, მით უმეტეს, რომ სხვა წერილობითი წყაროები ამავე ამბის თხრობისას იბერების მიერ მითრიდატეს მაამებლობის ცდას არ აღნიშნავენ (იხ. აპიანე, 103; დონ კასიუსი, "რომის ისტორია," XXXVII, 1, 2; სტრაბონი, XI, I, 6).

იბერების დამარცხების შემდეგ პომპეუსი შეუფერხებლად გადავიდა კოლხეთში (პლუტარქე, "პომპეუსი", 34). როგორც ჩანს, იბერიისაგან განსხვავებით, კოლხეთში ორგანიზებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. შესაძლოა იმიტომაც, რომ სკეპტურიებად დანაწილებული შიდა კოლხეთი პოლიტიკურად იბერიის გავლენის ქვეშ იყო და მათ მუქე არტაგის მსგავსი (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 30) ჯარი არ ჰყავდათ (არტაგეს ჯარის

შესახებ იხ. აპიანე,103; დიონ კასიუსი, "რომის ისტორია," XXXVII,1,2; პლუტარქე, "პომპეუსი,"34). "ამის შემდეგ, როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ ფასისი არ არის შორს, გადწყვიტა მის გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო" (დიონ კასიუსი, "რომის ისტორია," XXXVII,3). ამ ნაწყვეტიდან ისე ჩანს, რომ კოლხეთი ძალი ფასისის ქვემ წელზე, ზღვასთან იგულისხმებოდა. პომპეუსი "დაიძრა გაზრდაზელი მიმართულებით და გაარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით" (დიონ კასიუსი, "რომის ისტორია," XXXVII,3).

პონტო-რომის მესამე ომის დასასრულს პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე სამი ათასი მეომრით მიღის ქალაქ სინორიაში (სინორეგა), რათა სული მოითქვას და მხედრობას აღჭურვილობა შეუვსოს (აპიანე,101). აქედან მითრიდატე ჯარითურთ თავისი სიძის ტიგრანისკენ გაემართა, "მაგრამ ტიგრანმა იგი არ მიიღო და თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა მას, ვინც მის თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ ევფრატის სათავეს გზა აუკცია და კოლხეთში გადავიდა" (პლუტარქე, "პომპეუსი,"32). ამასე ადასტურებს დიონ კასიუს კოკეიანოსი – "თავის იმედებში მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ..." (რომის ისტორია,XXXVI,50). მითრიდატე გადავიდა მდინარე აფსაროსზე (ჭორობ-ოლოუ) და იქიდან მდ. მტკვრის ზეობაში. იგი ზღვის სანაპირო გზით არ წასულა, რადგან იცოდა, რომ აქ პომპეუსის ბრძანებით ჩასაფრებული იყო სერვილიუსი სამხედრო-საზღვაო ფლოტით (პლუტარქე, "პომპეუსი,"34). სერვილიუს, ეტყობა, მთასა და ზღვას შორის ვიწრო სანაპირო (აფსაროსის ვიწრო გასასვლელის შესახებ იხ. ლატიშევი, 1904, გვ.447) ჰქონდა ბლოკირებული და მითრიდატეს რაზმებს ელოდებოდა.

მითრიდატე შეიჭრა ხოტენეში, ბრძოლით გაიკაფა გზა (აპიანე,101) და შემდეგ დაუყვა მდ. მტკვრის ხეობას, აქედან ფოცხოვი-ქვაბლიანი-ჭუბრაულის ზეიბებში გადაინაცვლა, რადგან მტკვართან იბერებთან შეტაკება მოუხდა (აპიანე,101). ეტყობა, მათთანაც, როგორც ტიგრანთან, საქმე გართულებული ჰქონდა, და გაემართა "მეფისწყაროს" გადასასვლელისაკენ (შესაძლოა, რომ მითრიდატე გადავიდა ზეპარის გადასასვლელზე და შემდეგ სანისწყალ-რიონის გზით მიადგა "ვანს"). ეს გზა შემდეგ მდ. სულორის წყალგამყოფ ქედამდე

აღწევს და ხეობაში ეშვება. ის არცთუ მნელად საგალია და სირთულით დაახლოებით ლიხის ქედის გადასასვლელების მსგავსია. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ახლაც იყენებენ (ამ გზაზე სოფ. სულორის ზემოთ "საკაკილე" ძვ.წ. III-I ს., მდ. ყუმურის ხეობაში სოფ. გაილოურთან "შსხალთა" ძვ.წ. III-IIს-ის არქეოლოგიური მასალებია დადასტურებული; იხ. გამყრელიძე, 1982, გვ.32). ამ ადგილებზე მიუთითებს ალბათ სტრაბონი, როცა გადმოგვცეშს, რომ მითრიდატე "მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცაო" (სტრაბონი, XII, III, 28). ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა დევნილ მითრიდატეს. მას ხომ ისევ რომთან ბრძოლის დიდი გეგმები უტრალებდა თავში (აპიანე, 102), რაც უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა. მითრიდატეს გზაზე კი მდ. სულორის ხეობაში მდიდარი ქალაქი "ვანი" მდგბარეობდა (ვანი-სურის შესახებ იხ. ხოშტარია, 1960, გვ.47; ყაუჩხიშვილი, 1987, გვ.131).


ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია საზოგადოებრივი, სატაძრო-საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ქალაქს ჰქონდა მძლავრი საშმენებლო პოტენციალი: კრამიტის, ალიზის აგურის დამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები; საშმენებლო-საინჟინრო ცოდნა; მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა.შ. რაც მთავარია, ყველაფერი ამის ამოქმედება მოითხოვდა გარკვეულ ორგანიზაციულ გამოცდილებას. ვანის ნაქალაქარის გულტურულ ფენებში დიდალი ადგილობრივი წარმოების (ქვევრები, ამფორები, ქოთხები, ღოქები, ჯამები და სხვ.) და შემოტანილი უცხოური (სინოპეს, როდოსის, ქიოსის, კნიდის, კოისის კერამიკული ტარა; მცირეაზიური, შავი და წითელლაკიანი კერამიკა და სხვ.) კერამიკა ნანახი, რაც სავაჭრო საქმიანობაზე მიუთითებს. ნაპოვნია აგრეთვე ტერაკოტების გასაკეთებელი ყალიბები. გვხვდება ღია რაოდენობის ვერტიკალური საქსოვან დაზგების საწაფები; ადგილობრივად დამზადებული და უცხოეთიდან შემოტანილი ოქრომჭედლობის ნიმუშები.

ვანის ნაქალაქი, თანამედროვე ქალაქ ვანის დასაცლეთით, მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაფერდებულ სამკუთხა ბორცვზე, ქვედა, ცენტრალურ და ზედა ტერასებზეა განლაგებული, რომელიც 7 ჰა-ს მოიცავს. ქალაქის სასიმაგრო კედლებში კოშკებია გამართული. ჩრდილოეთით მდებარე

მთავარი კარიბჭე შედგება ურთიერთგამიჯნული ორი კარისაგან, ნახევარწრიული კოშკისაგან და საგუშავო ნაგებობისაგან. აქვეა საკურთხეველი და ქალაქის მფარველი ღვთაების ქანდაკების კვარცხლბეკი, რომელიც მიღებულია კლდეზე. ქალაქის აღმოსავლეთი მხარეს მეორე შესასვლელი იყო. იქვე, დიდი ზომის წყლის რეზერვუარია კლდეში ამოკეთილი, რომელიც წყლის მარავის შესასებად იყო განკუთვნილი. ქალაქ ვანის საიმაგრო კედლების წყობაში ქვის თლილი კავაღრები ერთმანეთთან მჭიდროდ არის მორგებული. ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგიურად აღმოჩენილია ელინისტური ეპოქის კრამიტით გადაზურული საზოგადოებრივი, სატაძრო-საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშები. ვანის ნაქალაქარის შესახებ შექმნილია მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. სწორედ ამ ნაშრომებზე დაყრდნობით ვთავაზობთ ვანის ნაქალაქარის იერსახის სავარაუდო რესტავრაცია-აღდგენის ცდას (არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. "ვანი," 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1983 ა.შ.).

ქალაქი "ვანი" ეკონომიკურად ძლიერი იყო; სელოსნობა და ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული. მას ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწები – დაბლაგომი, მთისძირი, შუამთა, გაილოური, კეჭინარა, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორის "საკაკოლე," ძულუხი, ბუღნარი, ბზვანი და მათ ურბანისტულ ცენტრს წარმოადგენდა (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ.36,55). ქალაქს მძლავრი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა და, ბუნებრივია, დამცველი რაზმებიც ეყოლებოდა. ეს რაზმებივე ახორციელებდნენ აღათ სამეურნეო მიწების ზედამშედველობას. "ვანი", საფიქრებელია, რომ გეოგრაფიულ საფუძველზე განვითარებული თეოკრატიული ურბანისტული (იხ. ლორთქიფანიძე, 1972, გვ.9-42) ერთეული იყო, რომელიც გარკვეული თვითმმართველობით სარგებლობდა. დაახლოებით გვ.წ. III-ის დასაწყისიდან ის იძერის სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა. ამდაგვარი მსხვილი საკულტო კერები იყო მცირე აზაში – პონტოს კომანა, ანისა, ტანა, ზელა. სამწუხაროდ, ეს ქალაქები არქეოლოგიურად თითქმის არ არის შესწავლილი.

გადალახა რა მთები (მეფისწყაროს ან ზეკარის გადასასვლელი) სამი ათას ერთგულ მეომართან ერთად, მითრიდატემ (აპანე.101; სტრაბონი, XII, III,28) დაარბია და გაძარცვა "ვანის" მდიდარი ქალაქი.



არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ, რომ ქალაქი ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებში (60-იანი წლები) ხანმოკლე დროის განმავლობაში დანგრულია ორჯერ. საფიქრუბელია, რომ პირველად ის დაამარცა და გაძარცვა მთრიდატემ, ხოლო მეორედ პომპეუსმა, რომელმაც დაამარცა იბერიის მეფე არტოკე და შეიჭრა კოლხეთში. პომპეუსმა "ვანის" მიმართ "იმოქმედა დაშინებით" (დიონ კასიუსი, "რომის ისტორია," XXXVII,3) და ბრძოლით. ის "კოლხეთში შეიჭრ" (იხ. პლუტარქე, "პომპეუსი," 34). პომპეუსმა "კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განავრცო რომაელთა ძალაუფლება..." (აპიანე, "მთრიდატეს ომები," 114).

მეორე ნგრევის კავალი ყველაზე კარგად ჩანს ვანის ნაქალაქარის შუა ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც თავდაცვითი კედლები სასწრაფოდ, სახელდახელოდ, საძირკვლის ყოველგვარი მომზადების გარეშეა აგებული თიხნარ ფენაზე. ეს ფენა კი პირველი ნგრევისაგან არის წარმოშობილი (იხ. ლორთქიფანიძე, 1968, გვ.141). პირველი ნგრევის ფენაში ძირითადად გვხვდება არქიტექტურული დეტალების ნატეხები, კერძიკული მასალა, მინეტები. პონტოს მონეტები, ეტყობა, მითოიდატეს მეომრებისაა, ანდა აქ შავიზღვისპირა ურბანისტული ცენტრებიდანაა მოხვედრილი. საყურადღებოა, რომ ასეთი მინეტებია აღმოჩნილი ეშვრის ნაქალაქარზე. ნაქალაქარზე სხვა მონეტებთან ერთად აღმოჩნდა პართული ფულიც, რომელიც აქ იბერიის გზით შემოიდა (იხ. დუნდუა, ლორთქიფანიძე გ., 1977, გვ.119; დუნდუა, 1974, გვ.146-159).

ქალაქის გაძარცვის შემდეგ მთრიდატე თავისი შეომრებით გადავიდა მდ. ფასისზე(რიონი) და გაემართა ქალაქ დიოსკურიისაკენ. მან აქ რომის წინააღმდეგ ახალი გეგმების შემუშავებაში გაატარა ზამთარი (აპიანე, 101), ხოლო შემდეგ "ხმელეთის გზით" წავიდა ბოსფორში (დიონ კასიუსი, "რომის ისტორია," XXXVI,50), რადგან საზღვაო გზა რომაელებს პქონდათ ბლოკირებული. "დაამარცა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა" (პლუტარქე, 1957, გვ.117). პომპეუსმა კოლხეთში დაამარცა და ტყვედ იგდო სკეპტუხი ოლთაკე-ოლთაკე (აპიანე, 117). საინტერესოა, რომ ამდაგვარივე სახელის (Otaces) იბერთა რაზმის

წინამდლოლს იხსენიებს ვალერიუს ფლაკუსიც (იხ. ლატიშევი, 1904, გვ.210). შესაძლოა აქ ერთიდაიგივე პიროვნებაზე იყოს საუბარი.

მთრიდატეს მიერ ქალაქის გაძარცვის და დიოსკურიისაკენ წასვლის შემდეგ, ქალაქის მესვეურებმა აღბათ დაიწყეს მისი თავდაცვითი სისტემის სახელდახელო აღდგენა-გამაგრება. ისინი ჩქარობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ როცა პომპეუსი იძერებს და ალანელებს დაამარცხებდა, კოლხეთში გადმოვიდოდა საომრად. პომპეუსი, ეტყობა, არ გასჭირვებდა მითრიდატეს მიერ გამარცული ქალაქის ხელმეორედ აღება. მეორე ნგრევის ფენა მხოლოდ ზოგიერთ უძანზე დასტურდება (იხ. ლორთქიფანიძე, 1968, გვ.141). ნაქალაქარზე ნაპოვნია რომაული მონეტები (იხ. დუნდუა, ლორთქიფანიძე გ., 1977, გვ.124) და რომაული საბრძოლო შუბი – პილუმი.

მც. 65წელს ტრანსკავკასიაში პირველად გამოჩნდნენ რომის რესპუბლიკის ლეგიონერები გნეუს პომპეუს მაგნუსის ხელმძღვანელობით. მოაგვარა თუ არა იძერის საკითხი, პომპეუსი გადავიდა ლიხის ქედზე და "კოლხეთში შეიქრა" (პლუტარქე, პომპეუსი, 34). როგორც ჩანს, ციხესიმაგრე შორაპნის (არქ. მასალა იხ. ჯაფარიძე, 1990, გვ.6-8) არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისთვის, რაც იმაზე მიგვნიშნებს, რომ ამ დროისათვის შორაპნი, ეტყობა, არტოკეს ექვემდებრებოდა, მას კი რომთან სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. სტრაბონი სარაპანისის (შორაპნის) შესახებ გადმოგვცემს: "სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა" (XI, II, 17); "კოლხეთიდნ იბერიაში შესავალი დახშულია კლდეებით, სიმაგრეებითა და მდინარეების ხეობებით"-ი (XI, III, 4).

რომაულების გამოჩნიის დროს შიდა კოლხეთი დანაწილებული იყო სკეპტურიებად. საფიქრებელია, რომ მათი ნაწილი იბერიის პილიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა (მაგ., შორაპნი, რომელიც უბრძოლველად გაიარა პომპეუსმა), ხოლო ნაწილი კი, ეტყობა, სეპარატისტულ, შედარებით დამოუკიდებელ პილიტიკას ატარებდა (მაგ., "ვანის" სკეპტურია). სტრაბონის დედის ბიძას, მთრიდატე ევპატორის მოხელეს მოაფერნეს კი დასავლეთი კოლხეთი (resp. პონტოს კოლხეთი) ექვემდებარებოდა (სტრაბონი, XI, II, 18). პომპეუსი რომ მარტო შშვიდობანი გზით არ მოქმედებდა კოლხეთში, ამაზე მიუთითებს აპიანეს ცნობა, რომ პომპეუსმა "კოლხებთან, ალანელებთან,

იბერებთან, არმენიელებთან ... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განავრცო რომაელთა ძალაუფლება..."-ო (აპიანე, "მითრიდატეს ომები,"114). ამასვე აღნიშნავს ფლორუსი (მითრიდატეს ომები,X,40) პომპეუსმა "დაამარცხა კოლხები"-ო (იხ. ლატიშევი, 1904, გვ.258). რომაელთა აგრესიულობის დასტურია ისიც, რომ რომში პომპეუსის ტრიუმფის დროს ტყვეთა შორის წარმოდგენილია "კოლხების სკეპტუზი ოლთაკე" (აპიანე,117). შესაძლებელია, რომ ოლთაკე "ვანის" სკეპტუზთა გვარიდან იყო, რომელმაც წინააღმდევობა გაუწია პომპეუსს (იხ. ინაძე,1987, გვ.59). აპიანე (მითრიდატეს ომები,117) ტრიუმფის მონაწილეებს იერარქული თანამიმდევრობით ჩამოთვდის; აქ ჩანს, რომ ოლთაკე ჩვეულებრივი სარდალი კი არ არის, არამედ კოლხეთის ხელისუფალთა გვარისაა. იგი სიაში მეფეებსა და მათ შვილთა შორის არის დასხელებული (ყაუჩხიშვილი, 1959, გვ.36). ასეთი წარმომავლობა, საფიქრებელია, მას აძლევდა უფლებას, რომ ცალკე, არტოკეს პომპეუსთან დაზავების შემდეგ, კიდევ გაეგრძელებინა საკუთარი სამფლობელოების დაცვა. რომაელებს არ დაემორჩილა და კავკასიონის მთებს შეაფარა თავი კოლხთა მმართველმა ოროზმა, როგორც ამას გადმოგვცემს რომაელი ავტორი ფლორუსი ("მითრიდატეს ომები", X,28) (იხ. ლატიშევი, 1904, გვ. 258; The loeb classical library, 1957, გვ.186-188). ოროზი, ჩანს, კოლხეთის რომელიც მსარის წინაამდოლ-მმართველი იყო (დაახლოებით ოლთაკეს ნაირი), რომელიც არ დაემორჩილა რომაელებს. ზოგი მკვლევარი მას მთელი კოლხეთის მეფედ (Regem Colchorum – Florus, XL, 28) მიიჩნევს (იხ. ბერძნიშვილი, 1969, გვ.131), მაგრამ ცნობილია აგრეთვე, რომ ამ დროისათვის კოლხეთი არ იყო ერთანა სამეფო. გავიჩენოთ სტრაბონის ცნობები (XI,II,18) ქვეყნის დაყოფისა და დასუსტების შესახებ (XI,II,17).

მოაფერნეს, რომელიც მითრიდატე ეყპატორს დასავლეთ კოლხეთში ჰყავდა მმართველად დაყენებული, წინააღმდევობა არ გაუწევია პომპეუსისთვის. ყოველ შემთხვევაში, მოაფერნეს საბრძოლო მოქმედება წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. საყურადღებოა, რომ იგი არ არის პომპეუსის ტრიუმფის სიაში. შესაძლებელია, მოაფერნემ ჯერ მითრიდატესთან ერთად გამოიზამთრა დიოსკურიაში, ხოლო შემდეგ მასთან ერთად ბოსფორისაკენ წავიდა.

პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ჩადის ზღვამდე (ეტყობა ქ. ფასისში), სადაც მას სერვილიუსი ფლოტით შეეგბა (იხ. პლუტარქე, პომპეუსი, 34). რომაელები დიოსკურიის, მითრიდატე ეპატორის კოლხური რეზიდენციის მიმართულებით აღარ წავიდნენ, რადგან შესაძლებელია, რომ მითრიდატეს გაქცევის შემდეგ ქალაქი თავისი ნებით გადავიდა პომპეუსის მხარეზე და წარმომადგენლები აახლა. სოხუმის (დიოსკურიის) არქოლოგიურ ძეგლზე ძვ.წ. I საუკუნის კულტურული ფენები სუსტად არის წარმოდგენილი. აქ რაიმე ნგრევის კვალი ჯერჯერობით არა ჩანს.

ზღვამდე მისულამ პომპეუსმა მითრიდატეს დევნა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა. პლუტარქეს თქმით, "ბოსფორისა და მეოტიდის მახლობლად მცხოვრებ ტომებში თავეფვარებული მითრიდატეს დევნა ფრიად დად სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს პომპეუსს აუწყეს; ალბანელები ხელახლა აჯანყდნენო. რისხვითა და შერისძიების სურვილით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა" (პლუტარქე, პომპეუსი, 34). პომპეუსს "სრულებითაც არ უნდოდა მტრის დევნა ამაოდ. იგი სხვა საქმეებს აკეთებდა, რომლებიც, ასე თუ ისე, მითრიდატესთან ომთან იყო დაკავშირებული და დროს აჭიანურებდა" (პლუტარქე, პომპეუსი, 41). კლდე-ღრებში მითრიდატეს დევნას პომპეუსმა მოქნილი პოლიტიკა ამჯობინა. როგორც ჩანს, მან მითრიდატეს შვილთან ფარნაკესთან კავშირი გააბა და მისი ხელით მოუსწრაფა სიცოცხლე მითრიდატეს. პლუტარქე აღნიშნავს, რომ მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ფარნაკემ მიისაკუთრა და პომპეუსს შეატყობინა - "ყველაფერი ეს ჩემთვისა და რომაელებისათვის მივიღეო" (პლუტარქე, პომპეუსი, 41). მამის მკვლელი ფარნაკე პომპეუსმა "რომაულთა მეგობრად და მოკავშირედ გახადა და უბოძა ბოსფორის მეფობა..." (აპანე, მითრიდატეს ომები, 113).

წავიდა რა პომპეუსი აფსაროსის გასასვლელის და სომხეთის გავლით გაურჩებული ალბანელების დასაშოშმინებლად (დიონ კასიუსი, XXXVII, 3; პლუტარქე, პომპეუსი, 35), კოლხეთის გამგებლად არისტარქე დატოვა (აპანე, 114). ორი რომაული საისტორიო წყარო არისტარქეს მეფედ მოიხსენიებს (ევტონია, VI, 14; ფესტუსი, XVI). მაგრამ არისტარქეს სახელით ძვ.წ. 52 წელს მოჭრილ მონეტებზე ის თავის თავს მეფეს არ უწოდებს. არისტარქე რომ მეფე არ არის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამავე დროის ბოსფორის მეფის

ფარნაკეს მონეტას აწერია "დიდი მეფის ფარნაკესია." შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ რომთან დაკავშირებული ორი პიროვნებიდან ერთი – ფარნაკე მეფედ, ხოლო მეორე არისტარქე – შეოლოდ მმართველად იხსენიება (აპიანე, 114) (ყაუხჩიშვილი, 1959, გვ.27-31). ფრიად საყურადღებოა მოსაზრება, რომლის მიხედვითც არისტარქეს მონეტაზე პროფილში გამოხატული, თავზე გვირგვინანი მამაკაცი ჩამოჰვავს პომპუსის სხვა პორტრეტებს (Jenkins, 1959, გვ.32). ასე რომ, ამაშიც კარგად აისახა არისტარქეს დაქვემდებარებული მდგომარეობა რომისადმი.

ერთი მხრივ, არისტარქეს უფლება რომ პქონოდა თავის მოჭრილ მონეტაზე მეფედ მოეხსენიებინა თავი, ამას უსათუოდ გააკეთებდა. მეორე მხრივ, პომპუსის მიერ აღზევებული არისტარქე შესაძლოა არ იყო ისეთი მაღალი (მეფური გვარის) წარმომავლობის, რომ კოლხ სკეპტურებს ეღიარებინათ მისი სუზერენობა და ამიტომ ამზობინა არ გაედინებინა ისინი. არისტარქე შიდა კოლხეთში კი არ ჯდება, არამედ დიოსკურიას ირჩევს მთავარ რეზიდენციად, რომელიც ადრე მითრიდატეს კოლხური რეზიდენცია იყო. ამს მხარს უჭერს ისიც, რომ სოხუმთან (დიოსკურიასთან) არის აღმოჩენილი არისტარქესული მონეტა. ქალაქი სანაპიროზე კომუნიკაციური თვალსაზრისით არისტარქესთვის რეზიდენციად უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. აქედან უფრო კარგად შეიძლებოდა, ერთი მხრივ, კოლხეთის გარკვეული კონტროლის ქვეშ ყოლა, ხოლო მეორე მხრივ, რომაელებთან კავშირი. ის, თუ როგორი იყო არისტარქეს რეალური ძალაუფლება, ან კონკრეტულად კოლხეთის რა ნაწილი ექვემდებარებოდა მას, სამწუხაროდ, საისტორიო წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. ჩვენთვის აგრეთვე უცნობია, რამდენი ხანი გრძელდებოდა ზუსტად არისტარქეს მმართველობა. საგულვებელია, რომ იგი მმართველობს ძვ.წ. 48 წ-მდე, ბოსფორის მეფის ფარნაკეს კოლხეთში შემოჭრამდე.

ფარნაკეს და შემდეგ მითრიდატე პერგამონელის შემოჭრით ქვეყანა კიდევ უფრო დასუსტდა და დაქუცმაცდა. სტრაბონი ევრიპიდეს სიტყვებით გადმოგვცემს – "როდესაც ქვეყანა დაუძლურდება, ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ მისი პატივისცემა – ამბობს ევრიპიდე" (XI,II,17). ცნობილია, რომ რომაელები ექსპანსის დასაწყისში მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში კი არ ცვლიდნენ არსებულ სამმართველო აპარატის სტრუქტურას,

არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ. ისინი, ასევე მოიქცნენ კოლხეთში. მათ მმართველად დანიშნებს არისტარქე და მას საგამგებლო აპარატის სტრუქტურა ძველი დაუტოვეს, მითრიდატესნაირი. კოლხეთის მმართველის რეზიდენციად იგივე დარჩა (მითრიდატესული) – დიოსკურია. შიდა კოლხეთის "სკეპტუხებზე" (მაგ., ოლთაკეს სკეპტუხიაზე) საფიქრებელია, რომ არისტარქეს ძალუფლება უფერული იყო. ჯერ კიდევ ღუკულუს მითრიდატესთან იმის დროს აღნიშნავდა ამ მხარის სრულად დამორჩილების სიძნელებს (იხ. პლუტარქე, ღუკულუსი, 14).

რომეს რესპუბლიკაში ძვწ. I საუკუნის ბოლოსათვის შიდაპოლიტიკურმა ბრძოლამ განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია. შექმნილი მდგომარეობის გამოყენება სცადა მითრიდატე ევპატორის შვილმა, ბოსფორის მეფემ ფარნაკემაც. მნ გადაწყვიტა პონტოს სამეფოს მამისეულ ფარგლებში აღდგენა. დიონ კასიოსი გადმოგვცემს: "როგორც ნათქვამი იყო, მან (ფარნაკემ) მოინდომა მთელი მამისეული სამეფოს დაბრუნება და აჯანყდა კეისრისა და პომპეუსის ურთიერთშორის ბრძოლის დროს, რაღაც რომაელები მაშინ საკუთარი საქმეებით იყვნენ გართული" (XLII, 45). წავიდა რა მამის ყოფილი აზიური სამფლობელოებისაგნ, ფარნაკეს, ბუნებრივია, (თუ ზღვით არ წავიდოდა) უმოკლესი გზით, კოლხეთზე უნდა გაევლო. ამ დაპყრობებს როცა აღწერს დიონ კასიოსი, ასახელებს კოლხეთს და არმენიას. შემდეგ დაპყრობილი არმენიის შემთხვევაში ასახელებს რომაელების მომხრე მმართველს დეიოტარეს, ხოლო კოლხეთში არისტარქეს დამარცხების შესახებ არაფერს წერს. უცნობია ფარნაკემ არისტარქე დაამარცხა თუ შეიკავშირა. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ფარნაკემ "ყველა იქაური მეფე და ტეტრარქოსი საამბოხოდ წაქეზა" (კეისარი, 50). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფარნაკეს მოქმედების შესახებ მხოლოდ ერთადერთი ცნობა შემონახული, სადაც აღნიშნულია, რომ მან გაძარცვა ღვევით სამლოცველო. ვიდრე ფარნაკე მცირე აზიაში ბრძოლებს აწარმოებდა, ბოსფორში მის მიერვე დაიმიშნული მმართველი ასანდრი აჯანყდა. მას უნდოდა ფარნაკეს წინააღმდეგ გამოსვლით რომაელების გული მოეგო და მათი ხელშეწყობა-თანხმობით ბოსფორში ხელისუფლება ეგდო ხელთ (დიონ კასიუსი, XLII, 46).

ბვ.წ. 47წელს ქალაქ ზელასთან იულიუს კეისარმა დაამარცხა ფარნაკე (პლუტარქე, კეისარი, 50; დიონ კასიუსი, XLII, 47; აპიანე, 120). დამარცხებული ფარნაკე ზღვისკენ გაიქცა, ბოსფორში გადასასვლელად. ბოსფორში მას აჯანყებული ასანდრი შეეძრმოლა, დაამარცხა და მოკლა (აპიანე, 120; დიონ კასიუსი, XLII, 47). ამის მიუხედავად, ასანდრი რომაელებმა ბოსფორის მმართველად მაინც არ დანიშნეს. ბოსფორის სამეფო იულიუს კეისარმა, სხვა ტერიტორიებთან ერთად, თავის მოკავშირე მითრიდატე პერგამონელს უბომა. მაგრამ ბოსფორი მითრიდატე პერგამონელს ასანდრისაგან ხმლით უნდა მოეპოვებონა (დიონ კასიოსი, XLII, 48). ამიტომ დაიძრა მითრიდატე პერგამონელი საბრძოლველად ბოსფორისაკენ. ასანდრმა მითრიდატე პერგამონელი დაამარცხა ბოსფორში ლაშქრობისას (სტრაბონი, XIII, IV, 3). რა ხდებოდა კოლხეთში ზემოხსენებული ომების დროს, წერილობითი წყაროებიდან უცნობია. ცნობების უქონლობა ამ ბრძოლების შესახებ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ კოლხეთი, დასავლეთ კოლხეთი, ამ ომებში მხოლოდ სტრატეგიული მხარეა, სადაც უმოკლესი გზა გადიოდა ბოსფორიდან მცირე აზიისაკენ. საყურადღებოა, რომ ბოსფორისა და მცირე აზიის ბრძოლების აღწერას საისტორიო წყაროებში უფრო მეტი ადგილი ეთმობა.

საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთში შეჭრა და ადგილობრივი სკეპტურების ამხედრება ამ შემთხვევაში არ შედიოდა მეომარი მხარეების ინტერესებში. ბუნებრივია, არცერთ მეომარ მხარეს არ ენდომებოდა ზურგში აჯანყებულები ყოლოდა, მთ უმეტეს, რომ ცნობილია, მარტო ერთმა – ასანდრის აჯანყებამ ბოსფორში, როგორი ტრაგიკული შედეგები გამოიწვია ფარნაკესათვის. ამიტომ შესაძლებელია, რომ შიდა კოლხეთის „სამთავროებ-სკაპტუზიები“ მთელი ამ ომების დროს გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

რომის აღმოსავლური პოლიტიკა, ოქტავიანე ავგუსტუსის დროს უფრო აქტიური გახდა. რომაელების მომხრე მეფე პოლემონს მიეცა განკარგულება, რომ ბოსფორში ასანდრის გარდაცვალების შემდეგ რომის ფაქტიური ძალაუფლება აღედგინა (დიონ კასიუსი, IV, 24/4). დასავლეთ კოლხეთი ამჯერად უკვე პოლემონის საბრძოლო ოპერაციების არეალში უნდა მოხვედრილიყო, რადგან ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. პოლემონმა დასავლეთ კოლხეთი ოქტავიანე ავგუსტუსის დასტურით შეუერთა

პონტოს. სტრაბონი გადმოგცემს: "პოლემონს პქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა (ძვ.წ. 8წ.) მისი მეუღლე პითოდორისი ფლობდა, მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკეაზე და ზემოთ მცხოვრებლებზე" (XI,II,18). პოლემონის მოქმედების შესახებ კოლხეთში არავითარი წერილობითი ცნობა არ არსებობს. რახან ძვ.წ. 14 წელს პოლემონმა შეიერთა ბოსფორი, აქედან გმომდინარე სავარაუდოა, რომ რამდენიმე წლით ადრე უნდა შეერთებინა დასავლეთ კოლხეთი.

რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში შავიზღვისპირეთს ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეყავა. შავიზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პაროთის ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. რომს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გაპქონდა ლითონი, ხე-ტყე, მარცვლეული, ტყავეული, სელი, ღვინო და სხვ. (სტრაბონი, XI,II,17). საუკუნის რომაელი ავტორი მარკუს მანილუს აღნიშნავს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალები. თან ამ უკანასკნელზე დასტენს, რომ ეს ის ადგილია, საიდანაც ოქროს საწმისი მოიტაცეს (V,376-377).

ზღვისპირა, დასავლეთ კოლხეთი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში იმპერატორ ავგუსტუსის დროს შედის. ამ დროისათვის დასავლეთ კოლხეთი, მართალია, უშუალოდ არ ექვემდებარებოდა რომს, მაგრამ პონტოს სამეფოს საშუალებით რომის პოლიტიკურ გავლენაში ეცცევა. ამ სანებში რომის ლეგიონერები კოლხეთის მიწაზე არ იდგენ. იმპერატორ ავგუსტუსის აღმოსავლური პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო რომის აღმოსავლეთის საზღვრებთან შეექმნა ფაქტოურად რომშე დამოკიდებული, ხოლო ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნები, რომელთა ხელითაც რომი სასაზღვრო რეგიონებში თავისთვის სასურველ პოლიტიკას გაატარებდა. ერთ-ერთი ასეთი სამეფო პოლემონის პონტო იყო, რომელშიც დასავლეთ კოლხეთი შედიოდა. პოლემონის პონტოს მნიშვნელოვანი ცენტრი ქალაქი ტრაპეზუნტი ტერიტორიულად ახლო მდებარეობდა კოლხეთთან.

რომმა, მოუხედავად ძლევამოსილებისა, მაინც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტრაქს, ვერც მითონდატე პერგამონელის და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა — ამ მხარის

დამორჩილება ძალიან მნელიაო (იხ. პლუტარქე, ლუკ.,14). მართლაც, შიდა კოლხეთი თავისი ბიოგეოგარემოთი – ხეობებით, მთებით, სწრაფი, მნელად გადასალახი მდინარეებით, უღრინი ტყეებით – ადვილად დასმორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. ამას ემატებოდა აგრეთვე აგრესიულად განწყობილი, ძლიერი სამთავროებ-სკეპტუზები. დასავლეთ, ზღვისპირა კოლხეთისათვის კი რომაელები გარკვეული კონტროლის გაწევას ახერხებდნენ. ამაში მათი ძირითადი საყრდენი უნდა ყოფილიყო სანაპირო ქალაქები, რომელებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, შედარებით ძლიერი იყო ანტიკური სამეურნეო-კულტურული გავლენა. დასავლეთ კოლხეთი ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად მცირე აზიასა და ბოსფორში.

იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციაშ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი საგარეო ფაქტორი გამოღვა პონტოს სამეფოს ექსპანსია, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. შიდა კოლხეთში დაინგრა და გაიძარცვა "ვანის" მდიდარი ქალაქი. კოლხეთი გადაიქცა პონტოს სამეფოსა და რომს შორის საომარი მოქმედებების ასპარეზად, როთაც ადგილობრივი მოსახლეობა უნდა დაზარალებულიყო. რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის განვითარების პროცესზე. ერთი მხრივ, ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოღვა – ქვეყნის დასავლეთი მხარე რომის პოლიტიკურ გავლენაში მოქალაქე, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი რომაელთა ციხეერი პოლიტიკის შედეგად არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული "სამთავროების" განვითარებით დასრულდა (მაგ. იხ. – ფლავიუს არიანე, "მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო,"11). მეორე მხრივ, რომმა – იმ დროისათვის მოწინავე სახელმწიფომ, დადებითი როლიც ითამაშა კოლხეთის განვითარებაში; კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ახლო გაეცნო იმ დროისათვის მოწინავე რომაულ კულტურას; სანაპირო ქალაქებში რომაული ნაწარმი გამოჩნდა; გაეცნენ ახალ საომარ ტაქტიკას და ტექნიკას. კოლხეთში ხშირი საპრომოლო მოქმედებების დროს საჭირო იყო ორგანიზაციული სკითხების სწრაფი გადაწყვეტა. ეს, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობაში საზოგადოებრივ კონსოლიდაციას, რაც

შემდგომში კოლხეთის მემკვიდრე, ლაზიკის სამეფოს წარმოქმნაში გამოიხატა. კოლხეთ-ლაზიკის და იბერია-ქართლის ადგილსა და საფუძველზე შემდგომ განვითარდა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო.

### ლიტერატურა:

- აღექსიძე ზ., ცხოვრება ფარნავაზის, ჟურნ. "მნათობი", 1984, №12, გვ.152-157.  
ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I ტ., თბ., 1964.  
ბერძნიშვილი მ., ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.  
ბრაგვაძე ზ., კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების (ყვარილის ზეობის) ქართიზაციის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. "მაცნე" 1990, №4, გვ.137-150.  
ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981.  
გაგუა გ., კოლხეთის აგროკლიმატური რესურსების გამოყენება, თბ., 1988.  
გამყრელიძე გ., ცენტრალური კოლხეთის ძეგლი ნამოსახლარები, თბ., 1982.  
გამყრელიძე გ., აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, საქ. მეცნ. აკად. "მაცნე" (ისტ... სერია), თბ., 1985, №3, გვ.86-97.  
გამყრელიძე გ., მთორიდატე ეპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. "მაცნე" 1989, №2, გვ. 59-69.  
გამყრელიძე გ. ისტორიულ-ტოპორარქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1993.  
გოზალაშვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965.  
გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V ტ., თბ., 1973, გვ. 17-38.  
გეორგია, III(ბერძნულ-ქართული ტექსტი გამოსცა საყუხჩიშვილმა), თბ., 1936.  
გეორგია, II (ბერძნულ-ქართული ტექსტი გამოსცა საყუხჩიშვილმა), თბ., 1965.  
გორდეზანი რ., რჩეული ნაშრომები, "ლოგოსი", თბ., 2000.  
გუგუშვილი პ., მარცვლეული მეურნეობა, საქართველოში, თბ., 1954.  
დიონ კასონი, ცნობები საქ. შესახებ (გამოსცა ნ.ლომიურმა), თბ., 1966.  
დუნდუა გ., იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში?, საქ. მეცნ. აკად. "მაცნე" (ისტ.... სერია), თბ., 1974, №2, გვ. 146-159.  
დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ., მონეტები ვანიდან, ვანი, III ტ., 1977, გვ.119-152.  
დუნდუა თ., კოლხეთი, ბერია..., ნუმიზმატიკის მიხედვით, თბ., 1993.  
გამაკიძე ვ. ელინისტური ხანის ქართლის სოციალური ისტორიიდან, თბ., 1991.  
გახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ., 1973.

ზაქარაია პ., ნოქალაქევში 1973-77 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბ., 1981, გვ. 77-119.

თოლორდავა ვ., დაკრძალვა ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

ინაძე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.

ინაძე მ., მცირე აზიის სატაძრო ქალაქების საკითხისათვის, კრებ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი, თბ., 1976, გვ.136-144.

ინაძე მ., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982.

ინაძე მ., სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, საქ. მეცნ. აკად. "მაცნე" (ისტ.... სერია), თბ., 1986. №4, გვ. 32-53.

ინაძე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ.აკად."მაცნე" (ისტ....), თბ., 1987, №4, გვ.46-67.

ინაძე მ., კოლხეთის სამეფოს სკეპტურიათა საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. "მოამბე", XXVI ტ., თბ., 1961, №6. გვ. 783-790.

კახიძე ამ., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბ., 1971.

კახიძე ამ., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათუმი, 1975.

კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1959.

კვირკველა ნ., უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976.

კორძახა მ., საქართველოს ჰავა, თბ., 1961.

ლამბერტი არქანგელო, სამეცნიერო აღწერა, თბ., 1938.

ლანჩავა ომ., ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, თბ., 1975.

ლიხელი ვ., ძველი ვანი, სამეცნიერო უბანი, თბ., 1991.

ლომოური ნ., კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.

ლომოური ნ., ნოქალაქევი, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, თბ., 1981, გვ.18.

ლომოური ნ., კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962.

ლორთქიფანიძე ოთ., არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. "მაცნე", 1976, №2, გვ. 110-128.

ლორთქიფანიძე ოთ., ანტიკური სამყრო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.

ლორთქიფანიძე ოთ., ვანის ნაქალაქარი, კრებ. ვანი, I ტ., თბ., 1972, გვ.7-42.

ლორთქიფანიძე ოთ., ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები), კრებ. ვანი, III ტ., თბ., 1977. გვ. 13-27.

- ლორთქიფანიძე ოთ., მასალები მკ.წ. Vს. კოლხეთის მხატვრული კულტურის ისტ.-თვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1971, №1 (138), გვ. 51-63.
- ლორთქიფანიძე ოთ., ძეგლი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972.
- ლორთქიფანიძე ოთ., ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მომავალი გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. "მთამბე", XIX, თბ., 1957, №3. გვ. 377-384.
- მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, II, თბ., 1970.
- მახარაძე გ., საირჩის ნაქალაქარის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი, არქეოლოგიური ჟურნალი, I, თბ., 2000, გვ. 43-66.
- მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
- მუსხელიშვილი დ., საქ. ისტ. გეოგრაფიის მირითადი საკითხები, თბ., 1977.
- ნადირაძე ჯ., ყვირილის სერიას არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
- ნადირაძე ჯ., საირჩე, საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990.
- ნაკაძე ნ., ბვ. წ. IV-III სს. ქვევრსამარხები დაჭრილების სამაროვანიდან, კრებ. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 28-41.
- პლუტარქე (თარგმნა ა. ურუშაძემ), თბ., 1957.
- რუხაძე ჯ., ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ენოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960, გვ. 75-91.
- სანიკიძე ლ., პონტოს სამეფო, თბ., 1956.
- საქართველოს ისტორიის ნარკევები, I ტ., თბ., 1970.
- ურუშაძე ა. ძეგლი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
- ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა 6. კეჭაღმაძემ), თბ., 1961.
- ქართლის ცხოვრება (გამოსცა ს. ყაუხებიშვილმა), I ტ., თბ., 1955.
- ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1958.
- ყაუხების ცხოვრება (გამოსცა ს. ყაუხებიშვილმა), I, II, III, თბ., 2000.
- ყაუხებიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, II, III, თბ., 1967.
- ყაუხებიშვილი თ., ბერძნი მწერლების ცნობები..., თბ., 1967.
- ყაუხებიშვილი თ., ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.
- ყაუხებიშვილი თ., აპაანე, თბ., 1959.
- ყაუხებიშვილი თ., ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, კრებ. აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969, გვ. 186-190.
- ყაუხებიშვილი თ., ვანის ახლადაღმიჩნილი ბერძნული წარწერა, კრებ. ქართული წყაროთმცოდნება, VII, თბ., 1987, გვ. 131-143.
- ყაუხებიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

- ყორანაშვილი გ., გეოგრაფიული გარემოს როლი საზ. განვითარებაში, თბ., 1975.
- შარდენი უნ, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (თარგმნა მ. მგალობლიშვილმა), თბ., 1975.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I წიგნი, თბ., 1963.
- ძველაია მ., კოლხეთის დაბლობი, თბ., 1973.
- ძიძიგური ლ., ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ., 1994.
- წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა, "ენიმკის" მოამბე, თბ., 1943, №13, გვ. 1-83.
- წერეთელი კ. არამეული საქართველოში, უკრ. "მნათობი", 1976, №6, გვ.150-157.
- წერეთელი კ., არამეული ენა, თბ., 1982.
- ჭყონია ა., ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულები, კრებ. ვნი VI, თბ., 1981.
- ხაზარაძე ნ., საქართველოს ძვ. ისტ. ეთნოპოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984.
- ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, ტ., 1960.
- ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II ტ., თბ., 1948.
- ჯანაშია ს., შრომები, II ტ., თბ., 1952.
- ჯანაშია ს., შრომები, III ტ., თბ., 1959.
- ჯაფარიძე ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, III ტ., თბ., 1963.
- ჯანელიძე ჭ., საქართველოს ბუნებრივი გარემო ქვის ხანაში, საქართველოს არქოლოგია, I ტ., თბ., 1991, გვ.50-69.
- ლატიშევ - Латышев В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. - Записки классического отделения императорского русского археологического общества, т. II, вып. I, Санкт Петербург, 1904.
- Ciceronis M Tullii, De imperio en Pompei sive pro Lega Manile, oratio ad Quirites (ed. A. Gofman), Part I, S.-Peterburg 1911.
- Claessen H., Skalnik P., The Early State, Hague, 1978.
- Bandinelli R., Archeologia e cultura, Milan, 1961.
- Kacharava D., Greek Imports of archaic and classical times in Colchis, Archäologischer Anzeiger, Berlin, 1995, pp. 63-73.
- Jankins A., Recent Acquisitions of Greek Coins by the British Museum, The Numismatic chronicle, London, 1959, pp. 32-37.
- The loeb clavscical library, London, 1957.
- Reinach Th., Mitridate Eupator, roi de Pont, Paris, 1890.
- Vallet Georges, La Colonisation Grecque en occident, XIII "Mejdunarodni kongress istoricheskix nauk", I vol, III part, M., 1973. p.p. 53-72.

## ქალაქ ფასისის (ფოთის) ტოპოარქეოლოგიისათვის

ქალაქი ფოთი, დღეს, საქართველოს უმნიშვნელოვანები ნავსაღგური და აზია-ევროპის სატრანზიტო გზის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია. ქალაქი ფოთი საქართველოს მზარდი სოციალურ-ეკონომიკური ცენტრია.

ქალაქ ფასისი შესწავლის ისტორია საუკუნე-ნახევარს ითვლის; მაგრამ ჯერჯერობით, წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების სიმცირის გამო, მისი ისტორიის რიგი საკითხების სრული გაშუქება შეუძლებელია [იხ. 2, გვ.3-21; 3; 19, გვ.17-36; 42, გვ.271-281; 71; 70; 68, გვ.223; 9; 10, გვ.70-110; 14, გვ.505; 12, გვ.36-55].

ზოგადად დღვენდელ ქ. ფოთთან და მის შემოგარენში ლოკალიზდება ანტიკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ძველი ქალაქი ფასისი//ფაზისი. ბერძნული წერილობითი წყაროების ტოპონიმ ფასის ქართველური ენების საფუძველზე მიღებულ ფოთის სახელწოდებად მიიჩნევთ – ფოთ//ფათ//ფას [11, გვ.181-185; 24, გვ.96].

ქ. ფასისი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ფსევდო-სკილაქსი, აზია, 81 [34, გვ.48]; არისტოტელე, ფრაგმენტები 46 [35, გვ.73]; პლატონი, "ფედონი" 109(6) [63, გვ.83]; პერაკლიდე ლებოსი, "ფასისელთა პოლიტია," XVIII [36, გვ.19.5]; ჰიპოკრატე, "ჰაერთა, წყალთა და ადამიანთა შესახებ," 15 [33, გვ.45]; ოეოკრიტე, "იდილია," სქოლიოები, XIII, 24[23, გვ.316]; სტრაბონი, "გეოგრაფია", XI, 2, 16, 17; 3, 4[32, გვ.122, 123, 128]; ფსევდო-პლუტარქე, "მდინარეების და მთების სახელების შესახებ...", ფასისი, V, 1 [57, გვ.223]; პლინიუსი გაიუს სეკუნდუსი(უფროსი), "ნატურალური ისტორია", VI, 1, 13, 52, [56, გვ.178, 179, 185]; პომპონიუს მელა, "ქვეწიერების აღწერილობა," I, 108[5, გვ.29]; ფლავიუს არიანე, "მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო", 9, 10 [1, გვ.40]; კლავდიოს პტოლემაიოსი, "გეოგრაფიული სახელმძღვანელო," V, 9 თ., 2[17, გვ.45]; ფსევდო-ორფეესი, "არგონავტიკა," გვ.3 [20, გვ.89]; თემისტიონი, "სიტყვები," XXVII [23, გვ.470]; კასტორიუსი, ე.წ. ტაბულა პევტინგერისა, X-XI [18, გვ.109, ტაბ.2]; ამიანე მარცელინუსი, "ისტორია" XXII, 8თ., 24 [4, გვ.112]; ანონიმი ავტორი, "ევქსინის პონტოს პერიპლუსი...", 44(3), [57, გვ.229]; ზოსიმე, "ახალი ისტორია," I, 32 [29,

გვ.268]; სტეფანე ბიზანტიელი, "ეთნიკა", ფასისი [25, გვ.286]; აგათია, "ოუსტინიანეს მეფობის შესახებ", III,19,20,21; IV,23[25, გვ.97,98,102, 179]; მენანდრე, "ისტორია," ფრაგმენტი 3 [25, გვ.209]; ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, "ანდრიას ცხოვრება," თავი - "სვანეთი, ფუსტა, აბაზგა, ჯიქეთი" [26,გვ.58]; თეოფანე ქრონიკრაფი, "ქრონიკრაფია...", ფასისის ეპისკოპოს კვირისის შესახებ [26,გვ.101]; გიორგი კვდრენე, "ისტორიული მიმოხილვა...", ფასისის ეპისკოპოს კვირისის შესახებ [27,გვ.28]; ბასილი სოფონელი, "უწმინდესი პატრიარქების ნუსხა," 27 [28, გვ.128,130,139]; ნიკოტა ხიონიატე, "ქრონიკა...", ფასისი სანავსადგურო ქალაქი [30,გვ.132]; ამბროზიო კონტარინი, "მოგზაურობა კავკასიაში...", გვ. 2-3 (მოამბე,1894, გვ.49,50); არქანჯელო ლამბერტის, სამეგრელოს აღწერა [16, გვ.172]; უან შარდენი, "შოგზაურობა საარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში [38,გვ.108].

ქალაქ ფასისის შესახებ უძველესი საყურადღებო წერილობითი ცნობა შემონახულია ძვ.წ. IVს-ის ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის პერიპლუსში - "აზია",81. უმნიშვნელოვანესი ცნობა ქ. ფასისის ადგილმდებარეობის შესახებ დაცულია ძვ.წ.I და ახ.წ. IIს. მიჯნის გეოგრაფიის სტრაბონის "გეოგრაფიაში": "ფასისზე მდებარეობს მის მოსახლე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით (რიონი -გვ.), ტბით (პალიასტომი - გვ.) და ზღვით" (სტრაბონი, XI,2,17). როგორც ვწედავთ ეს აღწერილობა ზედმეტვნით ესდაგება დღევანდელი ქ. ფოთის მდებარეობას. საყურადღებოა აგრეთვე ქ. ფასისის თვითმხილველის, რომის იმპერიის მაღალი რანგის მოხელის, IIს. ავტორის ფლავიუს არიანეს საინსპექციო აღწერაში - "პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო" შემონახული ცნობა: "ფასისში რომ შედისარ, მარცხნივ აღმართულია ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკება"..." "თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მოუდგომლად ადგილის ბუნების მიზევით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს, ორივე ფართოა, წინათ კვდელი თიხისა იყო და ზის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებული.

სამირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იძლაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მოუახლოვდეს და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველო. ხოლო, რადგან ნავსადგური უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთავის, აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია საშსახურიდნ გადამდგარი საშედრო პირებით და ვაჭრებით" (არიანე, "პერიპლუსი...", 9).

ქ. ფასისიდანაა ძვ.წ. IVს. ბერძნულ წარწერიანი ვერცხლის ფიალა (წარწერის შესახებ იხ. ქვემოთ). ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური წერილობითი წყაროები ქალაქ ფასის ხშირად ახსენებენ, მაგრამ მათში გაღმოცემული მონაცემები წინააღმდეგობრივაა; ხშირად, ცნობები ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს. წერილობითი წყაროების ტრადიციის გამარტივებული სქემის მიხედვით ფასისი ძველთაგანვე ქართველური მოსახლეობით დასახლებულ მიწა-წყალზეა იონიიდან გამოსული მიღეოთ-ლების მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონტაქტოდ, სავაჭრო ცენტრად - ემპორიონად დაფუძნებული [შეადარე, 59, გვ.187-256; 60, გვ.322-326; 13, გვ.119-124; 46, გვ.256-274].

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარებიდან - ნამარწუ, ძიგური, სირიაჩქნის ოხოჯე, ნანდევუ, საგვიჩიო (ზურგანი, კონშა), ნაღმიაბიჯი, ჭალადიდი (ზურგა, საბაჟო, ჩხარი), გურიფული, ნაოხვამუ (სოფ. რეკა), ერგეტა და სხვ. [იხ. 44, გვ.34-38 და რუკა] აღბათ ფასისი უფრო დაწინაურდა. მას კომუნიკაციების მიხედვით მოხერხებული ადგილი ეჭირა (კერძოდ, მდ. რიონ-ფასისის დელტა) და ურბანისტულ ცენტრად განვითარდა.

ჰიპოკრატე (ძვ.წ. 460-336წწ.), ზოგი მკვლევარის მიხედვით, ნამყოფია და თვითშილველია მდ. ფასისის მიდამოების [33, გვ.8]. ის თხზულებაში "ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ" მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის შესახებ. კერძოდ - "... ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ მოგითხობთ: ეს შხარე ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტერიანი." "... ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში

აქვთ; ხისა და ლერწმის სახლები აქვეა აგებული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქსა (ალბათ ქ. ფასისში - გ.გ.) [71, გვ.37-42] და სავაჭრო (ემპორიონში) პუნქტებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა... ნავებით, რადგან არზები ბევრია" (პიპოკრატე, "ჰაერთა..." [15]) [33, გვ.45]. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელის მოსახლეობა სპეციალურ სავაჭრო პუნქტში, ფასისის ემპორიონში დადიოდა. პიპოკრატეს ამ ნაწერიდან აგრეთვე, თთქმოს, ისიც ჩანს, რომ ფასისის დელტაში მდგბარე ადგილი (თუკი ის ქ. ფასისია) ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო პუნქტია (წყაროში - ოμატიო) და არა ბერძნული ტიპის ქალაქი, პოლისი. საერთოდ კი ვაჭრობის კონცენტრირება სპეციალურ ადგილებში პროტოურბანისტულ ცენტრზე მიგვანიშნებს. შესაძლოა, რომ ბერძნების მოსვლის შემდეგ, აქედან სავაჭრო საქონლის დისტრიბუციაც ხდებოდა (მაგ. სიმაგრის და საერთოდ მდ. რიონის გაყოლებით ნამოსახლარებზე დადასტურებული ანტიკური, იმპორტული ნაწარმი), რაც მეტ-ნაკლებად მუდმივოქმედი ბაზრის გაჩენას გულისხმობს. ეს კი ქალაქური დასახლების ერთ-ერთი ნიშანია. მდ. ფასისის შესართავთან როცა ბერძნები გამოჩნდნენ, აქ პროტოურბანისტული ცენტრი ფასისი უკვე იყო (გავიხსენოთ, აქ გვიანდრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები). ბერძნებმა ეს პუნქტი აღიქვეს როგორც ქალაქი და სავაჭრო ცენტრი (ემპორიონი). ბერძნებმა ამ სავაჭრო დასახლებასთან დაამყარეს კონტაქტი და დროთა განმავლობაში აქვე გაჩნდა ბერძნული დასახლებაც. ადგილობრივ მოსახლეობასთან ამ კონტაქტების ძირითადი მიზანი ადგილობრივი ნედლეულის გატანა იყო; სანაცვლოდ კოლხეთში სხვადასხვა ფუფუნების საგნები (ნატიფი კერამიკა, სამკაულები, ლითონის ჭურჭელი, ნელსაცხებლები და ა.შ.) შემოპექონდათ. ეს კი ძვ.წ. V ს-ის შემდგომი წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებით დასტურდება. ამდენად, ზღვის სანაპიროზე ემპორიონების წარმოქმნა უცხოელების და ადგილობრივების საერთო ინტერესებში შედიოდა. ფასისში გახსნილი და დაარსებული ბერძნების ახალშენი დროთა განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების შედეგად სიმბიოზს და ცვლილებებს განიცდიდა. ეს ცვლილებები დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივ ბიოგეოგარემოზე და სოციოგარემოზე [7, გვ.3-45].

ძვ.წ. IIIს-დან, კოლხეთის სამეფოს დაშლის მერე ქ. ფასისი თანდათან ანტიკურ ქვეყნებსა და შიდა კოლხეთს შორის ბუფერულ, ეთნიკურად შერეულ, პოლისური ტაბას ქალაქად ტრანსფორმირდა, რომელსაც აღბათ თავისი სასოფლო ტერიტორიაც ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ქ. ფასისის შესახებ ძვ.წ. IIს-ის ავტორის პერაკლიდეს ცნობა ფასისის პოლატაზე, რომელიც აქ გარკვეული წესწყობილების არსებობას გულისხმობს [7,გ.46-87]. მნიშვნელოვანია აგრეთვე შედარებით გვანდელი ანონიმი ავტორის "პერიპლუსში" დაცული ცნობები, სადაც ფასისთან ერთად, კიოტექსტში, ნახსენებია კავკასიის იბერები. შემდგომ აღნიშნულია: "მდინარის შესასვლელთან, ფასისის მარცხენა ნაპირზე, მოთავსებულია მილეტელთა მიერ დაუუძნებული ელინური ქალაქი ეგრეთ წოდებული ფასისი, რომელშიაც, როგორც ამბობენ, თავს იყრის სამოც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი. მათ რიცხვში, გაძმოცმით, იმყოფებიან ინდოეთიდან და ბაქტრიიდან მოსულებიც" (Vს. ანონიმი, 3).

მაგრამ, ქ. ფასისის შესახებ ეს რმძღნადმე შემაჯდებული წერილითი წყარო, ეტყობა ძვ.წ. IIIს-ის შემდგომ პერიოდს ეხება. ეწ. დიდი ბერძნული კოლონიზაცია ძვ.წ. VIII-VII სს-ში ქ. ფასისის არ შეხებია [შეადარე, 3, გ.7-21; 13; 59, გ.187-256; 60, გ.25-33; 74]. მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელზე არქეოლოგიურად აღმოჩენილი ნამოსახლარები (ჩამონათვალი იხ. ზემოთ) ამას მოწმობს. აქ უცხოური ნაწარმი ეწ. კოლონიზაციის ეპოქაში არ ჩას, ხოლო ძვ.წ. VI-VIIს. იმპორტული ნაწარმი მცირეა და სულ, დაახლოებით ასი ერთეულით (კერამიკის ნატეხები) განისაზღვრება. ამიტომ აქ რაღაც ინტენსიურ ბერძნულ "საკოლონიზაციო" მოქმედებებზე საუბარი ჯერჯერობით სრულად უსაფუძლოა. რაც შეეხება წერილით წყაროებს, აღბათ შესაძლებელია, რომ ძვ.წ. VI-ში ადგილობრივ ქ. ფასისთან ან ფასისში, მდ. რიონის დელტაში, ბერძნების მცირე სავაჭრო დასახლება (ემპორიონის მსგავსი) ვიგულისხმოთ. დაახლოებით ისეთი როგორიც, შემდგომ XIV-XVსს-ში ფოთ-ფასისში გენუის სავაჭრო ფაქტორია იყო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ძვ.წ.VIII-VI და გნებავთ IVს-მდე ფასის-ფოთის მიდამოებში და მთელ კოლხეთში რამე დიდი ცვლილება არქეოლოგიურ კულტურაში (კერამიკულ და მეტალურგიულ წარმოებაში,

არქიტექტურაში, იდეოლოგიაში, დაკრძალვის წესში და სხვ.) არ შეიმჩნევა. ხსენებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი სოციუმი როგორც ცხოვრობდა ისევ ისე ცხოვრობს; არ ჩანს ბერძნული კულტურის რაიმე ზეგავლენა მოსახლეობის ყოფაში.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ფასისის ადგილმდებარეობა ანტიკური წერილობითი წყაროების მიხედვით ზოგადად განსაზღვრულია (იხ. სტრაბონი, არიანე), დღეისათვის მეცნიერების წინაშე ისევ დგას მისი ზუსტი ლოკალიზების პრობლემა, რადგან კლასიკური და ელინისტური ხანის ქალაქი არქეოლოგთურად არ არის დადასტურებული. სამყიროდ აღმოჩენილია ადრებიზანტიური ხანის ფასისის ნაშთები (იხ. ქვემოთ) [6, გვ.97-117; 10, გვ.101].

ფასისის ლოკალიზება-ტოპოგრაფიის შესახებ გამოიქველია შემდეგი მოსაზრებები: პირველი— ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე თვლის, რომ რომაული ხანის ფასისი მდებარეობდა სოფ. ჭალადიდსა და ფოთს შორის. კერძოდ, ხსენებულ მონაკვეთზე, ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე) მან აღმოაჩინა ნაციხარის ნაშთები, რომელიც არიანესეულ ფასისად მიიჩნია [72, გვ.63-80]. მეორე— თ. ბრუნის აზრით ფასისი პალიასტომის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში მდებარეობდა [47, გვ.250]. მესამე— ნ. შაფრანოვის მოსაზრებით ფასისი პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაპირზე, მდ. სუფსის შესართავთან იყო განლაგებული [65, გვ.3]. მეოთხე— ლ. ელინიკების აზრით ფასისი უნდა მდებარეობდეს მდ. რიონის შესართავის მარცხნა ნაპირზე დაახლოებით იქ, სადაც დღეს საზღვაო პორტი მდებარეობს [53, გვ.319]. მეუთხე— მ. ბერძნიშვილის მოსაზრებით ფასისი მდებარეობდა მდ. რიონის მარცხნა ნაპირზე პატარა ფოთთან, ხოლო არიანეს დროინდელი კი იქ, სადაც დიუბუა დე მონპერე მიუთითებს [2, გვ.19-20]. მეექვსე— ბ. კუფტინის აზრით არიანეს დროინდელი ფასისი მდებარეობდა პალიასტომის ტბის შენაკადის მდ. ფიჩორის ნაპირზე [55, გვ.116]. მეშვიდე— ნ. ხოშტარია თვლიდა, რომ ძველი და რომაულ-ბიზანტიური ხანის ფასისი დღევანდელი ქ. ფოთის ადგილზე მდებარეობდა [41, გვ. 33]. მერვე— ნ. ლომოური იზიარებს დიუბუა დე მონპერეს მოსაზრებას ოღონდ თვლის, რომ ის აგათიას (ახ.წ. VII.)

დროინდელი ნაქალაქარია [58,გვ.96-99]. მეცხრე— გ. გრიგოლია უიქრობს, რომ ფასისი საძებნელია პალიასტომის აღმოსავლეთ მხარეს, სადაც მდ. ფიჩირი ერთვის ტბას [12, გვ.54]. მეოთე პალეოგეოგრაფ ჯ. ჯანელიძეს აზრით ქ. ფასისი მდ. რიონის ხეობის გასწვრივ, ზღვიდან 6 კმ-ზე, პატარა ფოთის და სოფ. ჭალადიდის ირგვლივ ტერიტორიაზე უნდა ვეძებოთ [43, გვ.5-16]. მეორეობები— ოთ. ლორთქიფანიძე და ო. მიქელაძე წერილიბითი და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების შედეგად მივიღნენ იმ დასკვნამ-დე, რომ "ფასისის სახელით ცნობილი სხვადასხვა ეპოქის ქალაქები უნდა ვაკვლიოთ იმ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის გზით, რომლებიც განლაგებულია მდ. რიონის შესართავის აუზში ქვემო-ჭალადიდს და ზღვის სანაპიროზე გრიგოლეთ-ყულევს შორის მოქალაქეულ ტერიტორიაზე" [19, გვ.33]. მეოთომეტე— გ. გამყრელიძეს მოსაზრებით III-VIIIსს. ფასისია ეწ. "ნატეხების" ნამოსახლარი, რომელიც აღმოჩნდა ფოთის სამხრეთ ნაწილში, პალიასტომის ტბის დასავლეთ მონაკვეთში. ვთვლით, რომ ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო, ყულევის მდ. რიონის, ფიჩირის და სუვასას შორის მდებარე მონაკვეთში ფასისის ნაწილი ხშირად ხვდებოდა წყალში (ან ტორფიან ჭაობში); ამიტომ ქალაქი, მოცემული მონაკვეთის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა [6,გვ.9.7-117; 9,გვ.22; 10,გვ.101].

ქ. ფასისი ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო მაგისტრალის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო [3,გვ. 99-119; 48,გვ.7-8]. ქ. ფასისის საშუალებით უცხოეთში გადიოდა ოქრო, რკინა, საამშენებლო ხე, სელი, სელის ზეთი, თაფლი, ღვინო, მოვაინგბით ნავთიც და სხვ. [3, გვ.53-59; 8,გვ.26-32]. ფასისის საზღვაოთ არის ევროპულ ენგბში ცნობილი "ფასისური ხოხობი" (ფაზანი), რომელიც აგრეთვე დიდი რაოდენობით გაჰყავდათ ქალაქის სანახებიდან. ელინისტურ და რომაულ ხანაში გაიზარდა ფასისის, როგორც სატრანზიტო-სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა.

ძვ.წ. 66წ. ფასისთან შეხვდნენ ერთმანეთს იბერიიდან გადმოსული პომპეუსი და რომაულების სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელი სერვილოუსი, რომლის ფლოტიც ზღვიდან კეტავდა და აკონტროლებდა ქალაქს. აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში რომაულების გავლენის

გამლიერების შემდეგ ფასისში ჩადგა რომაული სამხედრო გარნიზონი. სწორედ ამ გარნიზონის სამხედრო-საფორტიფიკაციო მზადყოფნას ფასისში აღწერს 134წ. იმპერატორ ადრიანეს ინსტატორი ფლავიუს არიანე. ამ მხრივ საყურადღებოა ლათინური დამღა, რომელიც ფასისში განლაგებული სამხედრო ნაწილისა უნდა იყოს [39, გვ.134-140]. ციხე-სიმაგრე ფასისი, იმპერატორ კონსტანტინე I-ის ადმინისტრაციული მოღვაწეობისას იხსენიება. IVს-ის ფასისში უმაღლესი რიტორიკული სკოლა იყო განლაგებული. IVსაუკუნისათვის ფასისი ლაზიკის (ახალი კოლხური სამეფოს) შემადგენლობაში შედიოდა. 542-562წწ. ბიზანტია ირანის ომს დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ ფასისთან მოხდა, რომელშიაც ბიზანტია-ლაზიკის გაერთიანებულმა ჯარმა დაამარცხა ირნელები. VI—VIII სს-ში ფასისში იყო კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებული საეპისკოპოსო. ფასისელ ეპისკოპოს თეოდორეს ხელმოწერა შემორჩენილია 553წ. მსოფლიო საკლესიო კრების გადაწყვეტილებაზე. ერთ-ერთი ფასისელი ეპისკოპოსი კვირისა დაწინაურებულ იქნა ალექსანდრიის პატრიარქად. შემდგომში ფასისში რეზიდენცია ჰქონდა ლაზიკის მიტროპოლიტის. XIVს-ში ფასისში მდებარეობდა გენუის სავაჭრო ფაქტორია (იხ.ზემოთ ჩამოთვლილი წერილობითი წყაროები).

ფოთი-ფასისის და მისი მიდამოების არქეოლოგიურ კვლევას კარგა ხნის ისტორია გააჩნია. კერ კიდევ 1834წ. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე), ადგილ "ნაჯიხურთან" ციხე-სიმაგრის ნაშთები აღმოაჩინა, რომელიც არიანეს დროინდელ ფასისად მიიჩნა. მან ამ ციხის ნასაზიც შეადგინა [61, გვ.63-80]. 1953წ. 6. ზოშტარიამ მცირე არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარა ქ. ფოთის მიდამოებში [41, გვ.30-33]. 1961-65წწ.-ში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია იკვლევდა ფოთის შემოგარენს; არქეოლოგიურთან ერთად ჩატარდა გეოლოგიური ბურღვებიც. 1969წ. ამავე ინსტიტუტის დასავლეთ საქ. საბიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვები აწარმოვა ადგილ ნაჯიხურის ახლოს. 1971-80წწ. ფასისის არქეოლოგიის საკითხებს იკვლევდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია

(ხელმძღვანელი თ. მიქელაძე). 1985წ-დან ფოთში კვლევა-ძიებას აწარმოებს საქართველოს მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შევიზღვისპრეზის პიდროარქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე), რომელმაც პალიასტომში III-VIIსს-ის ნამოსახლარის ნაშთებს მიაკვლია.

დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემი ადგილ ნატეხებთან პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფერნებში დადასტურდა. აქ აღმოჩნდა ძვ.წ. IVს-ის ატიკური შავლაგიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და როდოსული ამფორის ძვ.წ. IIIს-ის ძირი [48, გვ.35, სურ.5,6]. ქ. ფოთის მიდამოებში (ზუსტი ტოპოგრაფია უცნობია) აღმოჩნდა ძვ.წ. Vს. კოლხური თეთრის 2 ცალი დიდრაქმა (IIტიპის) და რამდენიმე სხვა უფრო მცირე ნომინალი (ინახება საქ. მუზეუმში). ფოთში, პირველი მასის და კავკასიის ქუჩების გადაკვეთაზე გეოლოგიური ბურღვის შედეგად 6 მ-მდე სიღრმეზე აღმოჩნდა სინოპურის მსგავსი ძვ.წ. II-IIIს-ის კერამიკის ნაშთები [21, გვ.18-19]. მალთაყვასთან და სუვისასთან, ზღვაში ძვ.წ. IVს-ის პონტოს პერაკლეის და სინოპის ამფორები აღმოჩნდა.

ფოთის შემოგარენში სამოსახლოს კვალი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ჭალადიდში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს (1,5კმ-ზე ჩრდილოეთით), ფოთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ნ. ყიფიანის ნაკვეთში. ბორცვის ფართობი 1800კვ-მ; აქ გაითხარა შემდეგი ფენები: მოყვითალო ქვიშანარევი თიხნარი; მოყვითალო თიხნარი; დამწვარი ბათქაშიანი და ძელებიანი ნაგებობების ნაშთები. ნამოსახლარის შუა და ქვედა ფენა განისაზღვრა გვანბრინვათ-ადრერკინის ზანით. ნამოსახლარზე ძირითადად აღმოჩნდა კერამიკა: ქოთხები, ჯამები, თასები. ისინი უმეტესად შეგულია შვერილებიანი დამახასიათებელი ფურებით. კერამიკა ძირითადად მოშავოა. ისინი შემგულია ირიბ ჭდებიანი, ტალღოვანი რომბისებური ორნამენტით. აქვე აღმოჩნდა ყალიბი, ქვის ხელსაფქვავი, კვირისთავები, ნამგლის ჩასართავები. ქვემო ჭალადიდის "საბაჟოს" მონაკვეთზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ა. ბერიძის კარმიდამრშიც. ნამოსახლარებზე, განათხარში აღმოჩნდა ნაგებობების დამწვარი ძელების და ბათქაშების ნატეხები.

კერამიკის გარდა აღმოჩნდა მეტალურგიული ქურის საბერველი მილი და ყალიბი [21, გვ.33-40]. მეორე სამოსახლო, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქ. ფასის სასოფლო გარეშემორტყმად, აღმოჩნდა სოფ. საქორქიოს აღმოსავლეთ ნაწილში, "სიმაგრეს" სახელწოდებით ცნობილ მონაკვეთში, ფ. ფაციას საკარმიდამოსთან, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. "სიმაგრეს" ბორცვი 3300კვ-ს მოიცავს. აქედან ჯერჯერობით არქეოლოგიურად შესწავლილია 200კვ.მ. ბორცვის ქვემო მოშაო ფენაში (60სმ.) აღმოჩნდა ზის ნაგებობა. აქ რამდენიმე სამშენებლო დონეა. "სიმაგრის" ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა ძვ.წ. VI-Vს თარიღდება. "სიმაგრის" ნაგებობები ოთხეუთხაა და ძელების წყობითაა ჯარგვალურად ნაგები. დადასტურებულია წნული ღობების ნაშთები. აღმოჩნდა ნაგებობების იატაკები. ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთები 112კვ.მ. მასში არის ტიზრები. ნაგებობის კედლების ძელები ძირითადად ერთმანეთში ჩაჭდომის წესით არის ნაგები. აღმოჩნდა ასეთი კედლის ძელების ექვსი რიგი.

სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ძვ.წ. VI-Vს კერამიკა. აღსანიშვანია, რომ ადგილობრივი დიდად სჭარბოს უცხოურ არქეოლოგიურ მასალას. აღმოჩნდილი ადგილობრივი კერამიკა ყველა არქეოლოგიურ ფენაში ტიპოლოგიურად ერთნაირია. კერამიკა დამახასიათებელია ძვ.წ. VI-Vს კოლხეთისათვეს. აღმოჩნდა – სამუერნე: ქვევრები, დერგები; სამზარეულო: ქოთნები, ქოთნის სარქველები, სამძისები, ყურმილიანი ხელადები, კოჭები, ლანგრები, ჯამები. დადასტურდა - კონუსური ფორმის კვირისთვები; ბრინჯაოს დანები; რკინის შუბისპირები; რკინის თოხები; რკინის დანები; ანკესები; რკინის ლაგმები; წაგრძელებული ფორმის ქვის ხელასფერავები; ზის ციცხვები; სარდიონის და გიშრის მძივები; ოქროს სამუელს საკიდი, რომელზედაც ცვარათი შესრულებულია მეანდრის ორნამენტი. უცხოური კერამიკიდან: ამფორები - ქიოსური, ლესბოსური, სამოსური; სუფრის ჭურჭელი წარმოდგენლია თონური კერამიკით - ჯამები, ჭრაქები და კილიკები; შავლაკაიანი და შავფიგურული ატიკური ჭურჭელი - კილიკები. მდ. რიონის მარცხენა ტერასის გაყოლებით ზღვიდან დახლოებით 9 კმ-ზე, აღმოჩნდა ძვ.წ. V-IVს-ის ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობები. არქეოლოგიური მასალა აქ წარმოდგენილია კოლხური კერამიკით – ქოთნები, კოჭები,

სარქველები, ყურმილიანი ღოქები და სხვ. ელინისტური ხანის არქოლოგიური მასალა აღმოჩნდა სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით. აქ ზედა ფენაში დადასტურდა ქედებიანი ქვევრების და კოლხური ამფორების ნატეხები. აღმოჩნდა აგრეთვე სინოპური ამფორის ძირები [21, გვ.50-78].

ფოთის სანერგის ნაკვეთზე, რომელიც ფოთის აეროპორტის ჩრდილო-აღმოსაველეთით არის, აღმოჩნდა აღრუელი შუა საუკუნეების ორი წელშეზენექილი ადგილობრივი ამფორა. აქვე დადასტურდა ოთხკუთხა, დიაგონალურად ურთიერთმკვეთი, ორლარიანი აგურები. არქოლოგიური მასალა აღრუელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. აქვე, ფოთის აეროდრომის მიდამოებში, ადგილ ნაჯიხურის ჩრდილოეთით გაჭრილ თხრილში აღმოჩნდა: აგურის და კამიტის ფრაგმენტები; გოფრირებულ ზედაპირიანი ამფორის ნატეხები; იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ) სახელით ქ. კესარიაში მოჭრილი ვერცხლის დიდრაქმა [12, გვ.44].

სიმაგრის ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300მ-ზე, მდ. რიონის მარცხნა ნაპირზე აღმოჩნდა სამორონის ნაშთები. აქვე დადასტურდა ქვით, აგურით და კირჩსნარით აგებული შენობის ნაშთები. აღმოჩნდა ურთიერთმკვეთ ღარებიანი აგურები, ცალყურა ხელადები, კათხები, ორყურა ქილები, ჯამები. ჭურჭელი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და ღია მოყავისფროდაა გამომწვარი. არქოლოგიური მასალა აღრუელი შუასაუკუნეებისაა.

ფოთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, პალიასტომის ტბასთან, ქალაქის შემოსავლელი გზის, კაპარჭინაზე ახალი ხიდის შენებლობის ადგილზე, აღმოჩნდა აღრუელი შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრის წვეტიანი ძირები, ჯამები, წელშეზენექილი ამფორების ნატეხები). პალიასტომის სამხრეთ-აღმოსავლეთ შენაკადის თხორინას შესართავთან ნაპოვნია გოფრირებული ამფორა. აღრუელი შუა საუკუნეების ამფორების ნატეხები ნაპოვნა, აგრეთვე, მდ. ფიჩორის პალიასტომთან შერთვის მონაკვეთშიც [6, გვ.98-104; 48, გვ.33-34]. აღრუელი შუა საუკუნეების კერამიკა აღმოჩნდა ქ. ფოთის დღვენდველი აეროდრომის ტერიტორიაზე, ადგილ "ნაჯიხურში" (დიუბუა დე მონპერეს მიკვლეული). კურძოდ: ურთიერთგადამკვეთ ღარიანი აგურები, გოფრირებული კერამიკის ნატეხები.

"ნაჯიხურიდან" სამხრეთ-დასავლეთით მდ. შავის პალიასტომთან შესართავთან, აგრეთვე, აღმოჩნდა აღრუელი შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვეპრები, გოფრირებული ამფორები და სხვ.).

ფასისთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლია შემორჩენილი: ბერძნულ წარწერიანი ვერცხლის ფიალა, რომელიც აღმოჩნდა ყუბანში, ე.წ. ზუბოვის-ყორლინში (ინახება ს.-პეტერბურგში, "ერმიტაჟში"). ფიალის დიამ. 21სმ-ია; ფსკერი ამობურცულია; გამოსახულია გველი და ორმის თავები; პირზე აქვს წარწერა – ἈΠΟΛΛΩΝΟΣ · ΉΓΕΜΟΝΟΣ · ΕΙΜΙ · ΤΟΜ · ΦΑΣΙ · "აპოლონ წინამდღოლისა ვარ, რომელიც ფასისშია". შესრულებულია ბერძნული ენის ონიურ დაღლებტჭე, პალეოგრაფიულად IVს-ით თარიღდება [37, გვ.235-236; 71,სურ.7-11; 73, გვ.199-216]. ლათინურ წარწერიანი დამდა ფილაზე აღმოჩნდა სოფ. ციხისმირის ნაციხარზე (ინახება საქართველოს მუზეუმში) "VEX.FA", "VEX[illatio]FA[siana]" ვექსილაციო ფასიანა", რომელსაც ქ. ფასისში III-ში მდგარი სამხედრო ნაწილისათვის დამზადებულად მიიჩნევენ [39, გვ.134-140]. ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ადგილ "ნატეხებში" აღმოჩნდა წელშეზნექილი ამფორა, რომელზეც ბერძნული გრაფიტოა. ამფორა VIIს. თარიღდება. ინახება ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში [6, გვ.115]. ზღვაში სუფასის კანიონთან აღმოჩნდა სინოპური გრაფიტოიანი ამფორა. ფოთიდან, პალიასტომის ტბის მიდამოებიდან, არის ქართულ (მხედრულ) წარწერიანი ბარძიმი, რომელიც ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება (ინვ.№3788).

1985წელს საქართველოს მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შეიქმნა შავიზღვისპირეთის შემსწავლელი ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია (გ. ვამყრელიძე). ექსპედიციას პირველ რიგში დაევალა საქართველოს ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური რუკის შედგენა. ამისათვის საჭირო შეიქმნა ჰიდროარქეოლოგიის თვალთახედვით წერილობითი წყაროების, პალეოგრაფიულ-გეომორფოლოგიური მონაცემების ხელახალი გადასინვევა-შეკვერება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ზღვისპირეთის ერთ-ერთი საინტერესო უბანია ფოთი და მისი შემოგარენი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ჰიდროარქეოლოგიური

სამუშაოების ფოთში დაწყება. პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაწილში, კაპარჭინას ბოლოში, აღვილ "ნაეკლესიარზე" რიყის ქვებით ნაგები კედლის ნაშთები აღმოჩნდა.

პალიასტომში, ზღვის შესართავიდან (მალთაყვა) ნახევარ კილომეტრზე, ტბის დასავლეთ ნაწილში დადასტურდა III-VIIIსს. ნამოსახლარის ნაშთები. ხსენებულ პუნქტში (ტოპ. "ნატეხები") ტბა ქნის მცირე ყურეს. პალიასტომის ადგილი - "ნატეხების" არქეოლოგიური შესწავლის დაწყებისთანავე წამოიჭრა საკითხი: ეს კერამიკა აქ ჩამორეცხილია მდინარე რიონის მიერ (წინათ რიონის ნაწილი პალიასტომს ტბას ერთვიდა), თუ ნამოსახლარის ნაშთებთან გვაქვს საქმე. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პუნქტ "ნატეხების" ძველი ნამოსახლარია. ამას მოწმობს: პირველი - აღმოჩნდა დადი რაოდენობით კერამიკის ნაშთები ერთ გარკვეულ ფართობზე; მეორე - ვერტიკალურად ჩადგმული რაოდენიმე ამფორა; მესამე - აღმოჩნდა სამარხის ნაშთი; მეოთხე - ნაპირზე გაჭრილ ხუთ სადაზვერვო თხრილში დაფიქსირდა ისეთივე სახის კერამიკა, როგორიც ტბის ფსკერზე.

"ნატეხების" ძველი ნამოსახლარის ნაშთები დაახლოებით ცხრას კვადრატულ მეტრზე ვრცელდება. ტბის ფსკერი ქვიშიანი და თიხიან-ტორფიანია. მოცემულ მონაკვეთში ნაპირიდან ცენტრისკენ, დაახლოებით სამასი მეტრი სილა-ქვიშნარია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. ზოგან ტორფის ფენა ქვიშის ფენის ქვეშა. გამორიცხული არ არის, რომ თიხა-ტორფიან ქვედა ფენებში უფრო ძველი პუნქტი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდეს. პალიასტომის ტბის ფართობი თვრამეტი კვადრატული კილომეტრია. ზღვისა და ტბის დონე თანაბარია. პალიასტომს დაჭაობებული შემოგარენიდან მომდინარე მდინარეები ერთვის. ამათგან კველაზე წყალუხვია მდ. ფიჩორი.

გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიეფია. ძველად აქ მდ. რიონის ლიმანი იყო [54, გვ.57-59; 40, გვ.25-33]. სრულიად ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ნავთსაყუდელი მდებარეობდა, გემები შემოსულიყვნენ. გემები შემდეგ პალიასტომის გავლით რიონზე აღმა აგრძელებდნენ სვლას,

რომელიც მაშინ ცნობილი სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო (სტრაბონი, XI, VII, 3).

აგათია ფასის-პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს: "იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება; ეს ტბა არჩის საშუალებით გადმოუშვეს აქ და სწრაფად აავსეს წყლით (შესაძლოა კაპარჭინა -გ.გ.). სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად" [25, გვ.102].

ტოპონიმი პალიასტომის შესახებ საგულისხმო მოსაზრება აქვს გმოთქმული ფრედერიკ დოუბუა დე მონპერეს, რომელიც პალიასტომის სახელს ძველი ბერძნულის მოშველიებით შემდეგნაირად ხსნის - ძველი შესართავი (πάλαιος-στήμα) [72, გვ.71] (მდ. რიონის?). იგივე აზრისაა კარლ კონი [15, გვ.173]. საფურადლებოა, რომ სტრაბონი მდ. ფასისის შესართავის მიმართ უმეტეს შემთხვევაში ხმარობს λῆμνη -ს (დამდგარი წყალი, ჭაობი, წყალსაცვა, ლიმანი, ტბა, ზღვის ყურე). მაგრამ იგი ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს στήμα -საც (στήματος) [32, გვ.86], რომელიც შესართავს, ყურეს, შესასვლელსაც ნიშნავს. ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებში ზოგჯერ ამ ორ სიტყვას ერთად ხმარობენ - στήμα - ლიმანი (ლიმანი, ყურე) [51, გვ.1508, 1509]. ამდენად, ისინი რამდენადმე სინონიმური მნიშვნელობის არიან. საინტერესოა აგრეთვე, რომ სიტყვა στήμატა-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა არის ციხე-სიმაგრე. ამ შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო პალაიოს-სტემატა (მეელი ციხე-სიმაგრე) პალიასტომი // პალიასტომობა.

პალიასტომში ადგილ "ნატეხების" ნამოსახლარზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვნად წარმოდგნილია კერამიკული ნაწარმა. ის სხვა სახის არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად წარმოდგენას გვიქმნის "ნატეხების" ძველი მოსახლეობის ცხოვრებაზე, სავაჭრო ურთიერთობაზე. პალიასტომში ("ნატეხებში") აღმოჩენილი კერამიკა დანიშნულების მახვდვით ნაწილდება - სამშენებლო, კერამიკული ტარა და სამეურნეო-საოჯახო.

სამშენებლო კერამიკა წარმოდგნილია კრამიტით და აგურით. ნამოსახლარზე დადასტურებული აგური ოთხგუთხა და სისქე 3სმ-დან 5 სმ-დება; აგურები ზომებით ისეთივე, როგორიც დასავლეთ საქართველოს

ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე - ბიჭვინტა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა, ნოქალაქევი, მთისძირი, ვაშნარი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ციხისძირი, გონიო და სხვ. ნამოსახლარზე დადასტურდა ბრტყელი გვერდებაკეცილი (სოლენისებური) კრამიტი. გადანაკეცის სიმაღლე 3,5 სმ-დან 5 სმ-მდეა, სისქე კი 1,5სმ-დან 2,5სმ-მდე. კრამიტის თიხა მოწითალო-მოყავისფროა და ეტყობა მინარევები (კირქვა, კვარცი). აქ ადგილობრივის გარდა აღმოჩნდა უცხოური ბრტყელი კრამიტის ნატეხებიც. ამ კრამიტების თიხა სინოპურს ჰგავს. სამშენებლო მასალიდან აგურის და კრამიტის გარდა ნამოსახლარზე ზის ძელების და დაწმვარი თიხის (ბათქაში) ნაშობია აღმოჩნდა. გამორიცხული არ არის, რომ აქ აგურით ნაგებ პირველ სართულზე ძელებიანი თიხით შელესილი და კრამიტით დახურული ნაგებობები იდგა. ფლავიუს არინე აღნიშნავს, რომ ფასისში "წინათ კედელები თიხისა იყო და ზის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებული" [1, გვ.40].

ძველი "ნატეხების" ჭურჭლის უმეტეს, შეიძლება ითქვას, მირითად ნაწილს შეადგნს ე.წ. კერამიკული ტარა ამფორების სახით. "ნატეხების" წელშეზნექილი ადგილობრივი ამფორები ყველაზე მეტ სიახლოვეს იჩენს ნოქალაქევში გათხრილებითან. საერთოდ ამ სახის ამფორები დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის - ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე: სოფ. განთიადი, ბიჭვინტა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა, მთისძირი, ციხისძირი, ვარდციხე, ქობულეთ-ფიჭვნარი.

სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით, ჯამებით, ლუთერიიბით და დოქტერით. ქოთნები სადა, მუცელგამობერილი და მოკლეყელინია. მათ პირი გადაშლილი აქვთ. კედლის სისქე 6მმ-დან 8მმ-მდეა; მირის დიამეტრი 7სმ-დან 10სმ-მდეა. ქოთნებს ფსკერზე ეტყობა წრიული ღარები. ძველი "ნატეხების" სამზარეულო კერამიკაში მეორე ჯგუფს რაოდენიბის მხრივ შეადგენს ჯამები. აქ მირითადად გვხვდება კალთამომრგვალებული ბრტყელიძირა დაბალი ჯამები. ნამოსახლარზევე აღმოჩნდა ლუთერიის ტუჩ-კედლის ფრაგმენტები კეცის სისქე 8მმ-დან 10 მმ-მდეა. თიხა მოყავისფროა, მინარევებიანი (კირქვა, ქარსი, კვარცი). თიხის მიხდვით ადგილობრივი ნახელავია. ადგილობრივი წარმოების ლუთერიები

ნანახია - ვარდციხეში, ვანში, ბიჭვინტაში, ოჩამჩირეში, გუდავაში, ნოქალაქეში, მთისძირში და სხვ. სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვევრებით. კედლებზე შეიმჩნევა კონცენტრული რელიეფური საზები. ქვევრების თიხა მუქი ყავისფერია. ქვევრის მირები ბრტყელია და მათი დიამეტრი 12სმ-დან - 16სმ-მდეა. კედლის სისქე 16-19მმ-მდეა.

პალიასტომის ტბის აღგიღ "ნატეხების" არქეოლოგიური შესწავლის შედეგად აღმოჩენილი მასალის ერთი ნაწილი, კერძოდ, უცხოური კერამიკა (მთელი არქეოლოგიური მასალის დაახლოებით 25%) ზოგად წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის საგარეო ურთიერთყავშირზე. ეს უცხოური ნაწარმი წარმოდგენილია პირველ რიგში ამფორებით, საოცახო მოხმარებისათვის განკუთვნილი წითელლაგანი ჯამების ნატეხებით და მინის ჭურჭლით. ამფორის ნატეხებიდან უმრავლესობა სინოპური თიხის მსგავსია. მათი თიხა ღია მონაცრისფროა და თან ოდნავ ისფერი დაპკრავს. ამგვარი თიხის ამფორები ძირითადად წარმოდგენილია ძირების, კედლების და ყურების სახით. უმეტესობისათვის დამახასიათებელია ტანის დაღარულობა. სინოპურის მსგავსი თიხის ამფორებში ფორმის მიხედვით გამოიყოფა რამოდგნიმე ჯგუფი. ზემოხსნებული თიხისნაირი ამფორები აღმოჩენილია - ბიჭვინტაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდავაში, ციხისძირში, წებელდაში და სხვ. ნამოსახლარზე ცალკე გამოიყოფა ღია მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი ამფორები, რომლებსაც კარგად განლექილი თიხა აქვთ. ისინი საშუალო ზომის ამფორებს მიეკუთვნებიან. ამნაირი ამფორები ნანახია ბიჭვინტაში, ციხისძირში. მსგავსი ამფორები აღმოჩენილია ათენის აგორაზე. არ არის გამორიცხული მათი ხმელთაშუაზღვური წარმოშობა. მივაკვლიერ გოფრირებული ამფორების ნახევარსფეროსებურ ძირებს, რომლებსაც წვერზე პატარა ბურცობები აქვთ. მათი თიხა ძირითადად მოყავისფრო-მოწითალოა. ამგვარი ძირები ბიჭვინტაში, წებელდაში, სოხუმში და ციხისძირშიც არის ნაპოვნი. ყურადღებას იპყრობს სამოსური ამფორების ძირები. დასავლეთ საქართველოში სამოსური ამფორები დადასტურებულია ბიჭვინტაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ციხისძირში, წებელდაში, ნოქალაქევში და ზღვის სანაპიროდან დიდი მანძილით დაცილებულ ვარდციხეშიც.

"ნატეხების" კერამიკულ ტარაში ცალკე გამოიყოფა მოყავისფროდ გამომწვარი ამფორები; შეიმჩნევა ქარსის უწვრილესი მინარევები. ამგვარ ამფორებს გრძელი და ვიწრო ყელი აქვს; პირის კიდეზე ლილვისებური წიბო დაუყვება. ყურები პირის კიდესთან ახლოა და ჰორიზონტალურად არის მიმაგრებული. ხსენებული სახის ამფორები ფორმით ძალიან ჰგავს ჩრდილო შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე II-IIIსაუკუნის ფენებში ნანახ ამფორებს. საქართველოს შავიზღვისპირეთში ისინი ჯერჯერობით ნაკლებად არის გამოვლენილი. სამოსახლოზე წითელლაკიანი კერამიკის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა. მათი პირის კიდე შიგნით არის გადახრილი, სადაა, კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული. თიხა თანაბრადა გამომწვარი და ბაცი მოყავისფროა. მასში შეიმჩნევა ქარსის უმცირესი მინარევები. წითელი ლაგი საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი. ამნაირი ჭურჭელი დასავლეთ საქართველოს IV-Vსს-ის ფენებში გვხვდება: გონიოში, ციხისძირში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ბიჭვინთაში, ნოქალაქევში, ქუთაისში, წებელდაში, მთისძირში და ა.შ. საყურადღებოა, რომ ასეთი კერამიკა დიდი რაოდენობით არის ზღვისპირეთში (მაგ. სოხუმი, ბიჭვინთა და ა.შ.).

სამოსახლარის არქეოლოგიური მასალის კიდევ ერთ ჯგუფს ქმნის მინის ნატარმი, რომელიც ძირითადად ფეხიანი სასმისებით არის წარმოდგენილი. ე.წ. მინისფეხიანი სასმისების გარდა აქ აღმოჩენილია რაღაც სხვა ჭურჭლების (მათი ფორმების განსაზღვრა ჭირს) და სასარკმლე მნის ნატეხები. მინა ძირითადად გამჭვირვალება და ღია-მომწვანო ელფერისაა, მაგრამ მოცისფრო ფრაგმენტებიც გვხვდება. ასეთი მინის ნატეხები გათხრილია წებელდაში, გუდავაში, მთისძირში, სოხუმში, ნოქალაქევში და სხვ. მსგავსი ფეხიანი სასმისები IV-VIIIსს-ით თარიღდება და ბეკრია ნაპონი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა და შავიზღვისპირა ნამოსახლარებზე. ისინი, აგრეთვე, ნანახია სანაპიროდან დაცილებულ მცირე აზის, კაგასისის, მაზლობელი აღმოსავლეთის რეგიონებში. მინის ფეხიანი სასმისები საქართველოში დადასტურებულია მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში, ჟინვალში, თბილისში; ბიჭვინთაში, სოხუმში, წებელდაში, ოჩამჩირეში, გუდავაში, ციხისძირში, ვაშნარში, მთისძირში, ვარდციხეში და სხვა აღრეული შუასაუკუნეების ნამოსახლარებზე. მათ ფერში და ფორმაში

შეიმჩნევა განსხვავებები. შედარებით უფრო მსგავსია საქართველოს ზღვისპირეთის სამოსახლოების მინის სასმისები.

"ნატეხების" წყალში მოქცეული ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ორმოსამარხის ნაშთებია. აქ დადასტურდა წელშეზნექილი ამფორა, რომელსაც თავი წატეხილი და ზემოდან მეორე ღარებიანი ამფორის ქვედა ნაწილი პქინდა დამსხობილი. ამფორაში ფრინველის და ღორის დამწვარი ძვლები იყო. ამფორასთან ადამიანის ძვლები აღმოჩნდა. სამარხში დადასტურდა შემდეგი ნივთები: ბრინჯაოს საკინძი; სიგრძე- 7,7სმ; ბრინჯაოს მშვილდასაკინძი; სიგრძე- 4,3სმ; ბრინჯაოს მშვილდასაკინძი; სიგრძე- 4,3სმ; ბრინჯაოს მშვილდასაკინძი; სიგრძე- 5,2სმ. ამგვარი ფიბულები, რომლებსაც ჭვინტიანებს ეძახიან VII-ით თარიღდება; ტყვიის ბრტყელი ოთხეუთხა ფილა. მინის ფეხიანი სასმისი, ქუსლის ღმ- 4,3სმ. ბიზანტიური 20ნუმიანი სპილენძის მონეტა; ზურგზე გამოსახული აქვს "K", შუბლის მხარე არ იყითხება. მონეტა ოუსტინეII (565-578წწ.) დროს არის მოჭრილი. "ნატეხების" დასავლეთ მონაკვეთზე იმპერატორ კონსტანტიუსII-ის (337-361წწ.) სპილენძის მონეტაც აღმოჩნდა. (ნამოსახლარის არქ. მასალის შესახებ დაწვრილებით იხ. [6, გვ.97-117; 9;10, გვ.70-110; 48, გვ.30-48; 69, გვ.101-119]). პალიასტომში აღმოჩნილი "ნატეხების" ნამოსახლარის თარიღი ჯერჯერობით III-VIII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს, ხოლო იქვე აღმოჩენილი სამარხი - VIIსაუკუნით. ამ ნამოსახლარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ბიზანტიური ხანის, პროკოფი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილი ფასისის ნაშთებთან, რომელიც განლაგებული იყო მდ. ფიჩორის, შავის და კაპარჭინას შესრთავებთან და ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო ადგილმონაცვლეობდა [იხ. 6, გვ.97-117; 48, გვ.30-48; 69, გვ.101-119; 68, გვ.223-236].

ბერძულ-ლათინური წერილობითი წყაროების მიხედვით ქ. ფასისის ადგილმდებარეობა თითქოს ზუსტად არის განსაზღვრული. ქალაქი განლაგებული იყო მდ. ფასისის დელტის მარცხენა მხარეს; აქვე სახელდება ტბაც (აღბათ პალიასტომი). ამგვარი განსაზღვრა ზედმიწევნით მიესადაგება დღევანდელი ქ. ფოთის მდებარეობას. ამის გამო მეცნიერები ერთსულოგნად

მიანიშნებენ, რომ ძველი ფასისი ფოთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა საძებნელი [იხ. 2, გვ.3-21; 19, გვ.17-36; 12, გვ.36-55; 9]. ამის მიუხედავად კლასიკურ-ელინისტური ხანის ფასის მაინც მიკვლეული არ არის. ეს კა იმიტომ ხდება, რომ ხსენებულ მონაკვეთში ურთულესი პალეო-გეომორფოლოგიური სიტუაციაა [43, გვ.5-16; 54, გვ.21-33; 40; 64, გვ.8-12; 50, გვ.21-64]. გეომორფოლოგიური მდგრადი მინიჭებული მხრივ ყულევ-ფოთი-ურეკის ზღვისპირეთი თითქოს ამოგარდნილია საქართველოს ზღვისპირეთის (330 კმ.) საერთო კონტექსტიდან. აქ ბუნდოვანია გლობალური, შავი ზღვის რეგრესის და ტრანსგრესის ფაქტი ფასისთან მიმართებაში. გაურკვეველია ზღვის სანაპირო შედფის ლოკალური დინამიკის საკითხიც. ხშირად გეომორფოლოგიები არქეოლოგების მონაცემებს ეყრდნობიან და სანაპიროზე ნამოსახლარების განლაგების მიხედვით გამოიქვთ ზოგადი დასკვნები. ჩვენი აზრით საკითხი კომპლექსურ შესწავლას მოითხოს. ოდონდ, სასურველია, რომ ჯერ გეომორფოლოგებმა გაგვცენ პასუხი თუ როგორი იყო სანაპიროს დინამიკა და ძველად სად ერთვოდა რიონი ზღვას. მათ უნდა გაითვალისწინონ გლობალური (რეგრესია-ტრანგრესია) და ლოკალური (მდინარეების გამონატანი ნაშალი მასალა; მდინარეების რიონის, ხობის, სუფსის ძველი კალაპოტები; რეგიონის ჭაობიანობა და ტორფიანობა და სხვ.) მონაცემები.

სასურველია, რომ პალეოგეომორფოლოგიური კალევისას გამოყენებული იყოს კოსმოსური გადაღებები სათნადო კომპიუტერული დემოტრირებით. ეს იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს თუ წინათ მდ. რიონ-ფასისი სად უერთდებოდა ზღვას და რა მიმართებაშია გვიანბრინჯაო-ადრერკინის და ანტიკური ხანის ნამოსახლარები მასთან. სამწუხაროდ, ხსენებულ რეგიონში მხოლოდ აეროფოტოგრადაღებებმა სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. საყურადღებოა, რომ აქ ერთის მხრივ ხდება რიონის მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდალი ნაშალი მასალის გამოტანა, რაც ალბათ დელტის ზღვაში გაწევას იწვევდა; ხოლო მეორეს მხრივ ხდებოდა ზღვის დონის აწევა, რასაც სანაპიროს მიტაცება მოყვა. დღეისათვის ყულევ-ფოთი-ურეკის სანაპიროზე, ზღვასთან ძველი ნამოსახლარები აღმოჩენილია, გვიანბრინჯაო-ადრერკინის — ფოთის ჩრდილოეთით ხოფ. ყულევში, მდ. ხობის

შესართავთან; აგრეთვე მდ. ცივასთან ძვ.წ. VI-IVს.; ფოთიდან სამხრეთით მდ. სუფსის შესართავთან; აგრეთვე ფოთში, პალიასტომის "ნატეხების" ნამოსახლარის ტორფიან ფენებში აღმოჩნდა ძვ.წ. IVს. შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხი და როდოსული ამფორის ქუსლი (იხ. ზემოთ).

საყურადღებო ფაქტია, რომ მარტი 1872 წლიდან 1965 წლამდე ფოთის მიღამოებში ზღვაში მიტაცა 200მ-შედე სიგანის მიწის მონაკვეთი [14, გვ.505-508]. ამ მონაცემებით გამოდის, რომ ფასის ზღვაში უნდა იყოს დაძირული. ამის დასტურია აგრეთვე მეცნიერ-გეოგრაფების მონაცემები, რომლის მიხედვითაც შავ ზღვაში ე.წ. ფნაგორიული რეგრესის დამთავრების მერე დაახლოებით ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე დაიწყო ზღვის ტრანსგრესია [43, გვ.5-16; 50, გვ.148-159, 37; 64, გვ.12, 53]. შედეგად, დღევანდლამდე ზღვის დონემ სამ მეტრამდე აიწია. შესაბამისად გველი ნამოსახლარები ზღვის ქვეშ უნდა მოყოლილიყვნენ [43, გვ.16; 66, გვ.17]. კერძოდ, ამგვარი პროცესები განვითარდა ჩრდილოეთ [45, გვ. 15-27; 66, გვ.13-24] და სამხრეთ (მაგ. სინოპი) შავიზღვისპარეთში, სადაც მთელი რიგი ანტიკური ხანის ნაქალაქარები მოექცნენ წყალქვეშ.


ფოთი-გრიგოლეთის ზღვის შელფში ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის [6;48;69] კვლევა-ძიებისას ზღვის ფსკერზე გეომორფოლოგიური მდგრამარეობა ფრიად როულია. მდ. რიონის სამხრეთი შტოს შესართავთან ზღვა ხმირად მღვრიეა და ხილვადობა ცუდია. მდინარეს დიდი რაოდენობით შლამი გამოაქვს და ზღვის ღელვის დროს წყალქვეშ წარმოიქმნება ქვიშის დიუნები. შესაბამისად თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მაშინ უნდა ვიფიქროთ - ფასისის ნაშთები ქვიშის სქელი ფენით არის დაფარული. ჰიდროარქეოლოგიური კვლევისას გრიგოლეთის გასწვრივ პალიასტომის გადმოლმა ზღვაში 25მ სიღრმეში აღმოჩნდა ე.წ. წელშეზნექილი ამფორების მოზრდილი ნატეხები. აღრეული სინოპური ამფორა (პირის დმ-12სმ; ცალისძრული ყელის სიმაღლე - 15სმ.; ჭურჭები მასიურია და ჭრილში ოვალური), აღმოჩნდა ზღვაში სუფსის კანიონის მახლობლად. პონტოს ჰერაკლეის ძვ.წ. IVს-ის მეორე ნახევრის ამფორა აღმოჩნდა მალთაყვასთან ზღვაში.

ამრიგად, გეომორფოლოგიური და ტოპოარქეოლოგიური მონაცემების შეჯერების მიხედვით, კლასიკური და ელინისტური ხანის ფასისი საძებნელია ქ. ფიოთიძინ დაბაზლოებით 12 კმ. რაღოუსის ფარგლებში - ხმელეთზე და ზღვაში. უფრო კონკრეტულად კი ყულევ-ფოთი-სუფსის და ჭალადიდ-საქორქის შორის მდებარე სამკუთხედში. ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო: მდინარეების მიერ გამოტნილი ნაშალი მასალის აკუმულაცია ზღვისპირეთში; ტორფის შრეების მოძრაობა; ნიადაგის ჭარბტენიანობა; ზღვის დონის ცვალებადობა და სხვ. საფიქრებელია, რომ ქ. ფასისის ნაწილი წმინდა ხვდებოდა წყალში. ამიტომ ქალაქი ფასისი ხსენებული სამკუთხედის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა.

### ლიტერატურა:

1. არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით ნ. კეჭალმაძისა, თბ., 1961.
2. ბერძნიშვილი, მ. ქ. ფაზისის ლოკალიზაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXIII, თბ., 1942, გვ. 3-21.
3. ბერძნიშვილი, მ. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.
4. გამყრელიძე, ალ. ამიანე მარცელინი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, I-ტ. თბ., 1961, გვ. 75-165.
5. გამყრელიძე, ალ. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნება, კრებ. I, თბ., 1965, გვ. 11-47.
6. გამყრელიძე, გ. წყალქედება არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში, საქ. მეც. აკად. მაცნე (ისტ. ...). 1987, №1, გვ. 97-117.
7. გამყრელიძე, გ. ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1993.
8. გამყრელიძე, გ. ნავთობის ტრანსპორტული შესახებ ფასის-ფოთში, ჟურ. ძიებანის დამატება IV, თბ., 2001, გვ. 26-32.
9. გამყრელიძე, გ. ფიოთი-ფასის ტიაბარქეოლოგიისათვის, თბ., 1998.
10. გამყრელიძე, გ. კოლხეთი, გამ. "ლოგოსი," 2002.
11. გამყრელიძე, გ. ფაზისის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, B 2(140) თბ., 1971, გვ. 181-185.

12. გრიგოლია, გ. ფასისის ლოკალიზაციისათვის, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენები, თბ., 1973 გვ. 36-55.
13. ინაქე, მ. აღმოსავლეთი შავზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982, გვ. 119-124.
14. გეგელია, ჯ. ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტების შესახებ, საქ. მეც. აკად. მოამბე, თბ., 1981 №2, (102), გვ. 505-508.
15. კოხი, კ. სპენსერი, ო. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გამოსცა ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.
16. ლაბბერტი არქანგელო. სამეცნიერო, თარგ. ა.ჭყონიამ, თბ., 1938.
17. ლომოური, ნ. კლავლიოს პტოლემაიონის, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, მასალები საქ. და კავკასიის ისტ., 32 ნაკვ., თბ., 1955.
18. ლომოური, ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ. შრომები, IV, ნაკვ.I, თბ., 1958, გვ. 99-119.
19. ლორთქიფანიძე, ოთ., მიქელაძე, ო. ფასისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა, სესიის თეზისები, თბ., 1973, გვ. 17-36.
20. მელაძე, ნ. ორფიკული არგონავტიკა, თბ., 1977.
21. მიქელაძე, ო. არქეოლოგიური კვლევა რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.
22. მიქელაძე, ო. ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წ. ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ, 1964 წ. არქ. კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი თეზისები, XIV, თბ., 1965, გვ. 48-51.
23. ურუშაძე, აკ. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
24. ფოგტი, ჰ. შენიშვნები ქართველური ენების... შესახებ, სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული, 2-3, თბ., 1964, გვ. 92-97.
25. ყაუხჩიშვილი, ს. გეორგიკა, III ტ., ტფილისი, 1936.
26. ყაუხჩიშვილი, ს. გეორგიკა, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV ტ., I ნაკვ., მასალები საქ. და კავკასიის ისტ., თბ., 1941.
27. ყაუხჩიშვილი, ს. გეორგიკა, V ტ., თბ., 1963.
28. ყაუხჩიშვილი, ს. გეორგიკა, IV ტ., II ნაკვ., თბ., 1952.
29. ყაუხჩიშვილი, ს., გამყრელიძე, ალ. გეორგიკა, I ტ., თბ., 1961.
30. ყაუხჩიშვილი, ს. გეორგიკა, VI ტ., თბ., 1966.
31. ყაუხჩიშვილი, თ. ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.
32. ყაუხჩიშვილი, თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
33. ყაუხჩიშვილი, თ. ჰიპოკრატეს ცნობები საქ. შესახებ, თბ., 1965.



34. ყაუხჩიშვილი, თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქ. ..., I, თბ., 1967.
35. ყაუხჩიშვილი, თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქა..., II, თბ., 1969.
36. ფუჟხიშვილი, თ. ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გრუ. აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1969.
37. ყაუხჩიშვილი, თ.საქართველოს ისტ. ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
38. შარდენი, უან. მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თარგმნა მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
39. შპაილელი, მ. კავკასიის საზღვარი, II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში, მეცნ. აკად. მაცნე (ისტ. ...), 1985, № 1, გვ. 134-140.
40. ძველიაა, მ. კოლხეთის დაბლობი (გვოლოვია), თბ., 1973.
41. ხოშტარია, ბ. პალასტომის ტბის ისტორიისათვის, უკრ. მეცნიერება და ტექნიკა, თბ., 1953, №9, გვ.28-33.
42. ჯანაშია, ს. ფასიდი, შრომები, II ტ., თბ., 1952, გვ.271-281.
43. ჯანელიძე, ჭ. ფასისის ლოგალიზაციის გეოგრაფიული ასპექტები, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, თბ., 1973, გვ5-16.
44. ჯიბლაძე, ლ. დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქ. რუკა, არქ. კვ-ის ძებანი, 2001, №8, გვ.34-38.
45. Благоволин Н., Щеглов А., Колебания уровня Черного моря по данным археолого-геоморфологических исследований в Юго-Западном Крыму. Известия АН СССР, сер. географ., М., 1968, №2, с. 15-27.
46. Болтунова А. Эллинские апоикии и местное население Колхиды. Материалы I симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1979, Тб., 1979, с. 256-274.
47. Брун Ф. Восточный берег Черного моря по древним периплам и по компасным картам. – Черноморье, т. II, Одесса, 1880.
48. Гамкелидзе Г. К археологии долины Фасиса, Тб., 1992.
49. Гамкелидзе Г. Гидроархеологические работы в зоне..., Материалы V симпозиума по древней истории Причерноморья, Тб., 1990, с. 215-219.
50. Джанелидзе Ч. Палеогеография Грузии в голоцене, Тб., 1980.
51. Древнегреческо-русский словарь (сост. Н. Дворецкий), М., 1958.
52. Дундуа Г. Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.
53. Ельницкий Л. Из исторической географии.... – ВДИ, № 2, 1938, с. 315-320.
54. Колхидская низменность. Палеография; Береговая..., М., 1990, с. 29-37.
55. Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1950.

- 56.** Латышев В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. - Записки классического отделения императорского русского археологического общества, т. II, вып. I, Санкт Петербург, 1904.
- 57.** Латышев В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе. – ВДИ, № 1(23), М., 1948, с. 223-315.
- 58.** Ломоури Н. Из исторической географии древней Колхиды. – ВДИ, № 4, М., 1957, с. 96-110.
- 59.** Лордкипанидзе О., К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхида). – Материалы I симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1977, Тб., 1979, с. 187-256.
- 60.** Лордкипанидзе Г., О характере колхоз-греческих взаимоотношений в VI-IV вв. до н.э. - Материалы I симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1977, Тб., 1979, с.25-33.
- 61.** Монперэ Дюбуа., Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937.
- 62.** Пахомов Е., Монетные клады Азербайджана и Закавказья, Баку, 1926.
- 63.** Платон. Сочинения, т. 2, М., 1970.
- 64.** Хачапуридзе Я., Инженерная геология Черного моря и охрана среды, Тб., 1990.
- 65.** Шафранов Н., Где была греческая колония Фазис? – "Кавказ," № 71, Тифлис, 1880, с. 3.
- 66.** Щеглов А., Северо-Западный Крым в античную эпоху, Л., 1978.
- 67.** Braund D., Georgia in Antiquity, Clarendon press, Oxford, 1994.
- 68.** Gamkrelidze G., Travaux hydroarheologiques de localisation de l'ancienne Phasis, Le Pont-Euxin vu par les Grecs, Universite de Besancon, Paris, 1990 : 223-236.
- 69.** Gamkrelidze G., Hydroarchaeology in the Georgian Republic (the Colchian littoral), The International Journal of Nautical Archaeology, London, New York, 1992, vol. 21, #2, :101-119.
- 70.** Kacharava D., The town of Phasis as described in Graeco-Roman and Byzantine literary sources, Tbilisi, 1991, : 1-14.
- 71.** Lordkipanidze O., Phasis, The river and City in Colchis, Stuttgart, 2000.
- 72.** Montpereux Frederic Dubois., Voyage autour du Caucase, III, Paris, 1839.
- 73.** Tsetskladze G., The Silver Phiale Mesomphalos from the Kuban, Oxford journal of Archaeology 1994, 13: 199-216.
- 74.** Tsetskladze G., Die Griechen in der Kolchis (historisch-archäologischer Abriss), Amsterdam, 1998.

## ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით)

ქ. ფოთში შავიზღვისპირეთის ექსპედიციის მიერ (იხ. გამყრელიძე, 1987, გვ.97-117) მიკვლეულ "ნატეხების" ნამოსახლარზე გამორჩეულ ფურადღებას იპყრის სამი ამფორის ქვედა ნაწილი (ტაბ.I) და ამავე ტაბის ამფორების სხვა ფრაგმენტები. მოცემული ტაბის ამფორების ვსკერზე დადასტურდა ბიტუმისებური მოშავო ფერის ნალექი მასა. მისი ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ნალექი შეიცავს ნავთობპროდუქტის ნახევრად მყარ ასფალტ-ფისოვან ნარჩენებს. დროთა განმავლობაში ნავთობის მსუბუქი ფრაქციები, როგორც ჩანს, ამფორის დაზიანებისას ამოქარდა, ხოლო მხმე ფრაქციების დაყანგვის შედეგად და ინერტული ნაერთების შერევით იქცა ასფალტ-ფისოვან მასად (ანალიზი ჩატარა აკც-ს ინტერდისციპლინარულმა ლაბორატორიამ, ხელმძღვანელი). პროფ. გ. ინნოშვილი).

"ნატეხების" ნამოსახლარი, სადაც აღნიშნული ამფორები დაფიქსირდა, მდებარეობს ქ. ფოთის სამხრეთ მხარეს, ზღვის შესართავიდან (მაღლაყვა) დაახლოებით კილომეტრზე, კაპარჭინას გაღმოღმა პალიასტომის ტბის მცირე ყურეში. ტბის ვსკერი აქ ქვიშიანი და თიხა-ტოფიანია. ნამოსახლარზე სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია გვერდებაკეცილი კრმიტით და აფურით. არს აგრეთვე ურთიერთგადამკვეთლარებიანი აგურიც. სამშენებლო მასალიდან აგურის და კრამიტის გარდა აქ ხის ძელების და დამწვრი თიხის (ბათქაშის) ნაშთები აღმოჩნდა.

სამოსახლოს ჭურჭლის უმეტეს ნაწილს შეადგენს ადგილობრივი წარმოების კერამიკული გადასაზიდი – სატრანსპორტო ტარა – ამფორები. ისინი მოყავისფრიდაა გამომწვარი, წაგრძელებული წელშეზნექილი ფორმა აქვთ და კონუსსებური ქუსლით ბოლოვდებიან. ადგილობრივი წარმოების სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით, ჯამებით, ღუთერიებით და ღოქებით. სამურნეო კერამიკა წარმოდგენილია ბრტყელძირა (დიამ. 12 სმ-დან 16სმ-მდე) ქვევრებით. აღმოჩნდილი არქეოლოგიური მასალის დაახლოებით 25% უცხოური ნაწარმა. კერძოდ: სინოპური თიხის მაგვარი

გოფრირებული ამფორები; ღია მოყავისფრო, კარგად განლექილ თიხიანი, გოფრირებული ამფორები; სამოსური ამფორის ძირები; სამოსური ამფირისკები (სიმაღლე 16-19 სმ); წითელლაკიანი ჯამების და პინაკების ნატეხები. აქვე აღმოჩნდა მომწვანო, მოლურველ და მოყვითალო ფერის მინის ფეხიანი სასმისების და ლაიპრების ფრაგმენტები. (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 1987, გვ.97-117; გამყრელიძე, 1998, გვ.22; Gamkrelidze, 1992, გვ.101-119; Gamkrelidze, 1990, გვ.223-236).

"ნატეხების" არქეოლოგიური მასალიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საყურადღებოა ნავთობის ნალექიანი ამფორები. ამ ტიპის ამფირის სამი მთლიანი ეგზემპლარი აღმოჩნდა ტბაში (ინახება ფოთის მუზეუმში). საერთოდ, ამ ტიპის ამფორები 0,50- 0,65მ სიგრძისაა და გამოირჩევა წაგრძელებული ფირმით, კონუსისებური ქუსლით, ტანზე ქვედა შსარეზე ხშირად შეიმჩნევა დაბალი პორიზონტალური ღარები, თიხა ბაცი მოყავისფროა (ტაბ.I<sub>2,3</sub>). ისინი ჰგვანან ადგილობრივ ე.წ. კოლხურ მოყავისფრო თიხიან წელშეზნექილ ამფორებს; რომელთა თიხა ხშირად არათანაბარად არის გამომწვარი და შეიმჩნევა კირქვის და ქარსის წვრილი მინარევები. საერთოდ, ამ სახეობების ამფორები ბევრია აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე – განთიადი, ბიჭვინთა, სოხუმი, წებელდა, ოჩამჩირე, გუდავა, ნოსირი, ბათუმი, ნოქალაქევი, მთისძირი, ურეკი, ციხისძირი და სხვ. (გამყრელიძე, 1982, გვ.114; ზაქარაია, 1974, გვ.139; ინაიშვილი, 1993, გვ.54; რამიშვილი, 1965, გვ.114; ფუთურიძე, 1959, გვ.70; ფუთურიძე, 1975, გვ.148; ჯაფარიძე, 1989, გვ.44-51). დღეისათვის მათი ნაწილის კოლხური წარმომავლობა უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რადგან ჩატარებულია ასეთი ამფორების თიხის პეტროგრაფიული ანალიზი (იხ. ფუთურიძე, 1959, გვ.70). ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი წელშეზნექილი ამფორები კი უფრო მიმცროა და თიხაც ვიზუალურად განსხვავებულია. ასეთი მომცრო წელშეზნექილი ამფორები აღმოჩენილია ყირიმში ქალაქ ტირიტაკეს გათხრისას. ერთ-ერთ ამ ტიპის დახუფულ ამფორაში, რომელიც გაითხარა ქ. ტირიტაკეში XIII ნაგვეთზე, ნავთობი დადასტურდა. ეს ამფორა წაგრძელებულ ტანიანი და წელშეზნექილია, კონუსისებური დაბოლოება

აქვს (სიმაღლე 0,58მ). ამფორის ქვედა მხარეს შეიმჩნევა დაბალი გოფრირება; თიხა ბაცი მოყავისფროა (იხ. ტაბ.I4). ამფორა IVს-ით თარიღდება (Гайдукевич.1952, გვ.62). ქიმიურ-ლაბორატორიული ანალიზს შედეგად ამფორაში დადასტურდა თხევადი ნაკობი, ხოლო ცსკერზე ბიტუმისებური დანალექი მასა (Успенский. 1952, გვ.415). ეს ნაკობი, შემადგენლობის მიხედვით, მოპოვებულია ქერჩის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ტირიტაკე, ტანაისი, ქერსონესი და სხვ. (Кострин.1971, გვ.264-265; Кострин.1965, გვ.291-293). მოცემული ჭაბის ამფორები მრავლად არის აღმოჩენილი ქერსონეში (სადაც ისინი მოპოვებული ამფორების საერთო რაოდენობის ნახევარს წარმოადგენს), ტირიტაკეში, მირმეკიონში, ისტრიეში, ვარნაში და სხვ. (Якобсон. 1979, გვ.12). სამხრეთ შავიზღვისპირეთშიც სინაპათან (დემირსში) აღმოჩნდა წელშეზნექილი კონუსისუბურ ძირიანი ამფორები (კასაბ ტეზგორი, 1999, გვ.22).

ნაკობი და ნაკობპროდუქტების დამახასიათებელი თვისებები იცოდნენ და მოხერხებულად იყენებდნენ კიდევაც მთელ ქველ ცივილიზებულ სამყაროში. ნაკობის ერთ-ერთი სახეობის, ასფალტ-ფისოვანი, შავფისის გამოყენება წყალგაუმტარ საშუალებად, ნაკის, კიდობანის, კალათის მოსაფის-მოსაგოზად აღწერილია ჯერ კიდევ ბიბლიაში (დაბადება, თავი VI,14; გამოსვლა, თავი II,3). ნაკობის, ნაკობის ფისის სარეწების და ასფალტ-ფისის გამოყენების შესახებ სამშენებლო-შემაკავშირებელ მასალად, ცნობებს გვაწვდის მარტ. Vს. ავტორი ჰეროდოტე (I,179; IV,195; VI,119). ნაკობის თაობაზე ცნობებს ვხვდებით სხვა ბერძნ-რომაელ ავტორებთანაც – სტრაბონი (XVI,I,5,9,15), პლუტარქე (ალექსანდრე,35), ქსენოფონტი (ანაბასისი, II,4), პლინიუს უფროსი (II,109; XXXV,15), ვიტრუვიუსი (არქ. I,5,§8). ეს ავტორები მოგვითხრობენ ნაკობის და ნაკობპროდუქტების მოპოვების და გამოყენების შესახებ. კერძოდ, მათ ნაწერებში მოყვანილია ცნობები ნაკობის, მალთის საბადოების შესახებ მესოპოტამიაში, სიცილიაში, პალესტინაში და ირანში; სადაც ის მოპოვებოდა ბუნებრივი წყაროებიდან და მცირე სიღრმის ჭებიდან.

ნავთობი, მალთა, ასფალტი გამოიყენებოდა, როგორც სამშენებლო-შემაკავშირებელი მასალა; წყალგაუმტარი საშუალება (მაგ. დაბასტურებულია ამფორების შიგნიდან მოფისვის ფაქტი; იხ.- დიუპონი, კაჭარავა, 1999.გვ.9); შესაძლოა ზოგჯერ ეს ნავთობის ზეთითაც ხდებოდა; ლითონის კოროზიისაგან დამცავი მასალა; კულტმსახურებისას (ცეცხლის საკურთხევლებში ურევდნენ სხვა ზეთებში); სოფლის მეურნეობაში, მცვნარების მავნე მწერებისაგან დასაცავად; სამედიცინო და ვეტერინალური წამლების დასამზადებლად; მუმიფიცირებისათვის; სამხრედრო საქმეში; გასანაობელ საშუალებად (ჭრაქლამპრებში, საზღვაო შექტრებში, სხვადასხვანაირ ჩირადნებში და ა.შ.).


ნავთობი, შავი-მრყვავისფრო მომწვანო ელფერის წყალში უხსნადი ზეთოვნი ნივთიერებაა. მიწის ზედაპირით სიახლოვისას ის მსუბუქი ფრაქციების ამოქარების და მმიმე ფრაქციების დაუნგვის შედეგად ბლანტ, სქელ მალთად გარდაიქმნება; შემდგომ მყარდება; ხოლო ბოლოს ნახევრად მყარ ბუნებრივ ასფალტად იქცევა. სულსნ-საბა ორბელიანის ლექსიკონს განმარტებით "ასფალტი – კლიდიდამ და წყლიდამ გამოვა, შავფის ჰგავს" (ორბელიანი, 1928, გვ.21). ამრიგად, ბუნებრივი წყაროებიდან მოიპოვება ნავთობის ბუნებრივი სახეობები – ნავთობის ზეთი, მალთა, ბიტუმი, ბუნებრივი ასფალტი და ა.შ. ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში ისინი ძირითადად მოიხსენიება – ჭაფალთი, ნაფთა; naphtha, bitumen, maltha (იხ. Forbes, 1936, გვ.4-13). ქართულ ენაში სიტყვა "ნავთი," "ნაფთი"-ს წარმომავლობა ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის. "წამებაი ჰაბო ტფილელისა"-ში ნახსენებია "...მოიღეს შეშაი და თივა და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი..." (ძვ. ქართ..., 1963, გვ.73,5). ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში "მოფისა იგი ნაფთითა." "აგზებდეს მას ნაფთსა..."(აბულაძე, 1973, გვ.322). ზოგ ენათმეცნიერს სიტყვა ნავთი ირანულ ნასესხობად მიაჩნია (იხ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ.345).

ფრიად საყურადღებოა ნიკანდროს კოლიფონელის (ძვ.წ. IIს. ავტორის) წერილობითი ცნობა – "მედეასი, ანუ ერთდღიანი წამალია მოსამზადებელი, რომელსაც ეწოდება კოლხიდური, და რომელსაც ისინი ნაფთსაც (ნაფთა)

ঘো. I



0 4  
1



0 5

უწოდებენ; თუ ამით დაიზელენ სხეულს, ან ტანსაცმელს,... ან სხვა რამეს გაუღინთავენ და მზეზე დადგებიან, ცეცხლი შთანთქავთ და მოისპობიან. ... მისი მომზადება მედეამ აღმოჩინა, ამიტომ კოლხურს ეძახიან" (იხ. სქოლიონი 249 და შემდ. (ურუშაძე, 1964, გვ.335). კოლხი მედეას მიერ ნავთობის გამოყენებას ადასტურებს აგრეთვე პლუტარქე - "ნავთობი ის შხამი იყო, რომლითაც მედეამ წმოსასხმი და თავსამკაული გაუღინთა, რაზედაც ტრაგედიაშია გადმოცემული." "...თავსამკაულსა და წამოსასხამს ცეცხლი მოედონ" (პლუტარქე, ალექს.,35). აქ, ტრაგედიაში იგულისხმება ეკრიპიდეს პიესა "შედეა" (სტრ.1410), სადაც მედეა, შურისძიების მიზნით, ნავთობით და რაღაც სხვა მცენარეებით დამზადებული ნაერთით ცეცხლი გაუჩინა და დაღუპა კრეონტი და მისი ასული გლავეკ.

ნავთობს და კოლხი მედეას შესახებ საფურადღებო ცნობას გვაწვდის აგრეთვე VI ს. ცნობილი და სანდო ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. ის აღწერს კოლხეთში, ფასისიდან სამხრეთით ქალაქ პეტრასთან (დღევანდელი ციხისიმირი, ქიბულეთთან) 550წ. რომელიც და სპარსელების ბრძოლას, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობაც იღებდა მონაწილეობას - "მათ აავსეს ქოთნები გოგირდით, ასფალტით და ერთი საწამლავთ, რომელსაც მიდიელები ნავთს ეძახან, ელინები კი მედეას ზეთს (Μηδείας Τλαυτο), მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ კედლის დამანგრეველ მანქანებს, რომელებიც თითქმის ყველა დაწვეს." "...მაგრამ მათ დიდხანს ვერ გაუძლეს ამას; ვინაიდან ცეცხლი, საღაც კი მოუდებოდა, მაშინვე აგიზგიზდებიდა, თუ ის მაშინვე არ იქნებოდა უკუგდებული" (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 11; ყაუჩხიშვილი, 1965, გვ.171). ამგვარად, კოლხეთში სამხედრო მოქმედებების დროს გამოიყენებოდა "შედეას ზეთი," ნავთობი და სხვა კომპონენტები, რომელიც თანამედროვე "ნაპალმს" ჰგავდა თავისი მოქმედებით. იქვე თხზულებაში, პროკოპი კესარიელი დასმენს - "ცეცხლი ავარდა, მოედო და მედეას სახელით ცნობილი ზეთისა და სხვა მომარაგებულ ნივთიერებათა წყალობით მთელი კოშკი და იქ მყოფი სპარსელები გადაწვა" (BG, VIII, 11).

ანტიკურ წერილობით წყაროებში შემონახული ცნობები ადასტურებენ ე.წ."შედეას ზეთში" ნავთობის შემცველობას. შესაბამისად კოლხეთი წარმოჩინდება იმ ქვეყნად, სადაც კარგად იცნობდნენ ნავთობის თვისებებს

და იყენებდნენ კიდევაც მას. ამ მხრივ საყურადღებოა ფოთი-ფასისის (სადაც ნავთობის ნაშთიანი ამფორები დადასტურდა) სამხრეთით რამდენიმე კილომეტრზე მდ. სუფსის და ნატანების ქვემო წელზე ნავთობის საბადოების და ბუნებრივი ასფალტის (ძველადა, 1973.გვ.51; კინგავი, 1990, გვ.192) ნაშთების არსებობა, რაც აქ ძველად ბუნებრივი წყაროებიდან ნავთობის მოპოვებას არ უნდა გამოირიცხავდეს. აქ დღესაც არის ნავთობის სარეწები. საქართველოში სხვაგან ნავთობის ბუნებრივი წყაროები ძველთაგანვე ცნობილია სამგორი-პატარძეული-ნავთლურის (ქ. თბილისის ქრთ-ერთი უბნის ნავთლურის სახელი ნავთობს უკავშირდება – თბილისის..., 1990, გვ.339) მონაკვეთზე. ნავთობის საბადოები მდებარეობს აგრეთვე მირზაანში, შირაქში, ელდარში და ფოთთან ახლოს ჭალადიდში.

ქ. ფასისი, შემდგომში ფოთი (სადაც ნავთობიანი ამფორები აღმოჩნდა), კარგად ცნობილი ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო, სავაჭრო გზის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო (იხ. ბერნიშვილი, 1969, გვ.99). შესაძლოა სწორედ, ქ. ფასისზე გავლით ხდებოდა ტრანსპორტირება სამშენებლო ხე-ტყის, სელის, ფისის, თაფლის, ღვინის, ლითონის, ტყავეულის და სხვა პროდუქციის თუ ნაკეთობის. გვანანტიკურ ხანაში და ადრეულ შუასაუკუნეებში კიდევ უფრო გაიზარდა ფასისის, როგორც სატრანზიტო-სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა (სტრაბონ XI, II, 17; პლინიუს უფროსი NH, VI, 52; ანონიმი XLII, 3). სხვა სავაჭრო პროდუქციას ახლა უკვე შეიძლება დაემატოს არქეოლოგიურად დადასტურებული ნავთობიც, რომელიც ამფორებით ტრანსპორტირდებოდა საზღვაო ხომალდების საშუალებით, სავარაუდოდ, ყირიმის ნახევარკუნძულიდან. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ფოთში ნავთობი სატრანზიტო გზით კასპიის ზღვის სანაპიროდან ან ზემოთ მოხსენებული, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სარეწებიდანაც მოხვედრილიყო.

### ლიტერატურა:

აბულაძე, ილ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973.  
ანდრონიკაშვილი, მ. ნარკვევები ირანულ-ქართული..., ტ. I. თბ., 1966.

- ბერძნიშვილი მ., ქ. ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969.
- გამყრელიძე გ., ცენტრალური კოლეგიის ნამოსახლარები, თბ., 1982.
- გამყრელიძე გ., წყალქვეშა..., საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ისტ.), №1. 1987, გვ.9-7-117.
- გამყრელიძე გ. ფოთი-ფასისის ტოპოარქეოლოგიისათვის. თბ., 1998.
- დიუპონი პ., ფისის..., შავიზღვისპირეთის ძვ. ისტ. IXსიმპოზიუმი, ვანი, 1999, გვ.9.
- ზაქარაია პ., ლექვნაძე გ., გუდაგაში 1971წ. ჩატარებული გათხრების ანგარიში, საქ. სახ.ზეუმის არქ. ექსპედიციები, III. თბ., 1974, გვ.139-153.
- თბილისის ისტორია (რედ. მ. ლუმბაძე, ვ. გუჩუა), ტ. I. თბ., 1990.
- ინაიმელი ნ., ციხესიმარის I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.
- კასაბ-ტენგორი დ., სინოპი..., შავიზღვისპირეთის ძვ.ისტ. IXსიმპოზიუმი, 1999, გვ.21.
- ლორთქიფანიძე ოთ., ვაჭრობა შავ ზღვაზე, ისტორიული წანამდღვარი, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის IX სიმპოზიუმი, ვანი, 1999, გვ.26-28.
- ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, ტფ, 1928.
- რამიშვილი, რ.არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, მასალები საქა. და კავკა. არქ.-სათვის, მსკა, ტ.IV. თბ., 1965, გვ.107-122.
- ურუშაძე აკ., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანით და შენიშვნებით. თბ., 1964.
- ფუთურიძე, რ. გვანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქ. მეგლები, მასალები საქ. და კავკ. არქ., II. თბ., 1959, გვ.54-94.
- ფუთურიძე, რ. ბიჭვინთის..., კრებ. დიდი პიტიუბტი, თბ., 1975, გვ.127-160.
- ყაუხჩიშვილი ს., ვეორგიეთ, თბ., 1965.
- ძველია მირ., კოლხეთის დაბლობი. თბ., 1973.
- ძველი ქართული ავთეგრაფიული ლიტ., წმ. (იღ. აბულაძე), თბ., 1963.
- ჯაფარიძე ვ. ვარდციხის ნაქალაქარი, თბ., 1989.
- Гайдукевич. В. 1952: Раскопки Тиритаки в 1935- 40. МИА, № 25, 15-134.
- Якобсон. А. 1979: Керамика средневековой Таврики. Л.
- Кикнадзе. Т. (ред.) 1990: Кодхидская низменность. М.
- Кострин. К. 1971: Исследование смолистого..., – СА, № 3, с. 264-265.
- Кострин. К. 1965: Исследование нефти из древних...., – СА, № 1, с. 291-293.
- Кошеленко Г. (ред.) 1984: Античные гос. Северного Причерноморья. М.
- Лоркипанидзе. О. 1957: О транзитно-..., – САНГ, т. XIX, № 3, с. 377-394.
- Успенский. В. 1952: Исследование древней..., – МИА, № 25, 415-421.

**კოლეურ-მოსუინიგური კოშკის რეკონსტრუირების ცდა**  
(არქეოლოგიური მონაცემები ქსენოფონტის ანაბასისის კონტექსტში)


ვანის ძველი ნაქალაქარიდან დასავლეთით, რვა კილომეტრზე სოფ. მთისძირში, აღემზილების გორაზე არქეოლოგიურად შევისწავლეთ ძვ.წ. IVს-ის ძელურ-ბათქაშიანი ნამოსახლარის ნაშთები. აქ სამოსახლო აღემზილების გორის ტერასებზე იყო გამართული და ერთიან სასიმაგრო-თავდაცვით სისტემას ქმნიდა, რომელიც ქალაქ ვანისაკენ მიმავალ გზას ჰკრავდა. ამდაგვარი გორების ტერასებზე აგებული ძელურ-ბათქაშიანი სამოსახლოები ძირითადად ძვ.წ. IIIს. წინა პერიოდის კოლხეთისათვის არის დამახასიათებელი.

ძველი საქართველოს ხის არქიტექტურის შესწავლისათვის ფრიად საინტერესოა აღემზილების გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი, შედარებით კარგად შემონახული, ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობის ნაშთები (სურ.1). ნაგებობის ასაგებ ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია ქვა და ძელები. გვხვდება თირის, თეთრი კირქვის და რიყის ქვები, ხოლო ძელებად ნახმარია თელის ხე. ნაგებობის ნაგრევებში ბევრია ბათქაშის ნატეხი. მათ ზოგიერთ ფრაგმენტს ეტყობა ხის ძელების ანაბეჭდი. ქვის და ხის ძელების გარდა დიდი რაოდენობით არის ნახმარი თიხამიწა, რაც გამოიყენებოდა შემაკავშირებელ-ამოსავსებ მასალად. ნაგებობას ძლიერი სანარია აქვს გადატანილი; ქვები სიმბურვალისაგან დამსკდარია, ხოლო ძელები თითქმის დანახშირებულია. ნაგებობა ოთხკუთხაა და შედგება ორი სათავსისაგან. სამხრეთ სათავსის ფართობია - 26, 88კვ.მ, ხოლო ჩრდილეთის - 13,44კვ.მ. ამ სათავსის დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია ძელებით მოგებული იატაკი, რომელზედაც ზედა სართულის გადახურვის ძელების ფრაგმენტები შეიმჩნევა. ნაგებობა ორიგნტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. კედლების ფუნდამენტის სიგანე - 2,60მ. ნაგებობის კედლების ფუნდამენტი გამართულია კლდის ბუდეებში ჩასმული ქვიშაქვის ქვებით, ხოლო მათ მოსდევს კირქვის ქვების წყობა. კედლის ცოკოლი ნაგებია ფლეთილი ქვების წყობით. მათ დასაკავშირებლად გამო-ყენებულია თიხამიწა. ცოკოლის შიდა მხარე წარმოდგნილია ძელებით (დიამეტრი 18სმ-მდე). თეთრი კირქვის წყობაზე აღმოჩნდა ბათქაშით შელესილი ძელების ფრაგმენტები, რაც აღბათ კედლის

ნაშთებია. კედლის ფუნდამენტის შიდა ფართობი ამოვსებულია ქვებით და თიხამიწით. აქ გვხვდება რიყის და კირქვის ქვები. ფუნდამენტში ჩატანებულია კიდევ ერთი ძელი, რომელიც ნაგებობის ინტერიერის მხარის ძელების პარალელურია; გარდიგარდმო, სხვადასხვა დონეზე ჩატანებულია 7 სმ დიამეტრის ძელები. ამგვარად იქმნებოდა არმატურის ნაირი, ხის ძელებით შემოსაზღვრული კვადრატების კარკასი, რაც ნაგებობის ცოკოლს მეტ სიმტკიცეს აძლევდა (სურ.2). საფურადლებოა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების შიდა კუთხე, რომელიც სხვებისაგან განსხვავებით უკეთ შემორჩენილია. აქ დადასტურდა ძელებით კუთხების აგების ორი ხერხი: ერთი – ძელები უბრალოდ ერთმანეთზეა დადებული ამოჭრის გარეშე (დასტურდება მხოლოდ ცოკოლის ძელებიან კარკასში), ხოლო მეორე – ჩაჭრილი ძელებით შესრულებული კუთხე.


ნაგებობისათვის მეტი მდგრადობის მისაცემად მოხერხებულად არის გამოყენებული ბუნებრივი რელიეფი. ნაგებობის საძირკველში კლდის სტრუქტურა ირიბია და ზედაპირთან თითქმის სწორ კუთხეს ქმნის. ამით ნაგებობას მეტი სიმტკიცე ექმნება და მისი ჩამოშლის საშიშროება თავიდანაა აცილებული. კლდის ირიბი სტრუქტურავე ქმნის ოღროჩოღრო რელიეფს, რაც კარგად არის გამოყენებული ხელოვნურ ბუდეებთან ერთად, საძირკვლის ქვების ჩასაწყობად. ადერვილების გორის ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობა ატიკური შავლაკანი ჭურჭლით, გვინდელი ქიოსკერი, მენდეს (სურ.3) ამფორებით და ადგილობრივი კერამიკით ძვ.წ.IVს-ით თარიღდება. ამ მონაცემებს მხარს უჭერს რადიოატრიური ნახშირადის დამლის მეთოდით მიღებული თარიღიც, რომლითაც დანგრევის დრო ძვ.წ.  $330 \pm 40$ წ. არის განსაზღვრული (იხ. გმტურელიძე, 1982, გვ.63-69).

ამგვარად, ზემოთ აღწერილი ნაგებობის ნაშთი წარმოადგენს ცოკოლზე დადგმულ ძელურ, თიხით შელესილ ძვ.წ. IVს. შენობას. შესაძლოა, რომ აქ საქმე გვაქვს ანტიკური ეპოქის ავტორების (ჰიპოკრატესთან, ქსენოფონტესთან, აპოლონიოს როდოსელთან, პომპონიუს მელასთან, დიონისიოს ჰალიკარნასელთან) თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების ნაირსახეობასთან (სურ.4).




ნაგებობაში კოლხური და უცხოური გერამიკის გარდა სალესი ქვები, ისრისპირები და ბრინჯაოს ზარაკი აღმოჩნდა. შესაძლოა, რომ ეს ზარაკი ჩამოკიდებული იყო შტანდარტზე, რომელიც ძველი "მთისირის" რომელიმე წარჩინებული პირის ინსიგნიას წარმოადგენდა. ოსტეოლოგიური მასალიდან ნაგებობაში დადასტურდა გარეული ტახის ეშვები და ძროხის ბეჭის ძვალი.

ძვ.წ. IV ს. მიწურულის, ერთი შერივ, აზოს და, მეორე შერივ ფარნავაზქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით შეიძლება აიხსნას სოფ. მთისირის ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს დაზღვრება. შესაძლოა, ამავე დროს დააწვრიეს



ვარდიგორის (ვარციხესთან), (ჯაფარიძე, 1977, გვ. 43-50), ვანის ეწ. თეთრი შენობა და მათი თანადროული ნაგებობები. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების რთული პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მიმდინარეობს. ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც იბერიის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება (იხ. "ცხოვრება ქართულელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა") (გამყრელიძე, 1993, გვ.55-56). კოლხეთში ხის ძელებიანი ნაგებობები მრავლად არის არქეოლოგიურად დადასტურებული: სოფ. ანაკლია (დიხა-ვუფუბა I,II), სოფ. რეკი(ნაოხვამო), სოფ. საქორქიო (სიმაგრე), ქობულეთი (ჩოლოქთან), სოფ. ნოსირი, ვანის ნაქალაქარი, სოფ. ვარციხე (ვარდიგორა),

ქუთაისი (დათეშიძე-გაბაშვილის გორა); ხოლო მათი ნაშთები ხის ძელების და ბათქაშის სახით დასავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე გვჩვდება. ეს არქეოლოგიური ძეგლები ქრონოლოგიურად განსხვავდებიან ერთმერისაგან, მაგრამ მათში გარკვეული არქიტექტურული მემკვიდრეობა იგრძნობა. აღსანიშნავია, რომ ჯარგვალის ტიპის ხის ძელებიანი სახლები დღესაც გვჩვდება კოლხეთში. მათი კუთხები ისევე, როგორც წინათ, ძელების ბოლოებში ჩაჭრით არის ნაკეთები.




ძელურ-ბათქაშიანი სამოსახლოები დამახასიათებელია კოლხეთისათვის, სადაც ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული ასეულობით ნამოსახლარია დადასტურებული. მრავალრიცხოვანი სამოსახლო ბორცვები, "გორებით," "ზურგებით" და "დიხაგუმტებებით" არის მოფენილი კოლხეთის დაბლობის როგორც ზღვისპირეთი, ასევე შიდა მსარეც. კოლხეთის ამ სამოსახლო ბორცვებისათვის დამახასიათებელია გარშემო თხრილი. ასეთ მრავალფერიან ძეგლებზე მოსახლეობა თითქმის უწყვეტადაა წარმოდგენილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში.


უკანასკნელ წლებში ინტენსიურად წარმოებს მრავალფერიანი სამოსახლო ბორცვების შესწავლა. ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თხრილებით გარშემოვლებულ ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოს გამართვას კოლხეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. დასახლების ამნაირი ტიპი კოლხეთში შემთხვევით არ განვითარებულა. ის აქ არსებული ბიოგეოგარემოს პირობებით იყო განპირობებული – დაბალი რელიეფი, ნიადაგის ხშირი დაწევა, გრუნტის წყლები, ჭაობიანობა, ნაღესქიანობა. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების შესანარჩუნებლად აუცილებელი ხდებოდა ხელოვნური შემაღლებების გაკეთება.

თხრილის შექმნა ბორცვის გარშემო განპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ხელოვნური ბორცვისათვის მიწა დიდი რაოდენობით იყო საჭირო; სრულად ბუნებრივია, რომ მას ბორცვის გარშემო, ახლო ადგილიდან აძლიდებდნენ. გარდა ამისა, თხრილს ჰქონდა თავდაცვითი მნიშვნელობა. ის მოსახლეობას იცავდა მტრის, მტაცებელი ცხოველის და წყლის სტიქიისაგან.

როგორც ჩანს, კოლხეთის საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა ფიზიკურ-გეოგრაფულ პირობებს (ბუნებრივი ბორცვ- გორების ტერასებს) და თვითონაც აქტიურად ზემოქმედებდა მასზე (ხელოვნური, თხრილშემოვლებული ბორცვები). ქრონილოგიურად ორივე ეს ტიპი თანაარსებობდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ამგვარი სამოსახლოების გამართვის წესი კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იყოდებს ფეხს (ჯიბლაძე, 1977). საყურადღებოა, რომ დასახლების მოწყობის მეორე წესი, ხელოვნური ბორცვების მოზვინვით, სპეციფიკურ კოლხურ მოვლენად არის მიჩნეული. ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, კოლხურმა სამოსახლოებმა ცვლილებები განიცადა. ზოგიერთი სამოსახლო, რომელსაც უფრო კარგი, მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური ადგილ- მდებარეობა ეკავა, დაწინაურდა და გარკვეული რეგიონის ქალაქური ტიპის ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ ცენტრს ჰქონდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამურნეო (ხორისნაირი) ტერიტორია. ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ "ვანი" საქალაქო ცენტრი იყო, ხოლო "მთისძირი" მისდამი დაქვემდებარებულ



სასოფლო ტერიტორიაში შედიოდა. საქალაქო ცენტრს თავის ხორით, გარშემო გარეკეული თავდაცვითი სისტემა ჰქონდა, რომელიც მის უშიშროებას ემსახურებოდა. ამდაგვარი გამაგრებული სოფელი, საფიქრებელია, იყო ძველი "მთისძირიც." ასეთი გამაგრებული სოფელი, აღბათ, განლაგებული იყო ქალაქისკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტად. "მთისძირი" კი ერთის მხრივ, კონტროლს უწევდა მდ. რიონის ხეობაზე (მარცხენა ნაპირზე) გამავალ გზას ხოლო მეორე მხრივ, მდ. ყუჯურის ხეობიდან მომავალ გზას კეტავდა (სურ.5).




ძვ.წ. ს. არქიტექტორის, ვიტრუვიუსის (II,I,4) (იხ. ჩიქოვანი, 1966) მიერ აღწერილი, კოლხური ძელგბიანი ნაგებობისაგან აღეიშვილების გორის ნაგებობა ძირითადად განსხვავდება ცოკოლით. არ გამოვრიცხავ, რომ აქ ცოკოლზე და კედლის ჰილიზონტალურ ძელებზე დაყრდნობილი სახურავი,

ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი პირამიდულ-გვირგვინოვანი კონსტრუქციული სქემით აიგო; ან თივასელით გადაიხურა (სურ.6). ნაგებობის ხის კედლების კუთხეები ჩაჭრილი მრგვალი ძელებით იკვრებოდა, ხოლო შემდეგ ძელები თიხით ილესებოდა (ბათქაშით). გათხრებისას ბათქაშების ნატეხებზე მრგვალი ძელების ანაბეჭდები აღმოჩნდა.

ჩვენ მიერ არქეოლოგიურად შესწავლილი სოფ. მოისძირის ადეიშვილების გორის ნაგებობა განსაკუთრებულ მსგავსებას იჩინს სოფ. ვარციხის

(ვარდიგორის), ქუთაისის (დათეშიძე-გაბაშვილის კორის), და ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ეწ. თეთრ შენობასთან. ისინი, ადეიშვილის გორის შენობასავით, ცოკოლზე მდგარი, ხის ძელებიანი ნაგებობებია. ამ ტიპის ნაგებობები კონსტრუქციულად ხის არქიტექტურის რამდენადმე ახალ, უფრო განვითარებულ ეტაპზე მიუთითებს. კოლხეთში თლილი ქვა, ალიზის აგური და კრმიტი ფართოდ მხოლოდ ელინისტურ ხანაში იკიდებს ფეხს. როგორც ჩანს, კოლხეთში, ძვ.წ. IIIს. წინ, ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდემჟერებს, გამაგრებულ სამოსახლოებს და სხვ. კოლხეთში ხის მასალა უხვად იყო. ცნობილი გეოგრაფი სტრაბონი გადმოგვცემს – "... აქ იზრდება მრავალი ტყე" (XI,II,17). ამასევ აღნიშნავს ვიტრუვიუსი – "კოლხები პონტოს მხარეში



6

ტყის სიუხვის გამო..." (II,I,4) აშენებენ ხის ნაგებობებს.

ადეიშვილების გორის ძელურ-ბათქაშიანი, გამაგრებული სამოსახლოს, კოშკებიან კომპლექსთან კონტექსტში, ფრიად საყურადღებოა ანტიკური ეპოქის

მწერლების ცნობების განხილვა. სადაც ქართველური მოსახლეობით, კოლხებით და მოსუინიკებით, დასახლებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიებია აღწერილი. ძვ.წ. IVს-ის ავტორი ქსენოფონტი გადმოგვცემს: "აღმართული იყო ზღუდემესერი მრავალი ხის კოშკით..." (ანაბასისი V,2,5). იქვე "ბასილევსმა არ ისურვა დაეტოვებინა მოსუინი (გამაგრებული სამოსახლო – გვ.), რომელიც გორაზე იყო აშენებული" (ანაბასისიV,4,26). იქვე "გადაიწვა მთელი დაბა, კოშკები გამაგრებული მესერით და სხვა, გარდა შიდა ციხისა" (ანაბასისიV,2,27); აპოლონიოს როდოსელი: "ცხოვრობენ მოსუინიკები, რომელნიც საცხოვრებელს მართავენ ხის კოშკებში, რომლებიც კარგად არის ერთმანეთში შეკრული სასიმაგრო მესერით. ამ ნაგებობებს ეძახიან მოსუინებს" (არგონავტიკა,II,378-380); დიონისიოს ჰალიკარნასელი: "...ცხოვრობენ კოშკებიან ხის ძელებიან მაღალი ზღუდე-შესერით გარემოცულ ფართობებზე, რომელსაც უწოდებენ მოსუინებს" (რომის სიძევლეთმცოდნეობა, I,26,2); პომპონიუს მელა: "მოსუინები ცხოვრობენ ხის კოშკებში" (ქვეენის აღწერილობა, I,106).

ამგვარად, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის და ძველი წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. IIIს-ის წინა პერიოდში გავრცელებული იყო ბირცვზე და გორაზე, ძელურ-ბათქაშიანი, ძელებიანი მესერითვე შემოზღუდული, კოშკებჩართული კომპლექსები; ხისაგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი ეწოდებოდა (დაწვრილებით იხ. ფუქჩიშვილი, 19 77).

სოციალურად, ადეიშვილების გორისნაირი (სურ.5) გამაგრებული ბორცვ-გორები, ალბათ, ნათესაობრივ თემებს წარმოადგენდა, რომლის თავშიც ადგილობრივი ხელისუფალი, ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით, ბასილევსი იდგა. შესაძლოა, ასეთ ადგილობრივ ხელისუფალს ეკუთვნიდა ადეიშვილების გორასთან აღმოჩენილი ნაგებობების თანადროული მდიდრული სამარხი (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ.69-81).

ვფიქრობ, ადეიშვილების გორის ზედა ტერასაზე, არქეოლოგიურად შესწავლილი ნაგებობა, სწორედ ამგვარი, სათემო, გამაგრებული სამოსახლოს – მოსუინის ერთ-ერთი კოშკი იყო.

## **ლიტერატურა:**

გამყრელიძე გ., ცენტრალური კოლექტის ძვ. ნამოსახლარები, თბ., 1982.

გამყრელიძე გ., ისტორიულ-ტოპოგრაფიური ძიებანი, თბ., 1993.

ყაუხჩიშვილი თ., ბერძნი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1977.

ყიფიანი გ., ამაშუკელი ნ., კოლხური და ფრიგიული..., თბ., 1995.

ჩიქოვანი თ., გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლის და ვიტრუვიუსის კოლხური სახლის ურთ..., საქმეცნ.აკად."მაცნე," 1966, №6, გვ.211 -222.

ჯაფარიძე ვ., ძველციხე, უწ. მეგლის მეგობარი, 1977, №46, გვ.43-50.

ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონილოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997.

**კოლხი მედეას იკონოგრაფიისათვის**  
 (სოხუმის ყურეში აღმოჩენილ ბარელიეფთან კონტექსტში)

სოხუმის ცნობილი სტელა საქართველოში აღმოჩენილი ქვის კვეთის საყურადღებო ნიმუშია. ბარელიეფიანი ქვასვეტი ზღვაში, სოხუმის ყურის ფსკერზე, მდ. ბესლეთის შესართავთან ნაპირგასამაგრებელი წყალქვეშა სამუშაოებისას მოულოდნელად აღმოჩნდა. ზღვიდან ამოღებული ე.წ. სოხუმის სტელა თეთრი მარმარილოსია და მოყვითალო-მონაცრისფრო ელფერი დაჰკრავს. ის ოთხკუთხა ფორმისაა და მარცხენა ქვედა კუთხე მომტვრეულია. ფილის ზომებია – 157 x 92 x 12სმ. ფილას ზედა მხარეზე ექვსი ღრმული აქვს. ამჟამად სტელა სოხუმის მუზეუმშია გამოფენილი (იხ. სურ.1) (იხ. ლორთქიფნაიმბ, 1966, გვ. 93; Picard, 1956, გვ. 81; ციციშვილი, 1954, გვ. 20; ბარნაველი, 1956, გვ. 8; მიქელაძე, 1960, გვ. 189).



1

სოხუმის ყურე სწორედ ის ადგილია, სადაც ივარაუდება ანტიკურ წერილობით წყაროებში, კერძოდ, ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს. ავტორის ფს. სკილაქს კარიანდელის (პერ... , 81) ოხზულებაში მოხსენიებულ ქალაქ დიოსკურიის ნაწილის მდებარეობა. აქ ზღვის დელფის შემდეგ ხშირად პორტობენ ხოლმე ამფირების, შავლაკინი ჭურჭლის ნატეხებს და მონეტებს. წინარე და ანტიკური ხანის მონაცემები აღმოჩენილია აგრეთვე დღევანდელი ქ. სოხუმის, სოხუმის მთის, გუადიხუს და წითელი შუქურას არქეოლოგიურად შესწავლილ მონა-კვეთებზე. ე.წ. სოხუმის სტელაზე დაბალი რელიეფით (0,5მ-დან 2სმ-დან), სამფიგურანი კომპოზიციაა ამოკვეთილი, რომელიც უმეტესად რეალისტური მანერით არის

გადმოცემული და ძირითადად ბერძნული კლასიკის სტილშია შესრულებული. კომპოზიციის მარცხენა პირველი ფიგურაა ფეხზე მდგომი ასული, რომელიც უკან პლატზე განყენებულად გამოსახული და ზემოდან დასცექრის მჯდომარე ფიგურას. მისი მოკლედ შეკრეპილთმიანი, ოდნავ დახრილი თავი პროფილში, ხოლო სხეული, რომელზედაც უსახელო, წელზე ქამრიანი პეპლოსი მოსავს, ანფასშია გამოკვეთილი. პეპლოს მხრებთან სამაგრებით არის შენაოჭებული და მკერდზე ვერტიკალური და ირიბი ჭდე-ხაზებითაა გამოცემული. ქალიშვილს სწორი ცხვირი, სქელი ტუჩები, ლოფისაგან გამოყოფილი ბიბილოანი ყურის ნიჟარა და ნუშის მოხაზულობის თვალის ჭრილი აქვს; ოდნავ კუთხოვანი ყბა მცროდ წინ წამოწეული, ენერგიული, ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპით ბოლოვდება. ასულს, მარცხენა მხრამდე ზუწეულ ხელში ყური (კოლოფი, ზარდახშა) უბყრია, რომელიც სქემატურადაა წარმოდგენილი.

ბარელიეფის მარჯვენა ფიგურა ნადირის ტყავდაფენილ, მორკალურ ფეხებიან სავარძელ-კლისმისში ჩამჯდარი, ქიტონში გამოწყობილი ბანოვანია. ქალს მარჯვენა ხელი გადახვეული აქვს მის მუხლებზე დაკრდნიბილ შიშველ ყრმაზე, რომელიც მას სახეში შესცექრის. პროფილში გამოხატულ მოკლედ გაკრეპილ ბავშვს ქალის მარცხენა ხელზე მარჯვენა ხელი აქვს ჩამოდგებული. ბანოვანს ქიტონზე მოხვეული აქვს ჰიმატიონი, რომელიც ნაწილიბირივ სავარძლის მისაყრდნობზეც არის ჩამოფენილი და გადმოცემულია რელიეფური ნაოჭებით. ქალის თავი პროფილშია გამოსახული და ახასიათებს – ნაზი ოვალი, ნუშის მოხაზულობის თვალის ჭრილი, სწორი ეწ. ბერძნული ცხვირი, სქელი ტუჩები, ოვალური ყურის ნიჟარა; ვარცხნილობა მოხდებილადა უკან აწეული და წინ ტალღოვანი ორნამეტითაა შესრულებული. მოცემული ბარელიეფის კვლევისას, ამჯერად, ძირითადად იკონოგრაფიული ატრიბუციით შემოვიფარგლებით.

სოხუმის სტელა *in situ* მდგომარეობაში არ არის აღმოჩენილი და ამიტომ მის შესახებ მხოლოდ რელიეფის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. სავარაუდოა, რომ ბარელიეფიანი ფილა ხომალდით გადატანისას (გემის ჩაძირვისას ან ზღვის ღელვისას გადმოვარდა) მოხვდა ზღვის ფსკერზე და დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია.

სოხუმის სტელა საფლავის ქვაა. ამგვარი ქვას ვეტებით მოინიშნებოდა ის ადგილი, სადაც გარდაცვლილისადმი მიძღვნილი კულტმსახურება სრულდებოდა. აქ ან ან არის, რომ რელიეფი ანლობლებისათვის სამახსოვრო მემორიალი იყო გამართული. გამორიცხული არ არის, რომ რელიეფი დამზადებული იყო აკლდამის კედლის შესამკობად. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ფილას ზედა მხარეს საგანგებო ექვსი დასამაგრებელი ღრმული აქვს. ამასთანავე ცნობილია, რომ ბერძნული კლასიკური ხანის სტელები ძირითადად ფრონტონიანად იკვეთებოდა, ხოლო სოხუმისას ასეთი არ გააჩნია; ის უფრონტონო ოთხკუთხა ფილაა.



2

საბერძნეთში სამართზე ქვას ვეტის დადგმის წესი, ჯერ კიდევ არქაულ ხანაში დასტურდება. სოხუმის სტელის მსგავსი რამდენიმე ფიგურიანი საფლავის ქვა კი კლასიკური ხანიდან მოყოლებული ვრცელდება მთელ ანტიკურ სამყაროში. კლასიკური ხანის საბერძნეთის სამართ ქვას ვეტებზე, უპირატესად, გარდაცვლილთან გამოიხოვების სცენას ორ ან სამფიგურიანი კომპოზიციით ასახავდნენ (იხ.

Boardman, 1985, გვ. 165-166; Cook, 1976, გვ. 91-108;

Блаватский. 1939, გვ. 47-79; The Oxford History..., 1993, გვ. 83-147, 143, 136). მათზე, ხშირად, გარდაცვლილი ისევე, როგორც სოხუმის სტელაზე, სავარძელში მჯდომარე და ბავშვთან ან ახალგაზრდა ქალთან ერთადაა გამოკვეთილი.

ბერძნულ სამართ სტელებზე სავარძელში მჯდომი გარდაცვლილი მანდილონის სახე განზოგადოებულია და არა კონკრეტული. მისი გადეალიზებული სახე ე.წ. ბერძნული პრიფილით, ქიტონით, ვარცხნილობით, ტყავდაფენილი კლისმონით, სოხუმის რელიეფზეც გარემონტილად ტრაფარეტული და ტრადიციულია. მაგალითად: მჯდომარე ქალის ფიგურის მოდელირების მზრივ საყურადღებოა ქ. ათენის ეროვნულ არქეოლოგიურ მუზეუმში გამოფენილი ძვ.წ. 400წლით დათარიღებული

ჰეგესოს სამარხი სტელა, რომელზედაც ისევე, როგორც სოხუმის სტელაზე ქალის სახე პროფილშია, ხოლო ტორსი სამ მეოთხედ ანფასშია გადმოცემული. ამსთან ერთად, ორივე ქალი ერთნაირ კლისმოსში სხვდან. ამგვარადვეა მჯდომარე ქალის თავი და სხეული მოდელირებული პირებიში აღმოჩენილ ძვ.წ. IVს-ის სამარხ სტელაზე (ინახება ათენის ეროვნულ არქეოლოგიურ მუზემში). ასევეა კლისმოსში მჯდომარე ქალის ფიგურა გადმოცემული ძვ.წ. Vს-ის მეორე ნახევრის ფილოსტრატეს სამარხ სტელაზე (ინახება ქ. ს.-პეტერბურგის ერმიტაჟში). მართალია ხსნებულ



3

სამარხ სტელებზე მჯდომარე ქალის ფიგურის მოდელირება ზოგადად ერთი და იგივეა, მაგრამ მათი გადმოცემა სხვადასხვა მხატვრული დონისაა.

სოხუმის სტელა დაბალ რელიეფში ფიგურის გადმოცემის მანერით (მდგომარე ასული) გარკვეულ მსგავსებას იჩენს ქ. ათენის აკროპოლისის მუზეუმში დაცულ ძვ.წ. 450წლით დათარიღებულ შუბიან ქალღმერთ ათენას გამოსახულებასთან, რომელიც მარმარილოზე დაბალ რელიეფშია გამოკვეთილი. სტილისტურ-გამომსაზველობითი მსგავსება შეინიშნება აგრეთვე ძვ.წ. Vს-ის ბოლო მეოთხედის, პანტიკაპეონში (ქერჩში) აღმოჩენილ მარმარილოს საფლავის ქვაზე გამოხატულ ფიგურასა (Грач. 1972, გვ.56-61) და სოხუმის სტელის მდგომარე ქალიშვილის გამოკვეთის მანერაშიც.

კერძოდ, თავის დახრილობის, პროფილის, გაკრეჭილი თმის, თვალის გადმოცემაში. საყურადღებოა ასევე, ძვ.წ. V ს-ის მიწურულით დათარიღებული ელევსინის ცნობილი სამფიგურიანი ბარელიეფი ქალღმერთ ღემეტრას გამოსახულებით (ინახება ქ. ათენის ეროვნულ არქეოლოგიურ მუზეუმში). აქ მარჯვენა და მარცხნა ფიგურების ჩატულობა და მარჯვენა ფიგურის თავის მოხაზულობა, რამდენადმე სოხუმის სტელისაირ მანერაში, დაბალ



რელიეფშია გამოკვეთილი. სოხუმის სტელაზე გამოხატულ ფიგურათა სამოსი (პეპლოსი, ქიტონი, პიმატიონი) და მისი მოდელირების ხსიათი, ტყავდაფენილი კლისმოსი, გარდაცვლილი ქალის ვარცხნილობა, რომელიც უკინ აწეული (შესაძლებელია ბადით დამაგრებული) და წინ ტალღოვანი ორნამენტით არის შესრულებული, ძალზე დამახასიათებელია ბერძნული სამყაროსათვის. ამგვარი სახით კლასიკური ხანის ბერძნულ ხელოვნებაში ბანოვანები, მაღალი წრის ქალბატონები და ქალღმერთები გამოისახებოდნენ. ასე, რომ სოხუმის რელიეფის ქალთა ფიგურების პირისახე, ტანსაცმელი,

კლისმოსი, როგორც ჩანს, საკუთარი ცოდნა-შესაძლებლობის ფარგლებში ისტატმა კლასიკურად, აკადემიურად ასახა.

სამივე ფიგურის გადმოცემაში რამდენადეუ დარღვეულია პროპორციები. კერძოდ, ქალების თავები სხველთან შეფარდებით ოდნავ დიდია; ბავშვის მკლავიც შეუფერებლად დიდია თავთან შეფარდებით. ცუდადაა გადმოცემული ფიგურების ხელები; როგორც ჩანს, ხელის მტევნის გამოქანდაკება რელიეფის შემსრულებლისათვის გადაულახავ სირთულეს წარმოადგენს. ეს გაოცებას იწვევს, რადგან ისეთი როულად გამოსაკვთი ელემენტი, როგორიც ყურა (ბავშვის ყერის გარდა) გარკვეულად აკადემიურ-რეალისტურადაა შესრულებული. ყუთი, რომელიც ახალგაზრდა ქალს უჭირავს, სრულად სქემატურია და მხოლოდ ოთხკუთხედის სახით არის წარმოდგენილი. ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რელიეფი არც თუ მათალი კლასის ოსტატის მიერაა შესრულებული ან უბრალოდ დაუმთავრებელია (განსაკუთრებით ყუთი), ან კიდევ რამოდენიმე სხვადასხვა ოსტატობის დონის ხელოსნი აკეთებდა. ამჯერად ერთი რამ უდაოა, კერძოდ, სოხუმის სტელა ბერძნული კლასიკური ხანის ხელოვნების ცხოველმყოფელი გავლენითა შექმნილი. ის, ძვ.წ. Vს-ის ბოლო მეოთხედით არის დათარიღებული (იხ. ლორთქიფანიძე, 1966, გვ.104).

ბარელიეფზე გამოხატული ბავშვის შუბლი დაქანებულია, ცხვირი ოდნავ წაწვეტებულია, ხოლო თავი მცირედ დაბრტყელებულია. ქალების ფიგურებისაგან განსხვავებით თვალის ჭრილი პროფილშია, ხოლო ყურის ბიბილო ლოფასთან შეერთებულია. საერთოდ, ყრმის ფიგურა რამდენადმე მამაკაცისას (სახე, მქლავი, ხელი) ჩამოჰგავს და სხვა ფიგურებისაგან განსხვავებით, თვალშისაცემი ბერძნული იერსახე არ გააჩნია (შუბლი, ცხვირი, ყური, თავის ფორმა). ნიშანდობლივია, რომ ბავშვის ფიგურა სკოპასის ცნობილ სტელაზე – "ჭაბუების საფლავის ქვა," სპეციალისტების მიერ ალეგორიულად აღქმულია როგორც სიკვდილი, გარდაცვალება.

ე.წ. სოხუმის სტელას სტილის მხრივ, ჯერჯერობით, პირდაპირი ანალოგია არ ექვება. მხატვრული თვალსაზრისით იგი ახლოს დგას ბერძნული კლასიკური ხანის სტილთან, მაგრამ მისი დაბალი რელიეფი (ბავშვი, ყუთი, ხელის მტევნები, თვალის ჭრილები), ბერძნულ ე.წ. მაღალ

კლასიკას არ უკავშირდება. ამიტომ მას რამდენადმე ანტიკური სამყაროს პერიფერიაში ან აქედან გამოსული ხელოსნის ნაკეთობის იერი დაჰკრავს. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სტილის თვალსაზრისით სიახლოვე შეიმჩნევა სოხუმის რელიეფსა და პერიფერიაში, იონიაში, კუნძულ როდოსზე აღმოჩენილ "კრიფტას და ტიმარისტას" სტელას შორის. ყურადსალებია ისიც, რომ ბერძნული სავაჭრო კოლონია დიოსკურია სწორედ იონიის ქალაქ მილეთის დაფუძნებულ დასახლებად ითვლება (ფლავიუს არიანე, "პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო", 10). ამიტომ, შესაძლოა, რომ სოხუმის სტელა აქედან იყოს კოლხეთში მოტანილი. წარმომავლობით პერიფერიიდან გამოსულ ხელოსნებთან დაკავშირებით საყურადღებოა ქ. ათენში აღმოჩენილი შავფიგურიანი ძვ.წ.VI და VIIს-ის ჭურჭლები, რომლებზედაც წარმოშობით კოლხი ხელოსნების ბერძნული წარწერებია – "კოლხმა გამაკეთა," "ეგვიპთოსმა გააკეთა, კოლხმა მოხატა" (იხ. ყაუხებიშვილი, 1976, გვ.226). შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე კოლხი ოსტატი (მოქანდაკე) მოღვაწეობდა იონიაშიც, რომელმაც გამოკვეთა სოხუმის სტელა.

სოხუმის სტელაზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფუთით ხელში მდგომარე ასულის ფიგურა, რომელიც, შესაძლოა, აღევორიულად კოლხ მედეას განასახიერებდეს (იხ.სურ.1,4). ის თავისი იერით ქ. პერკულანეუმში აღმოჩენილ მედეას (მხრები, მდლავები, ნიკაპი) ფრესკას ჩამოჰვავს (სურ.2).

ბერძნული კლასიკის ხნაში მითოლოგიური პერსონაჟები რეალისტურად (შესაბამისი ატრიბუტებით), ადამიანის სახით გადმოიცემოდა (Carpenter, 1991, გვ.35-48). აღმოჩენილია საფლავის სტელები, რომლებზედაც მიცვალებულის გამოსახულებასთან ერთად გამოსახულია მითოლოგიური პერსონაჟებიც. მაგალითად: ძვ.წ. 450წლით დათარიღებული რელიეფი, რომელზედაც მიცვალებულთან ერთად წარმოდგენილია ორფეოსი და პერმესი (ინახება ქ. ნეაპოლის მუზეუმში); ან სპარტაში აღმოჩენილი ძვ.წ. VIIს-ის მეორე ნახევრის გველიანი საფლავის ქვასვეტი (ინახება ქ. ბერლინის ე.წ. პერგამონ მუზეუმში); ან ხუთფიგურიანი ძვ.წ. VIIს. რელიეფი ქალკედონის ნახევარკუნძულიდნ (Boardman, 1985, სურ.248). ნიმუშების ნეკროპოლზე გათხარა სამარხი სტელა, რომელზედაც გამოსახულია

ქალღმერთი კიბელა (ინახება ქ. ქერჩის ისტორიულ მუზეუმში). ქ. ოდესის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება სამარხი სტელა (ინვ. №50122), რომელზედაც გამოსახულია კიბელა და პერძესი. მართალია ეს ორი უკანასკნელი რომაული ხანით თარიღდება. საკრალურ სიმბოლოებთან უნდა გვქონდეს აგრეთვე საქმე სკოპასის სტელაზე "ჭაბუკის საფლავის ქვა," სადაც გარდაცვლილთან ერთად ძაღლი – ერთგულება, მოხუცი – სიბრძნე და მომზირალი ბაგშვი – გარდაცვალებაა გამოსახული. ბერძნული სამარხი სტელების განხილვისას ჩანს, რომ ძირითადი ფიგურა, გარდაცვლილი, ყველგან თავდახრილია, საკუთარ თავში ჩაკეტილი, განყენებული და მარადიულობის საკრალური იერით არის აღბეჭდილი.

სოხუმის სტელაზე გამოსახულ მდგომარე ასულს მხრამდე ზეაწეულ ხელში ყუთი უჭირავს. ბერძნულ მითოლოგიაში და ხელოვნებაში, კერძოდ, რელიეფებსა და მოხატულ კერამიკაზე, გვხვდება ყუთის (კოლოფის) გამოსახულებები, რომელთაც რამდენიმე ახსნა აქვს (ყუთის გრაფიკული ტაბები იხ. Lezzi-Hafter Adrienne, 1976, გვ.59, 70). პირველი, ესაა პანდორას ყუთი, მეორე – სამგაულებისა და ძვირფასეულობის შესანახი ყუთი და მესამე – მედეას ყუთი, რომელიც ბალახებთან და გველებთან ერთად გრძეული კოლხი ქალის ერთ-ერთ სიმბოლო-ატრიბუტს წარმოადგენს (მდრ. Simon, 1954, გვ.204; Boardman, 1985, გვ.238). მედეას იკონოგრაფიაში ყუთი სხვადასხვა მოყვანილობისაა (ოთხკუთხა, ცილინდრული და სხვ.).

პირველი – "პანდორას ყუთი" ბერძნულ მითოლოგიაში ფართოდ ცნობილი ცნებაა. ის არის მეხთამტყორცნელი ზეგისის საჩუქარი პანდორას ქმრისადმი, რომელშიაც დამწუდეულია ადამიანთა მოდგმის შემაწუხებელი ყოველნაირი უბედურება. მისი განხილისას იქიდან ამოვა და მოულ დედამიწას მოედება ჭირ-ვარამი და უამი. მოხატულ კერამიკაზე ეს ყუთი თითქმის არ არის ასახული.

მეორე – გრაიკეონში სამგაულებისა და ძვირფასეულობის შესანახი ყუთი; მრავლად გვხვდება კერამიკის მოხატულობასა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამარხ სტელებზე. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ყუთი ძირითადად ღიაა და სტელებზე გამოსახვის შემთხვევაში მას მოახლე ან ახლობელი (ნათესავი) ქალი აწვდის გარდაცვლილ ქალბატონს.

მაგალითად: პეტერის სტელა, რომელზედაც გამოსახულია ღია ყუთი, რომელიც ტორსს ქვემოთ გაწვდილია გარდაცვლილისაკენ. თანაც ქალს, რომელიც ყუთს უწვდის გარდაცვლილს, გრძელსახელობიანი, დაბალი ფენისათვის დამახასიათებელი ტანსაცმელი აცვია. ასეთივე ქალი ღია ყუთით ხელში გამოსახულია ძვ.წ. IVს-ის წითელფიგურულ ჭურჭელზე სიცილიიდნ; ღია ყუთია აგრეთვე გამოსახული წითელფიგურულ ძვ.წ. IVს. პელიკაზე აპულებდან. არც აქ და არც სხვა გამოსახულებზე ღია ყუთი ზეაწეულ ხელში თითქმის არ არის გადმოცემული (იხ. კატალოგები - Lezzi-Hafter Adrienne, სურ. 82, 87, 94, 100, 105, 107, 117, 123, 126, 129, 133, 135, 148, 160, 163, 165, 171, 175; Boardman, 1989, სურ. 28, 63, 166, 207, 234, 299, 403; Conze, 1893-1922, ტ. I-IV). სოხუმის სტელაზე კი, უსახელო პეპლოსში, მაღალი წრის ქალებისათვის და ქალღმრთობისათვის დამახასიათებელ სამოსში გამოწყობილი ქალიშვილია გამოსახული და თანაც დახურული ყუთი, ცალ ხელში მხრამდე ზეაწეული, ამაყად უჭირავს.

მესამე – ყუთი, რომელიც მედეას ატრიბუტია, ყოველთვის დახურულია და მედეას ის უმეტესად ზეაწეულ ხელში უჭირავს. ასეთ პოზაშია გამოსახული მედეა, ძვ.წ. Vს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ წითელფიგურულ ვოლუტებიან კრატერზე (ინახება ქ. მოუნტნის მუზეუმში №3268; იხ. სურ.3, 5); ძვ.წ. Vს-ის წითელფიგურულ კრატერზე, რომელიც ინახება ს.-პეტერბურგის ერმიტაჟში (ინვ. ნ.№1718), ზეაწეულ ყუთიან მედეას თავზე ბერძნული წარწერა აქვს – ΜΗΔΕΙΑ (სურ.6); მედეას გამოსახულება გვხვდება ასევე ძვ.წ. Vის-ის კრატერზე, რომელიც ინახება ქ. ტურინის მუზეუმში – ინვ.№249.

მედეა ბერძნული არგონავტიკის ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟია და მჭიდრო კავშირშია კოლხურ სამყაროსთან (იხ. ლორთქიფანიძე, 1986, გვ.9; ურუშაძე, 1964, გვ.13; ცანავა, 1982, გვ.85). ბერძნულ წერილობით წყაროებში აღნიშნულია, რომ მედეა პელიოსის ძის აიეტის ასულია. ზოგი ვერსიით ქალღმერთი პეკატე მედეას დედაა. მედეას, როგორც პეკატეს ტაძრის ქურუმს და ღვთაება პელიოსის შვილიშვილს აქვს მისნობის, წამალმეტებლის, გაახალგაზრდავების და გარდაცვლილის გაცოცხლების უნარი (Lexicon Icono-graphicum... 1992, მედეას შესახებ, ტაბ.IV(1),

გვ.386-398; არგონავტების შესახებ, ტ. II(1), 1984, გვ.591-599). მისი მრავალმხრივი ნიჭიდან ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ სწორედ მიცვალებულის გაცოცხლების უნარზე, რომელიც დაკავშირებულია გარდაცვლილის კულტთან. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, გრძელებული მედეას წამლების ყუთით ხელში ალეგორიული გამოსახვა საფლავის ქვასვეტზე.

კოლხი მედეა, ბერძნული და რომაული მწერლობის ერთ-ერთი პოპულარული გმირია. ის ხშირად სასწაულმომქმედ წამლებიანი ყუთით ხელში მოიხსენიება. მაგალითად: მედეა "აქედან არჩევდა ხოლმე ჰეკატეს ტაძრისაკენ სიარულს." "იგი, ვით გრძელებ ქალებს სჩვევიათ, ხშირად დადიოდა მიცვალებულებისა და მიწიდან ამოსული ფესვების გარშემო" (ძვ.წ. III-ის ავტორი აპოლონიოს როდოსელი "არგონავტიკა," IV, 50-54); "აიეტის სასახლეში არის ერთი ქალწული (მედეა), რომელსაც ქალმერთმა ჰეკატემ განსაკუთრებულად ასწავლა წამლების შემზადება" (III, 529); "მედეა გაეშურა ყუთისაკენ, რომელშიაც მრავალი წამალი ეწყო, ზოგი მაკურნებელი და ზოგიც მომაკვდინებელი" (III, 803); "მედეამ ყუთი გააღო და საწამლავის ამოღებას ლამობდა" (III, 835); "ჰერას შეგონებით გურებაშეცვლილმა ყუთი ჩამოიღო ..." (III, 818); "მედეამ კი ამასობაში ყუთიდან ამოიღო წამალი, რომელიც, ამბობენ, პრომეთეს წამლად იწოდებოდა" ("არგონავტიკა," III, 845) (აპოლონიოს როდოსელი, 1970, გვ. 205, 219, 221, 253; აპოლონიოს როდოსელი, 1975, გვ. 139-141). ადრე მოტანილი არგუმენტების საფუძველზე შესაძლოდ გვეჩვენება, რომ სოხუმის ბარელიეფზე, რომელიც ქვის კვეთის ოსტატისათვის კოლხეთში აღსამართად უნდა ყოფილიყო შეკვეთილი, ხელში ყუთით მდგომარე ასულში კოლხი მედეას ალეგორიული სახე შევიცნოთ. ამრიგად, ბალახებთან, გველებთან და ე.წ. ფრიგიულ ჭუდთან ერთად, წამლების ყუთიც მედეას ერთ-ერთ ატრიბუტად უნდა მივიჩნიოთ. ამ მოსაზრების აღიარების შემთხვევაში ეს კოლხი მედეას პირველი გამოსახულება იქნება ანტიკური ხანის საქართველოში (სურ.4).

## **ლიტერატურა:**

- აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, გამოსცა აკ. ურუშაძემ, თბ., 1970.
- აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, გამოსცა აკ. გელოვანისა, თბ., 1975.
- ბარნაველი, ს., მარმარილოს სტელა..., ზელ. ისტ. ინსტ. XIსესია, 1956, გვ.8.
- ლორთქიფანიძე, ო. ანტიკური სამყარო და ძვ. კოლხეთი, თბ., 1966.
- ლორთქიფანიძე, ოთ., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986.
- მიქელაძე, ო., ქართ.-ბერძ. ურთიერთობის გენეზისისათვის, მთამბე, 1960, №2, გვ.189.
- ურუშაძე, აკ., ძვ. კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
- ცინავა, რ., მედეა და ქართული სამყარო, მაცნე (წარ...), თბ., 1982, №1, გვ.85-91.
- ციციშვილი, ი. ზელოვნების იშვიათი..., უკრ. დროშა, 1954, №9, გვ.20.
- ყაუხჩიშვილი, თ. საქ. ისტ. ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
- Блаватский. В. Греческая скульптура. М-Л. 1939. с.47-79.
- Грач. Н. Фрагмент стелы из Пантикея. Труды Эрми... 13т. Л.1972. с.56-61.
- Передольская. А. Краснофигурные Аттические вазы в Эрмитаже. Л.1967.
- Boardman J., Greek sculpture, The archaic period, "Thomes..." London,1985.
- Boardman J., Athenian black figure vases, "Thomes..." London, 1985.
- Boardman J., Athenian red figure vases, "Thomes..." London, 1989.
- Carpenter T., Art and Myth in Ancient Greece, "Thomes..." London, 1991.
- Conze A., Die Attischen Grabreliefs, Berlin, 1893-1922, B. I-IV.
- Cook R., Greek art, " Peli. books," 1976.
- Lazzi-Hafter Adrienne, Der Schuwalow-maler, I, Mainz, 1976.
- Lazzi-Hafter Adrienne, Der Schuwalow-maler, II, Mainz, 1976.
- Lexicon Iconographicum Mythologiae classical, B. VI (1), 1992, B. II (1), 1984.
- Picard C., La stele grecque de Soukhum en Kolchide, Revue Archeologique, Paris, 1956, serie VI, XLVIII, pp. 81-82.
- Simon E., Die Tipen der Medeendarstellung in der Antiken Kunst, Sonderdruck aus Zeitschrift "Gymnasium," 1954, # 3, pp. 204-226.
- The Oxford History of Classical Art, edited by J.Boardman, 1993, pp.83-147; 136.

## დიონისეს ტიპის ლვორების ქანდაკება ვანის ნაქალაქარიდან

ვანის ნაქალაქარზე ანთროპომორფული მცირე ქანდაკების ფრიად საინტერესო ნიმუში გაითხარა (ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია, თნვ. № 71:1:88:648). ქანდაკება ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, საკულტო-სატაძრო ნაგბობათა კომპლექსში დადასტურდა (ნაკვეთი 150). ეს ფენა ჩალენჯილი კერამიკის სიუხვით და მრავალრიცხოვანი ოსტეოლოგიური მასალით გამოირჩეოდა. აქ ნანახია სინოპური მონეტა (ძვწ. 80-70წწ.). აქვეა საკურთხეველი (ლოროჟიფანიძე, მათიაშვილი, 1974, გვ. 45-52, 47).

ანთროპომორფული ფიგურა გრძელ სამოსში გამოწყობილ მამაკაცს ასახავს, რომელსაც მარცხენა ხელში ყანწ-რიტონი (ყანწ-რიტონების შესახებ იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 76-78) უჭირავს. ქანდაკებას თავი და მარჯვენა ხელი მოტეხილი აქვს. ყანწის ზედა ნაწილიც წატეხილია. გამოსახულება არათანაბრად გამომწვარი მოყავისფრო თიხისაა, რომელშიც კირქვის და კვარცის წვრილი ნაცეცები შემჩნევა. ამგვარი თიხა დამახასიათებელია ადგილობრივი კერამიკისათვის. ქანდაკების შემორჩენილი სიმაღლე 126მმ, ყანწ-რიტონის შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 51მმ. ფიგურას ქვევიდა 23x33მმ ღრუ აქვს. ალბათ ამ ღრუს საშუალებით ის ჯოხზე მაგრდებოდა.


გამოსახულების სამოსი გადმოცემულია ამოკაწრული ღარებით. ისინი ერთ სწორზე განლაგებული წამახული კუთხეებით არიან წარმოდგენილი. ეს კუთხეები წელს ზევით და წელს ქვევით ერთმანეთისკენაა მიმართული. ფიგურას ზურგზეც ტანსაცმლის გამომხატველი ღარები დაუყვება, ხოლო წელზე რელიეფური ქედით ბაწრისაირი სარტყელია გადმოცემული. ტანისამოსის საყელოც რელიეფურადაა წარმოდგენილი.

ფიგურის სამოსი უსახელოა და შიშველი, დაკუნთული ხელი მოჩანს. გამოსახულებას განიერი მხრები, მასიური კისერი, ფართო წელი და სწორი მკერდი აქვს. ფიგურის ხელის მტევანი, რომლითაც ყანწი უჭირავს, დიდი გულმოდგინებით არის გამოქანდაკებული. ქანდაკების ძერწვაში პროპორციები დაცულია. მძერწავი ღარების და ჭდეების გასაკეთებლად წამახულ იარაღს ხმარობს.

ვანის ნაქალაქარზე ტერაკოტის ბევრი ფრაგმენტია აღმოჩენილი. მათი ნაწილი ადგილობრივი წარმოებისას არ ჰგავს. ისინი სტილითა და შესრულების მნერით ანტიკური კოროპლასტიკის ნიმუშებს ემსგავსებიან. ზემოთ აღწერილ ანთროპომორფულ ფიგურაზე ამის თქმა არ შეიძლება.

ცონილია, რომ ანტიკურობის გაურცელებამ კოლხეთში მთელი რიგი საახლეები მოიტნა. ეს ჩანს, როგორც გამოსახულების შინაარსსა და ფორმაში, ასევე შესრულების ტექნიკაში. ვანის საკურთხეველთან გათხრილი მცირე ქნდაკება გამოირჩევა სქემატურობით და რეალისტურ-პრიმიტიული შესრულების მანერით. ის სტილის მხრივ დახვეწილ ნაკეთობას არ წარმოადგენს. აյ არ შეიმჩნევა გამოცდილი ოსტატის ხელოვნება. ფიგურა უფრო რელიგიური იდეით გამსჭვალული, კულტმსახურის შესრულებულს ჰგავს, რომელსაც ის საკურთხეველთან შეუწირავს.

საქართველოს ტერიტორიაზე ვანის გარდა ყანწიანი გამოსახულება სხვაგანაც არის დადასტურებული. მაგალითად: გუდაუთის რ-ში აღმოჩენილი მჯდომარე ადამიანის გამოსახულება; მცხეთაში არმაზისხევის №6 სამარხში ნანახი ქალღმერთ ფორტუნას სახე "სიუხვის ყანწით" ხელში, ან კიდევ ამაგვ ქალღმერთის სახე სოფ. ციხისძირიდან (ქობულეთის რ-ნი).



გამოსახულებები ყანწით ხელში საქართველოს გარეთ ბევრგანაა მიკვლეული. ყანწი, როგორიც ვანის ქნდაკებას უპრია ხელო, შესაძლოა "სიუხვის რქაა," რომელიც სიმდიდრის და ღოვლათიანობის გავრცელებულ სიმბოლოდ ითვლება. ამგვარი რქაყანწები ერთ-ერთი ატრიბუტი იყო გვას, ეირენეს, პლუტოსის, ფორტუნას, ტიხეს, კიბელას, დიზმანას, პარპოკრატეს, დიონისეს და კიდევ ზოგიერთი სხვა ღვთაების სიმბოლურ სახეში.

ცხოველის რქას ადამიანი დიდი ხანია იყენებს სასმისად. საქართველოში ამგვარ სასმისს ღვინის სასმელად იყენებენ და ყანწს ეძახიან. ჩვენში მეღვინეობის ძალიან ძველი ფესვები გვაფიქრებინებს, რომ ის აქ სასმისების უძველესი ფორმაა.

შესაძლებელია, რომ ვანში აღმოჩენილი, თიხის ყანწიანი ქანდაკება, გამოხატავს დიონისეს ტიპის აღგილობრივ ღვთაებას, რომელთაც ასიმილირდა ანტიკური სამყაროდან გავრცელებული დიონისეს კულტი (Fongarl, 1904, გვ.26; Lexicon Iconographicum..., გვ.474-491). ერთ-ერთი ფორმა დიონისეს გამოხატულებისა იყო მისი გამოსახვა სასმისით ზელში. ვანის ქანდაკებაზე მისი აღგილობრივი პროტოტიპი, ალბათ, ასახულია მეღვინეობის, დოვლათიანობის, ნაყოფიერების, ბუნების აყვავების მფარველ ღვთაებად.

საინტერესოა ექვთიმე მთაწმინდელის ცნობა ქართველთა წარმართობისდროინდელი ღვთაებების შესახებ: "სახელისდებანი იგი საწარმართოთა კერპთანი, რომელი მათ ღმრთად შერაცხნეს რომელნიმე მამათა და რომელნიმე დედათა – სრულიად მოისპენ: დიოს, ანუ პპოლოს, ანუ არტემის ანუ ბოჩი და გაცი, და ბადაგონ, და არმაზ ანუ რომელ იგი წნებასა ჟურნალისას ბილწისა მის დიონისეს სახელსა იტყვან, და სიცილსა აღაზრზენ, ესე ყოველი საეშმაკო არს ..." (მცირე სჯულის კანონი, 1972, გვ.58).

### ლიტერატურა:


- გამყრელიმე გ. ცენტრალური კოლეთის ძევლი ნამოსახლარები, თბ., 1982.  
ლორთქიფნიმე ოთ., და სხვ., ვნის არქეოლოგიური ექსპლიციის მუშაობის შედეგები, საველე არქეოლოგიური კლევა, თბ., 1974, გვ.45-52.  
მცირე სჯულის კანონი (გამოსცა ენ. გოუნაშვილმა), თბ., 1972.  
Foucart P. Le culte de Dionisos en Attique, Paris, 1904.  
Lexicon Iconographicum Mythologiae classical, "Artemis verlag Zürich und München," B. III (1), გვ. 474-491.

## ერთი კერამიკული ნივთის ინტერპრეტაციისათვის ადეიშვილების გორის ნაგებობიდან


ადეიშვილების გორის პლატოს ნაგებობის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა უჩვეულო კერამიკული ნივთი, რომელიც აქ მოპოვებული სხვა არქეოლოგიური მასალისაგან (ტაბ.I; ინვ.№ 07:6:399) გამოირჩევა. მისი ანალოგია ჯერჯერობით არ ჩანს დანარჩენ კოლხეთშიც. ადეიშვილების გორა, სადაც ეს ნივთი დადასტურდა, მდებარეობს ქ. ვანიდან დასავლეთით 8კმ-ზე სოფ. მთისძირში (აქ არქ. გათხრების შესახებ დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 1982, გვ.101-114). ხსენებული კერამიკული ნივთი დადასტურდა ადეიშვილების გორის პლატოს №12 თხრილის ნაგებობაში (ნივთი და მდაგვარივე კერამიკის ფრაგმენტების განლაგების სქემა იხ. ტაბ.I<sub>3</sub>).

ნაგებობა ოთხკუთხაა და შედგება ორი სხვადასხვა ზომის სათავსისა- გან. აღმოსავლეთი სათავსის შიდა ფართობია 5,50მ x 21,00მ, ხოლო დასავლეთი სათავსის შიდა ფართობი – 5,50მ x 5,50მ; კედლების სიგანე უმეტესად 1,30მ-ია. ნაგებობა ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლე თისაკენ. მასში გამოიყო ორი სამშენებლო პერიოდი. არქეოლოგიური გათხრისას გამოირკვა, რომ ნაგებობის შენებაში ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია ქვა, აგური, კრამიტი და ხე. კირხსნარი ნახმარია როგორც შემაკავშირებელ მასალად, ასევე კედლის შესალესად და ატაკის გასაკეთებლად. ნაგებობაში კერამიკას, მნის და რკინის ნაწარმი აღმოჩნდა. მათში განსაკუთრებით ჭარბობს კერამიკული ნაშთები. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ადეიშვილების გორის №12 თხრილის ნაგებობა III-VIIIსს. თარიღდება (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ.107-118). №12თხრილის ნაგებობაში მოპოვებული უჩვეულო კერამიკული ნივთი ცილინდრული მოყვანილობისაა, ძირისაკენ ფართოვდება და ბრტყელი წრიული ძირი აქვს. ზედა შესრუ არ არის შემონაზული; ნივთის შემორჩენილი სიმაღლე -16სმ, ძირის და - 14სმ, ტანის და - 7სმ, ტანი შემკულია მსხვილი არათანაბარი გოფრირებით, ხოლო ქვემოთ ძირისაკენ ეშვება ოთხი ქედი.

ტაბ. I



ადეივალის გორა  
№12 მხრიდის ნაბეჭობა



მანძილი ქედებს შორის ქვემოთ მიმართული მორკალული ღარებითაა შესრულებული. ნივთი დამზადებულია მბრუნავ სამეთუნეო ჩარხზე. კერამიკის თიხა მორუხო-ყავისფერია, კრექისა და პიროქსენის წვრილი მინარევებით. ნივთი არათანაბრად არის გამომწვარი. თიხის მიხედვით ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. მასზე ჭვარტლის ნაშთები შეიმჩნევა. ნა-გებობის სხვადასხვა ადგილზე ამდაგვარივე ნივთის კიდევ 7გოფრირებული ფრაგმენტია მიკვლეული (იხ. ტაბ. I<sub>3</sub>).






ადრე ეს კერამიკული ნივთი ჩვენ ზოგადად განვსაზღვრეთ როგორც ლარნაკის ფეხი. ამჟამად, ახალი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს სანათის, ჭრაქის ან სასანთლის სადგამი. კერძოდ, ასეთივე გოფრირებული სანათების რამდენიმე ეგზემპლარი აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (Античные..., 1984, გვ.227). მათში ყველაზე კარგად, მთლიანად შემონახულია გორგიპიაში (ახლანდელი ანაპა) მეთუნის სახელოსნოს გათხრისას აღმოჩენილი მაღალსადგამანი ჭრაქი (Античные..., 1984, ტაბ.CXXXII,14; Кругликова, 1962, გვ.222; Кругликова., 1975, გვ.48). ეს სახელოსნო – მც.წ. I საუკუნეში წყვეტს არსებობას (Кругликова, 1962, გვ.218). სადგამის გოფრირებული ნატეხებია ფანაგორიის Vს. სამეოუნეო სახელოსნოშიც გათხრილი (Кобылина, 1966, გვ.179). საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ძირითადად სწორედ ფანაგორიაში, მზადდებოდა მაღალსადგამანი პორიზონტალურ რელიეფურწრებიანი ჭრაქები (Арсеньевая, 1988, გვ.6). ურელიეფო წრეებიანი ე.წ. ფინჯანისებური (უფრო მართებული იქნება, აღბათ, ფიალისებური) სადგამანი, შედარებით მცირე ზომის, ნაძერწი, ადგილობრივად დამზადებული ჭრაქები უფრო ხშირად განვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ მასალაში. მაგ., – ტანაისში (Арсеньевая, 1988, გვ.129), ილურატში (Кастанаян, 1981, გვ.175; Гайдукевич, 1981, გვ.128, სურ.44;2,3), ტირიტაკეში (Гайдукевич, 1952, გვ.115, სურ.141;2,3), (იხ. ტაბ. II<sub>3,5</sub>; ტაბ.III<sub>2,4</sub>).

ე.წ. ვაზისებური, ლარნაკისებური ღია ტიპის ჭრაქ-სანათებისათვის დამახასიათებელია მაღალი ფეხსადგარი (ზოგჯერ გოფრირებული), რომელსაც მცირე, ტუჩიანი ფიალა ადგას. ვარაუდობენ, რომ ე.წ.

ლარნაკისებური ჭრაქები გვიანანტიგური და აღრეული შუა საუკუნეების დაბალფეხიანი ჭრაქების განვითარების შედეგია (სინაურიძე, 1966, გვ.5). ლარნაკისებური დაბალფეხიანი ჭრაქები კავკასიაში არქეოლოგიურად გათხრილია – ურბისში (სინაურიძე, 1966, გვ.56), უფლისციხეში (მინდორაშვილი, 1988, გვ.30), რუსთავში (ჭილაშვილი, 1958, გვ.53), თელავში (შეად. ჩიკოძე, 1979, გვ.78, ტაბ.XV,7), კაბალაში (Георгев, 1962, გვ.18-19), მინგეჩაურში (Вайдов, 1961, ტაბ.VIII,10) და სხვ.

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ე.წ. ლარნაკისებური გოფრირებული მაღალფეხიანი ჭრაქები, აღემვილების გორის გარდა ჯერჯერობით არ გვხდება. სამაგიეროდ, ამდაგვარი, შუა საუკუნეების ჭრაქები მაღალ ფეხზე, ზედა მხარეზე მიძერწილი ფიალით (ეტყობა ჩამონაღვნთუბისათვის) აღმოჩენილია თბილისში, კაბალაში, ლორეში, შემახიაში, მინგეჩაურში და აღმოსავლეთ კავკასიის სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე (არჩვაძე, 1973, გვ.117, ტაბ.II). საყურადღებოა, რომ აღემვილების გორის ნაირი, უფრო ვიწრო, ფართოდ გოფრირებული სასანთლები აღმოჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების თბილისის არქეოლოგიური გათხრებისას (არჩვაძე, 1973, გვ.118, ტაბ. III). საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებული არიან მესანთლე პროფესიის თბილისელი ხელოსნები (Месхия, 1959, გვ.12), რაც მესანთლეობის ცალკე დარგად გამოყოფაზე დოკუმეტურად მიგვითითებს. სსენებული ტიპის თიხის სასანთლები საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე არ არის მიკვლეული (არჩვაძე, 1973, გვ.118). საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების არქეოლოგიურად შესწავლილ საზოგადოებრივ-საკულტო და საყოფაცხოვრებო ნაგებობებში აღმოჩენილია რამდენიმე ტიპის სანათი (ტიპების შესახებ დაწვრილებით იხ. Арешиева, 1988, გვ.12; Вальдгайер, 1914, გვ.27). მათში გამოიყოფა ადგილობრივი და უცხოური ნაწარმი. აქ, ძირითად ტიპებად ჩვენ მიგვაჩნია – ხელით ნაძერწი ფიალისებური ან ე.წ. ნიჟარისებური უფეხო, დაბალფეხიანი და მაღალფეხიანი ლარნაკისებური

ტაბ. II



ლია ტიპის სანათები; მაღალფეხიანები ჩშირად სამეთუნეო ჩარხზე არის დამზადებული. მეორე – დახურული ტიპის, საპატრუქე მიღიანი, მზადებოლა სპეციალურ ყალიბებში. არსებობს ამგვარი სანათების სხვადასხვანაირი მოდიფიკაციები (რამდენიმე საპატრუქე მიღიანი და სხვ.). ეს ტიპი უცხოეთიდან, ანტიკური სამყაროდან გავრცელდა და საქართველოში აღმოჩენილია, როგორც უცხოური, აგრეთვე ადგილობრივი ეგზემბლარები (კილურაძე, 1977, გვ.211). პირველი, ე.წ. ფიალისებური ტიპის სანათები საფიქრებელია, რომ ადგილობრივად განვითარდა და შემდგომ ე.წ. ლარნაკისებურ ტიპად ჩამოყალიბდა. მათი დამზადების ტექნოლოგია სამეთუნეო ჩარხზე უფრო მარტივია, ვიდრე მეორე, დახურული ტიპისა, რომელიც ყალიბში კეთდებოდა.

სანათების საწვავად ზეთს ან ქონს ხმარობდნენ. მათში ზოგან ნავთობსაც ურევდნენ. სანათის პატრუქად ლერწამი, სელი ან კანაფი გამოიყენებოდა, რომლებიც ლია ტიპის უტუჩო ჭრაქებში აღბათ სპეციალური სამაგრებით მაგრდებოდა. შესაძლოა ეს გარდიგარდმო გადებული მავთული იყო, რომლის შუაშიც პატრუქი იყო გარჭობილი, ანდა თიხის გახვრეტილი მცირე კონუსისებური სადგარი, რომლის ხვრელშიც პატრუქი იღო და ფასლის ცენტრში მაგრდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში ლია ტიპის სანათებად შეიძლება მივიჩნიოთ ანტიკური ხანის ცალფურა ჯამები (მაგ. კამარახევი, მუხათგვერდი, ასურეთი, კავთისხევი, უფლისციხე, სამადლო და სხვ.), რომლებიდანაც შემდეგ, გვიანანტიკურ ხანაში განვითარდა სადგამიანი ლარნაკისებური სანათები (მაგ., ფეხიანი სანათები ურბნისიდან, უფლისციხიდან და სხვ.).

სანათებს ეტყობა რიტუალური დანიშნულებაც პქონდა. გვიანანტიკურ ხანაში და ადრეულ შუა საუკუნეებში ასეთები შესაძლოა ლარნაკისებური მაღალფეხიანი სანათები ყოფილიყო (მაგ. ადეიშვილების გორის №12 თხრილის სანათი), რომლებიც ფორმით ელინისტური ხანის საცეცხლე რიტუალურ ჭურჭლებს ე.წ. თიმიატერიონებს ჩამოჰგვანან – მაგ. ვანი (ფირცხალავა, 1986, გვ.67, ტაბ.53,სურ.1). ასეთივე ე.წ. საოჯახო მცირე საკურთხევლები გათხრილია გორგიაშიც (Антитиные..., 1984, LXV, 5-7). საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური შესწავლის შედეგად







გამოვლენილია ანტიკური ხანის და შუასაუკუნეების საზოგადოებრივ-საცულტო და საყოფაცხოვრებო ნაგებობების მრავალი გასანათებელი საშუალება. ამ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზღვის სანაპიროსკენ, აღბათ, ანტიკური სამყაროს მეტი გავლენის გამო, სჭარბობს დახურული ტიპის სანათები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მეტია ღია ტიპის.

ამრიგად, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ადეიტვილების გორის №12 თხრილის ნაგებობაში გამოვლენილი ნივთი წარმოადგენს სანათის სადგარს, მაშინ ის ჯერჯერობით ამ სახის ერთადერთ დადასტურებულ ნიმუშად გვევლინება დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არქოლოგიურ ძეგლებზე.

### ლიტერატურა:

- არჩვაძე, თ. აღმოსავლეთ საქართველოს..., ფსამ,III, თბ.,1978, გვ.111-133.  
 გამერელიძე, გ. ცენტრალური კოლეგის ქველი ნამოსახლარებია, თბ.,1982.  
 კილურაძე, ნ. ჭრაქები ბიჭვინტიდან. დიდი პიტიონტი, II, თბ.,1977, გვ.211-222. მინდორაშვილი  
 დ. შუასაუკუნეების მოუჭირები.... (ჭრაქები),მმ, №2,1988, გვ.30-32.  
 სინაურიძე მ. აღმოსავლეთ საქ. ადრეულ... კერამიკა,მსმენ, I, 1966, გვ.39-90.  
 ფირცხალავა მ., ყიფიანა გ. ცენტრალური..., ვნო, VIII, თბ.,1986, გვ.52-78.  
 ჩიკოძე ც. ქალაქი თელავი. თბ., 1979.  
 Аntichные государства Северного Причерноморья, М. 1984.  
 Арсеньева. Т. Светильники Танаиса, М. 1988.  
 Ахмедов. Г. Неполивная керамика Оренкала. МИА,67, 1959, гв.221-231.  
 Вайдов. Р. Мингечаур в III-VIII вв., Баку, 1961.  
 Вальдгауер. О. Античные глиняные светильники. С-Петербург, 1914.  
 Гайдукевич. В. Боспорские города. Л. 1981.  
 Гайдукевич. В. Раскопки Тиритаки в 1935-40. МИА, 25, 1952. с.15-134.  
 Геюшев. Р. Керамика г. Кабалы I-X вв. Баку, 1962.  
 Кастанаян. Е. Лепная керамика Боспорских городов. Л. 1981.  
 Кобылина. М. Керамическое произ... Фанагории.СА, 3, 1966, с.172-186.  
 Кругликова. И. О гончарной мастерской Горгиппии. СА,2,1962, с.218.  
 Кругликова. И. Синдская гавань Горгиппия Анапа. М., 1975.  
 Месхия. Ш. Города и городской строй феодальной Грузии. Тб., 1959.  
 Perlzweig J. Lamps of the roman period, The Athenian Agora, v.VII, Princeton, 1961.

ტაბ. III



## პროკოპი ქესარიელის და აგათიას თხზულებებში მოხსენიებული “მუხირისის” შესახებ

ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელი – “მუხირისი” ისტორიკოს-არქეოლოგებს შორის ფრიად დიდი ინტერესს იწვევს. ისტორიკოგრაფიაში მიღებული და გაზიარებულია მოსაზრება, რომ ბიზანტიური წერილობითი წყაროების მუხირისი არის კოლხეთის ის მხარე, რომელიც მოიცავს დაბლობ, მთისწინა იმერეთს და აღმოსავლეთ სამეგრელოს – აბაშის და მარტვილის რ-ნებს (საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ. ჯანაშია, 1952, გვ.320-321; ჯავახიშვილი, 1960, გვ.254,274,425; ფაუსტიშვილი, გეორგია,II, 1965, გვ.208-210; ბერძენიშვილი, 1975, გვ.442-537; მუსხელიშვილი, 1977, გვ.113-115; ლომოური, 1968, გვ.50-51; გამყრელიძე, 1982,გვ.118-122; გამყრელიძე, 1992,გვ.101-117; ლაჩავა.1995, გვ.30; ლანჩავა,1974, გვ.129-136; ჯავარიძე, 1998, გვ.16-18; ჯაფარიძე,1999, გვ.36-39). მდ. რიონის შუა წელი ემთხვევა მუხირისის მხარის ცენტრალურ ნაწილს. მუხირისის მხარეში მდებარე ქალაქი მუხირისი კი წერილობით წყაროებში სულ რამდენჯერმე იხსენიება. მისი მდებარეობის შესახებ გამოთქმულა მრავალნაირი მოსაზრება.

ჯერ კიდევ 1979წელს დაიბეჭდა ჩემი მოსაზრება მუხირისის (როგორც პუნქტის, ქალაქის, ციხე-სიმაგრის) შესაძლო იგივეობის შესახებ სოფ. მთისძირში არქეოლოგიურად გათხრილ, ადრეული შუა საუკუნეების ძეგლთან (იხ. გამყრელიძე,1979,გვ.18; გამყრელიძე,1982,გვ.118). ხსენებული არქეოლოგიური ძეგლი ქ. ვანიდან დასავლეთი 8კმ-ზე სოფ. მთისძირში, "აღეიშვილების გორაზე" და მის მიმდებარე დაბლობში მდებარეობს. აქ, 1973-1978წლებში, არქეოლოგიურად შევისწავლეთ ანტიკური სანის და ადრეული შუა საუკუნეების კულტურული ფენები და ნაგებობები (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე,1982). ამჯერად, მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მონაცემებს.

"მთისძირის" სამოსახლოს ისტორიის ბოლო პერიოდი ადრეულ შუა საუკუნეებს მოიცავს. ამ მონაკვეთის ცალკე გამოყოფისას ვეყრდნობით სოფ.

მთისძირის სტრატიგიულ მონაცემებს და კერამიკულ მასალას. წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი "მთისძირის" ცხოვრების ზოგიერთ მსარეზე – მოსახლეობის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფარგლებზე, დასახლების წესზე, მეოუნეობაზე და სავაჭრო ურთიერთობებზე.

დასახლების წესი ამ დროს სამოსახლოზე შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: სამოსახლოს ნაგებობები ტერასებზეა განლაგებული, განსაკუთრებით რაციონალურადაა ათვისებული "ადეიშვილების" გორის პლატო, რომელზედც, აღბათ, ნაგებობების მიზრდილი კომპლექსი იდგა. საერთოდ, როგორც ჩანს, საფორტიფიკაციო ნაგებობები ბორცვგორის ტერასებზე იყო გამართული. "ადეიშვილების" გორის ქვედა ტერასაზე შეიმჩნევა ქვით ნაგები გალავნის კვალი. გორის ბუნებრივი რელიეფი მოხერხებულად იყო გამოყენებული ნაგებობების გასამართავად და თავდაცვითი სისტემის შესაქმნელად. ასეთაირ გორებზევეა ამ ზანის ციხესიმაგრები აგებული – ციხისძირში, ქუთაისში, შორაპანში, სკანდაში, შხევში და სხვ. გორებზე განლაგებული, ქვით და დუღაბით ნაგები ციხესიმაგრები ამ დროის კოლხეთისათვის ფრიად დამახასიათებელია. ასეთი სასიმაგრო ნაგებობები იდგა სტრატეგიულად მნიშვნელოვნ პუნქტებში – გზების ჩასაკეტად, გარკვეული მხარის ან საგამგებლოს საზღვრების დასაცავად. "მთისძირის" სამოსახლო, აღბათ, მცირე ციხე-ქლაქი იყო, რომელიც, ერთი მხრივ, გარკვეულ ეკონომიკურ მსარეს საზღვრავდა, ხოლო მეორე მხრივ, სამცხედან მომავალ (მდ. ყუმურის ხეობაზე) ერთ-ერთ გზას ჰკრავდა. ციხე-ქალაქის განვითარებაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა მის რით-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე მდებარეობას.

ადრეული შუა საუკუნეების "მთისძირის" სამოსახლოს შენებაში ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია ქვა, აგური, კრამიტი, კირჩხარი. სამოსახლოს ნაგებობების წარმოსადგენად ფრიად საინტერესოა ადეიშვილების გორის პლატოს ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც *in situ* მდგომარეობაშია არქეოლოგიურად შესწავლილი. სამწუხაროდ, ადეიშვილების გორის მიმდებარე, დაბლობი ადგილი, ჯერჯერობით

გაუთხრელია. ეს ის ადგილია, სადაც ქალაქის სამეურნეო ნაწილი იყო აღბათ განლაგებული. არქეოლოგიური კვლევის დროს გამოიკვა, რომ ნაგებობების შენებაში ძირითად საშენ მასალად გამოიყენებულია ქვა (ქვიშაქვა, რიყის ქვა, კირქვა), აგური, კრამიტი, ზოგჯერ კი თეთრი მარმარილო და ხეც. კირსხნარი გამოიყენებულია როგორც შემაკავშირებელ მასალად, ასევე კედლის შესალესად და იატაგის გასაკეთებლად. რიყის ქვები მდ. რიონის ჭალიდან არის ამოტანილი, თირის ქვა და ქვიშაქვაც აქვეა მოპოვებული, ხოლო კირქვა და თეთრი მარმარილო სხვა ადგილიდან არის მოტანილი, რადგან სოფ. მთისძირის ახლომახლო მათი არსებობა არ შეინიშნება. კირქვა, შესაძლოა შემოტანილი იყოს დაბლაგომიდან, სადაც ის დიდი რაოდენობით მოიპოვება.

პლატოს ძირითადი ნაგებობა ოთხუთხაა და შედგება ორი სხვადასხვა ზომის სათავსისაგან. აღმოსავლეთი სათავსის შიდა ფართობია  $5,50\text{მ} \times 21,00\text{მ} - 115,50\text{კვ.მ}$ , ხოლო დასავლეთი სათავსის შიდა ფართობი  $5,50\text{მ} \times 5,50\text{მ} - 30,25\text{კვ.მ}$ . ეს მოზრდილი ნაგებობა ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ნაგებობის შესწავლამ ცხადყო, რომ საქმე გვაქვს შენობის ორ სამშენებლო პერიოდთან. ნაგებობებს სტრატეგიულად ხელსაყრელი აღილი უჭირავს. "ადგიშვილების" გორა, რომელზედაც ეს კომპლექსი იდგა, რამდენადმე წინ არის წამოწეული ასეთივე გორების რიგიდან და, ერთის მხრივ, აკონტროლებს მდ. რიონის ხეობის კარგა მოზრდილ ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, — მდ. ჟემურის ხეობიდან მომავალ ერთ-ერთ გზას ჰკრავს. პლატოს ნაგებობის აღმოსავლეთის სათავსის აღმოსავლეთი კედლის ინტერიერის მხარეზე შერჩენილია კირსხნარიანი შელესილობა. ნაგებობის მთელ შიდა ფართობში შეინიშნება დანახშირებული ძელების კვალი. ეს ძელები აღბათ გადაურვის კონსტრუქციაში გამოიყენებოდა. ნაგებობები აღმოსავლეთით გრძელდებოდა, რადგან ამ მიმართულებით აღმოჩნდა კედლის ნაშთები. დანარჩენი დანგრულ-ჩაშლილია გორის ფერდობებზე. ასეთივე მდგომარეობაშია შენობის სამხრეთით მდებარე ნაგებობები.

ადგიშვილების გორის პლატოს ნაგებობაში საკმაოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა — კერამიკის, მინის, რკინის ნაწარმი.

მათში განსაკუთრებით ჭარბობს კერამიკული ნაშთები. სოფ. მთისძირში დადასტურებულ კერამიკულ ნაწარმში გამოიყოფა სამშენებლო, საოვალო, ტარა და სამეურნეო კერამიკა. სოფ. მთისძირის ამ ღროის სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია კრამიტით და აგურით. მათში ხერხდება რამდენიმე ტიპის გამოყოფა. როგორც ჩანს, ადრეულ შუა საუკუნეებში კრამიტი ძირითადდ გამოიყენებოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შენობების გადასახურად. კრამიტით იყო გადახურული საფორტიფიკაციო ნაგებობები, მაგალითად: ვარდციხეში, ვაშნარში, ბიჭვინტაში, ციხისძირში და სხვ. ადრეული შუა საუკუნეების კრამიტი ჩამოჰგავს ანტიკური ხანის კრამიტს. ეს სოფ. მთისძირის კრამიტებზე დაკვირვებისასაც შეინიშნება.

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე დადასტურებული აგურები ძირითადად ქრონაირია, მაგრამ მათში მაინც შეიძლება ორი ტაბის გამორჩევა. პირველი, ეს არის კვადრატული ფორმის აგური, რომელსაც კუთხეებიდან ურთიერთგადამკვეთი ორ-ორი ღარი დაუკვება. მეორე – მოგრძო აგური. ის, როგორც წესი, უღრუბო. ადეიშვილების გორის ნაირი აფურება დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე: ბიჭვინტა, ინკიტის ტბა, ოჩამჩირე, ციხისძირი, ვაშნარი, ვარდციხე, შორაანი, სკანდა და სხვ. ურთიერთგადამკვეთი ორ-ორ ღარიან აგური, განსაკუთრებით ახ.წ.IV-VIIIს. ფენებისთვის არის დამახასიათებელი.

"მთისძირის" სამზარეულო კერამიკის უმეტეს, შეიძლება თქვას, ძირითად ნაწილს შეადგეს ქოთნები. ისნი ძირითადად არის მუცელგამობერილი, მოკლეყელიანი და სადა. ქოთნის ძირები ბრტყელია, კედლები ძირისაკენ ვიწროვდება. სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამზარეულო კერამიკის ნაწილს წარმოადგენს ჯამებისა და ღოების ნატეხები. "მთისძირის" სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ძირითადად ქვევრებით. მათი ნაშთები დიდი რაოდენობით არის დადასტურებული სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე. ასეთი ქვევრები ხშირად გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული შუა საუკუნეების არქოლოგიურ მასალაში. სამოსახლოზე აღმოჩნდა ლუთერიების ნატეხები. აღნიშნული ტიპის ადგილობრივი კერამიკა გვხვდება ვარდციხეში, გუდავაში, ოჩამჩირეში, ბიჭვინტაში, ფოთში, ინკიტის ტბასთან და სხვა

გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე. "მთისძირში" აღმოჩნდა ადგილობრივი ამფორები. ამგვარი – მოყავისფროდ გამომწვარი, კონუსურძძრიანი, ოვალურგვნიველთიანი ყურების მქონე ამფორები ხასიათდება წელის შეზნექილობით.

"მთისძირის" არქეოლოგიური მასალების ერთი ნაწილი, კერძოდ უცხოური ნაწარმი, წარმოდგენას გვიქმნის იმ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომელშიაც კოლხეთ-ლაზიკასთან ერთად ჩაბმული იყო "მთისძირიც". ეს უცხოური ნაწარმი წარმოდგენილია კერამიკით და მინიო. სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე დადასტურდა გოფრირებული ამფორების ნატეხები. სამოსახლოს კულტურულ ფენებში დადასტურდა წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები. ამგვარი წითელლაკიანი კერამიკა აღმოჩნდილია გონიოში, ბათუმის ციხესა და ციხისძირში, ქობულეთ-ფიჭნარში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ბიჭვინტაში, ვაშანარში, ნოქალაქევში, პალიასტომის ტბაში, ქუთაისსა და წებელდაში. საყურადღებოა, რომ ამ რიგის კერამიკა ბევრია ზღვისპირეთში, განსაკუთრებით სოხუმსა და ბიჭვინტაში. ხოლო ზღვიდან დაცილებულ შიდა რაიონებში კი ჯერჯერობით ცოტაა ნანახი. ამდენად კიდევ უფრო საინტერესოა მთისძირის "წითელლაკიანი" კერამიკის ფრაგმენტები. ამგვარი კერამიკა კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების ახ.წ. IV-Vს-ის ფენებში გვხვდება (იხ. ლორთქიფანიქ, 1962, გვ.240).

სამოსახლოს უცხოური ნაწარმის კიდევ ერთ ჯგუფს ქმნის მინა. ის ძირითადად მინსფერიანი სასმისებით არის წარმოდგენილი. სოფ. მთისძირის მსგავსი ფეხიანი სასმისები ცნობილია ჯერ კიდევ მცხეთის ახ.წ. V-VIIIს-ის სამარხებიდან. ამნაირი ტიპის სასმისებს დიდი ქრონოლოგიური ჩარჩო აქვს. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ისინი აღმოჩნდილია ციხისძირში, გონიოში, ფოთში (პალიასტომის ტბაში), ბობოვათში, ბიჭვინთაში, ვარციხეში, ვაშანარში და სხვ.

საგულისხმოა, რომ სოფ. მთისძირის ადრეული შუა საუკუნეების სამოსახლოსთან, რომელიც გამაგრებული პუნქტის ნაშთებს წარმოადგენს, დადასტურდა ტოპონიმი მუხური (სოფ. დაბლაგომისკენ). ტოპონიმი ჩავიწერეთ ამ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის დროს 1976 წელს (ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ხელმძღვანელი თ. ბერაძე),

იგივე ტოპონიმი ჯერ კიდევ 1930 წ. დაადასტურა ნ. ბერძნიშვილმა, როგორც ამას ს. ყაუხჩიშვილი გადმოვცემს (იხ. გეორგია II, ტფ., 1934, გვ.178; გეორგია II, თბ., 1965, გვ.208-210); მუხური მეგრულად ნიშნავს მხარეს. საფიქრებელია, რომ ეს იყოს ბიზანტიური ახ.წ. VIIს-ის წყაროებში აღწერილი გამაგრებული ქალაქი მუხირისი თუ მოხირისი (Mouschatis, Moxhratis), ან მუხირისის მხარის ერთ-ერთი გამაგრებული პუნქტის ნაშთები, რომელიც ამავე სახელწოდების მხარეში მდებარეობდა – პროკოპი კესარიელი (BP II 29; BG VIII 1,14,16,17), აგათია (II 19,22; III 6,7,19, 28; IV 9,13). პროკოპი კესარიელი ერთგან "მოხირისს" ქალაქად იხსენიებს – ლაზიკაში "...ველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი" (BP II 29), ხოლო მეორეგან აღნიშნავს – არქეოპოლისიდან გამობრუნებულმა სპარსელებმა "ქუთაისისა და მოხირისისაკენ დაიხიეს" (BG VIII, 17). ამ შემთხვევაშიც მუხირისი უფრო რაღაც პუნქტად ჩანს. თუ ამას დაუვაჭებთ, მაშინ ქუთაისი და მოხირისი ერთმნეთისაგან დაცილებულ პუნქტებად უნდა წარმოვიდგინოთ. ეს ორივე პუნქტი არქეოპოლისიდან აღმოსავლეთისაკენ არის, მაგრამ ერთმანეთის ახლო არ მდებარეობს. მეორე მხრივ, ქუთაისთან ერთად პროკოპი ახსენებს მოხირისს და არ ახსენებს "შესანიშნავ ქალაქს როდოპოლისს," რომელიც ახლოა ქუთაისთან. სანტერესოა ის ფაქტიც, რომ ქუთაისს პროკოპი კესარიელი "შესანიშნავ ქალაქებში" არ იხსენიებს. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ქუთაისი ამ მხარის (მოხირისის) ერთ ნაწილშია, ხოლო მოხირისი (პუნქტი) – მეორე ნაწილში მდებარეობს. პროკოპი კესარიელი ამ ორ პუნქტს (ქუთაისი, მოხირისი) შესაძლოა, რომ მოხირისის მხარის შემომფარგვლელობით ასპექტში ხმარიობდა. ასე ვთქვათ, ასახელებს ამ მხარის ორ რამდენადმე გამაგრებულ პუნქტს.

მეორე ბიზანტიული ავტორი აგათიაც მუხირისს (მოხირისს) ზოგჯერ გეოგრაფიული პუნქტის მნიშვნელობით იხსენიებს – "სპარსელები იმყოფებიან მუხირისსა და კოტაისში" (აგათია III 6); "მერმეროე კვლავ დაბრუნდა კოტაისსა და მუხირისში" (აგათია II 22). აქედანაც თითქოს ისე გამოდის, რომ თითქოს მარტო კოტაისის (ქოთაისი, ქუთაისი) სანახებში ყოფნა მთელ მოხირისის მხარეში ყოფნას არ ნიშნავს; ამისათვის საჭიროა

მუხირისის გამაგრებული პუნქტის დაკავებაც. მოხირის-მუხირისად მთხმნია "Notitia dignitatum"-ში (V1.), დასახელებული სიმაგრე მოხორა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა. აქ ბიზანტიულია ერთი კოპირტა იდგა (გეორგიკა I, 1961, გვ.168-178). ამ პუნქტს აღმოსავლეთ ანატოლიაში ეძებს ნ. ადონცი (Адонц. 1908, გვ.100). მას დაეთანხმა ნ. ლომოურიც (ლომოური, 1975, გვ.68-69). ვ. ლექვინაძე მოხორას სოჭის მახლობლად ეძებს. მოხორა ციხისძირთან გააიგივა ნ. ინაიშვილმა (ინაიშვილი, 1993, გვ.116).

თუ სტინიანეს ნოველებში დაცულია ცნობა, სადაც ჩამოთვლილია ეგრისის ციხესიმაგრები "...სკანდის, სარაპანის, მუ(ხი)რისი (Μουριτιος) და ლისირი...", (ნოვ.XXXI) (გეორგიკაII, 1965, გვ.35-36); აგრეთვე VIIIს-ის ცნობებში დაცული "მუკორისი" – პუნქტი, სადაც გზად გაიარეს ლაზიკაში გადასახლებულმა მაქსიმე აღშარებლის თანმოაზრებმა ანასტასი ბერმა და ანასტასი აპოკრისიარისმა (თეოდოსი განგრეული XCVII) (გეორგიკა IV, ნაკვ.I, 1941, გვ.43). III-ის ბერძენი გეოგრაფიისის კლავდიოს პტოლემაიონის "გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" მოხსენიებული პუნქტის – "მეხლესოს"-ის გაიგივება ქ.მუხირისთან შესაძლებლად მიაჩნია ნ. ლომოურის (ლომოური, 1968, გვ.50-51). ამრიგად, როგორც ვხედავთ, სახელი მუხურისი (ვარიანტები – მოხირისი, მუხირისი, მოხორა, მუ(ხი)რისი, მუკორისი, მეხლესოსი) საკმაოდ ხშირად გვხვდება ბერძნულ-რომაულ წყაროებში. ისინი აქ არა მარტო მხარის, არამედ ამ სახელის რაღაც გამაგრებული პუნქტის არსებობასაც გვიდასტურებენ. მართლაც, სრულიად შესაძლებელია, რომ ამ სხვადასხვა ვარიანტებით (მოხორას გარდა) ერთი და იგივე პუნქტი აღინიშნებოდა. დიუუა დე მონპერემ გეოგრაფიული პუნქტი მუხურისი გააიგივა გეგუთთან, რომელიც ქუთაისისა და ვარდციხეს (როდოპოლისს) შუა მდებარეობს (იხ. კეკალიძე, 1961, გვ.29). მაგრამ ჯერჯერობით, ვიდრე გეგუთის ციხე-დარბაზის ნანგრევების ტერიტორიაზე XIIს-ზე ადრეული არქეოლოგიური ნაშთები არ აღმოჩენილა, ასეთი ვარაუდი რეალობას მოკლებულია.

ჩვენთვის ყველაზე სარწმუნოდ გამოიყურება ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომელიც წერს: "ქუთაისი და მოხირისი ერთ სტრატეგიულ ხაზზე მდებარეობენ; უკეთ რომ ვთქვათ, რიონზე (ქუთაისში) დაბანაკებული

ჯარისათვის მოხირისი (მხარე – გ.გ.) მატერიალურ, სასურსათო ბაზას წარმოადგენს." იქვე: "1930 წ. ნ. ბერძენიშვილის მიერ ადგილობრივ ჩატარებულმა წინასწარმა კვლევამ ამ მხრივ საგულისხმო შედეგი მოიტანა, სახელდობრ, სწორედ ზემოაღწერილ მხარის მიდამოებში, ხოლო რიონის მარცხნა ნაპირას, კულაშ-ეწერის პირდაპირ მდებარე ადგილებს, რომლებიც ზედ მთის ფერდობებს ებჯინება სოფ. დაბლაგომთან, დღესაც მუხურს ეძახიან და მის აღმოსავლეთით 5-4კმ მანძილზე მუხურის ციხეც მდებარეობს" (გეორგია, II, 1965, გვ.208-210). სოფ. მთისძირსა და დაბლაგომს შირის, როგორც ზემოთაც აღნიშნე, ტოპონიმი მუხური კიდევ ერთხელ დაგადასტურეთ, ხოლო, სამწუხაოდ, ნაციხარის ზუსტი მდებარეობა კი, თუ რომელ პუნქტს გულისხმობს ავტორი, გაურკვეველია (იგი არც სოფ. მთისძირსა და არც "ადეიშვილების" გორას არ ახსენებს). მოუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ს. ყაუჩხიშვილი სოფ. მთისძირის ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობების ნაშთებს გულისხმობს.

მხარე, მუხირისი, სადაც მუხირისის პუნქტი იყო განლაგებული, ყველა წერილობითი წყაროს მიხედვით ცენტრალურ კოლხეთში მდებარეობდა. პროკოპი კესარიელის აღწერილობით: "მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზე არქეოპოლისს დამორებული და შეიცავს მრავალ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობს, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე – სახელად რეონი" (მდ. რიონი – გ.გ.) (BG VIII14). მუხირისის მხარეს დასავლეთით მდ. ცხენისწყალი უნდა საზღვრავდეს, როდესაც 550 წ. სპარსელების ჯარი კოლხეთში შეიჭრა და "...ლაზიკის იმ ადგილში მივიდა, რომელსაც მოხირისი ეწოდება, დასაბანაკებლად დადგა მოხერხებულ ადგილას. იქ ჩამოდის მდინარე ჰიპონი (მდ. ცხენისწყალი – გ.გ.), არც დიდი და არც ნავთსავალი, რომლის გადასვლა შეუძლიათ ცხენისანთ და ფეხდაფეხ მავალთაც; ამის მარჯვენა ნაპირას გაიკეთეს სიმაგრე..." (BGVIII1). როგორც სტატიის დასაწყისშიც აღინიშნა, ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ეკონომიკურად დაწინაურებული – "მუხირისის" მხარის ცენტრალური ნაწილი კოლხეთის მთავარი მდინარის,

რიონის (ფასისის) შუა წელზე მდებარეობდა. მისი დაწინაურებული ეკონომიკური მდგომარეობა თვალისათვის დასტურდება დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემებითაც. რაც შეხება პუნქტი "შუხირისი," მის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა (გვეუთის შესახებ უკვე მოგახსენეთ და აქ აღარ გავიძორებ). ზოგმა მკვლევარმა ქალაქ მუხირისად ქ. ჭუთაისი (Ланчава, 1995, გვ.30; ლანჩავა, 1996) მიიჩნა. მაშინ საკითხავად თვით ჭუთაისი სადღაა ან რა მოუხერხოთ წერილობით წყაროებს. მუხირისად მიიჩნა მდ. გუბისწყლის მარცხნა ნაპირზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლი (ნამშვევი) არქეოლოგმა ვ. ჯაფარიძემ, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ ძეგლის "...ქალაქობის ნიშნები დამატებით კვლევას საჭიროებს" (ჯაფარიძე, 1999, გვ.38). მართლაც, ჯერჯერობით, სამწუხაროდ აქ აღმოჩნილი არქეოლოგიური ძეგლი სრულად არ არის გათხრილი და გამოქვეყნებული. აქვე აღნიშნავ, რომ ამ სტრიქონების ავტორი 1982 წელს (ПАИ, 1985, გვ.49-51) ნამაშვის მცირე ნაგებობის გათხრას ესწრებოდა. ნამაშვთან და მის შემოგარენში ტრანისიმი მუხირისა არ დასტურდება. ამიტომ, ვერ გავიზიარებ ბ-ნ ვ. ჯაფარიძის მოსაზრებას ნამაშვის და მუხურისის იგივეობის შესახებ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ 1979წ. გამოვთქმი ვარაუდი (იხ. გამკრელიძე, 1979, გვ.18; გამურელიძე, 1982, გვ.118) პუნქტი - "მუხირისად" სოფ. მთისძირის ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლის მიჩნევის შესახებ. ჩემი არგუმენტებია: პირველი - პროკოპი კესარიელის და აგათას თხზულებების, "მუხირისის" შესახებ ცნობების თანხვედრა ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემებთან (ბერძნული წერილობითი წყაროების დამაჯერებელი ანალიზი იხ. ს. გუხჩიშვილის - გეორგიგა, II, 1965, გვ.208-210); მეორე - სოფ. მთისძირის ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობა და არქეოლოგიური მასალა; მესამე - ტოპონიმი "მუხურისის" სოფ. მთისძირთან დადასტურება.

მთებედავდ ჩამოთვლილი არგუმენტებისა, პუნქტი "მუხირისის" შესახებ წერილობით წყაროებში წინააღმდეგობრივი მონაცემების გამო, ვთვლი, რომ მუხირისის ადგილმდებარეობის საკითხი არ შეიძლება დღესდღეობით გადაჭრილად ჩაითვალოს.

## ლიტერატურა:

- ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.VIII, თბ., 1975.
- გამყრელიძე, გ. ცენტრალური კოლეგიის მემკონადარები, თბ., 1982.
- გეორგიკა II,(თარგმანი და კომენტარები ს.ყუხჩიშვილის), ტფილისი, 1934.
- გეორგიკა IV, ნაკვ. I, (თარგმანი ს. ყუხჩიშვილის), თბ., 1941.
- გეორგიკა I, (თარგმნებს ს. ყუხჩიშვილმა და ალ. გამყრელიძებ), თბ., 1961.
- გეორგიკა II, ბიზანტიელი..., (თარგმანი ს. ყუხჩიშვილის), თბ., 1965.
- გრიგოლია, გ. ეგრისის..., არქეოლოგიური კრიბული I, თბ., 1994, გვ.112-145.
- ინაიშვილი, ნ. ციხისძირის I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.
- კეპელიძე, კ. ეტიუდები ძეგლი ქართული ღიატ. ისტორიიდან, VII, თბ., 1961.
- ლანჩავა, ომ. დასაცლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, მეცნ. აკად. ჟურ. "მაცნე" (ისტორიის...სერია), 1974, №4, გვ.129-136.
- ლანჩავა, ომ. ქუთაისი ეგრისის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი, 1996.
- ლომოური, ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
- ლომოური, ნ. Notitia dignitatum-ის..., თსუ-ს კრებ. არქ...., თბ., 1975, გვ.68-69.
- ლორთქიფანიძე, ოთ. ბიჭვინთის წითელლაგიანი კერამიკა, საქ. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ-ის "მოამბე," თბ., 1962, №1, გვ.231-255.
- მუსხელიშვილი, დ. საქ. ისტ. გეოგრაფიის მირითადი საკითხები, თბ., 1977.
- ჩაკვეტაძე, ვლ. გმბუთის ციხე-დარბაზი, თბ., 1958.
- ჯავახიშვილი, ივ. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960.
- ჯანაშია, ს. ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ., II, თბ., 1952.
- ჯაფარიძე, ვ. მუხირისი - მხარე ("ქვეყნა") და ქალაქი კოლხეთში, არქ. კვლევის ცენტრის Vსესია "მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი," მოსხენებათა თეზისები, თბ., 1998, გვ.16-18;
- ჯაფარიძე, ვ. ეგრისის მატერიალური კულტურა I-VIIIს. (ავტორუფერატი ისტ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1999, გვ.36-39.
- Адонц Н. Армения в эпоху Юстиниана. С.-Петербург. 1908.
- Гамкрелидзе, Г. Древние поселения в среднем течении р. Риони (автореферат диссертации), изд. Акад. наук Груз., Тбилиси, 1979.
- Гамкрелидзе, Г. К археологии долины Фасиса, изд. Акад.н. Г., Тб., 1992.
- Ланчава О. Кутаиси... (автореферат дис.), изд. Акад.н. Г.. Тб., 1995.
- Палубые арх. исслед. (ПАИ) 1982г. Тб. 1985. с. 49.

## საზღვაო ნაოსნობა და ვაჭრობა კოლხეთში (კლასიკური პერიოდი)

ზღვაშ დიდი როლი ითამაშა კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა დასახლებული პუნქტებია მიკვლეული. კერძოდ, აფსაროსი (გონიოსთან), ციხისძირი-ბობოვებათი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (ფოთთან), ანაკლია, ფიჩირი, გიენოსი (ოჩამჩირესთან), დიოსკურია-სებასტოპოლისი (სოხუმთან), ეშერა, პიტიუნტი (ბიჭვინთასთან) და სხვ. [9, გვ.6-48]. ჩამოვლილი დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაგავშირებული. ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მემვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი და ხმელთაშუა ზღვის ქვეწნებთან და ქალაქებთან: მილეთთან, ქიოსთან, როდოსთან, ათენთან, სინოპთან, ხერსონესთან, პერაკლეასთან, ფინაგორიასთან, რომთან (ოსტია). შემდგომ კონსტანტინეპოლით, გენუასთან, ვენეციასთან და ა.შ. [9, გვ.45-46].

ზღვისპირა ქალაქებში, ვაჭრობის გარდა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები— მეოუნეობა, მჭედლობა, ხურობა, ფეიქრობა იყო განვითარებული. აქ აღმათ განსაკუთრებული ადგილი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას — ზღვისნობას, ნავთმშენებლობას, მეოევზეობას, ზღვის მარილის მოპოვებას და, რაც მთავარია, საზღვაო ვაჭრობას ეჭირა. ანტიკურ სანაში კოლხეთის სანაპიროზე გარკვეული საკონტაქტო რეგიონი შეიქმნა ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვაჭრობა, ისევე, როგორც მთელ ანტიკურ სამყაროში, ძირითადად საზღვაო-სამდინარო გზებით ხორციელდებოდა. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია კოლხეთის შესახებ გადმოვცემს— ისინი გამოიჩინან "...თავისი სიმდიდრის სიუხვით, ასევე ქვეშევრდომთა სიმრავლით, მიწა-წყლის სიდიდით და მოსავლიანობით..." "...მცხოვრებლები დაცურავენ, შესაძლებლობის ფარგლებში და ვაჭრობაში სარგებელს ნახულობენ" (III,5).

მდ. რიონ-ყვირილას (ფასისის) საგაჭრო-სამდინარო გზის ბოლო პუნქტი, ტბა პალიასტომზე მდებარე ქალაქი ფასისი იყო, რომლის შემდგაც სავაჭრო კარგუპები ზღვაში გადიოდნენ კაბოტაჟური ცურვისათვის. გეომორფოლოგების მიხედვით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიეფია. ძველად აქ მდინარე რიონის ლიმანი იყო. ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, ხომალდები შემოსულიყვნენ. ამ გემზიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო ნავებში იტვირთებოდა და პალიასტომის გავლით რიონზე ან ფიჩორზე აღმა აგრძელებდნენ სვლას. წერილობითი წყაროები მიგანიშნებენ - "იქ ხომ ერთი ტბა (პალიასტომი - გ.გ.) არის" ... "სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას, ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის (ფასისის - გ.გ.) მანლობლად..." (აგათა III, 5).

შავი ზღვა ხმელეთშიდა ზღვაა. ის ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუაზღვაში. ბოსფორის უკიწროები სიგანე მხოლოდ 700მ-ა, ამიტომ მისი გადაკეტვა-კონტროლი ადვლია. ვის ხელშიაც ეს სრუტე იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუ და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას. ანტიკური ხანის კოლხეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა საზღვაო და სამდინარო (მდ. რიონ-ყვირილას სატრანზიტო გზა) კომუნიკაციების განვითარება, რაც ზეგავლენას ახდენდა მაშინდელი კოლხეთის კონტაქტებზე გარე სამყაროსთან. ზღვა დიდ გავლენას ახდენს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაზე და შესაბამისად აქაურ აგროკლიმატურ სიტუაციაზე, სამურნეო ყოფაზე. ზღვა აქ თბილი და ნოტიო კლიმატის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

კოლხეთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი როლი ზღვის ნაპირის გეომორფოლოგიურმა შეცვლამ ითამაშა. კერძოდ, გეომორფოლოგების ვარაუდით ახალშაგზღვურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია (ძვ.წ. Iათასწლეულის მეორე ნახევარში), ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ისევ იწყება ზღვის დონის აწევა. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული დასახლებები წყლის ქვეშ მოექცა და შეწყვიტა არსებობა. კოლხეთის ზღვისპირეთში სკოლაქს კარიანდელის, არიანეს, პომპონიუს მელას, სტრაბონის, კლავდიოს

პტოლემაიოსის, პროკოპის მიხედვით, მთელი რიგი ნაქალაქარებია მოხსენიებული. ქალაქების წყალში დაძირვებ ზღვისპირეთში ეკონომიკური დონის სტაგნაცია გამოიწვია. კოლხეთის ზღვის სანაპიროზე ბუნებრივი ყურეები ცოტაა, რაც ნავთსაყუდელების მოწყობის სიმცირეს იწვევდა და უარყოფითად ზემოქმედებდა ზღვაოსნობის ინტენსიურ განვითარებაზე.

ძველი საქართველოს ზღვასთან ახლო მდებარე რეგიონებში მცხოვრებლებს საზღვაო ბრძოლების გამოცდილებაც ჰქონდათ. ამის შესახებ ცნობები შემონახულია ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში. ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. 401 წელს ბერძენთა ჯარს საომარი ოპერაციების დროს ერთ-ერთმა ქართველურმა მოსახლეობამ - მოსინიკებმა ე.წ. საზღვაო სადგესანტო მხედრიანი მიაშევდეს. კერძოდ: "...გამოგიგზავნით ნავები და მებრძოლები, რომელიც თქვენთან ერთად იომებენ...", "...ისინი (მოსინიკები) მოვიდნენ მთლიანი მორისაგან გამოთლილი სამასამდე ნავით. ყველა ამ ნავში სამ-სამი მებრძოლი ივედა; ორი ამაოგნი იარაღს ისხსმდა და ნაპირზე გადმოდიოდა, ხოლო ერთი კი რჩებოდა ნავში;" "...ნაპირზე გადმოსულები (დესანტირებულები) დაეწყვნენ ამგვარად: დაიყენენ ასეულებად ცალკეული დანაყოფების მსგავსად, მწყობრად", "...ყველას ხელში ეჭირა სუროს ფოთლის ნაირი ფარი, ... შუბი." "...მათ ემოსათ მკვრივი ტილოს ქიტონები, ...თავზე ტყავის მუზარადები ეხურათ" ... "მათ ჰქონდათ აგრეთვე რკინის ორლესული საბრძოლო ცულები; როცა მწყობრად დაეწყვნენ ერთ-ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, სხვებმა (ამ სიმღერას) ტაქტს ფეხი აუწყეს და გაემართნენ საბრძოლველად" (იხ. ანაბასისიV,IV,9-14;4). ჰიპორატეც აღნიშნავს, რომ მდ. რიონის (ფასისი) ქვემო წელზე ადგილობრივი მცხოვრებლები "დაცურავენ აღმა-დაღმა მთლიანი მორისაგან გამოთლილი ნავებით, რადგან აქ არხები ბევრია"(ჰაერთა, წყალთა... 15). სტრაბონი მოვკითხრიობს, რომ კავკასიონის გასწვრივ ზღვასთან, კოლხეთში მცხოვრებნი - "... ზღვაზე ყაჩაღობენ, აქთ მომცრო, ვიწრო და მსუბუქი ნავები, რომლებშიც დაახლოებით ოცდაზუთი მებრძოლი ეტევა, ...ბერძნები მათ კამარებს უწოდებენ." "...ესენი კამარებისაგან (ნავებისაგან) ფლოტილებს ჰქმნიან და თავს ესხმან სატვირთო ხომალდებს, ...

ქალაქებს და ამგვარად აკონტროლებენ "ზღვას" (იხ. სტრაბონი XI, II,12). ტაციტუსის ცნობით: "...კამარებს უწოდებენ დაბალ გვერდებიან, ფართო ძირიან (სპეციალურ სამსედრო ნავებს - გვ.); ისნი ბრინჯაოს ანდა რკინის სამაჯურების გარეშე არიან შეკრული; როცა ზღვა დელავს, ტალღების სიდიდის მიხედვით ნავებს ფიცრებით სიმაღლეს უმატებენ, ვიდრე სახურავის თაღივთ (კამარასავით) არ გადაიხურება... (ნავებს) ორივე მხარეს ერთნაირი ცხვირები და ერთნაირი ნიჩბები აქვთ" (ანალები, III,47;1). ნავ-კამარები ძირითადად ბრძოლის დროს მოძრაობდნენ ნიჩბების საშუალებით, ხოლო აფრას გრძელ მანძილზე გადადგილების დროს იყენებდნენ. ამ ტიპის ნავები გამოიჩინდნენ კარგი სანავიგაციო თავისებურებებით და ნაპირობან სწრაფი მიღვომის უნარით, რაც ნაპირზე სამსედრო დესანტირებისას ფრიად მოხერხებული უნდა ყოფილიყო.

კოლხების სამსედრო ფლოტილიის შესახებ ცნობა მოიპოვება, აგრეთვე, ძვ.წ. IIIს. ავტორ აპოლონიოს როდოსელთანაც (იხ. არგონავტიკა, II,1090; IV,235). აქვე აღსანიშნავა, რომ სოფ. ყოღოთოში აღმოჩენილ ძვ.წ. III ს. ბრინჯაოს ინტალიოზე (ინახება საქ. სახ. მუზეუმის გლიპტიგის კბინეტში, ინვ.№696) გამოსახულია ნიჩბებიანი კატარდა, რომელიც შესაძლია ნავ-კამარა იყოს. აგრეთვე, ალბათ კოლხური კატარდაა გამოხატული ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. IIს. ფენაში აღმოჩენილ თიხის საწაუებზე [იხ. 3, გვ.140]. კოლხეთში მოიპოვება "გემისაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება მრავალრიცხოვანი ტყეები..." ამუშავებენ დიდალ – სელს, კანაფს, ცვილს და ფისს" (იხ.სტრაბონი XI,II,17). მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტრაბონი შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს "კოლხეთის ზღვას" უწოდებს (იხ. სტრაბონი, XII,I,6; 7, გვ.19-48), რითაც ხაზს უსვამს ძელი საქართველოს ამ რეგიონის მნიშვნელობას საზღვაო საქმის ცოდნის თვალთახედვით.

პონტოს სამეფოს სამსედრო საზღვაო ძალები ძირითადად კოლხეთის მოსახლეობისაგან კომპლექტდებოდა (გემების ეკიპაჟები) და ხომალდების ცალკეული ნაწილები, აღჭურვილობაც აქვდან მიეწოდებოდათ, კერძოდ – სელის და კანაფის თოკები, აფრები; ხის მასალა და ფისი. სტრაბონი აღნიშნავს, რომ სწორედ კოლხეთიდან მითოდატე ევპატოს - "...მისდიოდა

უმეტესი ნაწილი საზღვაო-სანაოსნო ძალებში სამსახურისათვის" (იხ. სტრაბონი XI,II,18). ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ანიკეტის ამბოხის ამბავი. ანიკეტი უწინ სამხედრო ფლოტის მეთაური ყოფილა. შესაძლოა, რომ იგი წარმომავლობით ადგილობრივი, კოლხი იყო. მას შემდეგ, რაც პოლემონის სამეფო რომაელებმა პროვინციად აქციეს, ანიკეტმა ამის გამო პროტესტი განაცხადა, რისთვისაც დასაჯეს და დატყვევეს. ანიკეტი გაიქცა, მიმიმხრო და სათავეში ჩაუდგა პონტოს ადგილობრივ უქმაყოფილო და უპოვარ მცხოვრებლებს. ის ამბოხებულებით სწრაფად შეიჭრა აღმოსავლეთ პონტოში და აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი. აქ, ერთი რომაული კოპორტა ამოხოცა და ტრაპეზუნტის ნავსადგურში მდგარი ფლოტის ნაწილი ხელთ იგდო, ხოლო ნაწილი დაწვა. მან ტრაპეზუნტის გასწვრივ ზღვაზე კონტროლი დაიწეს; სადაც "...ადგილობრივები გამედულად მოძრაობდნენ სახელდახელოდ აგებული ნაგებით, რომლებსაც კამარებს უწოდებენ..." (იხ. ტაციტუსი, ანალები, III,47). ამის შემდეგ "ანიკეტი მდინარე ხობის (ახლანდელი მდ. ხობი) შესართავში" (ანალები, III,48) თავისი საზღვაო ფლოტილით დაბანკდა.

შავიზღვისპირეთს რომის აღმოსავლერ პოლიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ადგილი ეკავა. შავიზღვისპირეთის საზღვაო-სამდინარო კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. რომაელები ამ ბრძოლებში, აღაათ ადგილობრივი მოსახლეობის საზღვაო გამოცდილებასაც იყენებდნენ. როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაში კოლხეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ძირითადი ძალა ნიჩბიანი კატარლები იყო. შემდგომ აქ ეტყობა ბერძნული და რომაული [იხ.10;13;11], იმ დროისათვის მოწინავე საზღვაო ტექნიკის გამოყენებაც დაიწყეს და მათი მსგავსი მოზრდილი ხომალდების აგებაც. საერთოდ, ბუნებრივია, რომ საზღვაო საქმის განვითარებას ძველ საქართველოში ხელს უწყობდა მისი შავ ზღვასთაან მდებარეობა და სანაპიროზე ფართო სამდინარო ქსელის არსებობა [იხ. 8,გვ.66,199; 2].

სავარაუდოა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VI-IIIს-ში ისევე, როგორც მთელ ანტიკურ სამყაროში იგებოდა ნიჩბიანი, აფრიანი და ურნალიანი სამხედრო-საზღვაო ხომალდები. ამ ტიპის ხომალდი შედგებოდა

- მაგარი ჯიშის ხის კორპუსისაგან, რომელსაც წყლის დონეზე, ცხვირზე რკინის საძერებელი ურნალი ჰქონდა; კიჩის დაბოლოება ზემოთ მორკალული იყო, რომელზედაც მიმაგრებული იყო საჭე; ხომალდის ხერხემალზე, ცენტრში აღმართული იყო ანდა, რომლის ზედა ნაწილზეც მაგრდებოლა სააფრე ლარტყა; კორპუსის ცენტრალურ ნაწილში ვერტიკალურად ჩამაგრებული ხის ჯოხები იყო, რომლებზედაც მაგრდებოლა წყალში ჩაშვებული ნიჩბები (ცალ მხარეს დაახლოებით 15-დან 20-მდე); ხომალდს ჰქონდა სელის აფრა და ბაგირები.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკაჭრო ხომალდის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი სახეობა შესაძლოა იყოს უცხოელ მისიონერ-მოგზაურთა (ავიტაბილე, კასტელი, ლამბერტი, შარდენი, გამბა და სხვ.) მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნანახი კარჭაპ-ხომალდები [8;2]. ერთ-ერთი ამდაგვარი ხის სატვირთო კარჭაპის ნაშთები ქ. ფოთოან ზღვის შელფში, მდ. რიონის მარცხენა შტოლან შვიდას მეტრზე აღმოჩნდა [იხ. 12, გვ.101-109]. კარჭაპის სიგრძე 23მ, მაქსიმალური სიგანე 6მ, სიმაღლე 2,3მ. წყალში მყაფიოდ გაირჩევა ხომალდის თავი, ბოლო და გვერდები (შპანგოუტები). ხომალდის შიდა სათავსი ქვიშა-ლამით არის ამოვსებული. ხომალდის კილი წაბლის ხისაგან არის გაკეთებული, ხოლო შპანგოუტებზე გემის გარსაკრავი ცუდად არის შემონახული. ხომალდის აგებაში რკინის ნაჭედი ბრტყელთავიანი ლურსმნებია გამოყენებული. აქ მიკვლეული ხომალდი კონფიგურაციით ზემოთ ნახსნები მისიონერ-მოგზაურთა აღწერილ ხომალდებს წააგავს.

ადრეულ შუა საუკუნეებში, კოლხეთში, ნაოსნობის განვითარების შესახებ აგათია აღნიშნავს - "ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები; ისინი სხვა მეომარ ხალხებზეც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით..." "...მცხოვრებლები ზღვაოსნობენ..." (იხ. აგათია, III, 5). როგორც ჩანს, ზღვაოსნობა ანტიკური ხანის კოლხეთში მჭიდროდ უკავშირდებოლა ქვეყანაში შექმნილ ისტორიულ ვითარებას. აქ სანაოსნო საშუალებების ტიპები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც მთელ შავიზღვისპირეთში. ზღვისა და კოლხეთის დაბლობის ნაოსნობისათვის მომგებადი

პიდროგრაფიული პირობების გამო აქ წყლის ტრანსპორტს ქვეყნის განვითარებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდა.

### **ლიტერატურა:**

1. გამყრელიძე, აღ. ტაციტუსის ცნობები საქართველოზე, თბ., 1973.
2. კუტალეოშვილი, ზ. ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987.
3. ლორთქიფანიძე, გ. სტუმართმოყვარე ფასისელები, ქრებ. "მნემე", თბ., 2000, გვ.140-147.
4. მიქელაძე, თ. ქსენოფონტის "ანაბასისი", თბ., 1967.
5. ყაუხჩიშვილი, თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
6. ყაუხჩიშვილი, ს. გეორგიკა, III, ტფ., 1936.
7. Агбунов М. Античная лоция Черного моря, М., 1987.
8. Берадзе Т. Мореплавание и торговля в средневек. Грузии, Тб., 1989.
9. Гамкрелидзе Г. К археологии долины Фасиса, Тб., 1992.
10. Петерс Б. Морское дело в античных государствах Северного Причерноморья, М., 1982.
11. Casson L. The Ancient Mariners, London, 1960.
12. Gamkrelidze G. Hydroarchaeology in the Georgian Republic, The International Journal of Nautical Archaeology, 1992, N2, v. 21, p. 101.
13. Tor Cecil. Ancient ships, Chicago, 1964.

## ვერცხლის რიტონი სოფ. გომილან

საქართველოს მთიან მხარეში, ზემო რაჭაში, აღმოჩენილი ბრძოლის სცენის გამოსახულებიანი ვერცხლის სასმისი ტორევტიკის ფრიად უნიკალური ნიმუშია. საყურადღებოა მისი სიუჟეტი და ორნამენტული სამკაული. ვერცხლის სასმისი წაგრძელებული კონუსის ფორმისაა; შემორჩენილი სიმაღლე 13 სმ; პირის დმ - 6,5 სმ; წონა - 86 გ; დაზიანებულია პირ-ყელის ნაწილი; მოტეხილია ქვედა ნაწილი. სასმისი ქუთასის მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში ინახება (ინვ.№111) [29,გვ.37]. სასმისი ვერცხლის ერთიანი ფურცლისაგანაა დამზადებული. გამორიცხული არ არის, რომ რელიეფი ჯერ ბრტყელ ფურცელზე გაკეთდა და შემდგომ შეიკრა. ამიტომაცაა, რომ ფიგურები რამდენადმე დეფორმირებული და პროპორციები დარღვეულია.

სასმისის სამი სარტყელი ამკობს. ზემოდან პირველი – კანელურებიანი ფრიზი; მეორე – ოთხი ადამიანის ურთიერთბრძოლის სცენა; მესამე – ორი ცხოველი და ხე. მოცემული გამოსახულებები სასმისის კედელზე სიმეტრიულადაა განლაგებული. კანელურების ქვემოთ ორი ორთაბრძოლის სცენაა გამოხატული. მარცხნიდან პირველ წვეროსან ადამიანს თავზე მუზარადი ახურავს; ზეაწეულ ხელში საძგერებლად გამზადებული მოკლე შუბი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში ოთხკუთხა ფარი უჭირავს. მეორას სხეულზე მოკლე ტანსაცმელი მოსავს, ხოლო მის ქვემოთ შიშველი ფეხები მოუჩანს. ფეხზე, კოჭიან, სარტყლებით გადმოცემული ფეხსაცმელი აცვია.

მეორე მეორარი სახით პირველისაკენა გამოსახული და მშვილდისარს უმიზნებს პირველს. მას თავზე მუზარადი, ტანზე უსახელო სამოსი და პირველი მეომრისნაირი ფეხსაცმელი აცვია. მესამე მეორარი მეორისადმი ზურგით დგას, თავზე მუზარადი ახურავს; მარჯვენა ხელში სატევარი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში პირველი მეომრისნაირი ფარი უჭირავს. მეოთხე მეომრის ფიგურა სახით მესამისაკენა მიმართული და ხელში შუბი უჭირავს. ფიგურების ზოგიერთი ნაწილი დაზიანებულ-დეფორმირებულია. მეორართა ქვემოთ რვატოტიანი ხეა და ერთმანეთის პირისპირ მდგომი შველი და მგელია.

სასმისზე გამოსახულებების გადმოცემის ტექნიკა დაჭვდევის, ამოკაწვრის და რელიეფის შიგნიდან ამოზნექის ხერხებითაა წარმოჩნდილი. ამოზნექილი ფიგურების კონტურები კი მკვეთრადა შემოვლებული. ფიგურები სქემატურ-ნატურალისტურია; დაბალი რელიეფით და ჩაჭებითაა გაკეთებული. რელიეფი არც თუ მაღალი კლასის ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული. ოთხივე მეტრძოლის ტანი სამშეოთხედში, ხოლო თავი პროფილშია გამოსატული. მეორების წვერ-ულვაში ხაზებითაა მოცემული. ზედა და ქვედა კომპოზიციის სივრცობრივი გადაწყვეტა მარტივია. ქვედა სიუჟეტი შევლის უკან ჩანს ხე, როთაც იქმნება ორი სხვადასხვა სიბრტყის ილუზია. მებრძოლების ოთხეუთხა ფარგლებები ჰარიზონტალური შტრიხებით კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელოსანი ეცადა შეექმნა მხატვრული პერსპექტივის ილუზია. ბრძოლის სცენის კომპოზიციის მეომართა დინამიკური პოზები აგრესიული ექსპრესიის განწყობას ქმნის. ცენტრში, უკანა პლანზე გამოსახული ხე ზედა და ქვედა სიუჟეტების და-მაკავშრებელ, მთავარ სიმბოლოდ აღიქმება. სასმისზე გამოსატულ სიუჟეტებს ჯერჯერობით კავკასიაში და მის გარშემო ზუსტი მხატვრულ-სტილისტური ანალოგია არ მოეპოვება. შეიძლება ზოგადი მსგავსება ვეძებორ მხოლოდ მის საკრალურ (ხე, ცხოველები) და ნივთიერ (საჭურველ-იარაღი) მონაცემებში.

სამწუხაოროდ, აქამდე ეს საყურადღებო ვერცხლის სასმისი სამეცნიერო მიმოქცევაში არაა შემოტანილი. მკვლევართათვის ისიც კი უცნობი იყო, თუ დასავლეთ საქართველოს რომელი ადგილიდან მოხვდა იგი ქ. ქუთაისის მუზეუმში. მუზეუმის დავთარში მოკლედ ჩაწერილია, რომ ნივთი 1930 წელს ჩააბარა ისტორიკოს-მხარეობილნე გიორგი ბოჭორიძემ, რომელიც 1937 წლის უსამართლო რეპრესიებმა შეიწირა. ამდენად, გ. ბოჭორიძის მონოგრაფია – "რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძელეები" მხოლოდ 1994 წელს დაისტაბა. ამ საყურადღებო წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი მოეფინა მოცემული სასმისის აღმოჩენის ადგილ-მდებარეობას. კერძოდ, სასმისი გ. ბოჭორიძეს ზემო რაჭაში, სოფ. გომის (მდ. გომურას მარჯვენა ნაპირზე) მთავარანგელოზის, სავალალოდ დანგრეული, ეკლესიიდან ქუთაისის მუზეუმში ჩამოუტანია.

სოფ. გომი, ისევე როგორც სოფ. ჯინჭვისის და უწერის სანახები შუა საუკუნეებში აზნაურ გამყრელიძეებს ეკუთვნოდათ. შემონახულია 1458წ. მეფე გიორგი VIII მიერ მათზე გაცემული სიგელი (ინახება წელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში – Hd-10149) (დაწვრილებით იხ.[3, გვ. 209,331, 355; 2, გვ.21-23, 82,122]).




1

გ. ბოჭორიძის ნაშრომში ჩამოთვლილია სოფ. გომის მთავარანგელოზის ეკლესიაში დადასტურებული ნივთები: "ვერცხლის სასმისი 13 სმ, შემკული მშვილდასრითა და შებით მეომარი ხალხის ჭედური სურათებით; დაზიანებულია. ქეგლი ეპუტენის უძველეს ხანას. საილენბის თასი 1ცალი. ბრინჯაოს სარტყელის ნაწილი, შემკული ცხოველთა სახეებით – 2ცალი. ბრინჯაოს სამაჯური დიდ-პატარა 2ცალი. ბრინჯაოს ქინბისთავი 2ცალი. ბრინჯაოს ბეჭედი 1ცალი. ბრინჯაოს წვრილი ნივთები 7ცალი. მინის სამკაულის ნაშთი. რქის ბეჭედი 1ცალი. მძივები ერთი ასხმა, მათში 8 მოზრდილი. მძივების ნატეხები 16ცალი..."[3, გვ.254].

მკითხველი თუ დააკვირდება, აქ მოხსენიებული ნივთები – ვერცხლის სასმისი, ბრინჯაოს თასი, ბრინჯაოს ბეჭედი, მძივები (მათი დღევანდელი

შენახვის ადგილი უცნობია) ის ნივთებია, რომლებიც ხშირად არქეოლოგიურად შესწავლილ წინაქრისტიანულ სამაროვნებში გვხვდება. სადღეისოდ, სოფ. გომთან ყველაზე ახლოს მდებარეობს სოფ. ღებთან მდებარე ბრილის ცნობილი არქეოლოგიური მრავალფენიანი ძეგლი. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ აქ შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები სოფ. გომის მთავარანგელოზის ეკლესიას შესწირეს.



2

ამ მხრივ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ეთნოგრაფი სერგი მაკალათია. კერძოდ, "ბრილში ოყა ლობჯანიძეს მიწის ხენის დროს არაერთხელ გაუხსნა ძველი აკლდამა-სამარხები ... ამოუქრეფია ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაულები, ქანდაკებები და მძივები" [14, გვ.14]. მთიან საქართველოში, ძველი ჩვეულების მიხედვით, მორწმუნე ადამიანი, რასაც კარგ, უჩვეულო ძვირფას ნივთის შემთხვევით იპოვიდა, ყველაფერს სოფლის ეკლესიას სწირავდა. აქედან კი ნივთის გატანა დიდ მკრეხელობად ითვლებოდა. ამიტომ, საუკუნეების განმავლობაში რაჭის და სვანეთის ეკლესიებში უამრავი უძველესი ნივთი დაგროვდა [25, გვ.4-7; 14, გვ.87].

სოფ. გომში აღმოჩენილი სასმისის ფორმა – ცილინდრული ყელი და მოგრძო, ქვემოთკენ დავიწროვებული ტანი, ბოლოში გადანატეხით (მოტეხილია სასმისის პროტოტი) გვაფიქრებინებს, რომ ის რიტონი უნდა იყოს. რიტონებს იყენებდნენ სასმისად. ისინი ძირითადად ორგვარია – მოკლეყელიანი, ცხოველის თავის გამოსახულებით და ყანწისმაგვარი, წვერთან სხვადასხვა არსებათა მცირე ფიგურებით. საქართველოში მეღვინეობის უძველესი ფესვები გვაფიქრებინებს, რომ ყანწ-რიტონი აქ სასმისის უძველესი ფორმაა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იხმარებოდა. საერთოდ, რიტონის წარმომავლიბის შესახებ მრავალნაირი მოსაზრება არსებობს [64, გვ.6-15; 61, გვ.4-13]. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ რიტონი პირველად დაამზადეს მცირე აზიაში [1.გვ.51]. მეორე ნაწილის აზრით, რიტონის სამშობლო ირანია [62,გვ.8-14], მესამე ნაწილის მიხედვით, გამორიცხულია, რომ რიტონისნაირი სასმისი მაინცდამაინც ერთ რომელიმე ადგილას შეექმნათ [54,გვ.107-108; 46,გვ.215-235]. მართლაც, შესაძლოა, რომ რიტონი, სრულიად დამოუკიდებლად გაჩენილიყო მეცხოველეობის მიმდევარ ამა თუ იმ რეგიონებში [4,გვ.73-81], რადგან გამოფხეკილი რქა ბუნებრივი და მარტივად დასამზადებელი სასმისია.

ყანწ-რიტონი, რომელიც თავდაპირველად ცხოველის რქისაგან კეთდებოდა, დროთა განმავლობაში სხვადასხვა მასალისა (თიხა, ლითონი, სპილოს ეჭვი, მინა) და სხვადასხვანაირი ფორმის მზადდება. რიტონის დამზადებაში უფრო განვითარებული საფეხური უნდა იყოს ლითონის მასალისაგან მისი გაკეთება. ჩანს, ამ დროისათვის ის სარიტუალო ჭურჭლის დანშტულებას იძენს. ამ პერიოდისათვის ლითონის რიტონები განსაკუთრებით ვრცელდება შავი ზღვისპირეთში, კავკასიაში, აღმოსავლეთ ანატოლიასა და ირანში [32, გვ.36-47]. მარტო დნეპრისპირეთიდან ჩრდილო კავკასიის ჩათვლით, ყორდანებში 21 ცალია არქეოლოგიურად დადასტურებული (სემიბრატნის ყორდანი, კელერმესის ყორდანი, ულიაპსკის ყორდანი, გულ-ობა, ტოლისტა-მოგილას, სოლოხას ყორდანი, ტალავსკის ყორდანი, ყარაგოლეუშხის ყორდანი და სხვ.)[36, გვ.65].

საქართველოში არქეოლოგიურად აღმოჩენილია გამოსახულებები ხელში ყანწ-რიტონით. მაგალითად: ქ. გუდაუთასთან (ადგილი ბომბორა) ნაპოვნი მჯდომარე ადმინის ფიგურა, რომელსაც ხელში ყანწ-რიტონი აქვს; ორი მამაკაცის ფიგურა რიტონით ხელში დაბა ყაზბეგიდან; ქ. მცხეთაში, არმაზისხევის №6 სამარხში გათხრილი ქალღმერთის გამოსახულება ყანწით [63,გვ.30] ხელში; ქალღმერთი ყანწით, ვერცხლის ლანგარზე სოფ. ციხისძირიდან; ვანის ნაქალაქარზე გათხრილი ღვთაების ქანდაკება ყანწით ხელში [37, ტაბ.XLVIII;27, ტაბ.VII, IX;7, გვ.33, ტაბ.VIII; 5, გვ.135-138]. "სიუხვის ყანწი", ყანწ-რიტონი ხშირად ერთ-ერთი ატრიბუტი იყო ღვთაებების. სამარხეულ ნივთებში რიტონის სიმრავლე გვავარაუდებინებს, რომ მათი ერთ-ერთი საკრალური ფუნქცია იყო რიტონის გამოყენება მიცვა-ლებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში – საფლავში ჩატანება (მაგ. ლეკითოსებივით), ან მის სამარესთან ყანწ-რიტონით მოსახსენებლის შესმა.

საქართველოს ტერიტორიაზე რიტონები აღმოჩენილია – ქ. გუდაუთასთან ბრინჯაოს რიტონი გარეული თხის პროტომით [44, გვ.33]; დაბა ყაზბეგიდან ვერცხლის რიტონი ვერძის თავიანი პროტომით [27, გვ.52, ტაბ.XV;]; ყაზბეგის მიდამოებიდანვე ხბოს თავის გამოსახულებიანი ვერცხლის რიტონი (იხახება ს.-პეტერბურგის ერმიტაჟის აღმოსავლეთის ფონდში); ქ. ბორჯომთან, ბორჯომიდელეს სამაროვნის ბრინჯაოს რიტონი [39, გვ.50, ტაბ.65, 8;60, გვ.152]; სოფ. მოისმირის ვერცხლის რიტონი [59, გვ.211-216]; ვანის ნაქალაქარიდან ტახის თავიანი თიხის რიტონი; უფლისციხის ნაქალაქარიდან თიხის რიტონი [24, გვ.76]; მდ. წებელდის ხეობიდან მინის სამი რიტონი [38, გვ.76-77, სურ.20; 7, 8, 11]; ურბნისის ნაქალაქარის სამაროვანიდან მინის რიტონი [17, გვ.72, ტაბ.124]; ქ. მცხეთის, სამთავროს სამაროვანიდან მინის რიტონი [19, გვ.26, სურ.3].

სოფ. გომში აღმოჩენილი სასმისი ყანწისებური რიტონის ტიპს მიეკუთვნება. მასზე გამოსახული ოთხიდან ორ მეომარს ერთნაირი კონფი-გურაციის ფარი უჭირავს, რომელიც მენჯიდან მხრამდე ფარავთ. ფარი ოთხკუთხაა და მარჯვენა ზედა კუთხე ამოჭრილი აქვს. ფარი ნახატზე ისეა გამოსახული, რომ მკლავზე მარტევთ დამაგრებული ჩანს და ხელის ჩასაჭიდიც უნდა ჰქონოდა. ამგვარად, მებრძოლს ფარი უფრო მარჯვედ,

მოხერხებულად ეკავა და თუ დასჭირდებოდა, ბრძოლის დროს ორივე ხელის ხმარება შეეძლო (ფარის ასეთ სამაგრს პირველად ჰოპლიტები იყენებდნენ [8, გვ.35]). გომის სასმისის ფარის მარჯვენა კუთხე ამოჭრილი იყო, რაც მეომარს ლავირების დროს გამოხედვის საშუალებას აძლევდა და მოხერხებული უნდა ყოფილიყო. ფარის ამგვარი დეტალი მხოლოდ ამ გამოსახულებებზეა აღნიშნული და სხვაგან არ გვხვდება. ამიტომ, საკარულო ეს გამოსახედი საბრძოლო აღჭურვილობის განვითარებაში ადგილობრივ ნოვაციად მივიჩნიოთ. გამოსახედიანი ფარები სხვაგანაცაა აღმოჩენილი, მაგრამ მათზე სიმეტრია არა დარღვეული. მაგ.: ეწ. ნახევარ-მთვარისებური ფარები ან გამოსახედიანი ფარი, რომელიც ქ. ხერსონესში I ს-ის რელიეფზე გამოხატულ მეომარს უკავა. სასმისის ჭედურობაზე ფარი მოცემულია ვერტიკალური ხაზებით და ხის ფაქტურას მოგვაგონებს. ხის მოგრძო ნაჭრები ჰორიზონტალურად, ალბათ, ლითონის ორი სარტყელითაა შექრული. სარტყელებს შორის ლათინური კუს მაგვარი, ჰორიზონტალურად გადმოცემული ნიშანი (<), რაღაც ემბლემა შეიმჩნევა.

ოთხეუთხა (მომრგვალებულ კუთხებიანი) ფარები დადასტურებულია ყარაშამბას ვერცხლის თასზე, რომელიც მდ. რაზდანის შუა წელზე, ქვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებულ სამარხში აღმოჩნდა [51, გვ.145]; ტრაპეციისებური ფარები სტეფანავანში, გვიანბრინჯაოს ხანის სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე [48, სურ.65]; კარმირ-ბლურში, კარების ბრინჯაოს გარსაკრავზე გამოსახულა ქ. სუგუნის აღგა. სადაც ასურელ მეომრებს ხელში მოგრძო, კუთხებიანი ფარები უჭირავთ [52, ტაბ.IV]; ჩელტის ოთხეუთხა ფარები აქვთ აბუ-სიმბელის ტაძარში დადასტურებულ ქვ.წ. 1312წ. ქადეშის ბრძოლის სცენაზე, საბრძოლო ეტლებზე ამხედრებულ რამსეს II მოწინააღმდეგ მეომრებს [42, გვ.132, სურ.1]; მომრგვალებულ კუთხებიანი ოთხეუთხა ფარი აქვს ხელში სოლოხას სახელით ცნობილ სამარხში აღმოჩენილ ოქროს სავარცხელზე გამოხატულ ეწ. სკვით მეომარს [47, სურ.34]. აქვე აღსანიშნავა, რომ სკვითურ-სარმატული სამყაროსთვის ფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი. თითქმის არ გვხვდება ისინი არც მათ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალაში. სამარხებიდან ცნობილია

მხოლოდ ხუთიოდე მათგანი, რომლებიც მიჩნეულია ფარის ნაშთებად [50, გვ.78; 55, გვ.63].

პერიოდტეს მიხედვით, ქსერქსეს ჯარში ირანელები ჩელტის წრიული ფარებით იყვნენ აღჭურვილი (VII, 61). ეგეოსურ-ბერძნული სამყაროსათვის ოთხუთხა ფარები დამახასიათებელი არაა. ადრეული რომაული ფარები წრიულია, ხოლო დაახლოებით ძვ.წ.III-დან ჩნდება ოთხუთხა, ვერტიკალზე ოდნავ მოღუნული ფარები. პოლიბიოსი "ისტორიაში" (VI,23, 2-4) გადმოგვცემს, რომ ფარები შედგება ხის ფირფიტებისაგან და დაფარულია ტყვით (ზომები დაახლოებით 120×80სმ). ფარს, ზედა და ქვედა მხარეს, შესაკვრელად რკინის გარსაკრავები ერტყა. შემდგომ, კუთხებიანთან ერთად თანაარსებობენ ოვალური და მოგრძო წაკვეთილ ბოლოებიანი რომბისებური, ექვსკუთხა ფარებიც. ფარის ცენტრში წრიული ლითონის უბონი იყო. სამივე (ოთხუთხა, ექვსკუთხა, ოვალური) ტიპის ფარი ქ. რომში ლუციუს სეპტიმიუს სევერუსის ტრიუმფალური თაღის რელიეფებზე გამოხატულია. ოთხუთხა ფარებია გამოხატული ქ. პომპეიში აღმოჩენილ გლადიატორთა ბრძოლის სცენებზეც.

მარკუს ფურიუს კამილუსის დიქტატორობისას, რომაელი ქვეითის ძირითად ფარად იქცა ოთხუთხა ფარი – სკუტუმი (scutum). აქედან მოყოლებული, დაახლოებით ახ.წ.III საუკუნემდე ამ ტიპის ფარები დომინირებენ რომის ქვეით არმიაში (ცხენოსნებს ოვალური აქვთ). ამგვარი ოთხუთხა ფარები უნდა ჰქონდათ პომპეუსის ლეგონერებს, როცა ძვ.წ. 65წელს პირველად გამოჩნდნენ ტრანსკავასიაში და იძერის მეფე არტოკესთან მოუხდათ შეტაკება [იხ. 5, გვ.57-69]. რომის იმპერიის ეპოქაში ფარის ზომები შეტაკება და ძირითადად მეომრის ტორსს ფარავდა [57, გვ.230-234].

დასავლეთ საქართველოში, წებელდაში სტეკლიანის გორაზე გათხრილ არქეოლოგიურ კომპლექსში, რომელიც IVს-ით თარიღდება, ოთხუთხა ხის ფარი, კუთხეებში რკინის სამაგრებით და ლურსმნებიანი გარსაკრავით (ზომა – 48×68სმ) აღმოჩნდა [38, გვ.95, სურ.33].

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ არქეოლოგიურ მონაცემებში ხშირად ჩნდება ფარის წრიული, ბრინჯაოს ან რკინის "გული",

უმბონი. ფარის ხისა და ტყავის სხვა ნაწილები მიწაში ცუდად ინახებოდა. უმბონის წრიულობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ფარიც აუცილებლად წრიული იყო (მაგ. წრიულ უმბონის რომაული ოთხუთხა სკუტუმბი). ფარის წრიულობის შესახებ მოსახრება საქართველოს მთანეთის ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა. ამ ფარების დამეტრი 30-40სმ-მდეა [26,გვ.227-232]. ვარსიმაანთკარის არქეოლოგიურ ძეგლზეც მხოლოდ ფარის გულებია შემორჩენილი და არა ფარები [შეადარე, 16, გვ.67-72].

საქართველოში ფარის ლითონის წრიული უმბონები და გარსაკრავები არქეოლოგიურ ძეგლებზე ძირითადდ გვაინდრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს; კერძოდ, ბადიაურში, ლილოში, მელაანში, ვანთაში, ურეკში, ყაზბეგში, სამთავროში, კამარახევში, ვარსიმაანთკარში, ვანში (№9 სამარხში), ხუცუბანში, წებელდაში, ეშერში, ბრილში და სხვ. საფურადღებოა, რომ ჰოპლიტური, წრიული ფარებია აღმოჩენილი წითელი შუქურას №7სა-მარხში და ახულ-აბაას სამარხში [8,გვ.32-40]. ალბათ, ლითონის უმბონიან, ლითონითვე შეჭედილ და უცხოურ (მაგ. ჰოპლიტურ) ფარებს შემღებული, წარჩინებული მეომრები ატარებდნენ. ეს შეიმჩნევა, მაგალითად, ვარსიმაანთკარის არქეოლოგიური ძეგლიდანაც, სადაც 166 სამარხიდან მხოლოდ ორში დადასტურდა ფარის "გული" (და 30სმ) [16,გვ.71]. რიგითი მეომრები ჩელტის, ტოტებისაგან დაწნული ლასტის ან ხის ტყავგადაკრულ ფარებს ატარებდნენ, რომლებიც მიწაში მოხვედრის გამო არაა შემორჩენილი.

ბერძულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება ქართველური მოსახლეობის (კოლხების, მოსინიკების, მოსხების, ხალიბების) ფარები. კერძოდ, ჰეროდოტე აღნიშნავს - "კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამის გარდა დანები" (VII,79; იხ. აგრეთვე VII,78). ქსენოფონტის "ანაბასისში" ხალიბების ხარის ტყავისაგან გაკეთებული ფარები მოიხსენიება (IV,7,22). აქევ ნახსენებია, რომ მოსინიკების მეომრებს "ყოველს ხელში ეკავა სუროს ფოთლის ნაირი ფარი, ხარის თეთრი ბეწვიანი ტყავით დაფარული" (V, 12). სტრაბონი "გეოგრაფიაში" გადმოგვცემს, ალბანელები "არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ ტყავის აბჯრები და ფარები იბერების მსგავსად" (XI,4,5). აქ ნახსენებია რომაული სკუტუმის მსგავსი ფარი - ზერეის [იხ.

40.გვ.802]. მნიშვნელოვანია, რომ "გეოგრაფიის" ეს მონაკვეთი ქრონილოგიურად კავკასიაში რომაელი სარდლის პომპეუსის აღბანელებთან და იბერებთან ბრძოლის დროს ეხება. როგორც წერილიბითი წყაროებიდან ჩანს, კოლხები, ხალიბები, მოსინიები, იბერები ხმარობდნენ – ხარის ტყავის მცირე ფარებს; სუროს ფოთლის ფორმის ფარებს; სკუტუმის მსგავს კუთხებიან ფარებს. ეს ფარები ზოგი ჩელტის იყო, ზოგიც ხის და ტყავგადაკრული. არქეოლოგიურ მასალაში უმბონების დადასტურება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფარის კონსტრუქციაში ხშირად ლითონიც გამოიყენებოდა. სოფ. გომის სასმისზე კი, მომცრო სკუტუმის მსგავსი ფარებია გამოსახული; მხოლოდ, მათ მარჯვენა ზედა კუთხის ადგილზე გამოსახედი აქვს. ამ ფარების კონსტრუქციის ეს ელემენტი მიგვითითებს სამხედრო აღჭურვილობის გამორჩეულ შხარეზე.

გომის სასმისზე ასახულ მეორებს მოკლე სამოსი აცვიათ, რომელიც მენჯს ქვემოთ ფარავდა. ტანისამოსი გადმოცემულია ვერტიკალური ხაზებით. პირველ და მეორე მეომარს თითქოს ზემოდან უსახელო სამოსიც მოსავს. პირველ და მესამე მეომარს წელზე ქამრები აქვთ. როგორც ზემოთაც აღნიშნე, გამოსახულებები ფრიად სქემატურია და ამიტომ დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია. გამორიცხული არაა, რომ მებრძოლებს აბჯარი ეცვათ. არც ის არის გამოსარიცხი, რომ ხაზებით მოცემულია რომაული ლორიგას მაგვარი აბჯარი. მესამე მეომარს შარვალიც აცვია, რაც სკვითურ-სარმატული სამყაროსთვის დამასასიათებელი ელემენტია. გავხსენოთ მოკლე ზედა ტანის და შარვლის კომბინაცია, მაგ. სოლოხას სავარცხელზე გამოხატული მეომრის ფარიანი ფიგურა.

ქსენოფონტი "ანბასისში" მოგვითხრობს: მოსინიკებს "...ეცვათ ტილოს მკრივი მოკლე ქიტონები, რომელნიც მუხლებს არ სწვდებოდა..."(V, 4, 13). ქსენოფონტი აქვე აღნიშნავს, ხალიბებს "... ჰქონდათ სელის აბჯარები, მუცლის ქვედა ნაწილამდე, ხოლო ქვემოთ მჭიდროდ დაგრეხილი თოკები" (IV,7,15), წელზე ქამრები ერტყათ. საყურადღებოა, რომ ოთხიდან სამ მებრძოლს ფეხები, რომაელი ლეგიონერებივით შიშველი აქვს და ფეხზე კოჭთან შეკრული ფეხსაცმელი აცვია. ცნობილია, რომ ბერძენი მეომრები

ხშირად კნემიდებით იფარავდნენ უქებს. ხალიბებსაც პქონდათ კნემიდები (ქსენოფონტი, ანაბასისი, IV, 7, 16).

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებულია ბრინჯაოს და რკინის სავაკეშნე ფირფიტები და ჯაჭვის რგოლები. კერძოდ, ისინი აღმოჩნდა – ვანში, ემერში, თაგილონში, კლდეეთში, წებელდაში (შაპკა). ვანის ნაქალაქარზე, მეომრის (№2) სამარხში დადასტურდა ასამდე რკინის ნახვრეტიანი ფირფიტა. ასეთი ფირფიტებისაგან შეკრულ აბჯარს ქერცლისებურს უწოდებენ. ნახვრეტიანი ფირფიტები მაგრდებოლა ტყავზე ან მკვრივ ტილოზე და ფარავდა მეომრის ტორსს [10, გვ.183-184]. შესაძლოა, რომ სწორედ ამდაგვარი აბჯარი, რომელიც ჩაჭდეული ხაზებითაა გადმოცემული, ემოსათ გომის სასმისის მებრძოლებს.

სასმისზე გამოხატულ ოთხვე მეომრს თავზე ახურავს ნახევარსფერული მუზარადი. ზოგიერთს თითქოს ცხვირსაფარი და ყბების საფარი მოუჩანს. ანტიკურის წინა ეპოქაში ცხვირსაფარი და ყბისსაფარი არ აქვთ მუზარადებზე [41, გვ.101, ტაბ.XVII]. ისინი არაა დამახასიათებელი არც ირანული სამყაროსათვის. ბერძნული და შემდეგ რომაული სამყაროსათვის კი ყბასაფარები შედარებით ხშირია [იხ. 56, გვ.65-136, 327]. საქართველოში არქეოლოგიურად აღმოჩენილია ე.წ. ქალკიდური, ჰოდლიტური მუზარადები – სოხუმთან, ქუთაისთან, სოფ. კოხთან (აჭარა), სოფ. შეხეუთთან (ლანჩხეუთის რ-ნი). ახლახან რომაული ნახევარსფერული მუზარადი აღმოჩნდა კახეთში, დელფინისწყაროს რ-ნში სოფ. ზემო ქედში (აღმოაჩინა არქეოლოგმა ბ. მაისურაძემ). რომის რესპუბლიკის ეპოქაში მუზარადებს შეტყობინა სიმტკიცისათვის უკეთებდნენ დამატებით ლითონის სარტყელს. ისეთს, როგორიც გომის სასმისზე პირველ და მეორე მეომრის მუზარადებს მოუჩანთ. რესპუბლიკის და იმპერიის ხანის რომაული მუზარადებისათვის ცხვირსაფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი [56, გვ.327-365; 57, გვ.228]. გომის სასმისზე, ალბათ, შერეული ტიპის (ბერძნულ-რომაული) ან კოლხური ზის მუზარადებია მოცემული. კოლხურის შესახებ ცნობას გვაწვდის პეროდოტე( VII, 79). ზის მუზარადები მოსხებსაც ეხურათ (პეროდოტე, VII, 78). უფრო მოგვიანო, კერძოდ,

პომპეუსის იბერებთან ბრძოლის დროინდელ ამბეზე თხრობისას, სტრაბონი აღნიშნავს, იბერებს ჭყავის მუზარადები ეხურათო (XI,4,5).

გომის სასმისზე გამოსახულ პირველ მეომარს, ზეაწეულ ხელში, წვერით ქვემოთ, სამერებლად გამზადებული შუბი უჭირავს. შუბი მოკლეა და ომბისებური შუბისპირი აქვს. შუბისპირის დამაგრების ადგილი ორი ჰორიზონტალური ხაზითაა გადმოცემული. ამდაგვარი შუბიანი მებრძოლია გამოსახული იმპერატორ კონსტანტინეს ტრიუმფალურ თაღზე ქ. ომში [35, სურ.279]. შუბის წვერით ქვემოთ დახრა თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს შუბი სამერებლია და არა სატყორცი. საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაცემებში შუბისპირები, სხვა იარაღთან შედარებით, პროცენტულად პირველ ადგილზე ჩანს, რაც იმის ნიშანია, რომ იმ დროს შუბი ძირითად საბრძოლო იარაღს წარმოადგინდა. ამასვე ადასტურებს წერილობითი ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც – შუბი წამყვანი იარაღია კოლხების, ხალიბების, მოსხების და იბერებისათვის (ჰეროდოტე, VII,78,79; "ანაბასისი" V,2,22; V,4,12; V,4,25; სტრაბონი XI,4,5). "შუბოსანი იბერების" სკეციალური რაზმის შესახებ აღნიშნავს პლუტარქეც (ლუკულისი, 31).

გომის სასმისზე მეორე მეომარს მარცხენა ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს და შუბინ მეომარს უმიზნებს. მშვილდი მომცრო და თანაბრად მორკალულია; ლარის მიმის ადგილები ჰორიზონტალურადაა გამოხატული; ისრისპირი, სამკუთხა, დაქანებულ ფრთებიანია. ამგვარი ისრისპირები გვანელინსტურ-რომაული სამყაროსათვისაა უფრო დამახასიათებელი. საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ისრისპირები პროცენტულად ცოტაა აღმოჩენილი. აღბათ, იმ პერიოდში მშვილდ-ისარს სამხედრო შეიარაღებაში მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ამასვე ადასტურებს ჰეროდოტეს (VII,78,79) და ქსენოფონტის (IV,7,15-16; IV,8,3; V,2,22; V,4,12) ცნობებიც. ისინი კოლხების, მოსხების, მოსინიგების, ხალიბების შეიარაღების ჩამოთვლა-აღწერისას მშვილდ-ისარს არ ახსენებს. სამაგიეროდ, შემდეგ, რომაელების (პომპეუსის) ლაშქრობის დროს, იბერია-ალბანეთში სტრაბონი იბერების შეიარაღების ჩამოთვლისას მშვილდ-ისარსაც ახსენებს (XI,4,5). მშვილდოსანი იბერების შესახებ გადმოგვცემს

აპიანეც (მითრიდატეს ომები, 101) და დიონ კასიუსიც (XXXVII, 2). სვანების მოწამლული ისრების შესახებ აღნიშნავს სტრაბონი (XI, 2, 19).

სასმისზე მესამე და მეოთხე მებრძოლი ერთმანეთს მოკლე თრლესური სატევრით და შუბით ერკინებიან. რკინის სატევარი საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალაში შუბთან შედარებით ცოტაა; ისინი შედარებით მეტია გვანანტიკურ ხანაში. მაგ.: არმაზისხევი, კლდეეთი, ჩხოროწყუ, ბრილი, წებელდა [21, გვ. 74-75]. პერიოდოტე შუბებთან ერთად ახსენებს მოკლე სატევრებს (დანებს?) (VII, 79). ქსენოფონტი "ანაბასისში" მიუითებს, რომ სალიბებს ქამარზე მოკლე სატევრები ეკიდათ (IV, 7, 16).

გომის სასმისის ქვედა სარტყელზე პირისპირ დედალი, ურქო შველი და მგელია (მტაცებელი) გამოსახული. ამ ჯიშის ცხოველები კავკასიონის ზეიბებში დღესაც ბინადრობენ. შველის უკან ხე მოჩნდა. ვფიქრობთ, აქ ალეგორიულად დუალისტური კეთილისა და ბოროტის ბრძოლა აისახა (რაც ძირითადად ახსაითებდა ზორიასტრულ და შემდგომ მანიქეველურ რელიგიებს). ხე, ამ შემთხვევაში კეთილის მსარესაა (უკანა). ზედა, მეომართა ბრძოლის სიუჟეტის, ალეგორიული გამოსახვა უნდა იყოს ქვედა სცენა, სადაც შველი სიკეთეს, კარგს, მგელი, ბოროტებას, ცუდს და ხე ნაყოფიერებას, სიცოცხლის გამარჯვებას და მტრის დამარცხებას ასახავს.

გომის რიტონ-სასმისი, ალბათ, სპეციალურად ბრძოლაში დაღუპული, წარჩინებული მეომრისათვის, შესაწირად იყო დამზადებული და დაკრძალვის რიტუალში გამოიყენეს. ვფიქრობთ, მეომრებიანი სარტყლის ახსნაში, უფრო მიწიერი, ჩვეულებრივი, შესაძლოა ჩრდილო კავკასიელებთან, სარმატებთან ან ალანებთან ბრძოლაა გადმოცემული [იხ. 55, გვ. 3-4]. სასმისის დამზადებულმა, ადგილობრივმა ზელოსანნა, მისი შესძლებლობის ფარგლებში, ასახა ის, რაც ნანაზი პჲონდა. ქვემოთ, ცხოველებიან სარტყელში კი ზედა სარტყლის თავისეული მსოფლმხედველობითი, საკრალური შინაარსი ჩადო, რომელიც იმ ეპოქას ახსაითებდა. გომის სასმისი მხატვრული თვალსაზრისით დამოუკიდებელი და უნიკალურია მეზობელი ქვეყნების ხელოვნების ძეგლებთან მიმართებაში.

გომის სასმისს პირ-გვერდზე ვერტიკალურ-კანელურებიანი ფრიზი დაუყვება. კანელურები ქვედა მსარეს ე.წ. კამარებით ბოლოვდება. სა-

ქართველოს ტერიტორიაზე კანელურებიანი, ადგილობრივად დამზადებული ლითონის ჭურჭელი ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჩნდება. მაგ.: ლეჩხუშში [18, გვ.11, ტაბ.IX], თლიაში [53, გვ.75, სურ.63] აღმოჩნილი კანელურებიანი სიტულები. კანელურები, წინარეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია, რომელიც ადრეანტიკურ ხანაშიც აგრძელებს არსებობას [13, გვ.57]. მაგრამ, ამ კერამიკაზე, გომის სასმისისაგან განსხვავებით, კანელურების ბოლოები ყოველთვის ე.წ. კამარებით არ ბოლოვდება. ვერტიკალური კანელურები არ ჩანს კლასიკური ხანის ბერძნულ კერამიკაზე (სამაგიეროდ არქიტექტურაშია). ის, არ ახასიათებს არც აქემენიდური და არც სასანური ირანის მხატვრულ ჭურჭელს. რელიეფი, კერძოდ, კანელურები ელინისტურ-რომაულ სამყაროში მსატვრულ კერამიკაზე და ტორევტიკაზე ჩნდება [58, გვ.279, 280, 288-303; 33, გვ.238-254]. მაგ.: რომაული, ძვ.წ. ის-ის კანელურებიანი რიტონი [43, სურ.9; 35, გვ.204, სურ.19.7]. კანელურები, სარტყლური ფრიზების და ე.წ. მარაოსებური სახის, უფრო ფართოდ გვიანელინისტურ-გვიანანტიკურ ეპოქაში იყიდებს ფეხს [45, გვ.24-25, სურ.45].

როგორც ჩანს, კავკასიაში ჭურჭელზე უფრიზო კანელირება (ჯერ ლითონზე, ხოლო მერე კერამიკაზე) ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში იწყება. ალბათ, ის აქ გარკვეულ ტრადიციად შეიძლება ჩაითვალის. რაც შეეხება ფრიზზე განლაგებულ კანელურებს ცალ მხარეს ე.წ. კამარული დაბოლოებით, ის უფრო გვიანანტიკური ხანისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ამგვარი კანელურებიანი ფრიზია სოფ. გომის რიტონზე. საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიურად აღმოჩნილ, ანტიკური ხანის ტორევტიკულ ნიმუშებში გამორჩეული სიმრავლით და მრავალფეროვნებით აღინიშნება გვიანანტიკური ხანა [49, გვ.9-23; 12, გვ.77-101,111]. გვიანანტიკური ხანის ტორევტიკული ნაწარმი დადასტურებულა – თაგილონში, ურეკში, ციხისმირში, ბანბაში, კლდეეთში, ბორში, სარგვეშში, ხაიშში, ქვაშხიერში, ზღუდერში, ცხინვალში, ჟინვალში, ერწოში, არმაზისხევში, ბაგინეთში, სამთავროში და სხვ.

საქართველოს გვიანანტიკური ხანის ტორევტიკა რომაული სამყაროს გარკვეულ ზეგავლენას განიცდის [49, გვ.138-147]. გომის სასმისზე ეს,

ალბათ, მხოლოდ კანელურების გადმოცემაში აისახა. გვიანანტიკური, კანელურებიანი ჭურჭელი საქართველოში აღმოჩენილია – თაგილონში, ზამში, ბანაში, ციხისძირში [49, გვ.28-29; 21, გვ.72-74; 28, გვ.149-150]. საქართველოში დადასტურებული გვიანანტიკური ტორევტიკის ზოგიერთი ნიმუში IVს-შიც ჩანს. შემდგომი პერიოდის ვერცხლის ჭედური ხელოვნების ძეგლები ქრისტიანულ ხელოვნებას განეკუთვნება და ქრისტიანული მსოფლმხედველობის მატარებელია.

ვერცხლის ქამიური ანალიზი ადასტურებს, რომ ამ ლითონისაგან გაყეთებულ სასმისში ჩასხმული სითხე უფრო უვნებელი ხდება; ვერცხლი ბაცილებს სპობს. ვერცხლის ეს თვისება იცოდნენ ძველადაც და ამ ლითონის სასმისებს საკრალურ რიტუალებში იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ანტიკური ხანის ვერცხლის ტორევტიკული ნაწარმი ძირითადად მაღალსინჯიანია. საქართველოს ქრისტიანული ხანის ჭედურ ნაწარმს კი ხშირად ვერცხლში, სიმკვრივის გაზრდის მიზნით, უმატებდღნენ სპილებს. ასეთ ნივთებს დროთა განმავლობაში მომწვანო ჟანგი და კოროზია უჩნდება [6, გვ.79-84]. სოფ. გომის სასმისი მოთეთრო მაღალსინჯიანი ვერცხლისაგანაა დამზადებული, სტიბიუმის მინარევებით. სტიბიუმის, ვერცხლის მაგვარი მოთეთრო ლითონის საბადო მდებარეობს ზემო რაჭაში ბრილთან (ზოფებიტოში), ხოლო ვერცხლი მოიპოვება კვაისაში (ჯავის რნში). საფურადებთა აგრეთვე, რომ სოფ. გომის ახლოს ბრილის ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლზე მოპოვებული ლითონის ნაწარმი შეიცავს სტიბიუმს (ანალიზები ჩაატარა ლითონმცოდნებ გ. ინანიშვილმა). ვერცხლის საბადოებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სტრაბონის ცნობაც – ხალიბების მიერ, რკინის გარდა, ვერცხლის მოპოვების შესახებ (XII,3,19).

ამგვარად, კავკასიონის სამხერო ფერდზე, ზემო რაჭაში, სოფ. გომში დადასტურებული ვერცხლის ყანწრ-რიტონი, ჩვენი ვერსიით ადგილობრივი ნაწარმია, ზოგადად გვიანელინისტურ-გვიანანტიკურ ხანაშია დამზადებული და ბრილის სამაროვანიდან უნდა იყოს. დაკრძალვის რიტუალისათვის დამზადებულ ვერცხლის სასმისზე გამოსახული სიუჟეტი ხელოსნის მიერ სოციოგარემოს აღქმის გამოხატულებას წარმოადგენს, რაც ერთი მხრივ

ჩრდილო კავკასიურ (სარმატულ-ალანური), მეორე მხრივ რომაულ სამყაროსთან იჩენს გარკვეულ სიახლოეს.

### ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი, შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961.
2. ბერაძე, თ. რაჭა. თბ., 1983.
3. ბოჭორიძე, გ. რაჭა-ლეჩებუმის ისტორიული ძეგლები.... თბ., 1994.
4. გამყრელიძე, გ. ცენტრალური კოლეგიის ძვ. ნამოსახლარები, თბ., 1982.
5. გამყრელიძე, გ. კოლხოლოგიური ნარკვევები. I, თბ., 2001.
6. გოგინაშვილი, ნ. არქ... ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, III, 1997, გვ.79-84.
7. ინაიშვილი, ნ. ციხისმირის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.
8. კვირკველია, გ. პოპლიტური ფარგები....ძიებანი, №7,2001, გვ.32-40.
9. ლომოვარი, ნ. დიონ კასიონის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966.
10. ლორთქიფანიძე, გ. საბრძოლო და სამუშარეო.... ვანიII, 1976, გვ.167-190.
11. ლორთქიფანიძე, გ. სამხედრო..., თსუ შრომები, ტ.205, 1979, გვ.95-107.
12. ლორთქიფანიძე, თ. ანტიკური სამურო და ქართლის სამეცნი, თბ., 1968.
13. ლორთქიფანიძე, თთ. და სხვ., ძვწ. VI-IV სს. კოლხური..., ვანიV, 1981.
14. მაკალათია, ს. მთის რაჭა. თბ., 1987.
15. მიქელაძე, თ. ქსენოფონტის "ანაბასიი", თბ., 1967.
16. მუხიფულაშვილი, ნ. ვარსმანთკარის..., არქ. ძიებანი, VI, 1986, გვ.67-75.
17. საგინაშვილი, მ. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. თბ., 1970.
18. სახარვა, ლ. ბრინჯაოს განძები ლეჩეუმიდან. თბ., 1976.
19. უგრელიძე, ნ. ადრუელ შუასაუკუნეო ქართლში მინის..., თბ., 1967.
20. ურუშაძე, აკ. პლუტარქე, ტ. I. თბ., 1957.
21. ფუთურიძე, რ. გვიანანტიკური სანის..., მსკა, ტ.II, თბ., 1959, გვ.54-94.
22. ფუხჩიშვილი, თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
23. ყიფანი, გ. ანტითეტური, ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, I, 1995, გვ.10-21.
24. ყიფანი, გ. უფლისციხის კლდოვანი..., არქ. ურ., I, 2000, გვ.74-95.
25. ჩართოლანი, შ. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, I. თბ., 1976.
26. ჩოლოფშვილი, კ. ქართული საბრძოლო..., სსმმ, ტ.XVIII-5, 1954, გვ.227-53.
27. წითლანაძე, ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1976.
28. ჯავახიშვილი, ალ. ხაიშის განმი. -მნათობი, № 3, 1958, გვ.149-157.
29. ჯიქა, ლ. ქუთაისის მუზეუმის კოლექციები., მმ, №53, 1980, გვ.32.
30. ჰეროდოტე, ისტორია, თარგმა თ. ყაუხჩიშვილმა, ტ.I, II, თბ., 1975-76.

31. Античные государства Северного Причерноморья Арх.М., 1984.
32. Аракелян Б. Очерки истории искусства дре. Армении. Ереван, 1976.
33. Блаватский В. История античной расписной керамики. М., 1953.
34. Блаватский В. Очерки военного дела в античных государствах..., М., 1954.
35. Велишский Ф., Быт и нравы древних Греков и Римлян. М., 2000.
36. Власова Е. Сосуды..., фз. օԵֆ.-աճյ. IXՅօմՅօմՅօմ. զբօ, 1999, չ3-65.
37. Воронов Ю. Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.
38. Воронов Ю., Тайна Цебельдинской долины. М., 1975.
39. Гамбашидзе О., Работы Месхетской экс. – ПАИ, 1995, с. 48-54.
40. Древнегреческо-русский словарь (Дворецкий И.), М., 1958.
41. Есаян С. Оружие и военное дело Древ. Армении, Ереван, 1966.
42. История Еврейского народа, т. I. М., 1914.
43. Кобылина М., Искусство древнего Рима. М.-Л., 1939.
44. Кривицкий В. Бронзовый ритон из Эрмитажа., СГЭ, XLII, 1977, с.33.
45. Кропоткин В. Римские импортные изделия.... САИ, Д1-27. М. 1970.
46. Максимова М. Ритон из Келермеса. – СА, XXV, 1956, с. 215-235.
47. Манцевич А. Курган Солоха. Л., 1987.
48. Мартиросян А. Армения в эпоху бронзы.... Ереван, 1964.
49. Мачабели К. Позднеантичная торевтика Грузии. Тб., 1976.
50. Мелюкова А. Вооружение Скифов. САИ, Д1-4. М., 1964.
51. Оганесян В. Серебряный...Ист.-фил. жур., АНА, Ереван, №4, 1988, с.145.
52. Пиотровский Б. Ванское царство (Урарту). М., 1959.
53. Техов Б. Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. М., 1977.
54. Тревер К. Памятники греко-бактрийского искусства. М.-Л., 1940.
55. Хазанов А. Очерки военного дела Сарматов. М., 1971.
56. Bottini F., Egg M., Hase F., ..., Antike Helme. Mainz, 1988.
57. Connolly P. Greece and Rome at war. London, 1988.
58. Froning H. Katalog der griechischen..., Museum Folkwang Essen. 1982.
59. Gamkrelidze G., Ein Rhyton mit Götterdarstellung aus der Kolchis. – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 30, 1998 : 211-216.
60. Georgien, Schätze aus dem Land des Goldenen Vlies. Bochum, 2001.
61. Hoffman H. Tarentine Rhyta. Mainz, 1966.
62. Rostovtzeff M. The animal style in South Russia and China. London, 1929.
63. Simon E. Amalthea, The 9<sup>th</sup> International Symposium on the Ancient History and Archaeology of the Black Sea Area. 1999. Vani. Tbilisi, 1999, p. 62.
64. Svoboda B., Cončev D., Neue denkmäler antiker Toreutik. Praha, 1956.

## ჯერიანდამღიანი კოლხური ამფორები

საქართველოს ზღვისპირეთის ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან, ადგილ "ნატეხებში" არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფრიად საყურადღებო დამღა აღმოაჩინა. აქ ნიადაგი ძირითადად თიხა-ქვიშიანია, ხოლო ქვეშ თიხა-ტორფიანი ფენა, სადაც ძვ.წ. IV-IIIს-ის არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და როდოსული ამფორის ძირი აღმოჩნდა [იხ. გამკრელიძე. 1992: ტაბ.5,6.]. აქევე ჯერიანდამღიანი კოლხური ამფორის ფრაგმენტიც დადასტურდა. ქვემოთ, შეძლებისდაგვარად ვეცდებით, განვსაზღვროთ ამ აღმოჩენის მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიისათვის, რაც ითვალისწინებს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: 1.დამღის აღმოჩენის არქეოლოგიური კონტექსტი; 2.კოლხეთში დადასტურებული სხვა ჯერიანი დამღების ტოპოგრაფია; 3.ჯერის, როგორც სიმბოლოს მნიშვნელობა; 4.კოლხეთში ამფორების, საკაჭრო ტარის წარმოების საკითხი; 5.დამღა, როგორც უფლებრივი საკაჭრო ნიშანი; 6.დამღის აღმოჩენის ადგილი, ფასისი, როგორც ვაჭრობის ცენტრი.

ქ. ფოთში "ნატეხების" ნამთსახლარზე აღმოჩნდილი არქეოლოგიური მასალის შესახებ დაწვრილებით იხ. [გამყრელიძე, 1987:97-117; გამყრელიძე, 2003:170-185; გამყრელიძე, 2002:70-101; Gamkrelidze, 1992:101-119; გამკრელიძე, 1992:30-48]. ქვედა ფეხებში ძვ.წ. IV-IIIს. სხვა არქეოლოგიურ არტეფაქტებთან ერთად დამღიანი კოლხური ამფორის ყურიც დადასტურდა. ფოთში, "ნატეხების" ქვედა ფენაში აღმოჩენილი კოლხური ამფორის ყურზე მკაფიოდ რელიეფური დამღა ზედა მხარეზეა დასმული. ყური ოვალურგანიკვეთიანია. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიძინევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. დამღა წრიულია (დმ-1,9 სმ) და შიგ ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. დამღა ანეპიგრაფიკულია. ჯვარი ყურთან მიმართებაში გადახრილია (ტაბ.II, სურ.1). სულ ცოტახნის წინ წრიულდამღიანი კოლხური ამფორები მეცნიერებისათვის უცნობი იყო. ამჯერად კი უკვე აღმოჩენილია და ცნობილია წრეში ჩასმულ ჯერიანი დამღები, რომლებიც

ერთმანეთს ჰგვანან – ფოთიდან, ფიჭვნარ-ჩოლოქიდან, ვანის ნაქალაქარიდან (იხ. ტაბ.I, გავრცელების რუკა). სულ დღესდღეობით დოკუმენტურად ცნობილია ცხრა ცალი. კიდევ ერთი ეგზემპლარი ზეპირი გადმოცემით დასტურდება. ამ ტიპის სამი დამდა დაფიქსირებულია ადგილობრივი წარმოების ქვევრზე. სხვებთან შედარებით განსხვავებული ჯვარი, ერთი ცალი, ჯამზეც აღმოჩნდა.

### **ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორებისა და ქვევრების ჩამონათვალი:**

- 1) კოლხური ამფორის ოვალურგანიველთანი ყური წრეში ჩასმული ჯვრის დამღით აღმოჩნდა ჩოლოქის ნამოსახლართან, მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. თარიღდება ძვ.წ. IIIს. ინახება ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპლიკის ბაზის ფონდში (იხ. [ცეცხლამებე, იაშვილი, 1991:58-61]); (ტაბ. IV, სურ.1).
- 2) კოლხური ამფორის ოვალურგანიველთანი ყური წრიული დამღით, რომელშიც ტოლმეტლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 213-212; სავ. №07:1-04:470. ფენა ძვ.წ. IV-IIსს-ისაა (ტაბ. III, სურ.1).
- 3) კოლხური ამფორის ოვალურგანიველთანი ყური წრიული დამღით, რომელშიც ტოლმეტლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოწითალო-ყავისფერია და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვნი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 222; სავ. №07:1-74:360. ფენა ძვ.წ. IV-IIსს-ისაა (ტაბ. III, სურ.2). [გიგოლაშვილი და სხვ. 1979: ტაბ. 5, სურ. 30].
- 4) კოლხური ამფორის ოვალურგანიველთანი ყური წრიული დამღით, რომელშიც ტოლმეტლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვნი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე; ნაკვეთი 67, ცისტერნასთან; სავ. №07:1-79:2067. ფენა ძვ.წ. II-IIსს-ის არტეფაქტებს შეიცავს (ტაბ. III, სურ.3).

- 5) კოლხური ამფორის ოვალურგანიველთიანი ყური წრიული დამღით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. წრე მთლიანად არ არის ჯვრით შევსებული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეორო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფორმოვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 213; სავ.№07:1-03:65. ფენა ძვ.წ. III-ის არტეფაქტებს შეიცავს (ტაბ.III, სურ.4).
- 6) კოლხური ამფორის ოვალურგანიველთიანი ყური მომრგვალებულ მკლავიანი სვასტიკის დამღით. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეორო და მოშავო ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფორმოვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე; ნაკვეთი 127-142; სავ.№07:1-04:2287. ფენა ძვ.წ. III-ის-ის არტეფაქტებს შეიცავს; (ტაბ.II, სურ.2).
- 7) კოლხური ამფორის ოვალურგანიველთიანი ყური ჯვრიანი დამღით. ჯვრის ქვედა მხარე ოდნავ წაგრძელებულია. ჯვრის გარშემო წრე არ შეიმჩნევა. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეორო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფორმოვანია. აღმოჩნდა მდ. სულორთან, ვანის ნაქალაქარიდან აღმოსავლეთით, ადგილ "მშვიდობის გორაზე" ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვების დროს; სავ.№07:9-05:34. იქვე დადასტურდა ძვ.წ.III-ის-ის არტეფაქტები (ტაბ.III, სურ.5). ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე კოლხური ამფორის კიდევ ერთი ჯვრიანდამღიანი ყური აღმოჩნდა (სამწუხაროდ, სადღეისოდ უცნობია მისი შენახვის ადგილი).
- 8) ადგილობრივი წარმოების ქვევრის პირზე წრიული დამღაა, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეორო და მოშავო ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფორმოვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვ.222; სავ.№07: 1-74:277. ფენა ძვ.წ. III-ახ.წ.IV-ის-ის არტეფაქტებს შეიცავს (ტაბ.IV, სურ.4).
- 9) ადგილობრივი წარმოების ქვევრის სამკუთხაგანიველთიან პირზე დამღაა, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეორო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფორმოვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 221; სავ.№07:1-70:329. ფენა ძვ.წ.III-ახ.წ. IV-ის-ის არტეფაქტებს

შეიცავს. ქვევრის ეს ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულ ადრეშუასაუკუნეების ქურასთან აღმოჩნდა. სადღესიოდ, სამართლიანად ფიქრობენ, რომ ეს კერამიკა ძვ.წ.IV-IIIსს-ის უნდა იყოს (შეადარე: [ცეცხლაძე,...,1991: 59].

10) ადგილობრივი წარმოების ქვევრის მხრის ფრაგმენტი, რომელსაც წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის ტვიფრი აქვს. აღმოჩნდა გურიანთას ნამოსახლარზე, რომელიც მდ. სუფსის მარცხნა მხარეს (ოზურგეთის რ-ნი) მდგბარეობს. ფენა ძვ.წ. IV-IIIსს-ით თარიღდება (ტაბ.IV, სურ.2); (იხ. [ვაშაკიძე, 1971: 17]).

ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩნდა ჯამის ძირის ფრაგმენტი, რომელსაც წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის ტვიფრი ამშვენებს. ეს ჯვარი, სხვებთან შედარებით განსხვავებულია. მას გაოთხმაგებული მკლავები აქვს. თიხა მოყვისფროა და მასში მოთვირო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ნაკ.19.1-19.4; სავ.№07:1-75:203. ფენა ძვ.წ. III-IIსს. არტეფაქტებს შეიცავს (ტაბ.IV, სურ.3)[გიგოლაშვილი და სხვ. 1979:44]. საყურადღებოა, აგრეთვე რომ სოფ. პატარძეულში (საგარეჯოს რ-ნი) აღმოჩნდილ სამარხეულ კომპლექსში, ადგილობრივი წარმოების სამტკიცა დოქტ დადასტურდა, რომლის სახელურის თაგზეც ჯვრიანი დამდაა დამტული. კომპლექსი ძვ.წ. I- ახ.წ. IIს. თარიღდება (იხ.[ნარიმანშვილი, 1999: 68, სურ.1]).

ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორები, დღესდღეობით, კოლხეთის გარდა, არსად არ არის მიკვლეული. ისინი, სტრატიგრაფიული მონაცემების და არტეფაქტების კონტექსტზე დაყრდნობით, ძირითადად ძვ.წ. IV-ს-ის მიწურულით – IIს-ით უნდა დათარიღდეს. დამღებზე, ჯვრის ფორმების გარკვეული სხვადასხვაობა შეიმჩნევა. შემდგომ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მრავლად აღმოჩენილ ძვ.წ. II-IIს-ის კოლხური ამფორების ფურზე და ყელზე, ხშირად სხვადასხვა ნიშნებია ამოკაწრული. ჯერჯერობით ამგვარი ნიშნების ოცდათამდე სახეობაა დადასტურებული. საყურადღებოა, რომ დაახლოებით ასეთი ნიშნები კოლხეთში ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-ს-დან ქვევრებზე, ხოლო ძვ.წ. III-ს-დან კრამიტებზე და საწაფებზეც ფიქსირდება. ისინი, მეცნიერების მიერ, ძირითადად ქვევრების, ამფორებისა და კრამიტების დამამზადებელი სახელოსნოების ნიშნებადა მიჩნეული [იხ.

ფუთურიძე, 2003: 102-103]. ამ ნიშნებს შორის არის ჯვრის ნიშან-გრაფიტობიც (იხ. ტაბ.IV, სურ.6). წრეში ჩასმული წვრილტანა ჯვრიანი დამღები ცნობილია თაზოსში დამზადებულ ამფორებზე. მაგრამ აქ მკლავებშეა ოთხ სივრცეში ჩასმულია ბერძნული ასოები [Брашинский, 1980: 233, სურ.132; Bon, 1957: 167; Монахов, 1999: 233]. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამღანი თაზოსური ამფორები ჯერჯერობით არ არის დადასტურებული.

ქუთაისთან, სოფ.ჭოგნარში, ფარნალის გორის ნამოსახლარზე, ძვ.წ. VII-VIIIს-ის ფენაში მიკვლეულია ორი, გამოიწვარი თიხის, დამღის დასამელი საბეჭდავი (სავ.№227,229; ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიცია, ხელმძღ. ოთ. ლიორთქიფანიძე, 1964წ.). დამღების დასამელი საბეჭდავები – ქვის, თიხის ან ლითონისაგან იყო დამზადებული. მაგალითად, თიხის საბეჭდავები ფარნალის გორის ნამოსახლარიდან (სოფ. ჭოგნარი) ან ძვ.წ.V-IIIს-ის უფლებრივი დასადამღი ლითონის საბეჭდავები გუადიხუდან, ვანიდან, ქობულეთის ფიჭვნარიდან, ეშერადან, დაბლაგომიდან, დაფნარიდან და სხვ. [ლიორთქიფანიძე მარ. 1975: 14-73].

**ჯვრის შესხებ:** ჯვარი იდუმალი საკორდინაციო, უნივერსალური სიმბოლოა. ის პირველად პალეოლითის პერიოდში გამოსახეს და მას შემდეგ წამყვანი ადგილი უჭირავს კაცობრიბის სიმბოლიკაში. ჯვარი უხსოვარი დროიდან ასახავს ადამიანის შეხედულებას გარემო სამყაროზე. ჯვარს ხშირად ვხვდებთ სხვადასხვა ორნამენტულ და მითოლოგიურ სიუჟეტებში, რომლებიც არქეოლოგიურ არტეფაქტებზე სხვადასხვანაირი გრაფიკითა და კომბინაციონთა გამოსახული. ის ხშირად ორნამენტული ქარგის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი და უმეტესი კომპოზიციებს განაწილების საფუძველია. ჯვარი წრესთან ერთად სამყაროს აღქმის უმთავრესი ნიშანია. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჯვარი წარმოიქმნა გმნკლავში მდგომი ადამიანის გამოსახულებიდან და მისი სიმბოლოა; აგრეთვე, ხახუნით ცეცხლის გასაჩენი ჯვრისებრ დადებული ჯოხებისაგან და აღიქმება, როგორც ცეცხლისა და მცხუნვარე მზის სიმბოლოდ. ჯვარი, ასევე შეიძლება სიმეტრიულად დაგვმარებული საცხოვრისის სიმბოლოც იყოს, რომელიც ოთხ თანაბარ ნაწილად იყოფოდა. მის ცენტრში, მთავარ

მოედანზე იკვეთებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული გზები. ჯვარი, კოსმოგონიურ-საკრალური, მაგიური შინაგანი არსის სიმბოლო და სამყაროს ოთხ მხარეს უნდა მიანიშნებდეს. ის წერტილოვანი ცენტრიდან ოთხმხრივ უსასრულოდ ვითარდება. მისი პორიზონტალურ-ვერტიკალური კვეთა ცენტრიდან გამომდინარე ოთხ მიართულებას აღნიშნავს. ამ ცენტრის გარშემო ჯვარი სიმეტრიულადაა ორგანიზებული.

წრეში ჩასმული ჯვარი, ოთხ ნაკვეთად დაყოფილი მბრუნავი წრეა, რომელიც მზის უძველესი არქეტიპი და კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა. ჯვრის შემდგომი განვითარებაა სვასტიკა, რომელიც ჯვრის მკლავების დაბოლოებების გადახრით მიიღწეოდა და აგრეთვე უძველესი სიმბოლოა [ხიდაშელი, 2001: 63-65]. ის მბრუნავ მზეს, ბორჯღალს გამოხატავს. როგორც ჩანს, ჯვარი იმთავითვე საკულტო-საკრალური დანიშნულების სიმბოლო-ნიშანი იყო. შემდგომ, IV-ს-დან ჯვარი ქრისტიანობის ძირითად კანონიკურ, წმინდა სიმბოლოდ იქცა. ქართულ წერილობით წყაროებში პირველად იაკობ ცურტაველის Vს-ის ნაწარმოებში (ნაწ. მე-16) [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1964:26] მოიხსენიება. საყურადღებოა, რომ ძველი ქართული ასომთავრულის "ჯან" ასო-ნიშანი ჯვრის მოხაზულობით ხასიათდება და თავზე ჰორიზონტალური ხაზი აზის. ჯვრის ფორმა აქვს, აგრეთვე "ქან" ასო-ნიშანს (ტაბ.IV, სურ.5) [იხ. გამყრელიძე თ. 1989: 165, 179].

ჯვარი მედიტერანულ სივრცეში წინა აზის არეალიდან გავრცელდა. გამორიცხული არ არის, რომ ის კავკასიიდანაც გავრცელებულიყო. ამას გარკვეულწილად ადასტურებს ჯვრის ხშირი გამოსახვა კავკასიაში აღმოჩენილ აღრეული სამიწათმოქმედო ხანის, თრიალეთის კულტურის და საერთოდ ბრინჯაოსა და რეინის ეპოქის, კლასიკური ეპოქისა და საერთოდ წინაქრისტიანული პერიოდის არქეოლოგიურ არტეფაქტებზე. ჯვრების სხვადასხვა ვარიანტები გვხვდება ჭურჭელზე, საბრძოლო და შრომის იარაღებზე, სამკაულებზე და სხვ. მრავლადაა დადასტურებული ჯვრების გამოსახულებები – კერამიკაზე, ოქროზე, ვერცხლზე, ბრინჯაოზე, რკინაზე, ქსოვილზე, ქვაზე. კავკასიაში წინაქრისტიანულ ეპოქაში, როგორც ჩანს,

ჯვარს საკულტო თუ ყოფით ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი ეჭირა. VII-დან ქრისტიანულ საქართველოში ვრცელდება წრეში ჩასმული ჯვრები, რომლებიც "ბოლნური" ჯვრის სახელითაა ცნობილი. ისინი ზოგადად წინაქრისტიანულ ეპოქაში დადასტურებული წრეში ჩასმულ ჯვრებს ჩამოგვანან.

კოლხური სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება მზე იყო. მაგალითად, ამას ადასტურებს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ.წ. III-ის ოფიციალური წარწერაც, სადაც მე-18 სტრიქონში მოიხსენიება მზის ღვთაება – ჰელიოს. მეტ სამყროში მას აიგივებდნენ ზევსთან, აპოლონთან, ოსირისთან, იუპიტერთან, მითრასთან. კოლხთა უბირველეს ღვთაებად, აპოლონიოს როდოსელი თვლის ჰელიოს (მზეს), კოლხეთის მეფის აიეტის მმას. მზე ნაყოფიერების კულტთანაც იყო დაკავშირებული [ყაუხჩიშვილი, 1987: 139-142]. მზის სიმბოლოდ ჯვარი, სვასტიკა, ბორჯვალი, წრეა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ რომელიმე კოლხმა წარჩინებულმა თავის ემბლემდ აირჩია ჯვარი, რომელიც სიმბოლურად ღვთაება მზეს გულისხმობდა.

კოლხური ამფორების შესახებ: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დასავლეთი საქართველოში, კოლხეთში იმპორტული ამფორები სავაჭრო ტარად ძვ.წ. VII-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. აქ დადასტურებულია შავიზღვისპირეთის და ხმელთაშუაზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებში დაზადებული ამფორები [ფუთურიძე, 1976: 79-90].

ძვ.წ. IV-ის მეორე ნახევრიდან იწყება ადგილობრივი "კოლხური ამფორების" (resp. ყავისფერთიხანი) წარმოება. ამ პერიოდისათვის კოლხური ამფორები სინოპურს ჰგვანან. დასავლეთ საქართველოს კოლხური ამფორების მრავალრიცხოვნ არქეოლოგიურ მონაპოვარში, ფორმის, მოცულიბის და თიხის მიხედვით სხვადასხვა ტიპოლოგიური ვარიანტები შეინიშნება [იხ. ფუთურიძე, 2003: 98-109; იუთურიძე, 1977:68-71; ლორთქიფანიძე, 1966:137-140; კახიძე, 1971:55-63; ლორთქიფანიძე, 1970: 81-82; გამყრელიძე, 1982: 96-98; ბრაшинский, 1980:ტაბ.XXIII; ვნуков, ცეცხლაძე, 1991:170-185; ხალვაში, 2002:10-20 და სხვ.]. აგრეთვე სხვაობაა ქრისტიანული ამფორები, როგორც ჩანს

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთ ადგილას მზადდებოდა. ეს, ადგილობრივი წარმოების ამფორები ძვწ. IVს-ის მეორე ნახევრიდან ახწ. VIIIს-მდე და შემდეგაც სხვადასხვა მოდიფიკაციით კეთიდებოდა (ტაბ.V). ზოგადად, კოლხური ამფორები ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურად შემდეგნაირად წარმოგვიდგება: 1) ძვწ. IVს-ის მეორე ნახევრის – IIIს-ის პირველი ნახევრის კოლხური ამფორები სინოპურს გვანან, ოღონდ თიხის ზედაპირი უფრო ხორკლიანია, ფერი კი მოყავისფრო. გვხვდება ღია-მოყავისფრო ეგზემპლარებიც. ადგილობრივი, კოლხური ამფორების კორპუსი კვერცხისებურია, ლილვაკისებური პირი და ცილინდრული ყელი აქვს; ქუსლი წაკვეთილი კონუსისებურია, ცილინდრულთან მიახლოებული; ყურები თანაბრად მორკალური და ჭრილში ოვალურია (ტაბ.V, სურ.1).

2) ძვწ. II–IIIს-ის კოლხურ ამფორებს წელზე შეზნექილია უწნდებათ; ყელი ცილინდრულია და შედარებით მოკლე; ოვალურგანივეტიანი ყურები თანაბრად მორკალური და შედარებით მოკლეა; თიხა ზედაპირზე ხორკლიანია და მოყავისფრო ელფერისა; გვხდება ღია-მოყავისფრო ეგზემპლარებიც. საერთოდ, კოლხური ამფორების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ფსკერზე სპირალური ხვია (ტაბ.V, სურ.5), რომელსაც ზოგი მეცნიერი ეწ. ვარდულისებურსაც უწიდებს. ამგვარი სპირალური ხვია უცხოური ამფორებისათვის არ არის დამახასიათებელი. კოლხური ამფორების თიხის სტრუქტურა ხაოიან-ფორმოვანია. თიხა შეიცავს მოთეთო და მოშავო მცირენატეხოვან ნამცეცხებს. შერეულია დიაბაზის და ბაზალტის; პიროქსენიტების, კვარცის, ქარსის, რკინის ჰიდროკარბის მინარევები და სხვ. ჩატარებულია თიხის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზი, რის შედეგადაც დადასტურდა, ადგილობრივი, კოლხეთის სხვადასხვა რეგიონის თიხასთან მათი იდენტურობის ფაქტი [იხ. მორჩაძე, 1979: 81; ფოფორაძე, ფარადაშვილი,... 2006: 220-224].

ძვწ. II–IIIს-ის კოლხური ამფორების ზოგიერთ ეგზემპლარზე გვხვდება ნიშნები (მაგ. იხ ტაბ.IV, სურ.6). შესაძლოა ისინი ხელოსნის მიერ ამფორის მოცულობას ან რაოდენობას აღნიშნავდეს. კოლხურ ამფორაზე დატანილი ნიშნები ჰგავს ადგილობრივ დამზადებულ ქვევრებზე და კრამიტზე აღბეჭდილ ნიშნებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ვანში

აღმოჩენილ ერთ-ერთ ადგილობრივ ამფორას ზედაპირი ისევე აქვს დამუშავებული, როგორც ადგილობრივ ქვევრებს – ვერტიკალურ ხაზებანი ჰორიზონტალური სარტყელებით [Путуридзе, 1977: 68-69].

კოლხეთში აღმოჩენილია კერამიკის გამოსაწვავი ქურები, სადაც სხვა ტიპის კერამიკის ნატეხებთან ერთად ამფორების ფრაგმენტებიცაა დაძასტურებული. ასეთი ქურა აღმოჩენილია სოფელ გვანდრასთან (აფხაზეთი), რომელიც ძვ.წ. III-ისაა. ასეთივე ქურაა სოხუმთან “წითელი შუქურას” ნამოსახლარზე. ქურის ნაშთებია შესწავლილი აგრეთვე სოფ. გულრიფშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნამოსახლარზე.

ძვ.წ. III. მეორე ნახევრის და ძვ.წ. II. კოლხურ ამფორებს ფსკერზე ისევ სპირალური ხვია აქვს. ცილინდრული ქუსლი უფრო სოკოსთავისებრ მიმრგვალებურ ფორმას იღებს და ბოლო უფრო შესქელებულია. ზოგი მეცნიერი მას ე.წ. ღილისებურსაც უწოდებს. ამ პერიოდის კოლხური ამფორების კედელი შედარებით თხელია. ამფორებს ტანზე უფრო შესამჩნევი შეზნექილობა უჩნდებათ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს შეზნექილობა ამფორის ხმელეთზე ტრანსპორტირებასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, ამფორას უფრო ადვილად მოედებოდა შეზნექილობაზე ბაწარი და უფრო მოხერხებული იქნებოდა ცხნის ან ვირისოვის სააღნევდ გადაკიდება. კოლხური ამფორების ტევადობა 13-დან 22ლიტრამდე მერყეობს. კოლხური ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი ძვ.წ. II-III-ის ნამოსახლარებზე ისტორიული კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე. აქ თითქმის არ არის ამ პერიოდის ნამოსახლარი, სადაც ამგვარი ამფორები არ აღმოჩენილიყო. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ახლა თითქმის ერთხმადაა დღიარებული, რომ ეს ამფორები ადგილობრივი, კოლხური წარმოებისა. კოლხური ამფორები დაძასტურებულია შემდეგ პუნქტებში: ეშერაში, ქ. სოხუმში, ქ. ოჩამჩირეში, მდ. ენგურის ხეობაში, ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. ურეკიში, მდ. სუფსა-ნატანების შუამდინარეთში, სოფ. ციხისძირში, ქ. ქობულეთის ფიჭვნარში, სოფ. მახვილაურში, ქ. ბათუმში, სოფ. გონიოში, სოფ. ბუკისციხეში, სოფ. გურიანთაში, სოფ. დაფნარში, სოფ. დაბლაგოში, სოფ. მთისძირში, ქ. ქუთაისის მიდამოებში, სოფ. საგიჩიოში, ქ. ვანში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე და სხვ. ძვ.წ. II-

ІІІ-іს კოლხური ამფორები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში სხვადასხვა ნამოსახლარებზეა აღმოჩენილი. ესენია – გორგაბია, კიტეი, კეპი, წეაბოლი (სკვითური), ქერსონესი, დონუზლავი, ბელაუსი, კარატობე, კერკინიტიდა და სხვ. [Внуков. Цецхладзе. 1991: 170-185].

- 3) ძ.წ. II – ІІІ. კოლხური ამფორების შემდგომი პერიოდის გაგრძელებად ახ.წ. II – III სს. ეწ. ყველწიმიანი წელშეზნექილი ამფორები უნდა იყოს, რომლებსაც წაგრძელებული ტანი, თთქმის თანაბრად მორკალული ყურები და ფსკერზე აგრეთვე სპირალული ხვია ახასიათებთ. მათი კედელი შედარებით კიდევ უფრო თხელია და ყელზე, ყურების მიძრულის ადგილზე გამოხატული წიბი აქვთ, რომელიც შიდა მხრიდან ოდნავ ჩაზნექილია. ამ ტიპის ამფორები მიკვლეულია – ბიჭვინთაში, სოხუმში, ემერაში, წებელდაში, ფოთში (პალიასტომი), ურუკში, ქობულეთის ფიჭვნარში, ციხისძირში, გონიოში და სხვ. (ტაბ.V, სურ.3); [ხალვაში, 2002: 10-20].
- 4) ახ.წ. III–IV სს-დან წელშეზნექილი და ფსკერზე სპირალურხვიანი კოლხური ამფორების ახალი ტიპი ვითარდება. ამ ამფორებს ყურები მკვეთრად აქვთ ზედა ნაწილში მოხრილი და ტანი კიდევ უფრო ვიწრო და წაგრძელებული აქვთ. ზოგიერთ ვაზემპლარს ტანზე დაბალი გოფრირება უჩნდება. ყურები განივევეთში ოვალურობას კარგავს და უფრო ბრტყელი ხდება (ტაბ.V, სურ.4).

**დამდების შესახებ:** დამდის დასმა, ხელშეუხებლობისა და ნივთის ან ჭურჭლის შეგთავსის ვისიმე საკუთრებას ნიშნავდა. დამდა მას, ამ ქონებას, არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელყოფისაგან სამართლებრივად იცავდა. დამდა დაახლოებით ისეთივე უფლებრივი ნიშანი იყო, როგორც მონეტაზე გამოსახული ემბლემები. მისი გამოსახვა მხოლოდ გარკვეული წარჩინებული პირების (კოლხეთში – სკეპტური, მეფე, მთავარი ქურუმი) პრეროგატივა იყო. მას ძირითადად სახელმწიფოუბრივი გაერთიანების წარჩინებული პირები და მაღალი რანგის მოხელეები ფლობდნენ და იყენებდნენ. ამიტომ, დამდა იურიდიული ხასიათის დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

წრეში ჩასმული ჯვარი შესაძლოა კოლხეთის რომელიმე ქალაქური დასახლების, რეგიონის უფლებამოსილი წარჩინებული პირის ნიშნია, რომლის დაქვემდებარებაში მყოფი კერამიკული სახელოსნოების ნაწარმი

ასეთი ემბლემით იდამღებოდა. ასეთი საქალაქო ცენტრი შეიძლება "ვანი", "ქობულეთ-ფიჭვნარი" ან ფასისი იყო. ქალაქ ფასისის საშუალებით კოლხეთის ნედლეული და ნაწარმი საერთაშორისო ბაზარზე გაედინებოდა. გამორიცხული არ არის, რომ ეს დამღები მეფის მოხელისაც იყო, რომელსაც ამფორების ტარის წარმოების კონტროლი ევალებოდა და გარკვეული კავშირ-პასუხისმგებლობა გააჩნდა ამ ამფორებით გადასატანი სავაჭრო პროდუქციის ხარისხზე. თუკი დისკურსი-ეშერიდან ძვ.წ. IIIს. კოლხური ამფორების ცნობილ დამღებს გავითვალისწინებთ, რომელზედაც ქლაქის სახელია აღნიშნული [იხ. ფუთურიძე, 2003: ტაბ.I, სურ.2], მაშინ შესაძლოა, რომ ჯვრიანი დამღაც, რომელიმე სხვა კოლხური ქალაქის ემბლემად ჩაითვალოს, მაგალითად, სავაჭრო ქალაქ ფასისის.

ქ. ფასისის შესახებ: ეს ქლაქი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო [Lordkipanidze, 2000; გამყრელიძე, 2003: 170-185.; Braund, 1994: 102-103; გამკრელიძე, 1992:6-29; და სხვ.], (ტაბ.I). უმნიშვნელოვანესი ცნობა ქ. ფასისის მდგბარეობის შესახებ დაცულია სტრაბონის "გეოგრაფიაში" (XI,2,17). ეს აღწერილობა დღევანდელი ქ. ფოთის მდგბარეობას ესადაგება. საყურადღებოა აგრეთვე არაანეს საინსპექციო აღწერაში შემონახული ცნობა ფასისის შესახებ. პიპოკრატეს "ჰაერთა..."15) ჩანს, რომ მდ. ფასისის ქვემო წელის მოსახლეობა სავაჭრო პუნქტში, ფასისის ემპორიონში დადიოდა. როცა ბერძნები გამოჩნდნენ მდ. ფასისის შესართავთან, აქ პროტოურბანისტული ცენტრი ფასისი უკვე იყო (გავიხსენოთ, ამ ტერიტორიაზე არსებული გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის ნამოსახლარები). ბერძნებმა ამ სავაჭრო დასახლებასთან დაამყარეს კონტაქტი და დროთა განმავლობაში აქვე გამნდა ბერძნული დასახლებაც. მოგვიანებით, ალბათ, ფასისი უფრო დაწინაურდა. მას კომუნიკაციების მიხედვით მოხერხებული ადგილი ეჭირა. კერძოდ, მდ. რიონ-ფასისის დელტა და ის ურბანისტულ ცენტრად განვთარდა. მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელზე არქეოლოგიურად აღმოჩენილი ნამოსახლარებიც ამას მოწმობს. ქ. ფასისი ეკროპა-აზის საზღვაო-სამდინარო სატრანზიტო სავაჭრო გზის ერთ-ერთი მირითადი პუნქტი იყო.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში აღმოჩენილი უახლესი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე და სხვა არტეფაქტების მოშევლიერა-გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: ძვ.წ. IV-ს-ის მეორე ნახევრიდან – IIIსაუკუნის ჩათვლით კოლხეთში მზადდებოდა ამფორები, რომლებზედაც ტვიფრავდნენ უფლებრივ, სავაჭრო დამღებს, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ხმელთაშუა და შავი ზღვისპირა საქალაქო ცენტრებში. ვფიქრობთ, ეს დამღები კოლხეთის რომელიმე საქალაქო ცენტრის (მაგ. ფასისის) ან რეგიონის წარჩინებული პირის უფლებრივი ემბლემაა. ეს პიროვნება ამფორების წარმოებას აკონტრილებდა და პასუხისმგებლობას იღებდა ამ სავაჭრო ტარით გადაზიდული პროდუქციის ხარისხზე. ეს კი, თავის მხრივ, მიანიშნებს იმდროინდელი კოლხეთის საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ დონეზე და მისი ონტეგრაციის თვისობრივ ხარისხზე ხმელთაშუა და შავი ზღვის დაწინაურებულ საქალაქო ცენტრებთან.

### **ლიტერატურა:**

- გამყრელიძე გ. 2002: კოლხეთი, გამ. "ლოგოსი," თბ.
- გამყრელიძე გ. 1987: წყალქეშება..., საქ. მეც-კად-მაცნე (ისტ....), №1, გვ. 97-117.
- გამყრელიძე გ. 1982: ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ.
- გამყრელიძე გ. 2003: ქალაქ ფასისის..., შერ. იბერია-კოლხეთი, №1, გვ. 170-185.
- გამყრელიძე თ. 1989: წერის ანაზური სისტემა და ძვ. ქართული დაწერლობა, თბ.
- გიგოლაშვილი ელ. კაჭარავა დ. ფუთურიძე რ. ...., ვანიIV, თბ., გვ.41-114.
- ვაშაკიძე ნ. 1971: გურიანთის..., სამხრეთ-დასავლეთ საქ. ძეგლები, II, თბ., გვ.5-27.
- კახიძე ამ. 1971: კერამიკული ტარა..., სამხრეთ-დასავლეთ საქ. ძეგლები, II, თბ., გვ.28.
- ლორთქიფანიძე მარ. 1975: კოლხეთის ძვ. V- III სს. საბჭოდავები, თბ.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1966: ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ.
- მიქელაძე თ. 1978: არქეოლოგიური კვლევა რიონის ქვემო წელზე, თბ.
- მორჩაძე თ. 1979: შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა, თბ.
- ნარიმანიშვილი გ. 1999: ანტიკური ხანის სამარხი..., ძიებანი, №3, თბ., გვ.68-70.
- ფოფორაძე ნ., ფარადაშვილი ორ., და სხვ. 2006: კერამიკის მინერალოგიური და პეტროგრაფიული კვლევა, აქც-ს კრებ. ძიებანი, № 17-18, თბ., გვ.220-224.
- ფუთურიძე რ. 1976: იმპორტული ამფორები..., ვანი II, თბ., გვ.79- 90.

- ფუთურიძე რ. 2003: ამფორების..., ქურ. იქტია-კოლხეთი, №1, თბ., გვ.98-109.
- ყაუხჩიშვილი თ. 1987: ვანის, ქრებ. ქართ. წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., გვ.131.
- ყაუხჩიშვილი თ. 1965: პაპოვრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ.
- შპაიდელი მ. 1985: ქავგასიის..., საქ. მეცნ.კად. მაცნე (ისტ...), №1, გვ.134-140.
- ცეცხლოძე გ., აშვილი ი., 1991: დამღაანი კოლხური ამფორის ფრაგმენტი ჩოლოქიდნ, — კერძ. სამხრეთ-დასავლეთ საქ. ძეგლები, თბ., გვ.58- 61.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ..., 1964: წ. I, თბ.
- ხალგაში მ. 2002: ქერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი.
- ხიდაშვილი მ. 2001: სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ.
- ჯიბლიძე ლ. 2001: დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრენალინის ნანის ნამოსახლარების არქ. რუკა, — აკც-ის ძიებაზ, № 8, თბ., გვ.34-38.
- Брашинский И. 1980: Греческий керамический импорт на нижнем Дону, Лен.
- Внуков С. Цецхладзе Г. 1991: Колхидские амфоры..., сб. Памятники железного века в окрестностях Евпатории, изд. Мос. университета, с. 170- 185.
- Гамкрелидзе Г. 1992: К археологии долины Фасиса, Тб.
- Лордкипанидзе Г. 1970: К истории древней Колхиды, Тб.
- Монахов С. 1999: Греческие амфоры в Причерноморье, изд. СУ, Саратов.
- Путуридзе Р. 1977: Колхидские..., Краткие сооб. Инст. Археологии, 151, с 68.
- Braund D. 1994: Georgia in Antiquity, Clarendon press, Oxford.
- Bon A. 1957, Les timbres amphoriques de Thasos, Etudes thasiennes, Paris.
- Gamkrelidze G. 1990: Travaux hydroarcheologiques de localisation de l'ancienne Phasis, Le Pont-Euxin vu par les Grecs, : 223-236.
- Gamkrelidze G. 1992: Hydroarchaeology in the Georgian Republic (the Colchian littoral), The International Journal of Nautical Archaeology, v. 21, #2, p. 101-119.
- Lordkipanidze O. 2000: Phasis, The river and City in Colchis, Stuttgart.
- Todua T., Gamkrelidze G. 2006: Stamps of Roman Military Units from the Eastern Black Sea Littoral (Colchis), Ancient West & East, Leiden-Boston. v.5, #2, : 225-238.

### ტაბულების აღწერილობა:

**ტაბ. I** – ჯვრიანი დამღების აღმოჩენის ადგილების რუკა.

**ტაბ. II** – სურ. 1 – ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან, ადგილ „ნატეხებში“ აღმოჩენილი ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ფური. სურ. 2 – კოლხური ამფორის ფური სკატიკის დამღით. აღმოჩნდა


ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე; სავ. № 07:1-04:2287. (აღწერილობა იხ. ტექსტში).

**ტაბ. III – სურ. 1** – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; სავ. № 07:1-04:470. (აღწერილობა იხ. ტექსტში). **სურ. 2** – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; სავ. № 07:1-74:360. (აღწერილობა იხ. ტექსტში). **სურ. 3** – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე; სავ. № 07:1-79:2067. (აღწერილობა იხ. ტექსტში). **სურ. 4** – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; სავ. № 07:1-03:65. (აღწერილობა იხ. ტექსტში). **სურ. 5** – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა მდ. სულორთან, ადგილ "მშვიდობის გორაზე" (აღწერილობა იხ. ტექსტში).



**ტაბ. IV – სურ. 1** – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა მდ. ჩოლოქის მარცხნა ნაპირის ნამოსახლარზე. (აღწერილობა იხ. ტექსტში). **სურ. 2** – ჯვრიანდამღიანი კოლხური ქვევრის ფრაგმენტი. აღმოჩნდა გურიანთას ნამოსახლარზე (მდ. სუფსასთან). (აღწერილობა იხ. ტექსტში). **სურ. 3** – ჯამის ფრაგმენტი, რომელსაც ჯვრის ტვიფრი ამშვენებს. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; სავ. № 07:1-75:203. (აღწერილობა იხ. ტექსტში). **სურ. 4** – ქვევრის პირზე ჯვრიანი დამძა. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; სავ. № 07:1-74:277. (აღწერილობა იხ. ტექსტში). **სურ. 5** – ქართული ასომთავრულის "ჯან" და "ქან" ასო-ნიშანი. **სურ. 6** – ძვ.წ. II–I სს-ის კოლხური ამფორების ზოგიერთი ნიშანი (მაგ. იხ. ტაბ. IV, სურ. 6).

**ტაბ. V – სურ. 1** – ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის – III ს-ის პირველი ნახევრის კოლხური ამფორები. **სურ. 2** – ძვ.წ. II–I სს-ის წელშეზნექილი კოლხური ამფორები. **სურ. 3** – ახ.წ. II – III სს. ეწ. ყელწიბოიანი წელშეზნექილი კოლხური ამფორები. **სურ. 4** – ახ.წ. III–VIII სს წელშეზნექილი კოლხური ამფორები. **სურ. 5** – კოლხური ამფორისთვის დამახასიათებელი სპირალური წვია.


ტაბ. I




ტაბ. II




გაბ. III



გვ. IV



♂♂. V



## ბერძნულ გრაფიტოიანი სინოპური და კოლხური ამფორები ქალაქ ფოთი-ფასისიდან

საქართველოს ზღვისპირეთში, ქალაქ ფოთთან – მდინარე რიონის შესართავთან, მაღლატყის სრუტის მარცხნა მხარეს და პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ურად საყურადღებო ბერძნულ წარწერა-გრაფიტოიანი ამფორები აღმოჩინა. პალიასტომის ტბასთანვე ძვწ. IV–III ს-ის არქეოლოგიური არტეფაქტები – ატიკური შავლაგიანი კანოროსის ქუსლი, როდოსული ამფორის მირი და ადგილობრივი, კოლხური კერამიკა დადასტურდა. აქვე აღმოჩნდა დამდიანი კოლხური ამფორის ყურიც [დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 1987: 97-117; გამკრელიძე, 1992: 30-48, ტაბ.5-8; გამყრელიძე, 2010: 176-189]. ქვემოთ გთავაზობთ ამფორებზე ამოკაწრული ბერძნული გრაფიტოების გამიფვრის ვერსიებს (იხ. ტაბ.IV) და ამ მასალის აღმოჩენის მნიშვნელობას ქალაქ ფასისის, როგორც სავაჭრო ცენტრის გაზრდის კონტექსტში, რაც საშუალებას იძლევა ზოგიერთი საკითხი ახლებურად დავინახოთ.

ქ. ფასისი ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო გზის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. ქალაქ ფასისის საშუალებით გადაიზიდებოდა სამშენებლო ხე, სელი, სელის ზეთი, თაფლი, ლვინო, სპილენძი, რინა, კანაფი, მოგვანებით ნავთიც და სხვ. ელინისტურ და რომაულ ეპოქაში ფასისის, როგორც სატრანზიტო-სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა გაიზარდა [იხ. ლორთჟიფანიძე, 1966: 117-146; ინაძე, 2009: 246-251; გამყრელიძე, 2001: 26-32; Gamkrelidze, 2009: 175-194]. პალიასტომის მოხერხებულ ტბა-ლიმანში, რომელთანაც ქალაქ-ნავთსაყუდელი მდებარეობდა, ზღვიდან გემები შემოდიოდნენ, საიდანაც, შემდეგ მდ. რიონზე და მდ. ფიჩორზე აგრძელებდნენ სვლას. სწორედ ამ გზის გაყოლებაზე სატრანსპორტო ტარის გარკვეული რაოდენობა დაფიქსირდა. ამჟამად ყურადღებას გავამატევილებთ გრაფიტოიანი ამფორების აღმოჩენის ფაქტზე (იხ. ტაბ. I,II,III,IV).

I – გრაფიტოიანი ამფორის ზედა ნაწილი აღმოჩნდა სუფსის კანიონისა და მაღლატყის შორის მდებარე ზღვის შელფში. ამფორის თიხა

ბაცი მონაცრისფრო-მოიისფროა და მოშავო მცირე ნამცეცებს შეიცავს. ამფორის კედელი სქელია; ზედაპირი ხორკლანი აქვს და მასზე ზღვიური დანალექები შეიმჩნევა. ამფორის მხრები დახრილია. პირის დმ – 11 სმ; ცილინდრული ყელის სიმაღლე – 15 სმ; მხართან დმ – 35 სმ; ფურების სიგანე – 4,05 სმ; პირის ლილვისტებური გადანაკეცის სიგანე – 1,04 სმ; ფურები ოვალურგანიგვეთინია და მათზე გრძივი დაბალი წიბო შეიმჩნევა.

გრაფიტოები: 1) **BIK** (იხ. ტაბ.IV) – ფურებს შორის, მხრის დასაწყისშია. A ვერსიით შეიძლება იყოს BIK[OΣ] – თიხის ჭურჭელი, ხოლო თუკი ჩავთვლით, რომ აბრევიატურაა, მაშინ B ვერსიით შეიძლება B – “თიხის ჭურჭელს”, I – “შეწირულს”, K – “მაღალი ხარისხის” ან “კოლხურს” (C ვერსიით) ნიშნავდეს. ასეთ შემთხვევაში წარწერა შეძლება გაიშიფროს ამგარად – “[სქ] თიხის ჭურჭლით შეწირულია მაღალი ხარისხის [კოლხური?] [ლვინო]” (იხ. ტაბ. II, IV).

2) **ΠΕ** – ამფორის მეორე მხარეს, ოდნავ გვერდზე, ყელთანაა მოთავსებული. ეს A ვერსიით შეძლება ნიშნავდეს რიცხვს – 5(ხუთს). თუ კი ჩავთვლით, რომ ეს არის აბრევიატურა მაშინ B ვერსიით იქნება – “ძველი (Π) ზეთისხილის ზეთი (E)”. აյ “პი”-ს მარჯვენა მხარე გაორმაგებული ხაზითა წარმოდგენილი და თავზე, კუთხეში პატარა ხაზი შეიმჩნევა (იხ. ტაბ.II, IV).

3) **XO** – ამფორის ამავე მხარეს მხარზეა ამოკაწრული. ეს გრაფიტო A ვერსიით აღნიშნავს ტევადობას – ხოას. 1 ხოა ტოლია 3,285 ლიტრის. (2) წარწერის A ვერსიის ხუთს თუ გაგმრავლებთ 1 ხოაზე მაშინ მივიღებთ 16,415 ლიტ.-ს ანუ ხუთ ხოას, რაც ამ ამფორის მოცულობა გამოდის. 16 ლიტრიანი აღრული, მოზრდილი ამფორები კი სინოპური ამფორების მოცულობის გარკვეული სტანდარტი იყო. 16 ლიტრიანია ვანის ნაქალაქარზე ეწ. ”წარჩინებული კოლხი მეომრის” სამარხში აღმოჩენილი მოლიანი სინოპური ამფორაც. B ვერსიით XO შეიძლება “ზედაშე(X) ლვინოს(O)” ნიშნავდეს (იხ. ტაბ.II,IV). ზემოთ აღწერილი გრაფიტოებიანი ამფორა ჰიდროარქეოლოგების მიერ არის აღმოჩენილი და შესაძლოა, ზღვაში ჩაძირული სავაჭრო გემის ტვირთიდან იყოს. ის არქეოლოგის

ცენტრის ფონდებში ინახება (ოთახი №5). ამფორა მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური მონაცემებით სინოპტურია და თითქმის ანალოგიურია ვანის ნაქალაქარზე ეწ. “წარჩინებული კოლხი მეომრის” სამარხში აღმოჩენილი მთლიანად შემონახული დამლიანი ამფორისა [იხ. ფუთურიძე, 1976: 82-84], რომელიც არქოლოგ ბ. გრაკოვის სინოპტური ამფორების კლასიფიკაციის მიხედვით, ადრეულ, პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთნება და ძვ.წ. IVს. ბოლო – IIIს. დასაწყისით თარიღდება [იხ. გრაკოვ, 1929: 96-108; ბრაшинსკი, 1980: 42; მოხავ, 1999: 487-496].

II – გრაფიტოიანი ამფორის ზედა ნაწილი მდ. რიონის ზღვასთან შესართავთან, შეღვეული, მებაღურების მიერ ჩაგდებულ ბადეს ამოყვა. ამფორის თიხა მონაცრისფრო-მოისფროა და მოშავო მცირე ნამცეცებს შეიცავს. ამფორის კედელი სქელია; ზედაპირი ხორკლიანია და მასზე ზღვიური დანაღებები შეიმჩნევა. ამფორის ცალი ყური, ზედა მხარეს, მოტეხილია; მხრები დახრილია; პირის დმ – 10სმ; ცილინდრული ყელის სიგრძე 14სმ; ოვალურგანივეკვითიანი ყურის სიგანე – 5სმ; პირის ლილვისებური გადანაკეცის სიგანე – 1,01სმ. ყურებს შორის მხრის დასაწყისში ამოკაწრულია გრაფიტო – **ΦΙΛΟ**, რომლის გაგრძელებაც მოტეხილია (იხ.ტაბ.III,1;IV). A ვერსიით შესაძლებელია აქ იგელისხმებოდეს **ΦΙΛΟ[ΒΑΚΧΟΣ]** დიონისესთან (ბაქნოსთან) და საერთოდ ღვინის სიყვარულთან დაკავშირებული სიტყვა. წარწერა შეიძლება ეკუთვნოდეს ღვინით მოვაჭრეს, რომელიც თაყვანს სცემდა ღვთაება დიონისეს. B ვერსიით გამორიცხული არ არის უბრალოდ იყოს – **ΦΙΛΟ[ΙΝΙΑ]** ანუ “ღვინის მოყვარული”. გრაფიტოში **ΦΛ** (“ფი” და “ლამბდა”) წარმოდგენილია გადაბმულად ლიგატურის სახით. ასეთი მოხაზულობის სამკუთხა “ფი” დადასტურდა ქარელის რ-ნის ტახტიძისრის სამაროვნის ძვ.წ. IVს. მიწურულის №6 სამარხში აღმოჩენილი კანთაროსის ქუსლზე (არქოლოგ იულ. გაგაშიძის გათხრები). ამგარივე, მოხაზულობის “ფი” აღმოჩნდა ჩრდილო შავიზღვისპირეთის ნაქალაქარ ნიმფეონში დადასტურებულ ძვ.წ. IVს. ჭურჭლის ფრაგმენტზეც [იხ. თოლსტი, 1953:86]. სიტყვა “მოყვარული” აგრეთვე დადასტურებულია ძვ.წ. IVს. ქოთანზე ჩრდილო შავიზღვისპირეთში “მითრიდატეს მთის” გათხრისას [თოლსტი, 1953:97-98]. С ვერსიით

შესაძლებელია ამფორაზე იგულისხმებოდეს **ΦΙΛΟ [ΘΕΟΣ]** ”ღმერთის მოყვარული” [იხ. Pape W. 1884: 1624]. ათენის აგორაზე აღმოჩენილ ძვ.წ. IVს. კილიკზე ამგვარივე გრაფიტო მ. ლანგმა აღადგინა, როგორც – “თასის მოყვარული” [Lang, 1976:12, სურ.C6]. ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქ. პანტიკაპეონში ძვ.წ. IV ს-ის საფლავის სტელის ფრაგმენტი აღმოჩნდა, სადაც წარწერაზე ფიგურირებს სიტყვა ”მოყვარულის” ნაწილი და შემდეგ ეთონიმი ”კოლხი”, რომელიც შეიძლება ”ქეიფის მოყვარულ კოლხს” (**ΦΙΛΟΚΩΜΟΣ ΚΟΛΧΟ**) ნიშნავდეს ანუ იმ ადამიანს, რომლისადმიც ეს წარწერიანი საფლავის სტელაა მიძღვნილი, ქეიფი და დროსტარება უყვარდა [შეადარე, კბნ, 1965: 183; იხ. აგრეთვე ДР, 1958: 1730].

ფოთში აღმოჩენილი მეორე გრაფიტოანი ამფორაც, პირველი ამფორის მსგავსად, მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური მონაცემებით სინოპურია და არქეოლოგ ბ. გრაკოვის მიხედვით პირველ ქრისტიანულ ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს და ძვ.წ. IVს-ის ბოლო – IIIს-ის დასაწყისით თარიღდება [Граков, 1929: 97].

ბერძნული გრაფიტოების აღმოჩენა ყველაზე ხშირია აღმოსავლეთ ხმელთაშუა და შავი ზღისპირეთის რეგიონებში. საქართველოში ბერძნული გრაფიტოები ძირითადად დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის, არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება, კერძოდ – ქბაულეთის ფიგუნარის, საირჩის, ემერის ნაქალაქარის, ოჩამჩირის, ვანის ნაქალაქარის, ბიჭვინთის ნაქალაქარის, სოხუმის ნაქალაქარის, წებელდის და ფოთის არქეოლოგიური ძეგლების არტეფაქტებზე. საქართველოში ბერძნული გრაფიტოების რაოდენობა მცირეა და უპირატესად უცხოეთიდან შემოტანილ კერამიკაზე გვხდება. ისინი ჯერჯერობით სულ 140 ერთეულამდებარებენ დასასტურებული. დასავლეთ საქართველოს ხსენებული არქეოლოგიური ძეგლებიდან, ძირითადად ერთ, ორ ან სამ ასოიანი გრაფიტოები გაგვაჩნია [ნასიძე, 2002: 10]. ასოების რაოდენობის სიმცირე მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ზრდის და ხშირად მეცნიერთა კამათის საგანია. გრაფიტოები, ძირითადად, გამომწვარ კერამიკაზე წამახვილებული რაიმე საგნით შესრულებული ნაკაშირი წარწერაა. ამნაირი წარწერა-გრაფიტოებით პიროვნებები, უმეტესად თავის საკუთარ ნივთს, რომელიმე ღვთაებისადმი

შესაწირ სათანადო შიგთავსიან ჭურჭელს, სავაჭრო ზომა-წონას და სხვ. აღნიშნავდნენ. არსებობს მაგიური, შელოცვითი სასიათის წარწერა-ნიშნებიც. გრაფიტოები ხშირად გამოისახებოდა ინიციალების, ლიგატურის, აბრევიატურის სახით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჭურჭელზე და გადასატან ტარაზე დატანილი სავაჭრო აღნიშნები. აღინიშნება თუ რა პროდუქტია (მაგ.: ზეთი, ღვინი, თაფლი, ლური და ა.შ.) ჭურჭელში და რა მოცულობისაა ის (მაგ.: რამდენი ხო ან კოტილა), რა ფასი აქვს (მაგ.: რამდენი – 2 ლრაქმა ან 3 ობოლი), როგორი თვისებებისაა (მაგ.: ნათელი ან მჟავე) და სხვ. [იხ. Яйленко, 1980: 72-99; Соломоник, 1985: 77-91; Lang, 1976:1-5; ნასიძე, 2002: 5-24]. ამ ტაპის გრაფიტოები მაღალგანვითარებულ სავაჭრო ქმედებაზე მიგვანიშნებს. ხშირად გრაფიტო მხოლოდ ერთ ასოიანია და შესძლებელია ღვთაების სახელის პირველ ასოს წარმოდგენდეს. მაგალითად: Θ— ღვთაება ზოგადად, Α— აპოლონის ან არტემიდეს, Δ— ღმეტრასი, Η—ჰერასი, Β— ბაქხოსი; ან ნივთის მფლობელის სახელს ნიშნავდეს მაგ.: Φ— ფინტიდოს, Δ— დემეს და სხვ. [იხ. ნასიძე, 1999:19-20]. გრაფიტოების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს აბრევიატურას, რომლის თთოვეული ასო რაღაცას აღნიშავდა და იმ ეპოქის საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მისი მნიშვნელობა კარგად იყო ცნობილი.

ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების მიხედვით ქალაქი ფასისი მდინარე ფასისის (რიონ-ყვირილას) დელტის მარცხნა მხარეს იყო განლაგებული. აქვე ასახელებენ ტბასაც(პალიასტომი?). ამგვარი განსაზღვრა დღევანდელი ფოთის მდებარეობას ესადაგება. ამიტომ მეცნიერებს ერთხმად მიაჩნიათ, რომ ძველი ფასისი ფოთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა [იხ. Lordkipanidze, 2000:3-9; Ельницкий, 1938: 315-320; გამყრელიძე, 2003: 172]. იმის გამო, რომ სენეტულ ტერიტორიაზე რთული გეომორფოლოგიური სიტუაციაა, კლასიკური პერიოდის ფასისი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. დღევანდელ ფოთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემი ადგილ “ნატეხებთან”, პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფენებში დადასტურდა. მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელზე

არქეოლოგიურად შესწავლით ნამოსახლარებზე ძვ.წ. VII-ის უცხოური ნაწარმი ადგილობრივთან შედარებით პროცენტულად ცოტაა. როგორც ჩანს, როცა მდ. ფასის შესართავთან ბერძნები გამოჩნდნენ, აქ დასახლებები უკვე იყო.

ფოთი-ფასისთან აღმოჩენილი ბერძნულენოვანი გრაფიტოების დაბასტურების და გაშიფრის საფუძველზე და სხვა არტეფაქტების მოშევლიერა-გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: ძვ.წ. IV-ის მეორე ნახევრიდან კოლხეთში ინტენსიურად შემოდიოდა სინოპური ამფორები [ფუთურიძე, 1976: 79; გამყრელიძე, 1982:99]. ზოგჯერ ამ ამფორებზე მესაკუთრებით წარწერებს კაწრავდნენ, ისევე, როგორც ეს ხდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა და შავი ზღვისპირა საქალაქო ცენტრებში. ეს გრაფიტოები ხშირად ვაჭრების მიერ კეთდებოდა, რომლებიც საქონლის სავაჭრო ტარით ტრანსპორტირებას და აღრიცხვას აწარმოებდნენ. ეს ერთხელ კიდევ, მიანიშნებს იმდროინდელი კოლხეთის საზოგადოების ონტეგრაციის თვისობრივ ხარისხზე ხმელთაშუა და შავი ზღვის დაწინაურებულ საქალაქო ცენტრებთან. ამ შემთხვევაში კი კერძოდ, ქალაქ სინოპთან, რომელიც ჯერკიდევ ძვ.წ. VI-VII-ში აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკას აწარმოებს და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოლხეთთან ახლოს – კერასენტში, კოტიორაში და ტრაპეზუნტში ახალშენებს აარსებს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში უცხოური ამფორები სავაჭრო ტარად ძვ.წ. VII-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. აქ დადასტურებულია შავი და ხმელთაშუა ზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებში დამზადებული ამფორები. დასავლეთ საქართველოს სინოპური ამფორების მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მონაპოვარში, ფორმის, მოცულობის და თიხის მიხედვით სხვადასხვა ტიპოლოგიური ვარიანტები გვხვდება [იხ. კახიძე, 1971: 28; ფუთურიძე, 1976: 79]. ძვ.წ. IV-II-ის სინოპური ამფორების ზოგიერთ ეგზემპლარზე გვხვდება გრაფიტოები, რომლებითაც ხშირად მფლობელის მიერ ამფორის მოცულობა, შიგთავსი, რაოდენობა ან ფასი აღინიშნებოდა. ქ. სინოპეში კერამიკის გადასაზიდი ტარის, ამფორების წარმოების სახლოსნოები იყო განლაგებული (მაგ. დემირსის II-VII-ს სახელოსნოები [იხ. კასაბ ტეზგორი

ლ. 2006:155]). აქ დამზადებული ამფორები მთელი შავიზღვისპირეთის ძველ ნამოსახლარებზეა დიდი რაოდენობით მიკვლეული. შესაძლებელია, რომ სინოპელები ზოგჯერ ცარიელი ტარითაც ვაჭრობდნენ, რომლებიც გემებით გადაჰქონდათ. მათი ამფორები, როგორც ჩანს საუკეთესო ჭურჭლად ითვლებოდა ოხევადი და მარცვლოვანი საქონლის ტრანსპორტირებისათვის.

ფოთი-ფასისის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული უცხოური კერამიკა და კერძოდ, სინოპური ამფორები აქ, აღმოსავლეთ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური აქტივობის მანიშნებელია. ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ქობულეთის ფიჭვნარში სინოპელების ახალშენი იყო [იხ. ინამე, 2009: 278; დუნდა, 1987:38; კვირკველია, 1999: 30; ახვლედიანი, 2004:91]. სინოპელების, ასეთივე უბანი აღბათ ქალაქ ფასისშიც მდებარეობდა. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი კი შეიძლება ზემოხსენებული გრაფიტითანი სინოპური ამფორების აქ აღმოჩენაც იყოს. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში სინოპელების სავაჭრო აქტიურობა კოლექტში და განსაკუთრებით მის ზღვისპირეთში გამორჩეულ ხასიათს იღებს. აქ დადასტურებულია სინოპური ამფორების, ლუთერიების და კრამიტის ფრაგმენტების დიდი რაოდენობა. მათი მიაძვით კი, ამფორების და კრამიტის ადგილობრივი წარმოება იწყება. ამ დროს აქ მიმოქცევაშია მნიშვნელოვანი რაოდენობის სინოპური მონეტებიც [დუნდა, 1987: 33], რომლებიც დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს არქოლოგიურ ძეგლებზე. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო საქონლი ქ. სინოპის გავლით ხვდებოდა ქ. ფასისში და შემდეგ მდ. რიონის გავლით გადანაწილდებოდა შიდა კოლექტში. ქ. სინოპი თითქმის მთელი ანტიკური ეპოქის განმავლობაში, კოლხეთის უდიდეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენდა, რომელიც ქობულეთის ფიჭვნარში და ფასისში არსებული ვაჭართა და ხელოსანთა ახალშენების საშუალებით ახორციელებდა ეკონომიკურ აქტიურობას, რასაც დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი არქოლოგიური მონაცემები ადასტურებენ [იხ. ლორთქიფანიძე, 1966: 117; ფუთურიძე, 1976: 79].

\*\*\*


ქ. ფასისი, ადრეულ ბიზანტიურ პერიოდშიც ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო გზის მნიშვნელოვანი პუნქტის ფუნქციას ასრულებდა. მის ერთ-ერთი მოწმობაა ქ. ფოთში, პალასტომს ტბის დასავლეთ მხარეს მდებარე ნამოსახლარიც, სადაც მესამე გრაფიტოიანი წელშეზნექილი ამფორა აღმოჩნდა.

**III** – გრაფიტოიანი ამფორა წაგრძელებულტნიანი და წელშეზნექილია; მხრების ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს; შემორჩენილი სიმაღლე – 67სმ; ტანი ძირისაკენ კონუსურად ვიწროვდება, რომელზედაც დაბალი გლუვი პორიზონტალური დარები შენიშნება; ტანზე რამდენიმე ხვრელი აქვს; თიხა მოყავისფროა; ზედაპირი ხორკლიანია; მხრის დასაწყისში ამოკაწრულია გრაფფიტო- **Φω.** (იხ. ტაბ.III,2; IV). ბერძულ გრაფიტოებში აბრევიატურები ძირითადად მთავრული ასოებით აღინიშნებოდა. აქ კი პირველი ასოა (**ფ**"ფი) მთავრული, რაც ჩვენი აზრით საკუთარ სახელს – "ფასისს" უნდა ნიშნავდეს, ხოლო მეორე ასო აღნიშნულია არა მთავრულით (**ო**"ომეგა") და ვეიქრობთ იგულისხმება ზმნა "ყიდვა". შესაბამისად A ვერსიით გამოდის— ფასისში ვიყიდე. B ვერსიით შეიძლება ნიშნავდეს **ΦΩ[Σ]** – "ნათელი"/"/"კარგი"(ღვინო ?). ამფორა მორფოლოგიურ და ტიპოლოგიური მონაცემებით აღილობრივი, კოლხურია; ინახება ქ. ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში. როგორც აღვნიშნეთ, მოცემული ამფორა პალიასტომის ტბის დასავლეთ მხარეს ეწ. "ნატეხების" ნამოსახლართან, ნაპირთან ახლოს, ქვიშა-თიხიან ფენაში დადასტურდა. გარდა აღნიშნული ამფორისა ამ ძეგლზე მეტად მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა გამოვლინდა (დაწვრილებით იხ. [გამყრელიძე გ. 1987: 97-117; Gamkrelidze, 1992: 101-119; გამყრელიძე, 1992: 30-48 ; Gamkrelidze, 1990: 223-236.]).



## **ლიტერატურა:**

- აზვლედიანი დ. 2004: კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და ისტ. საკითხები ძვ.წ.V-IIსს, (ავტორუფერატი),თბ.
- გამყრელიძე გ. 2010: ანტიგრაფიკული ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორა ფოთი-ფასიძეან.— უკრ. ძირბანი, №19, გვ. 176-189.
- გამყრელიძე გ. 1987: წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევა ფოთის მიდამოებში, საქ. მეც. აკად. მაცნე(სერია ისტ...), №1, თბ., გვ.97-117.
- გამყრელიძე გ. 1982: ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ.
- გამყრელიძე გ. 2003: ქ. ფასიძის ადგილმდებარეობის საკითხისათვის, უკრ. იბერია-კოლხეთი, №1, თბ., გვ.170-185.
- ინაძე მ. 2009: ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ.
- კასაბ ტეზორი დ. 2006: არქეოლოგური გათხრები სინიას მახლობლად, უკრ. ძირბანი საქართველოს არქეოლოგიაში, №17-18, თბ., გვ. 155-168.
- კახიძე ა.მ. 1971: კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქა. ძეგლები, II,თბ., გვ. 28- 66.
- კვირკველია გ. 1999: საგაჭრო ურთიერთობები შავიზლვისპირეთში ადრეანტიკურ ხანაში, (ავტორუფერატი), თბ.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1966: ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ.
- მიქელაძე ო. 1978: არქეოლოგიური კვლევა რიონის ქვემო წელზე, თბ.
- ნასიძე მ. 1999: ბერძნული გრაფიტო და ძველი კოლხეთის ლვთაებები. — სამეც. კონფერენციის მასალები, ისტ. ინსტიტუტში, თბ., გვ.19-20.
- ნასიძე გ. 2002: საქართველოს ბერძნული გრაფიტო, თბ.
- ფუთურიძე რ. 1976: იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქარიდან, კრებ. ვანი II, თბ., გვ.79-90.
- ყაუხხიშვილი ო. 2004: საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ.
- ჯიბლაძე ლ. 2001: დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერეგინის ხანის ნამოსახლარების რუკა, უკრ.ძირბანი, №8, თბ., გვ.34-38.
- Ахвледiani D. 2004: Взаимоотношения Колхиды и Синопы - Кавказоведение, №5. Тб. с. 91-97.
- Брашинский И. 1980: Греческий керамический импорт на Дону, Лен.
- Гамкрелидзе Г. 1992: К археологии долины Фасиса, Тб.
- Граков Б. 1929: Древнегреческие клейма с именами астиномов, М.
- Дундуа Г. 1987: Нумизматика античной Грузии, Тб.
- ДР, 1958: Древнегреческо-русский словарь (сост. Н. Дворецкий), М.

- Ельницкий Л. 1938: Из исторической географии древней Колхиды. – ВДИ, № 2, с. 315-320.
- КБН, 1965: Корпус Боспорских надписей, М.
- Лордкипанидзе Г. 1970: К истории древней Колхиды, Тб.
- Монахов, С. 1999: Греческие амфоры в Причерноморье, изд. СУ, Саратов.
- Соломоник Э. 1975: Некоторые группы граффити из античного Херсонеса, ВДИ, №3, с. 121-141.
- Соломоник Э. 1985: О методике изучения и принципах публикации античных граффити, ВДИ, №3, стр. 77-91.
- Толстой И. 1953: Греческие граффити древних городов Северного Причерноморья, М.-Л.
- Яйленко В. 1980: Граффити Левки, Березани..., ВДИ, №2, с. 72-99.
- Gamkrelidze G. 1990: Travaux hydroarcheologiques de localisation de l'ancienne Phasis, Le Pont-Euxin vu par les Grecs, Paris, pp. 223-236.
- Gamkrelidze G. 1992: Hydroarchaeology in the Georgian Republic, The International Journal of Nautical Archaeology, v. 21, #2, pp. 101-119.
- Gamkrelidze G. 2009: The land of Colchis and the city of Phasis, Jour. Iberia-Colchis, #5, Tb. pp. 175-194.
- Lang M. 1976: Graffiti and Dipinti, The Athenian Agora, v. XXI, New Jersey.
- Lordkipanidze O. 2000: Phasis; The river and city in Colchis, Stuttgart.
- Pape W. 1884: Wörterbuch der griechischen Eigennamen, II, Braunschweig.
- Tsetskladze G. 1994: The silver phiale mesomphalos from the Kuban, Oxford journal of Archaeology, 13, pp. 199-216.



II



0 3


III



1

0

3



2

0

3

## IV

ბერძნული გრაფიტოები ფოთი-ფასისში აღმოჩენილ ამფორებზე

I — ძვ.წ. IV ს-ის ძეორე ნახევრის სინაჟური ამფორა.

1) — BIK—

B//IK [ΟΣ] — თიხის ჭურჭლი (A და B — ვერსიები).

I [ΕΡΟΣ] — შეწირული (ვერსია — B).

K [ΑΘΑΡΟΣ] — მაღალი ხარისხის, სუფთა (ვერსია — B).

K [ΟΛΧΙΔΟΣ] (?) — კოლხური (ვერსია — C).

[ამ] თიხის ჭურჭლით შეწირულია მაღალი ხარისხის [კოლხური?] [ღვინო].

2) — IIЕ — ε`.

IIЕ [NTE] — 5 - ხუთი (ვერსია — A).

II [ΑΛΑΙΟΣ] E [ΛΑΙΟΝ] — ძველი ზეთისხილის ზეთი (ვერსია — B).

3) — XO —

XO [ΥΣ] — 1 ხოა  $\approx$  3, 283 ლიტ.  $\times$  5(ε')  $\approx$  16,415 ლიტ.(ვერსია — A).

XO [H] — ზედაშე; O [INOΣ] — ღვინო. (ვერსია — B).

\*\*\*

II — ძვ.წ. IV ს-ის ძეორე ნახევრის სინაჟური ამფორა.

1) — ΦΙΔΟ —

ΦΙΔΟ [ΒΑΚΧΟΣ] დიონისეს (ბაქსისის) და ზოგადად ღვინის და ქაფის სიყვარული (ვერსია — A).

ΦΙΔΟ [INIA] — ღვინის მოყვარული (ვერსია — B).

ΦΙΔΟ [ΘΕΟΣ] — ღმერთის მოყვარული (ვერსია — C).

\*\*\*

III — აბ.წ. VI ს-ის აღვილობრივი, კოლხური ამფორა.

1) — Φω —

Φ [ΑΣΙΙΣ] ὠ[νητός] — ფასისში ვიყიდე (ვერსია — A).

Φῶ[ς] — ნათელი, ელვარე, ნათება (ვერსია — B).

**კოლხურ-მოსუინიკური საომარი ისტორიის ზოგირთი საკითხი  
(მოსუინი; ფალანგა; ძვ.წ. 401წ.; ინკორპორაცია)**

საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული. ისინი მტერს შეუპოვრად ერკინებოდნენ. ამ ბრძოლებში ვითარდებოდა და იხვეწებოდა მათი საშედრო-საბრძოლო გამოცდილება, სტრატეგია, ტაქტიკა და შეიარაღება. ანტიკურ ეპოქაში ძევლი საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთმა და იბრიამ მოიპოვეს, რომელთა ადგილსა და საფუძველზე მომავალში წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო.

წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემების ურთიერთშედარების და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება ხსენებული ეპოქს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მეტ-ნაკლები აღდგენა-წარმოდგენა. ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე კოლხეთი სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის, ერთი შერივ, ირნული და, მეორე შერივ, ანტიკური ორიენტაციის ქვენების საომარი მოქმედებების ხშირი ასპარეზი იყო.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს (იხ. მელიკიშვილი, 1954) აგრესიულმა მეზობლობამ ძევლი საქართველოს ტერიტორიაზე მომზდერთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების თავდაცვითი ორგანიზება და კონსოლიდაცია გამოიწვია. ძვ.წ. 720წლიდან წინა აზიაში ე.წ. კიმერიულ-სკვითური ტომების პერმნენტული ბრძოლებით შემოჭრა იწყება. ეს, ნომადური, მეომარი ტომები მომთაბარებას ეწეოდნენ და ცხენების მეშვეობით სწრაფად გადაადგილდებოდნენ. ისინი მთელი ჯალაბობით და ქონებით მოძრაობდნენ. კიმერიულ-სკვითების საომარი ტაქტიკის ძირითადი საფუძველი იყო - მსუბუქად შეიარაღებული სწრაფი ცხენოსნები, რომლებიც ელვისებურად მოქმედებდნენ; მათი დიდი რაოდენობა; რკინის სპუციფიკური შეარაღება (მშვილდ-ისრები, სატევრები, ცულები).

კიმერიულ-სკვითების ნომადური, აგრესიული ტომობრივი გაერთიანებები სამხრეთ რუსეთის ტრამალებიდან შავი ზღვის ჩრდილოეთი და დასვლეთი სანაპიროს გაყოლებით ბრძოლებით მოძრაობდნენ. ისინი ბოსფორ-დარდნელის სრუტის გადმოლახვით შეიჭრნენ წინა აზიაში (იხ. თერენოჯკინ, 1976) და იმ

დორის მდიდარ, მოწინავე ქვეყნებს დაერივნენ. კიმერიელ-სკვითების გაერთიანებებმა დაარბიეს და დაქციეს მთელი რიგი ქვეყნები. ბრძოლებით გაარცეს წინა აზია და აქ გეოპოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად შეცვალეს. ქართველური მოსახლეობით დასახლებული სამხრეთ ტრანსკავკასიის ტერიტორიაზე მისვლისას მათი საომარ-აგრესიული პოტენციალი, პერმანენტული ბრძოლების შედეგად, უკვე მნიშვნელოვნად დასუსტდა. შესაძლოა, რომ ამ დროისათვის კიმერიელ-სკვითების ნაწილი ასიმილირდა ადგილობრივ მოსახლეობაში. ნაწილი კი ჩადგა ადგილობრივ ხელისუფალთა სამსახურში. მაგალითად, ურარტუს მეფე რუს II-ის (ძ.წ. 685-645წ.) ჯარში კიმერიელებიც იბრძოდნენ (Меликишвили, 1954, გვ.364).

კიმერიელ-სკვითთა დიდი ლაშქრობები არ შეხება ტრანსკავკასიას. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა არქეოლოგიურ მასალაში არ ჩანს კიმერიულ-სკვითური ტომების პირველი ტალღის დამადასტურებელი არტეფაქტები. აქ ზოგადად ძ.წ. VIIს. ბოლოთი და VIIს. დათარიღებული ე.წ.სკვითური მატერიალური კულტურის ელემენტები მცირე რაოდენობით ჩანს (აკინაკები, ქარქაშის ბუნიკები, ცულები, ცხენის ლაგმები). იხ. არქეოლოგიური არტეფაქტები – სოფ. კოლხიდიდან, ყულანურხევიდან, ჩობან-ლუკიდან, გუადიხუდან, წითელი შუქურიდან, სოხუმიდან, მერხეულიდან, პალურიდან, ნიგვზანიდან, ბრილიდან, თლიადან, როკიდან, დვანიდან, წიწამურიდან, სამთავროდან, ხოვლედან, დიღმიდან, ბეჭთაშენიდან, კუმისიდან, შულაგერიდან, მელაანიდან (იხ. ფირცხალავა, 1978, გვ.31-52 და ტაბ.9-14). საფურადლებოა აგრეთვე, რომ საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემებში არ ჩანს ე.წ.სკვითების რაიმე საომარი მოქმედების კვალი. თუმცა არქეოლოგიური მასლიდნ ისიც ირკვევა, რომ ადგილობრივი კულტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებთან ერთად, ზოგიერთ სამარხში, იშვიათად, ე.წ. სკვითურისათვის მიგუთვნებული ესა თუ ის ნივთიც ჩნდება. ძ.წ. VIIსაუკუნეში ქართველური ხალხით დასახლებულ ცენტრალურ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიას აქემენიდური ირანის იმპერია დაუმტობლდა. აქემენიდებმა ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე და სპარსეთის ყურიდან არალის ზღვამდე ტერიტორიები გააერთიანეს (იხ.Дандамაев, 1985). ამ უზარმაზარმა იმპერიამ, ბუნებრივია, დიდი როლი ითამაშა ტრანსკავკასიის

ქვეყნების განვითარებაზე. აქემენიდებმა ტრანსკავკასიის სრული დამორჩილება ვერ შეძლეს, ალბათ როული რელიეფის და გეოპოლიტიკური ვითარების გამო, მაგრამ სამხრეთ ტრანსკავკასიაზე კი განავრცეს თავისი ზეგავლენა. მათ დაიმორჩილეს ეს ტერიტორიები და იმპერიის XIX სატრაპიაში შეიყვანეს; წლიურად 300ტალანტს თქროთი ახდევინებდნენ (იხ. ჰეროდოტე, ისტ. III, 9.4).

ძვ.წ. 400-410წლებისთვის აქემენიდებს კოლხები, მოსუვნიკები და ხალიბები აღარ ემორჩილებოდნენ (იხ. ქსენოფონტი, ანაბასიი, VII, 8, 25). მეცნ არტაქსერქსე II-ს (ძვ.წ. 404-359წლ.) აუმნედრდა მმა — კიროსი, რამაც განაპირობა აქემენიდინთა გავლენის ერთგვარი დასუსტება იმპერიის პერიფერიებში, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაშიც. ძვ.წ. 401წელს კაპადოკიისა და ლიდიის (მცირე აზიაში) მმართველმა უფლისწულმა კიროსმა ირანს მეუე არტაქსერქსე II-ს წინაღმდევე სამეფო ტახტის წასართმევად ომ წამოიწყო. ამ ომში ბერძენი დაქირავებული მეომრების ერთ-ერთი სამხედრო ხელმძღვანელი იყო ქსენოფონტი, რომელმაც აღწერა ბრძოლები და ის ტერიტორიები, სადაც ქართველური მოდგმის ხალხი ცხოვრიბდა. ქალაქ ბაბილონთან მომხდარი ბრძოლის შედეგად უფლისწული კიროსი დაიღუპა, ხოლო მისი ჯარი დაიშალა; დაქირავებული, ომებში გამობრმედილი დაახლოებით 10.000მეომარი ბერძენი გამოემართა სამშიბლოში. გზად მათ სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაზე გაიარეს, სადაც ადგილობრივ ქართველურ მოსახლეობასთან, უმეტესად ბრძოლით, ხოლო ზოგჯერ მოლაპარაკებებით მძიმედ და როულად იყაფავდნენ გზას. 10.000-იან ჯარს დადა რაოდენობით სურსათი დასჭირდებოდა, რაც ბერძენი მეომრების ადგილობრივებთან ბრძოლის ძირითადი მიზეზი იყო. ზოგ გამაგრებულ ქალაქს, რომელიც მოიცავდა სიმაგრეთა მთელ სისტემას, ბრძოლებით, შტურმით იღებდნენ, ზოგს კი ვერ იღებდნენ და ამიტომ გვერდს უვლიდნენ. ბერძენმა მეომრებმა მრავალი გამაგრებული ქალაქი გაიარეს, რომელთა გამაგრების სისტემა ქსენოფონტის გადმოცემით სხვადასხვანაირი იყო. მაგალითად, მათ ვერ შეძლეს ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის აღება: "როდესაც ბერძენები ამ მთან ქვეყანაში მივიღნენ (ადგილობრივმა მცხოვრებლებმა)... გადაწვეს და მიატოვეს თავისი სიმაგრეები, რომლებიც ადვილად ასაღებად ეჩვენებოდათ...". "...ერთი ციხე-სიმაგრე მათი დედაქალაქი იყო...", "...მას გარშემო დრმა თხრილი პქონდა და ამიტომ


მისადგომად სახიფათო იყო. ჰოპლიტმა მეომრებმა... იერიში მიიტანეს ციხე-სიმაგრეზე. მათ უკან მისდევიდნენ მეალაფები, რომლებიც სურსათს და სხვა ქონებას აგროვებდნენ."..."როცა ბერძნებმა საბრძოლო იერიშით ვერ შეძლეს ციხე-სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი თხრილი და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული; მათზე კი ზის კვდლები და მრავალი კოშკი იყო აღმართული, გადაწყვიტეს გასცლილნენ სიმაგრეს; მაგრამ ადგილობრივები თავს დაესხენ ბერძნებს. გაქცევა შეუძლებელი იყო, რადგან სიმაგრიდან ხრამის გადალახვა მხოლოდ სათითაოდ შეიძლებოდა."..."სიმაგრე სავსეა მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი აღება შეუძლებელია, რადგან ის მიუვალია და არც უკან დახევაა ადვილი, რადგან (დამცველები) სწრაფად გამოვარდებიან ხოლმე ციხე-სიმაგრიდან და ხელჩართულ ბრძოლას გვიმართავენ" (ანაბასისი, V,2,3-7). ბრძოლებში ბერძნთა რაზმები უკუიქცნენ, ბევრი დაიღუპა და დაიჭრა (ანაბასისი, V,2,7).

ქსენოფონტის, რომელიც საქმის კარგი მცოდნე იყო, ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაში მცხოვრები ქართველური მოსახლეობა კარგად ფლობდა მაშინდელი სამხედრო საქმის ძირითად ელემენტებს. კერძოდ, მათ ჰქონდათ სასიმაგრო-უორტიფიკაციული სპეციალური ნაგებობები- თხრილები, ზის სასიმაგრო კედლები, კოშკები, მიწაყრილები; გააჩნდათ იმ დროისათვის მოწინავე რეკინის იარაღი: შუბი, სატევარი, ცული, მშვილდ-ისარი; ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებები: ფრი, მუზარადი, ჯავშნი; ფლობდნენ საომარ ხერხებს: სწრაფი იერიში, გადაჯგუფება, რელიეფის მოხერხებულად გამოყენება; იყვნენ ბრძოლაში მამაცნი, მოხერხებულნი და შეუცოვარნი (იხ. ანაბასისი III-V).

ბერძნების კოლხთა და ბერძნთა ჯარის შერკინების შესახებ, სამხედრო საქმის კარგი მცოდნის, ამ ოშში ბერძნების მხედრობის ერთ-ერთი მეთაურის, ქსენოფონტის წერილობითი აღწერა შემონახული. კერძოდ, ეს ბრძოლა კოლხთის სამფლობელოების საზღვართან, მაღლიბზე მოშდარა. ამ მაღლობის ტრადიციული ბერძნული ფალანგით (ბერძნთა ჯარის მთავარი ტაქტიკური დანაყოფი) აღება რთული, მთაგორიანი რელიეფის გამო მარტივი არ იქნებოდა. მთაგორიან ადგილზე ფალანგის ქვეითთა შწკრივები უთუოდ აირეოდა და დამარცხდებოდა. ამიტომ ბერძნთა ჯარის სარდლობის

(სტრატეგოსები - ქსენოფონტი, ხეირისოფოსი, ესქინე აკარნანელი, კლეანორე ერქომენელი) გადაწყვეტილებით "ფალანგა" დაყვეს ცალ-ცალკე ასეულებად - ლოზებად (დაახლოებით 80-მდე) და ისინი ურისტალურად ცალ-ცალკე დააწყვეს მოწინააღმდეგის განლაგების მთელ პერიმეტრზე. ეს მოხდა იძღვარად, რომ კოლხების წყობის ხაზს სჭარბობდა, რაც შემდგომ ულინგებიდან შეტევის საშუალებას მისცემდათ. ლოზების ერთი მეორისაგან დაცილებული მწკრივის წინ განალაგეს სამი (თითოეულში 600-მდე მსუბუქად შეიარაღებული მეომარი-პელტასტი) მობილური, სწრაფი დანაყოფი. ამ ჭარბმა პალებმა იერიში მიიტანეს მაღლობზე მდგარ კოლხთა განლაგებაზე და შეუპოვარი ბრძოლის ფასად სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლე აიღეს. ამ ბრძოლის შედეგად ბერძნები კოლხების ქვეყნაში შეიჭრნენ და შავი ზღვისაკენ გზა გაიკავეს. შემდეგ ისინი სანაპიროზე, კოლხების ქვეყნაში, ქალაქ ტრაპეზუნტში შევიდნენ (იხ. ანაბასისი IV-VIII, 17-19, 22).

კოლხების სამხედრო ხელმძღვანელობას ეტყობა დაზვევრვის ცნობები პქონდა ბერძნთა საომარი გადადებილების შესახებ. ამიტომ კოლხთა ლაშქარი საბრძოლველად მზად იყო და კოლხების საზღვართან სტრატეგიულ მაღლობებზე იდგა. ეს ადგილი აღმოსავლეთ პონტოს და ლაზეთის მთიანეთში უნდა ყოფილიყო (ახლა მდებარეობს თურქეთში). კოლხები მართებულად მოიცენენ, როცა სტრატეგიულ სიმაღლეზე განალაგეს თავისი მხედრობა. კოლხთა ძირითადი დანაყოფის სპეციალურ წყობას, სამხედრო საქმის კარგმა მცოდნებ, ბერძნების მხრიდნ ამ ბრძოლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა "ფალანგა" უწოდა (იხ. ანაბასისი IV, VIII, 17) ანუ "კოლხური ფალანგა". ბერძნთა ჯარის ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად ჩათვალა კოლხთა ლაშქრის ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიცია და ტაქტიკური წყობა. ამის გამო ბერძნებმა ბრძოლის ტრადიციული ტაქტიკა შეცვალეს. ეს კი იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ "კოლხური ფალანგა" საქმაოდ საშიში ძალა იყო. ბერძნულ-დორიულ ფალანგას (იხ. ЖМОДИКОВ, 1998, გვ. 89) მძიმედ შეიარაღებული (მახვილებით, შუბებით, ფარგებით, მუზარადებით, საბარკულებით, ჯავშნებით) მეომრების, ჰოპლიტების, მწკრივებად (დაახლოებით 15) დალაგებულ მწყობრს უწოდებდნენ, რომელიც მთელ ხაზზე იყო განლაგებული.



### კორნალესია და ბერძნებს შორის ბრძოლის სეკენცია

ფალანგა ბერძენთა ჯარის მირითადად ტაქტიკურ დანაყოფების წარმოადგენდა და სწორ რელიეფზე მოქმედებისას შემჭიდროვებულ დამრტყმელ ფრონტის ხაზს ქმნიდა, რაც მას მრისხანე ძალად აქცევდა (იხ. Connolly, 1988, გვ. 41-51). ფალანგის მწკრივების სისწორისათვის აუცილებელი იყო ფეხაწყობილი სიარული, რაც მკაცრი წვრთნით, დისციპლინით და მუსიკალური საკრავებით ტაქტის დაცვით მიიღწეოდა. ბერძნულმა სამხედრო წყობამ - ფალანგამ, იმ ეპოქაში არაერთხელ ნათელყო უპირატესობა ცალკეულ კავშირებად მოქმედ მეომრებთან შედარებით.

ბვ.წ. 401წელს მომხდარი ბრძოლის დროს, როგორც ამას ბერძენთა ერთ-ერთი სარდალი, ქსენოფონტი გადმოგვცემს, კოლხების ფალანგა ბერძენების

შეტევისას სწრაფად, მწყობრად ორად გაიყო. ამის შედეგად ფალანგის ერთი ნაწილი მარჯვნივ, ხოლო მეორე მარცხნივ გადაჯგუფდა. ამ ქმედებით კოლხების ხელმძღვანელობამ გარკვეული მანევრი ჩატარა. მათ ფალანგის ცენტრალური ნაწილის გახსნით ისეთი მდგომარება შექმნეს, რომ ბერძნები შეტყუბინათ და შემდგომ ფლანგებიდან აპირებდნენ შეტევას. მოცემული მანევრით კოლხებმა თავიდნ აიცილეს ბერძნების ლოხებისაგან გარშემოვლის საშიშროება. კოლხებმა ტაქტიკურად სწორი მანევრი განახორციელეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ბერძნთა მებრძოლების რიცხობრივა სიმრავლემ ითამაშა. ისინი 10.000-მდე იყვნენ.

ზემოხსენებული, კოლხთა ფალანგის მანევრი, მათი წინასწარ სტრატეგიულ სიმაღლეზე განლაგება, იმის მაჩვენებელია, რომ კოლხებს სამშედრო საქმე არც თუ ცუდად პქონდათ დაყენებული. ჩნდს, ისინი ბერძნულ, იმ დროისათვის მოწინავე სამშედრო ხელოვნებასაც კარგად იცნობდნენ. კოლხების და ბერძნების ბრძოლის ამბავს ქსენოფონტი მოკლედ შემდეგნაირად გადმოვცეს: "როდესაც მოწინააღმდეგებ (ბერძნი მეომრები) შენიშნა; ისინ (კოლხი მეომრები) გამოემართენ მათკენ და ამის მერე გაიშალნენ ნაწილი მარჯვნივ, ხოლო ნაწილი - მარცხნივ; ამგვარი გადაჯგუფებით თავისი ფალანგის ცენტრში ფართე დერეფანი შექმნეს" (ანაბასისი, IV,VIII,17). თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კოლხებმა ჯერ კიდევ ძვ.წ. 401წ. ზემოხსენებულ ბრძოლაში, მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდევ, ეწ. ქიმიური იარაღის მაგვარი რამ გამოიყენეს. კერძოდ, როცა ბერძნმა ჯარისკაცებმა აიღეს კოლხების დასახლებული პუნქტები და იქ შევიდნენ, ადგილობრივებმა იქ დატოვეს სპეციფიკური თაფლი. ბერძნები "მეომართაგან ყველამ ვინც კი თაფლის უიჭა შეჭამა, გონება დაკარგა, აღებნა, კუჭი აემალა და არც ერთს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. ისინი ვინც ცოტა ჭამა მაგრად მთვრალებს ჰგანდნენ, ხოლო ვინც ბევრი - შეშლილებს ან მომაკვდავებს. უმრავლესობა ეყარა ისე, როგორც დამარცხების შემდევ ბრძოლის ველზე" (ანაბასისი IV,8,20-21). კოლხი მებრძოლების ამ ტაქტიკურმა ფანდმა ბერძნი მეომრები მწყობრიდან გამოიყვანა და მათი შეტევა რამდენიმე დღით შეჩერა. სპეციფიკური თაფლის საომარი მიზნით გამოყენება წერილობით წყაროებში აგრეთვე ძვ.წ. 1ს-შა დადასტურებული. ეს ამბავი დაახლოებით იგივე ადგილებში მოხდა. კერძოდ,

რომაელ სარდალს პომპეუსს "...ამოუწყვიტეს სამი სპეირა (დახლოებით 350 მეომრიანი რაზმი), რომლებიც მოძრაობდნენ ამ მთებში. მათ (მეომრების) გზებზე ფართოპირადი ჭურჭელით დადგეს გამაცოფებელი თაფლი," რომაელმა მეომრებმა "...შეჭამეს ის და გაცოფდნენ; მაშინ მათ თაგს დაესხენ და ადვილად დახოცეს" (იხ. სტრაბონიXII,III,18). ასევე ე.წ. ქიმიურ იარაღად შეიძლება ჩათვალოს სპეციალური შხამიანი ისრები. კერძოდ, სპეციალური მომწავლელი ნივთიერებით დაფარული ისრისპირები, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მოწინააღმდეგის მეომრები მცირე ჭრილობითაც სტრატად იღუპებოდნენ(სტრაბონიXI,II,19). შემდგომ, კოლეგიში სამხედრო მოქმედებების დროს გამოიყენებოდა "მედეას ჟეთი," ნავთობიც (იხ. გამყრელიძე, 2001.გვ.26-32) და სხვა კომბინებით, რომელიც თანამედროვე "ნაპალმის" ჰგავდა თავისი მოქმედებით (იხ. პროგოპი, BG,VIII,11,36-40). სამხედრო საქმის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებს ალბათ ისიც, ძვ.წ. 400წლებში მოიხსენიებიან ქართველური წარმომავლობის მეომრები, რომლებიც აქემენიდთა ირანის სახელმწიფოს ჯარში მოქირავნებად მსახურობდნენ - "... ტირიაბზს ყავს ჯარი და მოქირავნები: ხალიბები და ტაოხები" (ანაბასისიIV,4,18). ისინი ომობდნენ გასამრჯველოსათვის და, ბუნებრივია, პროფესიონალი მეომრები იყვნენ; ისევე, როგორც ქსენოფონტის ბერძენი მეომრები, რომლებიც უფლისწულმა კირისმა დაიქირავა. შესაძლოა მოქირავნებზევეა ლაპარაკი ჰეროდოტესთანაც, როცა ის აღწერს ირანის მეფე ქსერქეს მიერ, ძვ.წ. 480წელს საბერძნეთში ლაშქრობას (ისტორია VII,53-79).

ძვ.წ. IVს.-ში წინა აზიაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა. აქემენიდთა ირანის იმპერია ალექსანდრე მაკედონელის ბერძენ-მაკედონელთა ძლიერ არმიასთან ბრძოლებში დატბო. ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობის შედეგად ხმელთაშუაზღვიდან მდ. ინდამდე სამყარო შეიცვალა (იხ. შახერმაირ, 1986; ლევეკ, 1989; შლიმბერჟე, 1985; ელინიზმ, 1990). ალექსანდრე დიდის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიისათვის დამახასიათებელი იყო - მოწინააღმდეგის რესურსების და სამხედრო ძალების წინასწარი ყოველმხრივი შესწავლა-დაზვერვა; ასალი სამხედრო ტაქტიკა (ე.წ. მაკედონური ფალანგა) და ტექნიკა (ინდივიდუალური შეიარაღება და საალყო მანქანები); ზურგის სამედო

მომარაგების და კომუნიკაციების უზრუნველყოფა; მოწინააღმდეგის მთავარი ძალის განადგურებისაკენ სწრაფვა; სტრატეგიული ჩანაფიქრის სისტემური, თანმიმდევრული და მიზანსწრაფული განხორციელება.

ძვ.წ. 334წელს მცირე აზიაში ომისთვის აღექსანდრე მაკვდონელს კარგად ორგანიზებული და მეცნიერებული 48.000-იანი რეგულარული არმა ჰყავდა მომზადებული (იხ. პლუტარქი, აღექსანდრე მაკვდონელი, 15). მისი არმა შედგებოდა - შეიარაღების მიხედვით: მძიმე, საშუალო და მსუბუქი ქვეითებისაგან და მხედრებისაგან. ამგვარი, ახალი ორგანიზაციული დაყოფა, მიღიარისაში არმის ტაქტიკური მანევრების საშუალებას მკვეთრად ზრდიდა. მძიმედ შეიარაღებული ქვეითები და მხედრები ელიტურ დანაყოფებს წარმოადგინენ. აღექსანდრეს არმის მთავარი დანაყოფი "მაკვდონური ფალანგა" იყო, რომელიც 15-დან 20-მდე მწკრივისაგან შედგებოდა. პირველი მწკრივის მეომრების შუბებს უკანა მწკრივის გრძელი შუბებიც ემატებოდა. ამგვარად, შუბის წვერების მრისსანე კვდელი იქმნებოდა. ფალანგის წინ მსუბუქად შეიარაღებული მობილური ჯგუფები მიღიოდნენ, ხოლო ფლანგებს მძიმედ შეიარაღებული მხედრები უმაგრებდნენ; არიერგარდში მსუბუქად შეიარაღებული მხედრები მოძრაობდნენ (იხ. Connolly, 1988, გვ. 64).

აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი რაოდენობის და ტაქტიკური დანაწილების არმიისათვის, ალბათ, ძნელი იქნებოდა მთავრობიანი რელიეფის მქონე ქვეყანაში წარმატებული მოქმედება (მაგ. კავკასიაში). ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რატომც აღექსანდრე მაკვდონელს, პირადად, კავკასიაში არ ულაშქრია. მაგრამ აქ, შესაძლოა, მაკედონელების მხარდაჭერით სამხრეთ-დასავალეთ ტრანსკავკასიის ერთ-ერთმა ქართველური გაერთიანების (მაგ. არიან ქართლის) ხელმძღვანელმა, პატრიკმა აზონმა იღაშქრა (იხ. ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 17-18; აქ დასახელებული ციხე-ქალაქების უმეტესი ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად სადღეისოდ დოკუმენტურად არის დადასტურებული).

აზონს დაუბირისპირდა მცხეთელი წარჩინებული ფარნავაზი თავის მომხრეებით, რომელიც აგრეთვე გარკვეულწილად უცხო ძალას დაეყრდნო. ამ დაპირისპირებას აზონის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ფარნავაზს შეუკავშირდა კოლხეთის (resp. ეგრისს) გავლენიანი წარჩინებული პირი - ქუჯი და აზონის წინააღმდეგ საომარი სამზადისი დაიწყეს. ალბათ მათ აზონის

მკაცრი პოლიტიკით უკმაყოფილო სხვა წარჩინებული მხედრებიც მიიმსრეს და უცხო ტომის ხალხსაც უხმებს; ამით "განიმრავლეს სპანი" და "ეგრისით შეკრიბეს ურიცხუნი სპანი და მომართეს აზონს" (ქც., გვ.23). ჩანს, კოლხეთი ფარნაგაზის წინააღმდეგობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. აზონის და ფარნაგაზ-ქუჯის შეიარაღებულ მომხრეთა შორის შეტაკება-საბრძოლო მოქმედებებით გამოწვეული ნგრევის მოწმობა აღბათ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული იქ.წ. IVს. მიწურულის გადამწვარი ნამოსახლარები. ასეთი დანგრეულ-გადამწვარი ნამოსახლარები არქეოლოგების მიერ შესწავლილია - სოფ. მოისძირში, ადემშვილების გორის გამაგრებული სამოსახლო; სოფ. ვარციხესთან ვარდიგორა; ვანის ნაქალაქარზე - ე.წ. ოთორი შენობა და 211, 193 ნაგვეობის ძელურბათქაშიანი ნაგებობა; სამადლოს (იხ. გაგოშიძე, 1979), ციხიაგორას, ურბნისის (იხ. ჭილაშვილი, 1968, გვ.35-37) გადამწვარი სასიმაგრო ნაგებობები (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ.37-38, 111-121).

წერილობით წყაროებში ასახულ ამ საომარ პერიპეტიებში აშკარად ჩანს ალექსანდრე მაკედონელის ბერძენ-მაკედონელთა იმპერიის და მისი მემკვიდრეების აგრესიული ინტერესები კავკასიაში. ამ ინტერესებს ისინი ადგილობრივი წარჩინებულის, კლარჯი აზონის ხელით ახორციელებდნენ. აზონიც და ფარნაგაზ-ქუჯიც ურთიერთ ქიშიასას იყენებდნენ გარეშე სამხედრო ძალებს (ე.წ. საგარეო ფაქტორი). როგორც ჩანს, ალექსანდრეს სარდლები აქტიურად ერეოდნენ იბერიელ წარჩინებულთა პირველობისთვის ბრძოლებში. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, რომ თავისი ზეგავლენა წინა აზის უკიდურეს ჩრდილოეთით - ტრანს-კავკასიაში გაეცრცელებინათ.

ქვ.წ.IIIს-ის დასაწყისში ფარნაგაზმა მოახერხა მთელი ქართლის და კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება. მნ საფუძველი ჩაუყარა ფარნაგაზიანების სამეფო დინასტიას. წერილობითი წყაროები მას მიაწერს იბერიის სამეფოს სამხედრო ორგანიზაციის რეფორმებს. მეფე ფარნაგაზმა სახელმწიფო სამხედრო-აღმინისტრაციულ პროვინციებად (საერისთავოებად) დაყო, რომელთა სათავეში საერო და სამხედრო ხელისუფლებით აღჭურვილი, ერთგული წარჩინებულები დააყენა (ქც., გვ.24-26). ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, რომლის მაზედვითაც აზოს და შემდგომში ფარნაგაზის დროს (ქვ.წ.IVს-ის ბოლო - IIIს-ის დასაწყისი) კოლხეთის ნაწილი

იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული, სანდოდ გამოიყერება. ამ დღისათვის კოლხეთის სამეფო დასუსტებულია და ველარ უძლებს შემოსევებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც ვრცელდება იბერიის პოლიტიკური გავლენა. ამას მხარს უბამს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები (იხ. ლორთქიფანიძე, 1972, გვ.40). საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იბერიის მეფე ფარნავაზმა ეგრისის საერისთავო დაუმტკიცა ქუჯის, რომელიც, როგორც ჩანს, აღრეც ფლობდა კოლხეთის ნაწილ ტერიტორიას. ახლა ფარნავაზმა მას ტერიტორიები გაუფართოვა, სამეფო ხელისუფლების აღმინისტრაციული უფლებებიც უბოძა; და გააყოლა ცოლად და ამით სამეფო დიდმოხელედ აქცია. საყურადღებოა, რომ რვა ერისთავიდან საისტორიო წყაროში მხოლოდ ქუჯია მოხსენიებული (იხ. ქც., 1955, გვ.24). ქუჯი წარმომავლობით არისტოკრატიული გვარიდან იყო და ქართლის მეფის ხელისუფლებისათვის ბრძოლაში წვლილი მოუძღვდა.

ამრიგად, თვალშისაცემია, რომ საომარი ფაქტორი მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადმიწყვეტ როლს თამაშობდა კოლხეთ ისტორიული განვითარების პროცესში. იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს დაშლა და პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებიდან ჩანს, რომ კოლხები კარგად ფლობდნენ მაშინდელი საომარი საქმის ძირითად ელემენტებს. მათ იცოდნენ და წარმატებით იყენებდნენ ტაქტიკურ ხერხებს – სწრავ იერიშს, გადაჯგუფებას, რელიეფის მოხერხებულად გამოყენებას, ისინი ოშში მამაცნი, მოხერხებულნი და შეუპოვარი იყვნენ. ყოველივე ამის განსახორციელებლად კი მათ, შეტევის და თავდაცვის, იმ დროისათვის მოწინავე შეიარაღება ჰქონდათ.

### ლიტერატურა:

გამყრელიძე გ., 2002, კოლხეთი გამომც. "ლოგოსი", თბ., 2002.

ლორთქიფანიძე გ., 1976, საბრძოლო და სამეურნო იარაღი, განიII, 1976, გვ.167-190.

ლორთქიფანიძე გ., 1979, სამხედრო საქმის ისტ-სათვის კოლხეთში, თსუ-ს შრომები (ისტ...), ჭ.205, 1979, გვ.95-107.

ლორთქიფანიძე ოთ., 1972, ვანის ნაქალაქარი, ვანი, I., 1972, გვ.7-42.

ლორთქიფანიძე ოთ., 1976, არქეოლოგია და საქ. ძველი ისტ. ზოგიერთი საკითხი, საქმეცნაკად. "მაცნე" (ისტ...), 1976, № 2, გვ.110-128.

- ფირცხალავა ბ., 1978, სკოთური პულტურის ძეგლების საქართველოში.... - საქ. არქოლოგიის საქოთხები, I, თბ., 1978, გვ.31-51.
- Гагошидзе Ю., 1979, Самадло, Тб., 1979.
- Гагошидзе Ю., 1981, Самадло, Каталог Тб., 1981.
- Гамкрелидзе Г., 1977, К изучению древнеколхидских оборонительных сооружений, Сообщение АнГрузии, 88, 1977, №2, с.501-514.
- Дандамаев М., 1985, Полит. ист. Ахаменидской державы, М., 1985.
- Жмодиков А., 1998, Этапы развития фаланги, сб., Военная археология, С.-Петербург, 1998, с. 89-92.
- Левек П., 1989, Эллинистический мир, Мос., 1989.
- Меликишвили Г., 1954, Наири-Урарту, Тб., 1954.
- Шахермайр Ф., 1986, Александр Македонский, Мос., 1986.
- Шлюмберже Д., 1985, Эллинанизированный восток, Мос., 1985.
- Эллинизм, 1990, сб., ред. Голубцова Е., Мос., 1990.
- Тереножкин, А. 1976. Киммерийцы. Киев.
- Connolly P., 1988, Greece and Rome at war, London.

## კოლხეთში რომანიზაციის გლობალისტური პროცესის მიმდინარეობის შესახებ

კოლხეთისა და რომის ურთიერთობის ისტორიის შესწავლა, უპირატესად, არქეოლოგიური მასალის საფუძველზეა შესაძლებელი, რადგან ამ პერიოდის წერილობითი წყაროები ცოტაა. წლების განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვდა საქმაოდ მრავალფეროვანი მონაცემები, რომლებიც მოგვეპოვება შემდეგი არქეოლოგიური ძეგლებიდან – კლდეთი, ბიჭვინთა, ინკიტი, ფოთი, ციხისძირი, ვაზნარი, გონიო, ურეკი, სოხუმი, წებელდა, ღები, ითხვისი, შორაპანი, ვანი, შუბუთი, თაგილონი და სხვ. მნიშვნელოვანია ამ ძეგლებზე დადასტურებული ცალკეული არტეზაქტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლოა თვალი გავადევნოთ რომანიზაციის პროცესს კოლხეთში [იხ. გამყრელიძე, თოლუა, 2006:5-24, 9-7-116]. აზითა და ევროპის საზღვარზე მდგარე ძველი საქართველო, სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის, ერთი მხრივ, ირანული და, მეორე მხრივ, ანტიგური ორიენტაციის ქვეწების საომარი მოქმედებების ასპარეზი იყო [გამყრელიძე, 2002: 3-21].

რომანიზაცია თავისი არსით გლობალისტური მოვლენაა, რომელიც იმპერიის პროვინციებში და მათს მეზობელ ქვეყნებში რომაული პოლიტიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და კულტურის გავრცელება-დამკიდრებას გულისხმობს. რომანიზაციის მთავარი არსი რომის ქვეშვრდომსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ხალხთა ერთიან სისტემაში ჩართვა და ერთი ცენტრიდან მართული, ერთიან სტანდარტებზე დაფუძნებული ცხოვრების წესის დამკიდრება იყო [Hopkins,(ed.), 2003:4-9; Shelton, 1998:21-30; Matthew, Garland, 2005: 134]. გლობალიზაციის პროცესები სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით რომის იმპერიის ეპოქამდეც მიმდინარეობდა, მაგალითად, ირანის აქემენიდთა სახელმწიფო ან ალექსანდრე მაკედონელის იმპერია გლობალიზაციის ლიდერები იყვნენ. მოგვიანებით, რომის იმპერია გლობალიზმის პროცესის არნაზული მასშტაბურობით გამოირჩეოდა. რომის იმპერიის მთელ რიგ პროვინციებში რომანიზაციას მოჰყვა ტექნიკურობის, საკომუნიკაციო, აღმოსავლურ-დასავლური კონტაქტების განვითარება,

ხალხთა ასიმილაციისა და კულტურული სინკრეტიზაციის პროცესი, რომელიც ანექსირებულ ქვეყნებში PAX ROMANA-ის ეგიდით მიმდინარეობდა. რომის იმპერიის უკიდეგნო სივრცეში რომანიზაციის პროცესი ერთნაირი ტემპისა და მასშტაბის როდი იყო. ის შედარებით უფრო დაჩქარებულად წარიმართა იმპერიის დასავლეთ პროვინციებში, ვიღრე აღმოსავლეთ ქვეყნებში, რაც აქ არაურთვებაროვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურებით იყო განპირობებული [თოლუა, 2003: 112].

ქვ.წ. 65წელს ტრანსკავკასიაში პომპეუს მაგნუსის ხელმძღვანელობით რომის რესპუბლიკის ლეგიონერები გამოჩნდნენ. რომს კავკასიაში ძირითადად იზიდავდა – ეკონომიკურ-სტრატეგიული გამორჩენა; ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; ახალი საგაჭრო გზებისა და საქონლის გასაღების ბაზრების ხელში ჩაგდება. მათთვის ურიად საყურადღებო იყო შუა აზიიდან მომავალი გზა, კასპიის ზღვიდან მდ. მტკვარზე, ლიხის ქედის გადასვლით, მდ. ფასისზე გავლით შავ ზღვამდე. ეს გზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნეს იმის შემდეგ, რაც პაროიის გაძლიერებულმა სახელმწიფომ თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალი სამხრეთის სატრანზიტო მაგისტრალები. ამასთანავე, კავკასიონის ქედი კარგი წინააღმდეგობა იყო ჩრდილოკავკასიელი აგრესიული ნომადური ტომების ტრანსკავკასიასა და რომაულ მცირე აზიაში შემოჭრის დასარეგულირებლად. ამ მხრივ საყურადღებოა მამისონის, დარიალისა და დერბენტის გადასასვლელები. ვის ხელშიაც ეს გზები იყო, მას შეეძლო კონტროლი გაეწია ჩრდილოკავკასიური მეომარი ტომების მოძრაობისათვის [გამყრელიძე, თოლუა, 2006: 25-57].

კავკასიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლეური ცივილიზაციების გარკვეული თანხედრა. კოლხეთი თავისი ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით, უღრანი ტყეებით ადვილდ დასმორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. რომაელები ახერხებდნენ გარკვეულად გაეკონტროლებინათ ზღვისპირეთი. ამაში მათი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო სანაპირო ქალაქები, რომლებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, ანტიკური სამეურნო-კულტურული გავლენა უფრო ძლიერი იყო. კოლხეთის

ზღვისპირეთი ის სტრატეგიული მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად კავკასიაში, მცირე აზიასა და ბოსფორში [Браунд, 1991: 35-52].

რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის განვითარების პროცესზე. ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოიდგა. ზღვისპირეთი რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში, რომაელთა მოქნილი პოლიტიკის შედევად, არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომ რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული სამთავროების წარმოქმნით დასრულდა (იხ. არიანე, 11). რომმა, იმ დროისათვის მაღალგანვითარებულმა სახელმწიფომ, რამდენადმე დადგებითი როლიც ითამაშა. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო მოწინავე რომაულ კულტურას, ახალ სამეურნეო-კულტურულ, საომარ ტაქტიკურსა და ტექნიკურ ინვაციებს; ზღვისპირა ქალაქებში გამოჩნდა რომაული კაპიტალი.

ახ.წ. ისაუკუნის ბოლოში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდა ე.წ. პონტო-კავკასიის თავისებური სასაზღვრო სისტემა. მისი უმთავრესი ამოცანა კავკასიაში რომის გეოპოლიტიკური პოზიციების განმტკიცება და კონტროლი იყო. ამ სისტემაში შემავალი აფსაროსი (გონიო) [მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2009:107; ხალვაში, 2002; ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980], ფასისი (ფოთი) [გამკრელიძე, 1992:30; Gamkrelidze, 2009:175-194], სებასტოპოლისი (სოხუმი) [ფუთურიძე, 1959:54] და პიტოები (ბიჭვინთა) [ლორთქიფანიძე, 1991; ბერძნიშვილი, ფუთურიძე, 1975] სასაზღვრო მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებად გარდაიქმნა. რომაელები იმპერიის საზღვრებს არამარტო სამხედრო ძალით, არამედ მოქნილი დიპლომატიური ხერხებითაც აფართოებდნენ. იმპერიაში განსახლებულ ზოგიერთ ხალხს ადგილობრივი მეფეები განაგებდნენ და გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. რომი დიპლომატიურ ძალის მშევას არ იშურებდა, რათა ამ მმართველებთან მეცნიერული ურთიერთობა დაემყარებინა.

რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსან ქიშპობისას [Бокишанин, 1966]. მაუწედვად ძლევამოსილებისა, პირველ

ეტაპზე, რომელიც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითოიდატე პერგამონელისა და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა – ამ მხარის დამორჩილება ძალიან მნელიაო (იხ. პლუტარქე, ლუკ., 14). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული დასახლებების წარმოქმნისა და მისი განვითარების პროცესი თავისებური, განსხვავებული გზით წარიმართა. აქ რომაული, კლასიკური ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. დიოსკურია-სებასტოლისის, აფსაროსის, პიტიუნტისა და ფასისის რომაულ კასტელუმებთან არსებობდა ვიკუსის ტიპის მცირე სავაჭრო-სახელოსნო დასახლებები, რომელთა მოქმედების არე კონკრეტული სანაპირო ზოლით შემოიფარგლებოდა. პინტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ჩამოყალიბებისა და გარნიზონთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ნაწარმი – კერამიკა, მინის, ლითონის ნაკეთობები, სამკაულები გავრცელდა, რომელთა შორის, ტრადიციულდ, მცირე აზიის ცენტრების ნაწარმი ჭარბობდა. ამ პროდუქციის ტრანსპორტირება, უპირატესად, საზღვაო გზით ხორციელდებოდა. ის, ძირითადად, რომაულ სამხედრო შენართობებს ამარაგებდა. რომაული გარნიზონების მომარაგება კი II-III საუკუნეებში ცენტრალიზებულად ტრანზუნტიდან [Максимова, 1956], ხოლო IVსაუკუნეში ანტიოქიიდან ხდებოდა. რომის იმპერიის სასაზღვრო სისტემაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის ჩართვით, გარკვეულწილად, უზრუნველყოფილ იქნა რომის აღმოსავლეთ პროვინციათა მისადგომების უსაფრთხოება და რომაელთა გეოპოლიტიკური ინტერესების განმტკიცება კავკასიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიაში. რომაელთა ეკონომიკური ინტერესების სფეროში ექცევლდა ის სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს კავკასიაზე გავლით დასავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ცნობილია, რომ პომპეუსი საგანგებოდ დანტერესდა ამ გზაზე სავაჭრო ურთიერთობის განხორციელების შესაძლებლობებით. ვარონის მიხედვით, "პომპეუსის ლაშქრობის დროს მისი ბრძანებით გამოკვლეულ იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება 7 დღეში ჩასვლა ბაქტრიაში მდ. ბაქტრთან, რომელიც ოქსის ერთვის, აქედან ინდური საქონელი გადააქვთ კასპიის იქით

მდ. მტკვრით და სახმელეთო გზით. არა უმეტეს 5 დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასისს, რომელიც შავ ზღვას ერთვის" (იხ. პლინიუსი, NH, VI, 52).

არქეოლოგიურმა გათხრებმა წარმოაჩინა, რომ რომაული პერიოდისა და ადრეული შუასაუკუნეების კოლხეთის ქალაქებში – ბიჭვინთაში, ციხისძირში, ნოქალაქებში, ქუთაისში, გონიოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას სათნადო ყურადღება ექცეოდა, რასაც მოწმობს ამ ნაქალაქარებში აბანოების, წყალმომარაგების, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების აღმოჩენა. რომსა და კოლხეთს შორის არსებული ინტენსიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად აქ იგბოლა რომაული ოქროების ტიპის აბანოები. კოლხი დიდებულები რომაელებს ბაძვინენ არა მარტო ახალი, მდიდრული ინვენტარითა და ფუფუნების საგნებით, არამედ ცხოვრების წესითაც. ამის მკაფიო დასტურია კოლხეთში აღმოჩენილი აბანოების კომპლექსები, რომლებსაც ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებები, საცურაო აუზი, გათბობის სისტემა, კანალიზაცია, კოლექტორი და წყალმომარაგების სისტემა ჰქონდათ. ზოგჯერ აბანო მოპირკეთებულია რომაული სტილის მოზაიკით. IIIსაუკუნის მოზაიკით მორთული აბანოს კომპლექსი აღმოჩნდა ბიჭვინთის ნაქალაქარზეც, აქ მიკვლეულია წყლის რეგულირების საკმაოდ რთული სისტემა, რომელიც კერამიკული მილებითა და კირხსნარითაა გაკეთებული. რომაული ტრადიციების გაგრძელებაა ადრეულ შუა საუკუნეებში აგებული აბანოებიც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოჩენილი აბანოს კომპლექსი, რომელიც ათი ნაწილისაგან შედგებოდა. ის, მცხეთისა და ძალისის აბანოებისაგან განსხვავებით, უფრო საზოგადოებრივი დანიშნულებისაა. ასეთივე დანიშნულების იყო ბიჭვინთისა და ციხისძირის აბანოც. ამგვარი აბანოები აღმოჩენილია ურბნისსა და შესუთმიც. საინტერესოა შესუთის აბანოს თატაკი, რომელიც, ძალისისა და ბიჭვინთის აბანოების მსგავსად, მოზაიკითა შემცულია. არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, რომ II-VI საუკუნეების საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული რომაული ტიპის აბანოები, რომლებიც საინჟინრო-არქიტექტურული თვალსაზრისით საკმაოდ რთული ნაგებობებია.

საქართველოში აღმოჩნდილი არქეოლოგიური მასალები მოწმობს აქ ადგილობრივი ხუროთმოძღვრული სკოლის არსებობას, რომელიც კარგად იცნიდა ბერძნულ-რომაული არქიტექტურის უმთავრეს პრინციპებს და ავითარებდა მათ ადგილობრივ ნიადაგზე. ეს ნათლად ჩანს მცხეთაში აღმოჩნდილი IV საუკუნის ეპიტაფიიდნაც, სადაც იხსენიება მცხეთელი “მთავარი შასტგარ-არქიტექტორი ავრელიუს აქოლის”. ძვ.წ I საუკუნიდან კოლხეთში ვრცელდება სამკაულებში ჩასმული გემები, მათგან უმრავლესი ბერძნულ-რომაული, იტალიკური, მცირეაზიური სახელოსნო ცენტრებიდანაა შემოტნილი. ამასთანავე ივარაუდება გემების წარმოების ადგილობრივი სახელოსნოებიც, რომელთა ნაწარმშიც გვხვდება რომაულ ყაიდაზე დამზადებული არაერთი ნახელავი [იხ. ლორთქიფანიძე მ., 1954]. ახ.წ. I საუკუნეებში იმპორტულ საგნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვადასხვა სახის სამკაულს. ეს გარემოება საქმაოდ ნათლად მიუთითებს კოლხეთის მოსახლეობის მონაწილეობაზე საერთაშორისო ვაჭრობაში, კერძოდ, რომაული სამყაროს სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების აქტიურობაზე. მრავალრიცხოვან უცხოურ საგნებს შორის გამოირჩევა სხვადასხვა დანიშნულების ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭელი – სურები, პატერები, ჩამჩები. ამგვარი ნაწარმის წარმოების ცენტრები ახ.წ. I-II საუკუნეებში სამხრეთიყალიური ქალაქები იყო, მაგალითად, კაპუა. ამგვარი ჭურჭლის აღმოჩენა კოლხეთის ტერიტორიაზე საქმაოდ ხშირია, რაც აქ იტალიკური პროდუქციის იმპორტზე მიუთითებს. ეს ნივთები ჰიპონდათ სანაპირო ქალაქებში, აქედან კი ის ვრცელდებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. კოლხეთის მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში ნუმიზმატიკური მასალებითაც თვალნათლივა იღუსტრირებული. ახ.წ. I საუკუნიდან აქ რომაული აურგუსიც შემოღის, რომელიც მალე ავგუსტუსის დენარით ერთად გადახდის ძირითად საშუალებად იქცევა [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2006: 110]. როგორც ჩანს, მოსახლეობის აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას რომაულ სამყაროსთან მოპყვა კულტურული ურთიერთობაც. ეს კარგადაა ასახული რომაული სანის კოლხეთის მატერიალური კულტურის ძეგლებზე.

ახ.წ. II საუკუნიდან კიდევ უფრო ფართოდ ვრცელდება რომაული

ხუროთმოძღვრების ცალკეული ელემენტები. ანტიკურ-რომაული არქეოგეტორული სისტემის გავრცელებაზე მიუთითებს კოლხეთში აღმოჩენილი კაპიტელები და მათი დეკორის ხასიათი. ინტერესს იწვევს ზოგიერთი ცვლილება, კედლის წყობის პრინციპში, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ. I საუკუნეში ვრცელდება რომაულ ხუროთმოძღვრებაში. ახ.წ. I-III საუკუნეების კოლხეთის მოსახლეობაში მმდინარე გარკვეულ ცვლილებებზე მოუთითებს გლიატიკურსა და ტორკეტიკულ ნივთებზე დატანილი გამოსახულებები, რომლებიც შინაარსობრივად ხშირად რომაულ მითოლოგიური თემატიკას ასახავს. განსაკუთრებით გავრცელებულია ტიხე-ფორტუნას, ფორტუნა-ისიდას, მინერვას, ვიქტორიას, აპოლონის, მარსის, პლუტონის, მერკურის, ოუპატერის, ჰელიოსის, ასკლეპიოსისა და მითორას გამოსახულებები, რომლებიც ადგილობრივ ღვთაებებთან თანაარსებობს. ახ.წ. I საუკუნეებიდან კოლხეთში ვრცელდება ქრისტიანობა. პიტიუნტში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო სებასტიონოლისში, ქრისტიანული თემი, რასაც ადასტურებს აქ გათხრილი ეკლესია და ქრისტიანი რომაელი ლეგიონერის სამარხის სტელა, რომელზედაც წარწერაა – “ქრისტე შემძლე. აქ განისვენებს ორესტე მამაცი ლეგიონერი, გთხოვთ მოხვიდეთ”. ქრისტიანობა გავრცელებული ჩანს აფსაროსშიც, რის დასტურიცაა აქ აღმოჩენილი ქრისტიანულისმბოლიკიანი ბეჭდები.

ზღვისპირა კოლხეთში რომაული სამხედრო შენაერთების დისლოკაციის შედეგად ეს შხარე აქტიურად ჩაერთო რომაული სამყაროს სისტემაში. უწინარეს ყოვლისა, ეს პროცესი რომაული ნაწარმის გავრცელებით გამოიხატა, კერძოდ, რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრიდან კოლხეთის ზღვისპირეთში შემოდინება დაიწყო ახალმა პროდუქციამ – იტალიკურმა ფაბულებმა, ამფორებმა, წითელლაგიანმა კერამიკამ, ლითონისა და მინის ნაწარმმა, რომლებიც მთელი რომაული სამყაროსთვისა დამახასიათებელი. ამგვარივე ნაწარმი ვრცელდებოდა ცენტრალურ ევროპაში [Кропоткин, 1970]. ახ.წ. II-III საუკუნეებში რომაული სამყაროს იმპირტი მეტი სიმრავლითაა დადასტურებული შავიზღვისპირეთის ციხესიმაგრეებთან – პიტიუნტში (ბიჭვინთასთან), სებასტიონოლისში(სოხუმთან), აფსაროსში (გონიოსთან), ფასისში (ფოთთან).

ახ.წ. II-IIIსაუკუნეებში საქართველოს ზღვისპირა ცენტრებში ინტენსიურად შემოდითადა მცირე აზიის რომაული პროვინციების სანაპირო ცენტრების ნაწარმი. მაგალითად, პიტიუნტის, ფასისისა და სებასტიოპოლის ნაქალაქარებზე მრავლადაა ნაპოვნი სინოპური წარმომავლობის ამფორები. სინოპური იმპირტის ინტენსივობაზე მიუთითებს ასევე მონტარიუმები. აღნიშნულ პერიოდში ზღვისპირა ცენტრებს მჭიდრო ურთიერთობა პქონდა ტრაპეზუნტთანაც, რასაც ნუმიზმატიკური მასალებიც მოწმობს. ნაქალაქარებზე აღმოჩენილი იმპირტიკრებულ პროდუქციათა შორის საემაოდ მრავლადა რომაული პროვინციების მინის ნაწარმიც. რომის აღმოსავლური პროვინციების ნაწარმთა წრეს განკუთვნება ლითონის ჭურჭლისა თუ სამკაულების მნიშვნელოვანი ნაწილიც, მაგალითად, ციხისძირისა და გონიოს განში შემავალი ნივთების უმრავლესობა მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით რომის პროვინციების კულტურის წრეში ექვევა [ინაიშვილი, 1993; აფაქიძე, 1947: 128; ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაშვილი, 1980]. ახ.წ. III-IV საუკუნეები რომაული ნაწარმის ახალი მოზღვავებით ხასათდება. ინტერესს იწვევს ბიჭვინთის ნაქალაქარის ნეკროპოლიში აღმოჩენილი მომწვანო ფერის სანელსაცხებლები, რომლებიც კეიოლნის მინის სახელოსნის ნაწარმა. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში წარმოდგენილია რომაული ნაწარმის ისეთი საინტერესო ნიმუშებიც, როგორებიცაა ოქროსი და ვერცხლის ფალერა-ჯილდოები: მაგალითად, კლდეეთის №3 სამარხში აღმოჩენილი რკინის მახვილი ტარზე გემით; ბიჭვინთის №345 სამარხში დადასტურებული ვერცხლის სამკლავური ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით; ოქროს გარსაკავი გონიოდან. ფალერებს, ძირითადად, შეადგენდა გემიანი ბეჭდები, ბალოები, სამაჯურები, მახვილები, თასები, სასმისები და სხვ. იმპერიის ეპოქაში ფალერებით აჯილდოებდნენ არა მარტო ცალკეულ ლეგიონერებსა და სამხედრო ქვედანაყოფებს, არამედ დაქირავებულ მეომრებსა და პრორიმული ორიენტაციის ადგილობრივ მმართველებსაც. კლდეეთის სამარხებში დადასტურებულია აუგუსტუსის, ანტონიუს პიუსის, მარკუს აურელიუსის მონეტები [ლომთათიძე, 1957]. გონიო-აფსაროსის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალათა შორის ინტერესს იწვევს სერაპისის ქანდაკება.

ახ.წ. I საუკუნიდან სერაპისის კულტი მთელს რომის იმპერიაში პოპულარულია, განსაკუთრებით გალიაში, ესპანეთში, კართაგენში, დაკიაში.

კოლხეთის შავიზღვისპირეთის რომაული სამხედრო შენაუროების კონტინგენტი უმთავრესად ბერძნულ-მცირეაზიური პროვინციებიდან და ადგილობრივი წარმომავლობის მეომრებისაგან შედგებოდა. ამის მოწმობაა სებასტოპოლისსა და პიტოქტის ნაქლაქრზე აღმოჩნილი ბერძნული წარწერები. ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ციხე-ქალაქთა მატერიალური კულტურის ზოგიერთი კომპონენტი რომაული მცირე აზის კულტურის იდენტურია. რომაული იმპორტის დიდი ნაწილი რომაული გარნიზონების მოსამარაგებლად იყო გათვალისწინებული. რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ცენტრალიზებული სისტემით ხდებოდა ტრაპეზუნტიდან, სადაც რომაულთა შევის ფლოტის ძირითადი ბაზა იყო. მისი როლი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც დომიციანეს დროს გაიყვანეს სამოსატა-სატალა-ტრაპეზუნტის მაგისტრალი. რომანიზაციის, რომაული კულტურის ელემენტების გავრცელება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სპეციფიკური გზით წარიმართა. აქ რომაელებს დემოგრაფიული ოვალსაზრისით საქმაოდ მჭიდრო დასახლებები დაზღვათ. მეტიც, აქ რომაელთა ყოფნის დროსაც, როგორც ეს რომაელ-ბიზანტიელ ავტორთა (კლავდიოს პტოლემაიოსი, არიანე, პროკოპი კესარიელი) ცნობებიდან ჩანს, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ზღვისპირა ცენტრებშიც ცხოვრობდა. ახ.წ. I საუკუნის შემდეგიდან, რომაული გარნიზონების ჩადგომის შემდეგ, ადგილობრივთან თანდათანობით საქმანი ურთიერთობები მყარდება. მკვიდრი მოსახლეობა და მათი მმართველები ლოიალურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ რომაული ციხე-ქალაქების აღმინისტრაციასთან. ეს კავშირი ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებს ეფუძნებოდა. კერძოდ, მკვიდრი მოსახლეობა ციხე-ქალაქთა ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი და აქ მუშახელის კონტინგენტის შევსების, და ციხე-ქალაქის სასოფლო-სამურნეო პროდუქციით მომარაგების წყარო იყო. სწორედ ამ უკანასკნელის შედეგია ადგილობრივი წარმოების ის კერამიკა, რაც ასე საქმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი პიტიუნტის,

სებასტოპოლისისა და აფსაროსის ციხე-ქალაქების ტერიოტორიაზე. მკვიდრ მოსახლეობას გარკვეული სამხედრო ვალდებულებაც ეკისრებოდა, რაც ჩანს ფლავიუს არიანეს ტრაქტატში „ალანთა წინააღმდეგ“ დაცულ ცნობაში – „ჰოპლიტთა შემდეგ დაეწყოს მოკავშირეთა ჯარი, რომლებიც არიან. . . ტრაპეზუნტელები, კოლხები და რიზელი შუბოსნები...“ (არიანე, ტაქტიკა, 7).

ასწ. II საუკუნიდან კოლხეთის ზღვისპირეთში, ხოლო IV საუკუნიდან მის შიდა რეგიონებში ვრცელდება რომაული ტიპის ჰიდრავლიკური სხნარი, რომელიც გამოიყენებოდა საფორტიფიკაციო, საერო და საკულტო ნაგებობების ასაგებად. ამ დროიდანვე ფართოდ ვრცელდება რომაული ტიპის მობრტყო-კვადრატული, გამომწვარი აგური და კერამიკული წრიული ფილები, რომლებიც სრულიად უცხო იყო აქ წინა ეპოქის სამშენებლო საქმისათვის. კვადრატული აგური ხშირად გამოიყენებოდა ნაგებობების კუთხეების ამოსაყვანად. ასე მაგალითად, წებელდის, ნოქალაქევის, ქუთაისის, ციხისძირის IV საუკუნის საფორტიფიკაციო ნაგებობების წყობაში დადასტურებულია ორმაგი და სამხაგი აგურის სარტყელი. რომის აღმოსავლეთი პროვინციების ციხე-ქალაქები აგურისა და ქვის შერეული წყობით იყო ნაშენი. ანალოგიურ წყობას ვხვდებით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნაქლაქრებზე – ოლბაში, ხარაკსში, ტირსა და ხერსონეში. რაც შეეხება კვადრატულ კერამიკულ ფილებს, ისინი იატაკის მოსაგებად გამოიყენებოდა. რომაული გავლენა მკუთიოდ შეინიშნება კერამიკის წარმოებაში, რაც ასახა უწინარესად II- IV საუკუნეების მინაბაძი მშვირების წარმოებაში. რომაული კერამიკის გავლენით დამზადებული თიხის ჭურჭელს განეკუთვნება მონტარიუმების ერთი ჯგუფიც. ისინი რომაული მინტარიუმებისაგან თიხის შემადგენლობით განსხვავდება. რომაულ ნაწარმთა ადგილობრივი მინაბაძებია საპატრუქემილიანი, სახელურიანი ჭრაქები, რომლებიც ასევე ადგილობრივი თიხისაგანაა დამზადებული. აქ მოელ რომაულ სამყაროში გავრცელებული ტიპის დოქების მინაბაძებიც მზადდებოდა. რომაული კერამიკის მინაბაძებთან თანაარსებობდა და რაოდენობრივად ჭარბობდა, კოლხეთში ადგილობრივი კერამიკის ტრადიციული სახეობები.

კერამიკის წარმოების გარდა, რომაული კულტურის გავლენა ჩანს ხელოსნობის სხვა სფეროშიც. ახ.წ. I საუკუნიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპრეთში რომაული ტიპის მშვიდლძაგინძების ფართოდ გავრცელებასა და მასზე დიდი მოთხოვნის გამო III საუკუნიდან ადგილობრივ მზადდებოდა ეწ. ორწილადი, ბუდეებმული, მუხლზამბარიანი და ჯვრისებური ფიბულები. რომაული კულტურის გავლენა შეიმჩნევა საბრძოლო იარაღების ზოგიერთ სახეობაშიც, კერძოდ, დადასტურებულია რომაული ტიპის ოთხუთხა სკუტუმის ტიპის ფარები, გლადიუმის ტიპის მახვილები და სხვ. [გამყრელიძე, 2002:39]. ოქრომჭვდლობის ტრადიციების შენარჩუნება-გაგრძელებასთან ერთად რომაული ხანის საქართველოს საიუველირო ხელოვნებაში ვრცელდება ახალი, ეწ. კლუაზონეს პოლიქრომული სტილი. ამგვარადაა შექმნილი რომაული ეპოქის საქართველოს ოქრომჭვდლობის ბრწყინვალე ნიმუშები— გრიფის კლეფეთის, ურკის, თაგილონის, ზღუდერისა და მცხვეთის ფერადი ქვებით შემცული ბეჭდები, ბალთები, საკიდები, ფიბულები და სხვ. იბერია-კოლხეთის ამ პერიოდის ქალაქების ურანისტული ხასიათი, არქიტექტურა და გეგმარებითი პრინციპები ემორჩილებოდა ქალაქმშენებლობის იმ საერთო კანონებს, რომლებიც მიღებული იყო, ანტიკურ სამყაროსა და რომანზებულ აღმოსავლეთში.

ამრიგად, კოლხეთის დაბლობის და მთიანი რეგიონების მატერიალურ კულტურაში რომაული ცივილიზაციის ცალკეული ელემენტები მეტ-ნაკლები ინტენსივობითაა გავრცელებული. ეს იმპულსები განსაკუთრებით შესამჩნევია სამშენებლო ხელოვნებაში, კერამიკის წარმოებასა და მატერიალური კულტურის მთელ რიგ კომპონენტებში. მთიან რეგიონებში ადგილობრივი ტრადიციები ძალზე მყარი იყო და ამიტომ რომაული კულტურის რადიაცია აქ მნელად აღწევდა. სამაგიროდ, რომაული კულტურის გავლენა რომაულ-ადრებიზანტიური ხანის ზღვისპირეთში აშკარად იგრძნობა ციხე-ქალაქებთან. ამის ნათელი იღუსტრაციაა opus mixtum-ის ტექნიკით ნაგები ციხესიმაგრები. კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივაც კოლხეთის ბარის საზოგადოება უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე მთიანი ზოლისა. საერთოდ, ახ.წ. I-IV საუკუნეების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ დასტურდება ისეთი ნიშნები, რაც ასე

დამახასიათებელია რომის იმპერიის დასავლეთევროპული პროვინციების ქვეყნებისათვის (მაგ.: გერმანია, ბრიტანეთი, გალაა) [იხ. გოლუცია, 1985:167-302]. მკვიდრი მოსახლეობის მკვეთრი რომანიზაცია და ე.წ. კომპლექსური კულტურის წარმოქმნა, რომაულ სამყაროში დამზადებული ხელოსნური ნაწარმის მასიურად გავრცელება, აյ ამ ეტაპზე რომაული კულტურის გავლენა, ისევე, როგორც იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებში, უფრო ზედაპირული ჩანს. ძეველ საქართველოში რომანიზაციის პროცესი თავისებური, განსხვავებული გზით წარიმართა. აյ რომაულ-ევროპული ტიპის კულტურა არ წარმოქმნილა, რადგან დიდი იყო ე.წ. აღმოსავლეურ-ელინისტური კულტურის ფუნქცია და გავლენა.

აღმოსავლეთი ანატოლია თავისი ისტორიული ბედით საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტრანსკავკასიის ქვეყნებთან. კოლხეთში რომანიზაციის გავლენის დამადასტურებელი ფაქტების – არქოლოგიური ძეგლების და წერილობითი მონაცემების შესწავლის შედეგები გვარწმუნებს, რომ რომაული კულტურის მიღწევები ყველაზე მკვეთრად ეკონომიკაში ვლინდება. რომაელების აქ გამოჩენის დროიდან მოკლე პერიოდში მოხდა გარკვეული ცვლილებები. რომაული კულტურის ეკონომიკურმა მიღწევებმა კოლხეთში უწინარეს ყოვლისა, თავი იჩინა ვაჭრობაში. რომაელების მიერ კოლხეთში, საომარი მდგომარეობის შეწყვეტის შემდეგ სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების დამყარებას ხელს უწყობდა ტრანსკავკასიის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ანტიკურ სამყაროსთან მიმართებით. ამის ნათელი ილუსტრაციაა კოლხეთის ტერიტორიაზე ანტიკური სამყაროდან ირანული სამყაროს ქვეყნებისაკენ მიმავლი სავაჭრო გზები, რომელთა გამოყენებაც დასტურდება არქოლოგიური აღმოჩენებით. იბერია-კოლხეთის რომანიზაციის პერიოდში შესამჩნევა საგარეო ვაჭრობის ხვედრითი წილის ზრდა, სასაქონლო წარმოების გაფართოება, უცხოური მონეტებს დიდი რაოდენობით მიმოქცევა, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების განვითარება, უწინარესად, შავიზღვისპირეთის რომაელთა მილიტარისტულ ციხე-ქალაქებში. შემდგომ რომაული კულტურის გავლენა კოლხეთზე უფრო ნათლად ვლინდება სხვდასხვა ადგილობრივ დარგში, კერძოდ, არქიტექტურაში, კერამიკის

წარმოებაში, ხელოსნობის სხვადასხვა მიმართულებაში. ეს პროცესები უფრო ინტენსიური ხდება ას.წ. II საუკუნიდან.

რომაული კულტურის გავლენის განსაკუთრებული გაძლიერება კოლხეთში ას.წ. II–IV საუკუნეებში აღინიშნება. რაც შეეხება რომაული კულტურის გავრცელებას, ის ზღვის სანაპიროდან და ანატოლიიდან უნდა მომზადარიყო. რომაულ-ადრებიზანტიური კულტურის გავლენა შედგომ კიდევ უფრო მეტად აისახა არქიტექტურაში, კერძოდ, ე.წ. რომაული ბეტონი, კედლების opus mixtum-ის წყობა, მომრგვალებული თაღები, თავისებური კაპიტელები, გამოწვარი ოთხკუთხა, ბრტყელი აგური და სხვ. მჭიდრო და უშეალო კონტაქტების შედეგად რომანიზაციის გავლენა უფრო ძლიერად თავს იჩნება ზღვის სანაპირო ქალაქებში. უფრო ადრე კი ელინისტური კულტურის გავრცელებამ და მისმა ტექნიკურმა მიღწევებმა კოლხეთში რომაელების კავკასიაში მოსვლისათვის ნიადაგი შეუმზადა რომანიზაციის საწყისების მომწიფებას.

### ლიტერატურა:

- აფაქიძე ან. 1947: გვარანტიკური ხანის ძეგლები ურეკიდან, სსმ, XIV, თბ. გვ.85-112.  
ბერძენიშვილი ქ.... 1975: ბიჭვნოთაში..., დღი პატიუნტი, I, თბ. გვ.33-43.  
გამრელიძე გ. 1989: მითოიდატე ეპატორი..., საქმეცნ. აკად. "მაცნე", №2, გვ. 59-69.  
გამრელიძე გ. 2002: ვერსა ბრძოლის... სოფ. გომიძან, უკრ. მიებანი, №10, გვ.39.  
გამრელიძე გ. 2002: კოლხეთი, გამოც. "ლოგოსი", თბილისი.  
გამრელიძე გ., თოლეუ თ. 2006: რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქ.-ში, თბ.  
გიგაური ც. 1985: კოლხეთი რომაულ მწერლობაში, თბილისი.  
გეორგიკა, I, 1961: გამოსცეს ალ. გამრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.  
დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი.  
ზაქარაია პ. კაპანაძე თ. 1991: ციხეგოჯი –არქეოპლიტის... ხუროთმოძღვრება, თბ.  
ინაიშვილი ნ. 1993: ციხისმარის ას.წ. II-VIIს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ.  
ლომთათიძე გ. 1957: კლდევთის სამაროვანი, თბ.  
ლორთქიფანიძე გ. 1991: ბიჭვნოთის ნაქალაქარი, თბილისი.  
ლორთქიფანიძე თ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ.  
ლორთქიფანიძე თ. 1962: ბიჭვნითის წითელლაგიანი კერამიკა, სმამ, 1, გვ.231-255.  
ლორთქიფანიძე თ. მიქელაძე თ. ხახუტაიშვილი დ. 1980: გონიოს განძი, თბ.  
ლორთქიფანიძე მარგ. 1954-56: საქართველოს სახ. მუზეუმის გემები, I-III, თბ.

- მამულაძე შ., კახიძე ქმ., ხალვაში გ. 2009: ქრებ. გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი.  
 მაჩაბელი კ. 1983: ძველი საქართველოს გერცხლი, თბ.
- ფუთურიძე რ. 1959: გვიანნების კური ხანის..., მსკა, II, 1959, გვ. 54-94.
- წითლანაძე ლ. 1973: არქ. აღმიჩენები სოფ. ლიაში. – მმ, 33., თბ., გვ. 23-28.
- ხალვაში გ. 2002: გონიო-აფსაროსის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქ. გათხრების შედეგები, გონიო-აფსაროსი, III, თბ., გვ. 36-43.
- Амиранашвили А. 1935: Новая находка в низовьях р. Ингур, Тбилиси, 1935.
- Бокшанин А. 1966: Парфия и Рим, ч. II, Москва, 1966.
- Браунд Д. 1991: Римское присутствие в Колхиде и Иберии. – ВДИ, 4, с. 34-52.
- Гамкрелидзе Г. 1992: К археологии долины Фасиса, Тб.
- Кропоткин В. 1970: Римские импортные..., САИ, выпуск Д1-27. Москва.
- Голубцова Е. (ред.) 1985: Культура Древнего Рима, т. II, Москва.
- Кругликова И. 1986: Боспор в позднеантичное время, Москва.
- Ельницкий Л. 1964: О малоизученных утраченных греческих и латинских надписях Закавказья. ВДИ, 2, с. 145-151.
- Максимова М. 1956: Античные города юго-восточного Причерноморья, Мос.
- Ранович А. 1949: Восточные провинции Римской империи I-III вв., Москва.
- Шелов Д. 1981: Римляне в Северном Причерноморье во II в.н.э. – ВДИ, 4, с. 82-87.
- Latyshev B. 1904-1906: Scythica et Caucasica; I-II, St.-Petersbourg.
- Robinson H. 1975: The armour of imperial Rome, London.
- Robinson H. 1959: Pottery of the Roman period. (In Athenian Agora), V, Princeton.
- Vermeule C. 1974: Greek and Roman sculpture in gold and silver, Boston.
- Hopkins A. (ed.), 2003: Globalization in World History. New York, pp. 4- 9.
- Shelton J. 1998: As The Romans Did: A Sourcebook in Roman Social History. New York - Oxford University. pp. 20-31.
- Matthew D., Garland L. 2005: Ancient Rome: From the Early Republic to the Assassination of Julius Caesar. N. Y., pp. 134-46.

*(Summary)*

### **The Globalistic process of Romanization and Colchis**

Romanization was the Globalization process, which meant wide spreading of Roman economical, political and cultural behavior in the provinces of the Empire and in neighboring countries. This process was more rapid in the western provinces than in eastern provinces of the Empire and was depended on different political and economical structures of that part of the world. The

location of Caucasus, where the western and eastern civilizations were meeting was very important. The process of Romanization in ancient Georgia had a different, peculiar way. Here the roots of Hellenistic Culture were deep and the culture of European-Roman kind did not arise. The study of archaeological data, written sources and epigraphical data convinces us that the impact of Roman culture in Iberia- Colchis was most visible in economics. From the times of first appearance of Romans in Caucasus we can see some changes, which, first of all are linked with trading. After the end of military actions by Rome in Iberia- Colchis Geopolitical location of Transcaucasus became played an important role in trade. The good examples of this fact are numerous trading roads form the Classical world to the Iranian world, which are well known with the help of archaeological-numismatic finds. During the period of Romanization the internal trade became more intensive, the handcrafting centers were widening, also the big number of foreign coins is found on the sites of this period. The best examples of this process can be seen in Roman forts of the Black Sea littoral. Later, the impact of Roman civilization is seen in other fields (architecture, handicraft, etc) of native population of Iberia- Colchis. These processes are becoming more intensive from the 2<sup>nd</sup> c AD and lasts until the 4<sup>th</sup> c AD. The process of Romanization is better represented in the towns of Black Sea Littoral and in the Capital of Iberian kingdom Mtskheta.

## THE LAND OF COLCHIS AND THE CITY OF PHASIS

(Towards a historical-archaeological study of western Georgia in the Classical period)

The land of Colchis, famous throughout the Classical world, from where – according to the celebrated ancient Greek myth – the Argonauts stole the Golden Fleece, was on the eastern coast of the Black Sea, i. e. on the western territory of modern Georgia. The valley of the Rioni, frequently referred to in ancient Greco-Roman sources as the Phasis, lies in central Colchis. According to the archaeological and written sources: Herodotus, Scylax of Caryanda, Hippocrates, Apollonius Rhodius, Strabo, Appian, Flavius Arrian, Marcus Manilius, Procopius, Agathias and others, as well as by its physico-geographic environment, the Rioni (Phasis) valley must have occupied an economically developed position.

The Rioni rises from the mountain glacier Phasis on the south slope of the Caucasus Range. Up to Kutaisi the Rioni is a turbulent mountain stream. Leaving Kutaisi, the Rioni flows slowly in the Kolkhian plain. By its geographic position the Rioni constituted a convenient trade-and-transit waterway. Evidence on the use of this river as a commercial waterway is mainly extant in the works of Strabo and Pliny. Strabo describes the waterways of the Rioni and the Qvirila (Phasis): “*It is (Phasis) navigated as far as Sarapana, a fortress capable of admitting the population even of a city. From here people go by land to the river Cyrus in four days by a wagon-road.*”(Strabo, XI, II, 17). The continuation of the waterway is described by Strabo thus: “*And he further says that it is navigable and that large quantities of Indian wares are brought down on it to the Hyrcanian sea, and thence on that sea are transported to Albania and brought down on the Cyrus river and through the region that comes next after it to the Euxine.*” (Strabo, XI, II, 3) (The Loeb Classical Library, London, 1957). It is thus quite clear that Strabo describes the trade route running from India to the Black Sea through the rivers Cyrus and Phasis. Pliny also describes the same route [Latyshev, 1904: 178].

The fact is worthy of attention that it is along this route that settlements of the Classical and early medieval periods were situated, the archaeological study of which yielded items of foreign manufacture (pottery, adornments, metal and glass ware). Such settlements at the Rioni river are attested: in Kutaisi; Patriketi-Vartsikhe [Japaridze, V. 1977: 43-50]; Vani [Lordkipanidze, O. 1977: 159-175]; Tsikhesulori [Mitsishvili, M. 1977: 32-47]; Shuamta [Gamkrelidze, G. 1982: 49], Dablagomi [Tolordava, V. 1977: 67-78]; Dapnari [Kighuradze, N. 1976]; Natekhebi (Lake Paliastomi) [Gamkrelidze, G. 1992: 30-48; Gamkrelidze, 1987: 98], and others, with adjoining territory (Pl. I).

Hippocrates supplies interesting information about the natural data of the Phasis-Rioni basin in his treatise “On Air, Waters and Places”, in which he speaks of the influence exerted by the climatic and physical-geographic conditions of the place and its population. It is believed that Hippocrates had visited Colchis and that his reports are the result of immediate observations [Qaukhchishvili, T. 1965: 20]. His evidence appears to deal with the lower and partly middle course of the Rioni. But some data extend to the entire basin. For example, when it concerns marshes and numerous canals the territory in the lower course must be implied: warm weather and frequent rainfalls could not have been characteristic of a small area, for they were the same almost all over Colchis. Hence it may be assumed that the region under study and especially its adjoining elevations were convenient places for farming, and accordingly for settlement. As to forests and structures built of planed wooden beams and apparently roofed with reeds, their traces have been found today too on elevations along the Rioni, where they could by no means have been erected on water. This circumstance points to the fact that the author was familiar only with the lower, marshy course of the Rioni (Phasis), which has remained the same to the present day. The question arises as to what induces people to live in houses built on marshland. The local residents were probably harassed by their neighbours; hence they moved to the lower course of the Rioni-Phasis and began to build their dwellings on the marsh, for such structures were almost inaccessible. At many places along the Rioni remains of plaster and beams are attested, which – with the aid of archaeological material – are dated to the 4<sup>th</sup> c. BC. The evidence of Hippocrates also relates to the same period.

A piece of information of our present interest is contained in Xenophon's Anabasis (see Anabasis V, 6, 36). Here the land of the Phasianoi implies the Valley of the Rioni (Phasis). The region they intended to conquer could not have been poor at that time, Apollonius Rhodius, a 3<sup>rd</sup>-century BC author, writes about the land of Aea (Aia)-Colchis-Phasis in his poem the Argonautica (III, 215). The poem is the last verse version of the myth. Apollonius Rhodius describes the city of Kutaisi in the middle course of the Rioni. According to Strabo's Geography (XI, 11; II, 17), Colchis is notable for its fruits and all that is needed for shipbuilding. The country produces much timber, floating it down the rivers. The inhabitants manufacture much linen and resin.

Interesting evidence on the Phasis valley is supplied by Pomponius Mela (1<sup>st</sup> century) in: "inde is locus est ubi finem ductus a Bosphoro tractus accipit, atque inde se in sinu adverse litoris flexus adtollens angustissimum Ponti facit angulum. hic sunt Colchi, huc Phasis erumpit, hic eodem nomine quo amnis est a Themistagora Milesio deductum oppidum, . . ." (Pomponii Melae, Chorographia. . ., I, 108). More diverse evidence on the Phasis valley is preserved in the work of Pliny the Elder's "Natural History". It has been ascertained that in describing Colchis he had recourse to various sources. He reports on towns lying along the course of the Rioni; the concrete evidence on them, adduced by him, is of entirely real historical-geographic character. Pliny's evidence on the navigability of the Rioni-Phasis attracts special attention. He (Pliny, VI, II) points out that the Phasis is navigable to the mouth of the Surium river (the name resembles the Sulori river).

Special interest attaches to Arrian's work: *Periplus Euxini* (2<sup>nd</sup> century). He was the Governor of Cappadocia in 131; he undertook a voyage along the Black Sea coast to ensure the security of the borders. Arrian personally inspected the strongholds existing there, informing the Emperor Hadrian in an official report on the voyage. Particularly interesting in Arrian's *Periplus* is his detailed description of the city at the mouth of the Phasis (Arrian, 9, 10).

